

რადიკალური შანიანი

# ხელდასხმულია ცნობიერება

სულაიმა ყალყის ქმნილება და ყალიბი გზები



რუდოლფ შტაინერი

# ხელდასხმულთა ცნობიერება

სულიერი კვლევის ჭეშმარიტი  
და ქალბი ბზები

ტორკში წაკითხული თერთმეტი ლექცია  
1924 წლის 11-22 აგვისტო

ბიბლიოგრაფია № 243

თბილისი 2016

RUDOLF STEINER

# Das Initiaten-Bewußtsein

Die wahren und die falschen Wege der geistigen  
Forschung

Elf Vorträge, gehalten in Torquay  
vom 11. bis 22. August 1924

Bibliographie-Nr. 243

RUDOLF STEINER VERLAG  
DORNACH/SCHWEIZ–1983

Tbilisi - 2016

ლექციების ციკლი საერთო სახელწოდებით: „ხელდას-  
ხმულთა ცნობიერება“ რუდოლფ შტაინერმა წაიკითხა  
ანთროპოსოფიული საზოგადოების წევრებისთვის ინ-  
გლისში. ციკლი მთლიანად დაყოფილი იყო სამ ნაწი-  
ლად; წინამდებარე კურსში: „სულიერი კვლევის ჭეშმა-  
რიტი და ყალბი გზები“, რუდოლფ შტაინერი ეხება სუ-  
ლიერი კვლევის ზოგად დანიშნულებას, ნამდვილი სუ-  
ლიერი კვლევის ჭეშმარიტ გზებს, ცნობიერების სხვა-  
დასხვა მდგომარეობას, ზეციურის გამოცხადებას მიწი-  
ერში და სხვა უმნიშვნელოვანეს თემებს.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**

მთ. რედაქტორი: **ლ. მესხია**

რედაქტორი: **ხ. ნაჭყეზია**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**

Redaktion: **L. Mesxia, X. Natskhebia**

ასოციაცია „კოგიტო“

თარგმანი შესრულებულია 1983 წლის გერმანული გამო-  
ცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

Assoziation „Cogito“

GA 243

გარეკანზე მარგარიტა საბაშნიკოვას ნახატი:  
მთავარანბელოზი მიქაელი.

ISBN 978-9941-0-8298-6

შინაარსი

შესავალი . . . . . 5  
პირველი ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 11 აგვისტო . . . . . 7  
მეორე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 12 აგვისტო. . . . . 23  
მესამე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 13 აგვისტო. . . . . 44  
მეოთხე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 14 აგვისტო. . . . . 65  
მეხუთე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 15 აგვისტო. . . . . 86  
მეექვსე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 16 აგვისტო. . . . . 107  
მეშვიდე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 18 აგვისტო. . . . . 128  
მერვე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 19 აგვისტო. . . . . 149  
მეცხრე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 20 აგვისტო. . . . . 59  
მეათე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 21 აგვისტო. . . . . 170  
მეთერთმეტე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 22 აგვისტო. . . . . 189  
რუდოლფ შტაინერის ჩანაწერი . . . . . 228  
შენიშვნები. . . . . 229

## შესავალი

ციკლიდან: „ჩვენი ზაფხულის კურსი ტორკში“

ტორკში, სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის სანაპიროზე, ამჯერად ანთროპოსოფიული მოძრაობის მეგობრებმა ჩაატარეს კურსი; ბატონმა დუნლოფმა, სამომავლო მიზნებზე ორიენტირებულმა მგრძნობიარე ანთროპოსოფმა და ქალბატონმა მერიმ, რომელიც დაუღალავად შრომობს და სიყვარულით უძღვნის თავს ამ მოძრაობას, საზოგადოებაში მეგობრებთან ერთად უდიდესი სამუშაო შეასრულეს, რომ ეს კურსი ჩატარებულიყო.

სამუშაოს ერთ-ერთი ნაწილია ანთროპოსოფიის მეგობრებისა და წევრებისთვის განკუთვნილი ლექციების კურსი, რომელსაც დღის პირველ ნახევარში ვკითხულობდი. ჩემი სურვილი იყო მესაუბრა თემაზე: „სულიერი კვლევის ჭეშმარიტი და ყალბი გზები“; პარალელურად ტარდებოდა კურსი იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ, შინაგანი სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ანთროპოსოფიული სკოლის დაფუძნებაში; ეს კურსი იმართებოდა დღის მეორე ნახევარში; ასევე ჩატარდა ხუთი ევრითმიული წარმოდგენა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარია შტაინერი და თავად იღებდა მათთან ერთად მონაწილეობას რეციტაციებში. იყო მოხსენებები წევრებისთვის და კლასის საათები, შემდეგ დოქტორ ბარავალესის ლექციები . . . ;

ჩემ მიერ გერმანულ ენაზე წაკითხულ მოხსენებებს დაუღალავად თარგმნიდა ბ-ნი კაუფმანი.

დღის პირველი ნაწილის მოხსენებებში მიზნად ვისახავდი ადამიანური სამშენებლის გზების ჩვენებას ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობისთვის; ამ გზებით ადამიანებს, ჩვეული ცნობიერებით, იდუმალი სამყაროს სფეროები ეხსნებოდათ. თავიდან ვაჩვენე, რა ცვლილებები განიცადა ადამიანის ცნობიერებამ ისტორიის განვითარების მსვლელობის პროცესში. ამისთვის ავირჩიე ორი მაგალითი: ძველი ქალდეველები და შუა საუკუნეების შარტრის სკოლის მასწავლებლები. ქალდეველების მსოფლმხედველობის მიხედვით აღქმისას ხდება სულიერების აღქმაც. მათთან ჯერ კიდევ არ იყო აზრით აღსავსე ფხიზელი ცნობიერება, რომელიც დღევანდელ კაცობრიობას აქვს, არამედ მათი ცნობიერება გრძნობადისა და სულიერის სურათებს ერთდროულად უყუ-

რებდა; ამიტომ უსიზმრო ძილს ისინი აუცილებლად იხსენებდნენ, იმახსოვრებდნენ და ამ გზით აღიქვამდნენ იმ სულიერებას, რომელსაც ადამიანი განეკუთვნება დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ. შარტრის მასწავლებლები საუბრობდნენ თავისი ცნობიერებიდან, რომელიც მათ არა ჰქონდათ ბოლომდე განვითარებული, მაგრამ შინაარსს გადმოსცემდნენ ტრადიციის შესაბამისად, როცა „ბუნებას“ განიხილავდნენ არა თანამედროვე ადამიანივით, რომელიც მასში ხედავს უბრალოდ ბუნების კანონების ჯამს, არამედ განიხილავდნენ როგორც ცოცხალ არსებას, რომელიც ცოცხალ ქმედებებში ვლინდება. ცოცხალ არსებაზე ადამიანის მიერ ერთხელ გათავისებული ეს შეხედულება დაიკარგა იმით, რომ წაიშალა უსიზმრო ძილის აღქმისა და გახსენების უნარი. ამით შევეცადე მეჩვენებინა, როგორ აღზრდის ადამიანი თავის თავში ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობას, როგორ შეიმეცნებს სულიერის მოქმედებას ადამიანის, ცხოველის, მცენარისა და ფიზიკურის მიღმა. მე აღვწერე ცალკეული ლითონის სულიერი არსი, მათი მიმართება ადამიანების სულიერ შეხედულებებსა და ასევე ავადმყოფობებთან. შემდგომ აღვწერე, როგორია ცნობიერების მდგომარეობა, რომელსაც ძალუძს თვალი მიაღვენოს ადამიანის სიკვდილის შემდგომ ცხოვრებას. ვაჩვენე, როგორ შეუძლია ცნობიერების გარკვეულ მდგომარეობებს განვითარება, რომ ადამიანს საშუალება მისცეს, საკუთარი თვალსაწიერი გააფართოოს დედამიწიდან კოსმოსში, ვარსკვლავების სფერომდე.

ამ ყველაფრით შევეცადე, საფუძველი შემექმნა იმისთვის, რომ მეჩვენებინა სულიერი სამყაროს შემეცნების სწორი გზა, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს არასწორ გზებზე სიარულით გამოწვეული ცდომილებების დანახვა . . .

პირველი ლექცია

ტორი, 1924 წ. II აგვისტო

ბუნება – უდიდესი ილუზია.

„შეიცან თავი შენი“

*ზოგადად რატომ ვიკვლევთ ჩვენ სულიერს?*

მე მთხოვეს მომეთხრო გზებზე, რომლებსაც შეგყავართ სულიერ სამყაროში, სულიერ ცხოვრებაში, გზებზე, რომლებიც მიგვიყვანდნენ ზეგრძნობადის შემეცნებამდე და ამავდროულად, წინააღმდეგობაში არ იქნებოდნენ დიად, გრანდიოზულ ცოდნასთან, რომელიც მოიპოვეს თანამედროვე მეცნიერული მიღწევების წყალობით. რეალობის შემეცნება მისაწვდომია მხოლოდ მისთვის, ვისაც შეუძლია ბუნებისმეტყველების, ისტორიისა და სხვა მეცნიერების მიერ მოცემულ გრანდიოზულ შთაბეჭდილებებს დაამატოს ისინი, რაც შეიძლება მივიღოთ სულიერი სამყაროს შემეცნებისას.

სამყაროში სულიერი ყველგან მყარად არის დაკავშირებული ფიზიკურთან. არ არსებობს ფიზიკური, რომელიც რაიმე სახით არ ატარებდეს თავის თავში სულიერ ელემენტს, ისევე, როგორც არ არსებობს სულიერი, რომელიც უმოქმედოდ იმყოფებოდეს იზოლაციაში, – სულიერის ნებისმიერი არსებობა სადმე ან ოდესმე აუცილებლად იჩენს თავს ფიზიკურში.

შინაგანი შემეცნების მეშვეობით ჭეშმარიტ და ყალბ გზებზე წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია სამყაროს აღწერა თავის მთლიანობაში, როცა ადამიანი, ერთი მხრივ, წარმონდება ფიზიკური ფენომენების ნაკადში ჩაფლობილი, ხოლო მეორე მხრივ – ჩაფლობილი იმაში, რაც მისთვის ხელმისაწვდომია სულიერი ჭვრეტის წყალობით; აქ ამ ლექციებში სწორედ ამაზე გვექნება საუბარი.

სანამ ძირითად თემას შევეხებოდე, რომელზეც ხვალ ვისაუბრებ, მე ვისურვებდი დღეს გამეკეთებინა თავისებური სახის შესავალი, რათა თქვენ გაიგოთ, არსებითად, რას უნდა ელოდოთ ამ ლექციებისგან და რა არის მათი მიზანი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვუპასუხოთ კითხვას: ზოგადად, მაინც რატომ ვიკვლევთ სულიერს? რატომ არ ვკმაყოფილდებით ჩვენ, როგორც ადამიანები, როგორც მოაზროვნე და მგრძნობიარე არსებები, რომელთა მოღვაწეობა ფიზიკურ პლანზე მიედინე-



ბა, მხოლოდ იმით, რაც გეხვედება გრძობად-ფიზიკურ სამყაროში? სულიერის შემეცნებას რატომ ვესწრავით?

ამასთან დაკავშირებით მსურს, მივითითოთ ერთ უძველეს გამონათქვამზე, რომელიც იმდენად ღრმაა, რომ ამოუწურავია მათთვისაც, ვინც სამყაროს არსს იკვლევს; ის ჩვენთან მოვიდა საუკუნეების სიღრმიდან, მაგრამ თავისი მნიშვნელობა ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს. მართალია, ჩვენი კვლევა ჩვენთვის უცხო, უძველესი შეხედულებებისგან სრულიად დამოუკიდებლად ტარდება, თუმცა შემთხვევას არ ვუშვებ, მივუთითო მათზე, როცა ეს დროულია.

წარსულის ათასწლეულებიდან ჩვენამდე მოაღწია ასეთმა აღმოსავლურმა გამონათქვამმა – ჩვენ მიერ გრძობის ორგანოებით აღქმული სამყარო არის მაია. გრძობის ორგანოებით აღქმული სამყარო არის დიადი ილუზია და სიტყვა „მაია“ ნიშნავს დიად ილუზიას. ხოლო თუ ეს სამყარო არის დიადი ილუზია, ჩვენი წინაპრები კი ამას გრძობდნენ საკაცობრიო განვითარების პროცესში, მაშინ ადამიანმა მისი გავლით უნდა შეაღწიოს ნამდვილ რეალობაში.

სამყარო, რომელსაც ადამიანი ხედავს თვალებით, რაც ესმის ყურებით, ასევე რასაც აღიქვამს გრძობის სხვა ორგანოთი, რატომ წარმოჩნდება მის წინაშე, როგორც დიადი ილუზია? სწორედ უძველეს დროებში, როცა ადამიანი ახლანდელთან შედარებით უფრო ახლოს იყო სულთან, რატომ ქმნიდნენ ადამიანები მისტერიალურ ცენტრებს, რომლებიც ემსახურებოდნენ მეცნიერებას, რელიგიას, ხელოვნებასა და პრაქტიკულ ცხოვრებას? ასეთი ცენტრები მიუთითებდნენ იმ რეალობის არსებობაზე, რომელიც განსხვავდებოდა იმ დიადი ილუზიისაგან, რომელშიც ადამიანს დასაბამიდანვე უწევდა ცხოვრება და რომელსაც ის იმეცნებდა. რა მიზნისკენ ისწრაფოდნენ უძველესი ბრძენნი, როცა თავიანთ მოწაფეებს წარმართავდნენ ილუზიიდან ჭეშმარიტებისკენ? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უფრო უშუალოდ, მიუკერძოებლად შევხედავთ თავად ადამიანს.

„შეიცან თავი შენი“\*, ასე ჟღერს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული გამონათქვამი, და, შეიძლება ითქვას, ამ ორი გამონათქვამის, – „სამყარო არის მაია“, რომელიც დამკვიდრდა აღმოსავლეთიდან და „შეიცან თავი შენი“, რომელიც დამკვიდრდა ძველი საბერძნეთიდან, – შეერთებით წარმოიქმნა კაცობ-

რიობის მთელი თანამედროვე მისწრაფება სულიერი შემეცნებისკენ. ამასთან, ყველა უძველეს მისტერიაში ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა მომდინარეობდა შეგრძნებიდან, რომ სამყარო არის ილუზია და რომ ადამიანმა უნდა შეიმეცნოს თავისი თავი.

თუმცა ადამიანი ამ კითხვას სვამს მხოლოდ რეალურ ცხოვრებაში; არა აზროვნებაში, არამედ სწორედ ნებელობაში, გარემოში სრული ჩაფლობისას; არა საკუთარი ცნობიერების შიგნით, ან მკაფიო შემეცნებაში, არამედ ინტენსიურ ემოციურ ცხოვრებაში თითოეული ადამიანი შინაგანად აუცილებლად ეუბნება თავის თავს: თავად შენ არ ხარ ისეთი, როგორსაც ამ გარე სამყაროს ხედავ და რაც გესმის.

ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ეს ძალზე ღრმა გრძნობაა. საჭიროა, სამშინველის წინაშე მკაფიოდ დავაყენოთ, რას ნიშნავს, როცა ადამიანი ამბობს: თავად შენ არ ხარ ისეთი, როგორსაც ამ გარე სამყაროს ხედავ და რაც გესმის. ჩვენ ვაკვირდებით მცენარეს, ვხედავთ, გაზაფხულზე როგორ ამოიყრება მისი ტოტებიდან მწვანე ფოთლები. ჩვენ ვხედავთ, რომ გაზაფხულზე ის ყვავის, ხოლო შემოდგომით იძლევა ნაყოფს. ჩვენ ვაკვირდებით მცენარის წარმოქმნასა და მის გაქრობას. იმასაც ვხედავთ, რომ მცენარის ცხოვრება წლის წრებრუნვაშია ჩაწერილი და ასევე ვხედავთ, რომ უამრავი მცენარე ითვისებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიწიერ სიმტკიცეს, როცა ქერქით იფარება. როცა მანქანით მოვემგზავრებოდით, გზაზე ვაკვირდებოდით დიდი ხნის მცენარეებს, რომლებმაც მიიღეს მიწის ბევრი ელემენტი, რათა იარსებონ არა ერთი წელი, არამედ მეტი, რათა მათმა ტოტებმა შექლონ კვლავ და კვლავ ამოყარონ ახალი ელორტები. თუმცა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია დავაკვირდეთ ამ მცენარეთა წარმოშობასა და გაქრობას (Vergehen).

ადამიანი აკვირდება ცხოველთა სამყაროს. ის ხედავს მათ წარმოშობას და მათ გაქრობას. საბოლოოდ, ეს ეხება მინერალურ სამყაროსაც. ის აკვირდება იმას, რაც მიწაში ჩნდება მინერალების სახით, ასევე – მათაა გრანდიოზულ წყებას. თანამედროვე მეცნიერება მივიდა დასკვნამდე, რომ მათაა ეს გრანდიოზული წყებაც წარმოიქმნება და ქრება. და ბოლოს, ადამიანს შეუძლია მიუბრუნდეს გარკვეულ მსოფლმხედველობას, მაგ., პტოლომეოსის ან კოპერნიკისეულ სამყაროს სურათს, ანდა ძველი თუ ახალი მისტერიებიდან აიღოს რაიმე და შედეგად დაასკვნას: ყოველივე, რასაც წარმოგვიჩენენ დიადი ვარ-

სკვლავები, მზისა და მთვარის ნათება თავიანთი გასაოცარი, ურთულესი ორბიტებით, – ოდესღაც წარმოიქმნა და აუცილებლად გაქრება. წარმოქმნასა და გაქრობასთან ერთად ყველა ზემოჩამოთვლილს ერთი საერთო თავისებურება ახასიათებს, ამასთან ისეთი თვისება, რომ ადამიანმა, თუ სურს თავისი თავის შეცნობა, საკუთარი თავი არ უნდა დააყენოს იმის გვერდით, რაც წარმოიქმნება და ქრება, ე. ი. მცენარეების, მინერალების, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გვერდით. ამდენად, ადამიანი ასკვნის, რომ თავის თავში ატარებს რაღაც სხვას იმასთან შედარებით, რასაც ხედავს და აღიქვამს თავის გარემოცვაში. მას ესმის, რომ მან უნდა მიაყურადოს თავისი საკუთარი არსების ჭეშმარიტ არსს. ამას ის ვერ პოულობს იმაში, რასაც იგი ხედავს და რაც ესმის.

ყველა უძველესი მისტერია ესწრაფოდა ადამიანური არსების ჭეშმარიტების წვდომას. მასთან შედარებით წარმოქმნა და გაქრობა, რომელსაც ადგილი აქვს დროსა და სივრცეში, უბრალოდ უდიდეს ილუზიად მოჩანდა. ამდენად, ადამიანური არსების შეცნობა სულ სხვა რამ იყო, ვიდრე ის, რაც გრძნობის გარეგნულ ორგანოებს ეხსნებოდა. ამ სხვას კი შეიგრძნობდნენ, როგორც სულიერ სამყაროს. სწორედ ამ სულიერი სამყაროს ძიების სწორი მეთოდოლოგია იქნება ამ ციკლის ლექციების საგანი. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს ძიება წარმოადგენს გრძნობად სამყაროში კვლევის ჩვეული მეთოდების გაგრძელებას, ანუ გარეგნული, გრძნობადი სამყაროს კვლევის მეთოდოლოგია ვრცელდება სულიერ სამყაროზე, მაგრამ თუ გრძნობადი სამყაროს კვლევას მივყავართ ილუზიამდე, მაშინ მით უმეტეს უნდა ველოდოთ, რომ ილუზიები კი არ შემცირდება, არამედ ძალზე გაიზრდება, თუკი სულიერი სამყაროს შემეცნებისას გამოიყენებენ იგივე მეთოდებს, რასაც იყენებენ გრძნობადი სამყაროს შემეცნებისას. სინამდვილეში ეს სწორედ ასეა და ამაში დაერწმუნდებით. როცა სულიერ სამყაროს იკვლევენ ისე, როგორც გრძნობად სამყაროს, ილუზიები კი არ მცირდება, პირიქით იზრდება და ჩვენ კიდევ უფრო მეტი, კიდევ უფრო ძლიერი ილუზიის გავლენის ქვეშ ვექცევით.

მეორე მხრივ, როცა ჩვენ ვოცნებობთ სულიერზე, როცა ვეფლობით სულიერზე სხვადასხვა წარმოდგენის გაურკვეველ მისტიკურ სიბნელეში, როცა ვფანტაზიორობთ სულიერზე, ის უსხლტება ჩვენს შემეცნებას. ჩვენ მხოლოდ წინათგრძნობის

სფეროში ვრჩებით და უბრალოდ გვწამს, მაგრამ არ ვფლობთ ცოდნას. ამ სახის მისტიკა, რწმენა თუ წინათგრძნობა ჩვენთვის სულიერ სამყაროს გასაგებს არ ხდის, პირიქით, ის სულ უფრო გაუგებარი რჩება. ამიტომ, სულიერ კვლევაში იკვეთება ორი ყალბი გზა.

ერთი მხრივ, სულიერ სამყაროს ისე ეკიდებიან, როგორც გრძობად სამყაროს, რომელიც უამრავ ილუზიას გეთავაზობს. თუ სულიერ სამყაროზე გავავრცელებთ შემეცნების ისეთ მეთოდოლოგიას, როგორც ეს არის მიღებული სპირიტისტებთან, მაშინ ილუზია კი არ შემცირდება, არამედ გამრავლდება.

მეორე მეთოდი – ესაა სულიერი სამყაროს მკაფიო, ნათელი კვლევის გვერდის ავლით სწრაფვა სხვადასხვა სახის რწმენისა და მისტიკური წინათგრძნობისკენ. ამ შემთხვევაში სულიერი სამყარო შეუცნობელი რჩება. რაც უფრო ინტენსიურია წინათგრძნობისა და გაურკვეველი მისტიკის გზის გაფართოების მცდელობები, მით მიუწვდომელია სულიერი სამყაროს შემეცნება. ამ გზებიდან არც ერთი არ მიდის სულიერი სამყაროსკენ. ერთ შემთხვევაში იზრდება ილუზიები, მეორე შემთხვევაში – უვიცობა. აუცილებელია, ამ ორი გზის გათვალისწინებით, ჭეშმარიტი გზის ძიება.

### *ჭეშმარიტი გზები ნამდვილ სულიერ შემეცნებაში*

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ის, ვინც ისწრაფვის ნამდვილი სულიერი ცოდნის მოპოვებისკენ, მისთვის ძალზე მძიმე იქნება გათავისუფლება ილუზიისაგან, რომელიც დგება ჭეშმარიტი თვითების (მეობის, Selbstes) შემეცნების გზაზე, ასევე – გათავისუფლება ბუნდოვანი მისტიკური წინათგრძნობებისაგან.

ახლა მიუკერძოებლად განვიხილოთ, რა ხდება აქ. საეჭვოა მონიახოს ახალი დროის ბუნებისმეტყველი მკვლევრების – *დარვინის\**, *ჰეკლის\**, *სპენსერის\** და ა.შ., მთელი მათი მატერიალისტური მისწრაფებებით, უფრო დიდი თაყვანისმცემელი ვიდრე ეს არის სულიერი სამყაროს მცოდნე, ვინაიდან ზემო-სხენებულმა და მრავალმა სხვა მეცნიერმაც *ჯორდანო ბრუნოს\** დროიდან მოყოლებული ჭეშმარიტად კოლოსალური წვლილი შეიტანეს იმის შემეცნებაში, რაც ყველა დროის მისტიკერებში განიხილებოდა როგორც უდიდესი ილუზია. არ არსებობს არანაირი საჭიროება მივსდიოთ დარვინის, ჰეკლის,

სპენსერის, აგრეთვე *კოპერნიკის\**, *გალილეისა\** და მათი მსგავსების თეორიებს. თეორიულ დონეზე მათ შეუძლიათ, სამყაროზე იფიქრონ ყველაფერი, რაც სურთ; ჩვენთვის კი აუცილებელია გავარკვიოთ, რამდენად მძლავრი მოტივები ამოძრავებდათ ამ მეცნიერებს წმინდა მატერიალური კვლევის სფეროში ადამიანის ამა თუ იმ ორგანოს, მცენარისა თუ ცხოველის კვლევებთან მიმართებით, ვარსკვლავიერი სამყაროს სხვადასხვა საიდუმლოების კვლევაში, რამდენად მასშტაბურია უახლოეს დროში ჩატარებული კვლევები ამ იმპულსების წყალობით, მაგ., ჯირკვლის, ნერვების, გულის, ტვინის, ფილტვების, ღვიძლის ფუნქციონირების სფეროში. როცა ამას წარმოიდგენთ, სწორედ მაშინ მიხვალთ ამ მეცნიერების ადეკვატურ შეფასებად. მთელი ეს მეცნიერული მიღწევები რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ შემეცნების გარკვეულ ზღვრამდე მიდის. მე მსურს ამის ილუსტრირება სამ მაგალითზე.

შეიძლება, ძალზე ზუსტად შევისწავლოთ, როგორ წარმოიქმნება ადამიანის ჩანასახი, თანდათანობით რა გასაოცარი სახით ფორმირდება მისგან ემბრიონი, როგორ წარმოიქმნება, საბოლოოდ, პერიფერიის განუვითარებელი ორგანოებიდან ცირკულაციისა და სისხლის მიმოქცევის გასაოცარი სისტემები. ამ ყველაფრის შეცნობა შესაძლებელია. შეიძლება, გამოვიკვლიოთ, როგორ გასაოცრად ვითარდება მცენარე ფესვიდან კოკრამდე და თესლამდე, და ამის საფუძველზე აიგოს მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც მოიცავს ყველაფერს, ვარსკვლავების ჩათვლით. ამით არიან დაკავებულნი ჩვენი ასტროფიზიკოსები, ასტრონომიის თეორეტიკოსები. უკვე შექმნილია დასრულებული თეორია იმაზე, როგორ გამკვირვდა ნისლოვანი ღრუბლისგან გალაქტიკა, შეიქმნა სულ უფრო მკაფიო სტრუქტურა, რომლისგანაც შემდეგ განვითარდა სიცოცხლე და ა.შ.

ამ სახის სისტემების აგება შესაძლებელია. საბოლოოდ ადამიანს მაინც უწევს კვლავ და კვლავ დასვას კითხვა საკუთარი არსების ბუნებაზე, ეძიოს პასუხი თვითშემეცნების გამოცანაზე. ადამიანს თავის თავზე რისი შემეცნება შეუძლია, თუ მისი შემეცნება შეზღუდულია მინერალების, მცენარეების, ცხოველების, ადამიანური ორგანოების, ჯირკვლებისა და სისხლის მიმოქცევის სისტემების ცოდნით? ამასთან, იგი შემეცნებს მართოდენ იმ სამყაროს, რომელშიც შეაბიჯებს დაბადების მომენტიდან და ტოვებს სიკვდილის მომენტში, და სხვას არაფერს.

საკუთარი არსების სიღრმეში ადამიანი გრძნობს, რომ ეს სამყარო არ წარმოადგენს მის ჭეშმარიტ, უკანასკნელ ზღვარს, მის მიჯნას. ამიტომ, უშუალოდ საკუთარი შინაგანი არსებიდან გამოდინარე, იგი უნდა დაუპირისპირდეს იმას, რაც ვლინდება გარეგნული შემეცნების სრულყოფილებასა და სიდიადეში, როცა ამბობს: ამ ყველაფერს მე აღვიქვამ მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის. რას წარმოადგენ შენ შენსავე საკუთარ არსებაში? თუმცა, როგორც კი ბუნებისა და საკუთარი თავის შემეცნების პრობლემა იძენს რელიგიურ ელფერს, ადამიანს, როცა იგი ეყრდნობა მხოლოდ მის წინაშე წარმოჩენილ სამყაროს დიდ ილუზიას, უკვე აღარ შეუძლია წინსვლა და მისთვის თვითშემეცნების პრობლემა, ანუ საკითხი ადამიანის შინაგანი არსების წარმოშობასა და ამ შინაგანი არსების ბედისწერაზე, გადაუჭრელი რჩება, ვინაიდან ამ მომენტში შემეცნების პრობლემა გარდაიქმნება რელიგიურ პრობლემაში.

ჯერ კიდევ უძველესი მისტერიების კარიბჭესთან მიახლოებამდე მოწაფეებს უხსნიდნენ: შენი გარეგანი გრძნობის ორგანოებით შეგიძლია, შეიმეცნო რაც გინდა, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით ადამიანისა და კაცობრიობის დიადი გამოცანები მსგავსი მიდგომით პასუხგაუცემელი რჩება. მხატვარს შეუძლია, დიდხანს ყურადღებით დააკვირდეს ადამიანური სახის აგებულებას, დეტალურად შეისწავლოს ადამიანის ღინამიკა და სტატიკა, მთელი სინატივით, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემს გრძნობის ორგანოები, შეისწავლოს ცხოველის თუ მცენარის იერი, მაგრამ თვით იმ მომენტშიც, როცა იგი აღქმულს აძლევს მხატვრულ მიმართულებას, კითხვა მაინც უპასუხოდ რჩება. მაინც რა მეთოდით აძლევდნენ ოდესღაც სამყაროში შეცნობილს მხატვრულ მიმართულებას? ამის იმპულსი უძველეს დროებში მისტერიებიდან მოდიოდა. ბუნების შემეცნება დამოკიდებული იყო იმ დროს მოქმედ შემეცნებით ძალებზე. თავად შეცნობილიც მხოლოდ სულიერის ჭვრეტის წყალობით იძენდა სიღრმეს.

საკმარისია ჩვენი მზერა მივაპყროთ უძველეს საბერძნეთზე. ჩვენ თუ შევხედავთ თანამედროვე მოქანდაკეს, ან მხატვარს, ვნახავთ, რომ ის საჭიროებს მოდელს, ყოველ შემთხვევაში, არც თუ დიდი ხნის წინ ეს ასე იყო, თუმცა დღეს ეს უკვე აღარაა ისე აქტუალური. მხატვარი ესწრაფვის რაიმეს კოპირებას, იმიტაციას. ბერძნები ამას არ აკეთებდნენ. უბრალოდ,

ჰგონიათ, რომ ისინი ასე მუშაობდნენ. ბერძნები სულიერ ადამიანს თავის თავში შეიგრძნობდნენ; როცა მოქანდაკე ცდილობდა გადმოეცა, მაგ., ხელის მოძრაობა, მან იცოდა: სულიერი იმყოფება იმის შიგნით, რაც მას, როგორც მოდელი, გარეგნული სახით წარმოუდგება. მან იცოდა, რომ ყველანაირი მატერიალური შექმნილია სულიერის საფუძველზე და მოქანდაკის მიზანს წარმოადგენდა ამ სულიერის შექმნა.

ჯერ კიდევ რენესანსის პერიოდში მხატვარი აღარ უყურებდა მოდელს; ის მხოლოდ იმპულსს აძლევდა მას. ხელის მოძრაობაში იგი აღბეჭდავდა იმას, რაც შინაგანად ცხოვრობდა თავად ხელში, როცა გამოხატავდა ადამიანის განმსჭვალავ სულს. მარტოდენ გარეგნულის ჭვრეტა, ეს არის დიდი ილუზია, მაია, ხოლო მოდელის მარტივი იმიტაცია არ გვაძლევს შესაძლებლობას, ჩავწვდეთ სულიერს, – ჩვენ არ ვიჭრებით ადამიანში, არამედ ვრჩებით მის გარეთ. მხატვრულ დონეზე ეს ნიშნავს, რომ ილუზიის სფეროში დარჩენით არ შეგვიძლია, ადამიანური არსების უდიდეს კითხვებს ვუპასუხოთ.

უძველესი მისტიკების კარიბჭესთან მოწაფეს, რომელიც ხელდასხმისკენ ისწრაფოდა, კვლავ და კვლავ მკაფიოდ უხსნიდნენ: შეუძლებელია როგორც ადამიანის არსების, ისე ბუნების სხვა სამეფოთა არსებების წვდომა, თუ მას სურს ილუზორულ გარეგნულ სამყაროში დარჩენა. შენ არ შეგიძლია, გახდე მხატვარი. მაშასადამე, ამ გზაზე ხელოვნისთვისაც აუცილებელი იყო განეხორცილებინა ადამიანისთვის მკაფიო პრინციპი „შეიცან თავი შენი“. აქ სულიერის შემეცნება აუცილებელი იყო.

თქვენ შეგიძლიათ თქვათ: ხომ არიან ნამდვილი მატერიალისტი მოქანდაკეები და მხატვრები, რომლებიც გამოსახვენ მხოლოდ ფიზიკურს, მაგრამ დიდი ოსტატები არიან; ისინი შესანიშნავად სწვდებიან თავიანთი მოდელების საიდუმლოებებს და აღბეჭდავენ მათ ტილოზე თუ ქვაში. ეს სწორია, მაგრამ საიდან იღებს სათავეს მათი ოსტატობა? ისინი ამას არ ხსნიან თავის თავში, თუმცა ეს ისედაც თვალში საცემია. თავის ოსტატობას ისინი უმაღლიან ძველ ოსტატებს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძველებს. ეს მხოლოდ ტრადიციაა. საჭიროა ვიცოდეთ, როგორ აკეთებდნენ ამას ძველი ოსტატები. ამაზე, როგორც წესი, არ საუბრობენ, ვინაიდან ყველას სურს, თავად იყოს ორიგინალური, ნიჭიერი. მაგრამ ეს ასე არ არის.

საჭიროა მხოლოდ იმუშაონ ძველი ოსტატებივით და მოახდინონ მათი მანერის იმიტაცია. თუმცა ძველი მხატვრობიდან ყველაზე უძველესნი თავიანთი ოსტატობის საიდუმლოებს იღებდნენ მისტერიებიდან, სულიერი ჭვრეტის პრაქტიკიდან. უძველესი დროის მხატვრები და მოქანდაკეები მისტერიებით საზრდოობდნენ; *რაფაელი\**, *მიქელანჯელო\** და სხვები ჯერ კიდევ დაკავშირებულნი იყვნენ მისტერიებთან. ნამდვილი ხელოვნება ხომ სულიერზეა დაფუძნებული. არ არსებობს სხვა მოცემულობა. დიდი ილუზიის, – მაიას ჭვრეტა ადამიანს არ აძლევს პასუხს ცხოვრების გამოცანებსა და მის საკუთარ არსებაზე. ჩვენ თუ გვსურს ხელოვნების სათავეებთან, ნამდვილი მხატვრულობის წყაროსთან მივიდეთ, მაშინ გვმართებს ისევ და ისევ სულიერი სამყაროს განჭვრეტა.

მესამე მაგალითი: შესაძლოა, როგორც ბოტანიკოსი, ისე ზოოლოგი გასაოცარი მცოდნეა მცენარეთა ყველა ფორმისა და ცხოველთა სამყაროსი. მას შეუძლია ქიმიური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით აღწეროს პროცესები, რომლებიც მცენარეებში მათ წინაშე წარმოჩნდება. მან შეიძლება ისწავლოს, საკვების შთანთქმის პროცესი როგორ გარდაიქმნება მისი გადამუშავების პროცესში, ასევე ის, რაც ხდება სისხლში, შემდეგ ნერვულ სისტემაში და ა.შ. ეს ყოველივე შეიძლება ისწავლოს. თუ ასეთი სწავლული მთელი თავისი ცოდნით მოისურვებს, ადამიანზე მოახდინოს სამკურნალო ზემოქმედება, თუკი კვლავ მოისურვებს, იპოვოს გზა ადამიანის ბუნებიდან მისი არსებისკენ, თუნდაც მისივე შინაგანი ბუნების გათვალისწინებით, მას მაინც არაფერი გამოუვა.

თქვენ იტყვი: არსებობს საკმარისი რაოდენობა მატერიალისტურად მოაზროვნე ექიმებისა, რომლებიც შესანიშნავად მკურნალობენ, მაგრამ არაფრის გაგება არ სურთ სულიერ სამყაროზე, არამედ ხელმძღვანელობენ მხოლოდ იმით, რასაც ჩვეულებრივი მეცნიერებით იკვლევდნენ. ეს სწორია, თუმცა მათ რატომ აქვთ ასეთი კარგი შედეგი? იმიტომ, რომ ისინიც მისდევენ გარკვეულ ტრადიციებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს უძველესი მსოფლმხედველობიდან. უძველესი მედიკამენტები მისტერიებიდან ვრცელდებოდა და ინერგებოდა; მათ ყველას ახასიათებდა ერთი განსაკუთრებული თავისებურება. ჩემო ძვირფასო მსმენელებო, თუ თქვენ აიღებთ ძველ რეცეპტს, დარწმუნდებით, რომ მისი შემადგენლობა ძალზე რთულია;



წამლის მიღებას თან ახლავს რთული მითითება, რომელიც ძველ ტრადიციებს უკავშირდება.

უძველესი მისტერიების ექიმის გამოკითხვა რომ შეიძლებოდა, თუ როგორ იქმნებოდა ასეთი რეცეპტი, გაირკვეოდა, რომ ის არ აწარმოებდა ქიმიურ ცდებს, არ იკვლევდა, როგორ მოქმედებდნენ კომპონენტები ერთმანეთზე და არ სინჯავდა ავადმყოფებზე. უძველესი მისტერიებიდან გამოსული ექიმი ასე არასდროს იმუშავებდა. ახლა ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, როგორ იყო ეს ძველ დროში. ის ძველი ექიმი ასე უპასუხებდა: მე ვცხოვრობ ლაბორატორიაში, – თუ უპრინაია ასე ვუწოდოთ, – რომელიც მოწყობილია მისტერიის სულისკვეთებით და როცა მე ვახერხებ წამლის შექმნას, მაშინ ვიცი, რომ მისი რეცეპტი ღმერთისგან მოდის. ვინაიდან ექიმისთვის სრულიად ცხადი იყო, რომ მის ლაბორატორიაში გაბატონებული განწყობის წყალობით, ის შედიოდა სულიერ სამყაროსთან ცოცხალ ურთიერთობაში. სულიერი არსებები მისთვის ისეთივე რეალობაა, როგორც მისი გარემომცველი ადამიანები. ექიმი აცნობიერებდა: სულიერი სამყაროს არსებებისგან გაცილებით მეტი მოდის, ვიდრე მათი არარსებობისას. ასე აღგენდა იგი თავის რთულ რეცეპტს, როცა ხელმძღვანელობდა არა იმდენად ბუნებრივით, რამდენადაც ღვთაებრივით. მისტერიის წიაღში იცოდნენ: როცა სურთ მიეახლონ ადამიანს, უნდა გავიძნენ ილუზორულს ფარგლებს მიღმა და გააღწიონ სულიერი სამყაროს ჭეშმარიტებებისკენ.

დღეს ადამიანები თავიანთი გარეგნული ცოდნით ღვთაებრივი სამყაროს ჭეშმარიტებებისგან გაცილებით შორს არიან, ვიდრე – მისტერიებში ხელდასხმული უძველესი ადამიანი. მაგრამ აუცილებელია ვიპოვოთ სულიერი სამყაროსკენ მიბრუნების გზა. და მესამე, რაც მსურდა, მაგალითად მომეყვანა: ბუნებაზე ყოველისმომცველი ცოდნით შეიარაღებული, ანუ უდიდეს ილუზიაში ჩაფლობილი ადამიანი, რომელსაც სურს იყოს მკურნალი, მაინც ეჯახება ადამიანის ცხოვრების აზრსა და გამოცანაზე უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს. მკურნალობის ხელოვნებაში შეუძლებელია რაიმე ნაბიჯით წინსვლა, თუ უარს არ ვიტყვით ილუზორულ სამყაროსა და მტკიცებაზე „ბუნება არის დიდი ილუზია“ და არ მივალთ მოწოდებამდე „შეიცან თავი შენი“.

ამ სამი მაგალითის საფუძველზე შეიძლება, გაკეთდეს დასკვნა: ადამიანი, რომელიც ცდილობს ააგოს ხიდი უდიდესი ილუზიის, მაიას სამყაროსა და „შეიცან თავი შენი“-ს შორის, ხედავს, რომ ამას ვერ შეძლებს, თუ არ გადავა შემეცნების სხვა ფორმაზე, რომელიც განსხვავდება გარეგანი ბუნების შემეცნებისგან, დიადი ილუზიის, ანუ მაიას შემეცნებისგან, როცა უკუაგდებს მცდელობებს რელიგიურად ჩასწვდეს ადამიანს, ასახოს იგი მხატვრულად და მიეახლოს მას მკურნალის როლში.

*სამყაროს შემეცნება მის მთლიანობაში  
ფიზიკური ფენომენების სულიერი ჭერეტის დახმარებით*

ჩვენ გვსურს, კიდევ ერთხელ შევადართო ის მეთოდი, რომლითაც ადამიანი უძველეს დროებში ცდილობდა, მისტერიის სულისკვეთებით მოეპოვებინა სამყაროს მთლიანი შემეცნება, თანამედროვე მცდელობებს, რომ შეძლონ ორიენტირება მსგავსი ყოვლისმომცველი შემეცნებებისკენ გზების ძიებაში.

სრულიად სხვაგვარად საუბრობდნენ სამყაროსა და მის არსებაზე ათასწლეულების წინ, ვიდრე ამას აკეთებს ავტორიტეტულობაზე პრეტენზიის მქონე თანამედროვე მეცნიერება. გადავინაცვლოთ რამდენიმე ათასწლეულით უკან, – იმ დროებში, როცა წმინდა მისტერიებზე დაყრდნობით ახლო აღმოსავლეთში ყვაოდა ბრწყინვალე, დიადი ცოდნა; განვიხილოთ ასეთი სახის ცოდნა თუნდაც ყველაზე ზოგადი შტრიხებით.

უძველეს ქალდეაში ასწავლიდნენ დაახლოებით შემდეგს: ადამიანი განიცდის ყოფიერების ყველაზე გარეგნულ მიჯნებს, რომელიც მისი მშვინვიერი ძალებისთვის მისაწვდომია მაშინ, როცა იგი თავის სულიერ თუ მშვინვიერ მზერას მიაპყრობს საინტერესო განსხვავებას, რომელიც არსებობს სიზმრის ყოფიერებას, – როცა მისი ცნობიერება დაქვეითებულია და ადამიანმა არაფერი იცის თავის არსებობაზე, – და ღვიძილს შორის, როცა იგი აცნობიერებს გარემოცვასა და საკუთარ ყოფიერებას.

ათასწლეულების წინ სრულიად სხვაგვარად შეიგრძნობდნენ ამ ცვალებად მდგომარეობას ძილსა და ღვიძილს შორის. მაშინ ძილი ჯერ კიდევ არ იყო მოკლებული ასეთი ზომით ცნობიერებას, ხოლო ღვიძილს ცნობიერება ჯერ კიდევ არ ახლდა ასეთი ხარისხით. ძილში ადამიანი აღიქვამდა მძლავრ ცვალებად ხატებს, აღიქვამდა სამყაროს ცხოვრების ბოზოქარ

ოკეანეს, იმყოფებოდა არსობრივში. ძილმა ცნობიერება დაკარგა მხოლოდ კაცობრიობის განვითარების პროცესში. ათასწლეულების წინ ღვიძილის ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო ისეთი მკაფიო, ისეთი გაცნობიერებული, როგორც ახლა. საგნები მკაფიო კონტურებში არ აღიქმებოდა, მათი მიჯნები წაშლილი იყო. ჯერაც სულიერით იყო ყველაფერი განმსჭვალული. ძილსა და ღვიძილს შორის არ იყო მკვეთრი გადასვლები, მაგრამ გარკვეული განსხვავების გავლება შეიძლებოდა, და სამყაროს, რომელშიც ღვიძილისას იმყოფებოდა ადამიანი, ეწოდებოდა „აპსუ“ („Apsu“). ეს იყო ღვიძილის სამყარო.

„ტიამატი“ („Tiamat“) ეწოდებოდა იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ ძილის დროს, იმ ბოლოქარ ოკეანეს, რომელშიც მღვიძარე ცნობიერების მსგავსად, შეუძლებელია განასხვავო მინერალური, ცხოველური და მცენარეული.

ქალდეურ მისტიკებში ასწავლიდნენ: როცა მძინარე მდგომარეობაში ადამიანი იმყოფება ტიამატში, იგი მეტწილად იმყოფება რეალურის, ჭეშმარიტის სფეროში, ვიდრე მაშინ, როცა იგი ღვიძილისას ცხოვრობს მინერალურს, მცენარეულსა და ცხოველებს შორის. ტიამატი მეტწილად განეკუთვნება დასაბამისეულს, უფრო მეტად არის სამყაროში ადამიანურთან გადაჯაჭვული, ვიდრე აპსუ. აპსუ უცნობია; ტიამატი ადამიანისთვის რაღაც უფრო მახლობელია. დროის დინებაში ტიამატი განიცდის სახეცვლილებას. ასე ეუბნებოდნენ და ასწავლიდნენ მისტიკრიათა მოწაფეებს. ნაყოფებისგან და სიცოცხლისგან აღმოცენდა დემონური ფიგურები, ცხენის მაგვარი ფიგურები ადამიანური თავებით, ლომის მაგვარი ფიგურები ანგელოზური თავით. ისინი აღმოცენდა ტიამატის ნაყოფებისგან. ის, რაც იქ ცხოვრობდა, როგორც დემონური ფიგურები, ადამიანებისადმი მტრულად იყო განწყობილი.

მაშინ სამყაროში შემოაბიჯა ძღვევამოსილმა არსებამ: „ეა“. ვინც დღეს ბგერებს აღიქვამს, იგი ე-სა და ა-ს თანახმიანობაში აღიქვამს მითითებას იმ ძღვევამოსილ არსებაზე, რომელიც უძველეს მისტიკრიათა სწავლების თანახმად მზად იყო ადამიანების დასახმარებლად, როცა მძლავრობდნენ ტიამატიდან წარმოშობილი დემონები: ეა, ია მოგვიანებით გარდაიქმნა „სოფ“ ეა-ში = სოფიაში. ეა-ს წაუმძღვარეს არსებობის აღმნიშვნელი „სოფ“. ეა – ეს არის სწორედ ის, რასაც აღვნიშნავთ აბსტრაქტული ცნებით; სიბრძნე, რომელიც გაბატონებულია ყველა სა-

განსა და მოვლენაში. ია = ყველაფერში გაბატონებულ სიბრძნეს, სოფიას. სოფ = ნაწილაკს, რომელსაც სავარაუდოდ „ყოფიერების“ მნიშვნელობა აქვს. სოფია, სოფეა, სოფეია = ყველგან გაბატონებულ სიბრძნეს, რომელიც ადამიანებს უგზავნის ძეს, იმ ძეს, რომელსაც მაშინ აღნიშნავდნენ სახელით: „მარდუქი“ («Marduk»), რომელსაც გვიანდელი ტერმინოლოგიით აღნიშნავენ, როგორც მიქაელს, რომელიც არის გაბატონებული სული მთავარანგელოზთა იერარქიიდან. ეს იგივე არსებაა, რაც მარდუქი, ეას ძე, ანუ სიბრძნე, მარდუქმიქაელი.

მისტერიათა სწავლების თანახმად მიქაელი-მარდუქი იყო დიადი, მძლავრი და გამორჩეული. ხოლო ხსენებული დემონური არსებები – ცხენები ადამიანური თავებით, ღომები ანგელოზური თავებით – უპირისპირდებოდნენ მას თავის ერთობლიობაში როგორც ერთიანი დიადი ტიამატი. ამას უპირისპირდებოდა მარდუქმიქაელის სიძლიერე, რომელიც მსჭვალავდა მთელ სამყაროს, როგორც გრიგალი. ამდენად ტიამატი ყველას სრულიად სამართლიანად წარმოედგინა რაღაც არსობრივად. ყველა მძლავრი დემონური არსება ერთობლივად წარმოქმნიდა ცეცხლოვანი დრაკონის ერთიან არსებას, ტიამატის წარმონაშობს, ანუ ღამეს. ამ ცეცხლოვანი არსების წინააღმდეგ ბრძოლაში მარდუქმიქაელმა გამოიყენა განსაკუთრებული იარაღი, გრიგალის შინაგანი ძალა და გახლიჩა ტიამატის არსება, მოისროლა რა იგი მთელ სამყაროში. ასე მოახერხა მარდუქმიქაელმა ზემოთ ცის, ხოლო ქვემოთ დედამიწის ფორმირება. ასე წარმოიქმნა ზედა და ქვედა.

მისტერიებში ასწავლიდნენ: სიბრძნის, ეას დიადმა შეიღმა დაამხო ტიამატი და მისი ერთი ნაწილიდან შექმნა ზედა, ანუ ცა, ხოლო მეორე ნაწილიდან – ქვედა, ანუ მიწა. შენ ადამიანო, როცა უმზერ ვარსკვლავიერ ცას, ხედავ მხოლოდ ნაწილს იმისას, რაც მარდუქმიქაელმა შექმნა ტიამატის საშინელი უფსკრულისაგან ადამიანთა კეთილდღეობისთვის.

როცა შენ უმზერ ბარს, სადაც მინერალურით განმსჭვალული მიწის ელემენტისგან ამოიზრდებიან მცენარეები და სადაც იბადებიან ცხოველები, პოულობ ტიამატის მეორე ნაწილსაც, რომელიც კაცობრიობის კეთილდღეობისთვის გარდაქმნა ეას, –სიბრძნის, – ძემ.

იმ შორეულ დროებში ძველ ქალდეაში, ერთ-ერთი ასეთი ფიგურის ჭვრეტისას, ადამიანები რაღაც არსობრივს ხედავენ

დნენ. ყველაფერი წარმოჩნდებოდა როგორც არსობრივი: დამის ბინადარი ეს დემონური არსებები და ყველაფერი ის, რაც მათგან შექმნა მარდუქმიქაელმა სიმადლეებში, ანუ ვარსკვლავები და ქვევით, დედამიწა, ამ ყველაფერს ადამიანი იმ შორეულ დროებში აღიქვამდა სამშენიველის თვისებებით, რომლებიც ძველად მისთვის იყო დამახასიათებელი. ყველაფერი, რაც ადამიანს უნათებდა ვარსკვლავიერი ციდან, ანუ მარდუქმიქაელის მიერ გარდაქმნილი დემონები, ყველაფერი, რაც თავად მიწიდან ამოიზრდებოდა, – იყო მარდუქმიქაელის მიერ გარდაქმნილი გარსი ტიამატისა, ამ ტიამატის გარდაქმნილი ქსოვილი. ასეთი იყო ცოდნა.

შემდეგ მისტერიათა წარმართველი სრულ იდუმალებაში ამზადებდა თავის მოწაფეს, უფრო სწორად ამზადებდა მის მშენივერ ძალებს. როცა მოწაფე საკმარისად განავითარებდა მშენივერ ძალებს, მხოლოდ ამის შემდეგ აცნობდნენ მას იმის პირველად საფუძვლებს, რასაც დღეს ბავშვებს ასწავლიან სკოლაში ელემენტარული ცოდნის სახით, მაგ., რომ მზე უძრავია, ხოლო დედამიწა მოძრაობს მის გარშემო და რომ ის წარმოიქმნა მსოფლიო წყვდიადიდან. ბუნებისმეტყველების საფუძვლები, რომელსაც დღეს უკვე სკოლაში ასწავლიან ბავშვებს, მაშინ უდიდეს საიდუმლოებას წარმოადგენდა და პირიქით, ის, რაც საყოველთაოდ იყო გავრცელებული, გახლდათ სწორედ ჩემ მიერ ზემოთ მოთხრობილი ქმედებები მარდუქმიქაელისა. დღეს ჩვენს უნივერსიტეტებში, სკოლებში, თუმცა ისინი უკვე აღარ ჰგავს მისტერიალურ სკოლებს, თვით დაწყებით კლასებში ასწავლიან კოპერნიკის სისტემას, ანუ იმას, რასაც ძველი ბრძენნი მხოლოდ დიდი ხნის მომზადების შემდეგ მიეახლებოდნენ. ის, რაც ჩვენს დროში ცნობილია თითოეული ბავშვისთვის, ძველ დროში მხოლოდ ხელდასხმის შემდეგ იყო მისაწვდომი. ასე რომ, ამ ყველაფერს დღეს უკვე სკოლაში სწავლობენ.

იყო დრო, – ის წინ უსწრებდა უძველეს ქალდეურ მისტერიათა სიბრძნეს, – როცა საუბრობდნენ მხოლოდ ჩემ მიერ ზემოაღწერილის მსგავსად, ეაზე, მარდუქმიქაელზე, აპსუზე და ტიამატზე. მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ ეს ადამიანები. სძულდათ ყველაფერი ის, რასაც მისტერიათა ახირებული მასწავლებლები ამბობდნენ ვარსკვლავებზე, მზის მოძრაობაზე და უპირატესობას ანიჭებდნენ მხოლოდ გარეგნული მზერისთვის მისაწვდომ კვლევას და არა იმ უხილავს, რასაც სთავაზობ-

დნენ კაცობრიობას თუნდაც ძველი ნათელხილვის ფორმით. ადამიანებს სძულდათ ის ცოდნა, რომელიც ხელდასხმის უძველესი მასწავლებლებისა და მოწაფეების კუთვნილება იყო.

შემდეგ დადგა აღმოსავლეთიდან უძველესი ცოდნის თანდათანობითი გავრცელების ეპოქა. იქ ორივეს უფრთხილდებოდნენ. უფრთხილდებოდნენ სულიერ სამყაროში არსობრივის განცდას, მაგ., სულიერი არსების მარდუქ-მიქაელის ქმედებათა განცდას; იმასაც უფრთხილდებოდნენ, რაც მე შემიძლია გამოვსახო (ნახ. დაფაზე. არ არის შემონახული. მთარგ. შენიშვნა) ასე: ცენტრში არის მზე, ხოლო მის გარშემო მოძრაობენ მნათობები, ქმნიან რა ციკლებსა და ეპიციკლებს. ამ ცოდნას ძალზე უფრთხილდებოდნენ.

შემდეგ დადგა დრო, როცა სულიერი სამყაროს, დემონებისა და ღმერთების, ხედვა დაიკარგა, სამაგიეროდ განსაკუთრებული ძალით წინა პლანზე წამოიწია ინტელექტუალურმა შემეცნებამ, ანუ იმ შემეცნებამ, რომლითაც ასე ამაყობს თანამედროვე ადამიანი. ის თანდათან უახლოვდებოდა თავის კულმინაციას, რითაც ჩვენი ეპოქა ხასიათდება. გარეგნულ განვითარებაში ჩვენ ვცხოვრობთ სწორედ იმ ეპოქაში, როცა სპირიტუალური ისე სძულთ, როგორც უძველეს დროებში მათ, ვისთვისაც სპირიტუალური იყო რაღაც თავისთავად ცხადი, მატერიალური კი ეზიზღებოდათ. ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ იმ დროებისკენ, როცა შეგვეძლება, ასტრონომიისა და ასტროფიზიკის, ბიოლოგიისა და ზოოლოგიის გვერდით ასევე აღვიქვათ სპირიტუალური ცოდნა სულიერად არსობრივზე. ეს დრო უკვე დადგა. საჭიროა მისკენ სწრაფვა, თუ კაცობრიობას სურს საკუთარი მისიის შესრულება, თუკი კვლავ სურს, მივიდეს რელიგიასთან, ხელოვნებასა და მედიცინასთან.

ამდენად, უძველეს დროებში ადამიანი ძალიან მცდარად იოლად გადიოდა ფონს მხოლოდ სპირიტუალურით და არაფრად აგდებდა გარეგნულ სამყაროს, ხოლო იმ დროში, როცა დიდად აფასებდნენ მატერიალურს, ასევე მცდარად უგულვებელყოფდნენ სპირიტუალურს. ახლა უნდა დადგეს ეპოქა, როცა გარე სამყაროს ყოვლისმომცველი და შთამბეჭდავი შემეცნებიდან კაცობრიობა კვლავ წავა ახალი მისტიკური მატერიალური შემეცნებისკენ.

ჩვენს დროში, როცა მატერიალურის შემეცნებამ მიაღწია გასაოცარ შედეგებს, ხოლო სპირიტუალური ცოდნა თანდათან

ინგრეოდა ისე, რომ სპირიტულის უძველესი შენობიდან დედამიწაზე დარჩა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნანგრევები, რომელთაც თხრიან, როგორც უძველეს რელიქტს, – ჩვენ სწორედ ახლა უნდა მივიდეთ კვლავ სპირიტულთან, ამასთან იმ ცოდნის დაკარგვის გარეშე, რისი მოცემაც დედამიწის უძველეს ეპოქებზე შეუძლია რეტროსპექტულ შეხედვას, როგორც ამას აკეთებს არქეოლოგიური მეცნიერება. ასეთ სპირიტულობასთან ჩვენ მიგვიყვანს ჩაღრმავება ახალ რელიგიურობაში, ახალ მხატვრულ ფორმასა და ახალ მედიცინაში, რომელიც ეფუძნება ადამიანის არსებაში სულისმეცნიერულ შეჭრას.

მე მსურდა დღეს ამ სამი მაგალითის მოყვანა, რათა წარმომედგინა ახალი მისტერიების არქიტექტონიკა, რომელსაც ხელეწიფება კაცობრიობას მოუტანოს შემეცნება სამყაროს ერთიანობასა და ადამიანის ქმედებაზე ყოვლისმომცველი აზრით და არა მხოლოდ ცალმხრივი მატერიალური ფაქტით.

მეორე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 12 აგვისტო  
სამი სამყარო და მათი ანარეკლები

*ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობები  
უძველეს დროებსა და თანამედროვეობაში*

სულიერ კვლევაზე თვალსაზრისების ჩამოყალიბებისას აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენები შევიქმნათ ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობაზე, რომლებშიც შეიძლება, ადამიანური სამშინველი იმყოფებოდეს. ჩვენს დროში დედამიწაზე ადამიანისთვის ჩვეულ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ის იმყოფება ცნობიერების სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ცნობიერების ეს მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ ადამიანი განიცდის გარკვეულ განსხვავებას ძილსა და ღვიძილს შორის; ამასთან ძილსა და ღვიძილის მიმდევრობა ხორციელდება მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის პარალელურად, ანუ, შეიძლება ითქვას, დედამიწის მოძრაობით თავისი დერძის გარშემო, თუმცა ცნობიერების მდგომარეობის მიმდევრობის პროცესი და დედამიწის მოძრაობა ყოველთვის არ ემთხვევა დროში ერთმანეთს. თანამედროვე ეპოქაში მითითებული განრიგი გარკვეულწილად დარღვეულია. თუ მივუბრუნდებით ჩვენგან არც ისე შორეულ დროებს, მაშინ დავინახავთ, რომ ადამიანები დაახლოებით აისიდან დაისამდე მუშაობდნენ და დაისიდან აისამდე კი მათ ეძინათ.

ჩვენს დროში ძირეული ცვლილებები მოხდა. მე შემხვედრია უამრავი ადამიანი, რომლებიც ყველაფერს პირიქით აკეთებდნენ, – დღისით ეძინათ, ხოლო ღამე ფხიზლობდნენ. მე ამის მიზეზებს ხშირად ვიკვლევდი. ეს ადამიანები, – მე კი ძირითადად პოეტები და ბელეტრისტები მხვდებოდნენ, – ამბობდნენ, რომ ღამე ხელს უწყობს პოეტურ განწყობას. რამდენჯერაც შევხვედრივარ ამ ადამიანებს ღამით, ყოველთვის შემინიშნავს, რომ ისინი ლექსების წერით არ იყვნენ დაკავებულნი.

მე ვისურვებდი, მიმეთითებინა იმაზე, რომ ცნობიერების დღევანდელი მდგომარეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დღისით იფხიზლოთ, ანუ უკიდურეს შემთხვევაში, იფხიზლოთ იმდენი, რამდენიც გრძელდება დღე და იძინოთ იმდენი, რამდენი ხანიც გრძელდება ღამე. ცნობიერებას, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ამგვარი განრიგი, ბევრი რამ



უკავშირდება. ასეთი განრიგით მცხოვრები ადამიანი თავისი გრძნობის ორგანოების აღქმებს გარკვეულ ღირებულებას ანიჭებს და თავად რეალობას ხედავს იმაში, რასაც ისინი აღიქვამენ. როცა იგი აღქმიდან გადადის აზრებისკენ, მაშინ მათში ხედავს რაღაც მოჩვენებითს, არც თუ რეალურს, როგორცაა გრძნობის ორგანოებით აღქმული.

დღეს ადამიანი აღიქვამს, მაგ., სკამს, როგორც რაღაც რეალურს. ის დგას რაღაც მყარზე. ის თავს ავლენს, როგორც სრულიად რეალური რამ. ასევე ცნობილია, რომ სკამზე შეიძლება დაჯდომა. სკამის იდეას კი ადამიანი უკვე აღარ განიხილავს, როგორც რაღაც რეალურს. ადამიანი არანაირ რეალურს არ შეიგრძნობს, როცა მიაყურადებს აზრებს, რომლებიც მისი შეხედულებით, მისივე თავში ზის. ადამიანს ასევე არ სჯერა, – და მისი ამჟამინდელი კონსტიტუციის თანახმად ეს ნამდვილად სწორია, – რომ მას შეეძლო დაჯდომა არა სკამზე, არამედ სკამის იდეაზე. ვფიქრობ, თქვენ ნაკლებად მოგეწონებოდათ, ამ დარბაზში შემოსვლისას სკამების ნაცვლად მხოლოდ იდეები თუ იქნებოდა სკამების ადგილზე!

კიდევ ბევრი რამ არის დაკავშირებული ცნობიერების განცდებთან, რომელიც თან ახლავს მზის ტრექტორიას. ეს ასე არ იყო იმ ადამიანებში, რომელთა ქცევებიც მისტერიებით არ იყო განპირობებული, მაგ., ქალღვევლებთან, რაზეც გუშინ უკვე გესაუბრეთ. ისინი ცხოვრობდნენ სრულიად სხვაგვარად, არა ისე, როგორც თანამედროვე ადამიანები და მათი ცნობიერებაც თანამედროვე ადამიანების ცნობიერებისაგან ძალზე განსხვავდებოდა.

დასაწყისში მსურდა შევხებოდი პრობლემების მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ ასპექტებს, რომლებიც გაჩვენებთ, რით განსხვავდება ცნობიერების მდგომარეობები ძველ დროსა და თანამედროვე სამყაროში. ჩვენი წლის დახასიათებით, რომლის მიხედვითაც წელიწადი შედგება 365 დღისგან, ჩვენ ვცდილებით რეალობას. თუ ასეთ წელთაღრიცხვას ასწლეულებზე გავავრცელებთ, მაშინ შედეგად მივიღებთ უკვე ისეთ რამეს, რაც მზის მდგომარეობას არ ემთხვევა. ჩვენ მუდმივად ვიქნებით ჩვენი მნათობის რეალურ მდგომარეობას ჩამორჩენილი. ამ შეცდომის გამოსწორება ხდება ყოველ მეოთხე წელს, როცა წელიწადს ერთი დღით აგრძელებენ. ამდენად, მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ცაზე მზის მდგომარეობის შესაბამისად მიდის.

თავისი ეპოქის დასაწყისში ქალდეველები რას აკეთებდნენ? ისინი სხვაგვარად იქცეოდნენ. დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის მათ ჰქონდათ ჩვენი გამოთვლების მსგავსი, მაგრამ მასთან სულ სხვა გზით მივიდნენ. მათი წელიწადი შედგებოდა 360 დღისგან, ამიტომ ისინი ყოველ მეშვიდე წელს ამატებდნენ ერთ თვეს. ასე რომ, მათი ექვსი წელი შედგებოდა 12 თვისაგან, რომელსაც მოსდევდა 13 თვისგან შემდგარი მეშვიდე წელი.








თანამედროვე სწავლულებისთვის ეს ცნობილია. ისინი ამბობენ, რომ ეს ასეა. თუმცა მათ არ იციან, რომ ეს უკავშირდება ცნობიერებაში ძირეულ ცვლილებებს. ქალდეველები, რომლებიც ყოველი ექვსი წლის შემდეგ წელიწადს ერთ თვეს უმატებდნენ და არა ერთ დღეს ყოველ მეოთხე წელს, სამყაროს სულ სხვაგვარად ხედავდნენ, ვიდრე – ჩვენ. რატომ? იმიტომ, რომ დღესა და დამეს შორის განსხვავებას ისინი სულ სხვაგვარად აღიქვამდნენ, ვიდრე ჩვენ დღეს. როგორც გუშინ უკვე გითხარით, დღის განმავლობაში მათი აღქმა არ იყო დღევანდელივით მკაფიო და ნათელი. როცა თანამედროვე ცნობიერების ადამიანი უყურებს, მაგ., ამ დარბაზს, მაშინ იგი ადამიანებს ხედავს მკაფიოდ მოხაზული კონტურებით. ადამიანთა სხეულები არც თუ ისე ეფარება ერთმანეთს, მაგრამ ყველაფერი მაინც ძალიან მკაფიოდ აღიქმება.

სხვა ვითარება იყო მათთან, ვინც ცხოვრებისეულ იმპულსებს ძველი ქალდეური მისტიერიების წყაროებიდან იღებდა. მათთან სულ სხვაგვარად იყო. რაც ახლა სურათი დაგიხატეთ, თუ ამას გააგაგრძელებთ, თუმცა იმ პერიოდებში არ იყო მიღებული დარბაზში სხდომა, მაშინ დამჯდარ ადამიანს გარშემო მყოფნი აღიქვამდნენ აურის ნისლით, რომელსაც თავად ადამიანს მიაკუთვნებდნენ. ვინაიდან ჩვენს დროში თითოეულ ადამიანს ვხედავთ მკაფიოდ კონტურებსა და საკუთარ სკამზე მჯდომარეს, ამიტომ ყველა დამსწრის დათვლა იოლია. იმ დროში კი სკამების მარჯვენა და მარცხენა რიგები ისე გამოიყურებოდა, თითქოს შემოსილი იყო აურის ღრუბლით, რაღაც სახის გაზისებრი სუბსტანციით – აქ ერთი ღრუბელი, იქით სხვა ღრუბელი, შიგნით კი ბუნდოვანი სილუეტები და ეს სილუეტები ადამიანთა აღმნიშვნელი იქნებოდა.

მსგავსი სურათის ჭვრეტა შეიძლებოდა ქალდეაში, მაგრამ არა გვიანდელ, არამედ ადრინდელი პერიოდის ქალდეაში.

ძველ დროში ადამიანები აურის ამ ნისლოვან წარმონაქმნში მხოლოდ კონტურებს ხედავდნენ და იმასაც ბუნდოვნად.



Erde - dunkel blau   
 Schnee, Euphrat - weiss   
 Luft - grün   
 Rohr - lila   
 gelb   
 rot   
 hell blau 

ნახ. 1.

1. Erde-dunkel blau – დედამიწა-მუქი ლურჯი. 2. Schnee, Euphrat - weiss – თოვლი, ეფრატ-თეთრი. 3. Luft- grün – ატმოსფერო-მწვანე. 4. Rohr-lila – მილი ლილისფერი. 5. gelb – ყვითელი. 6. rot – წითელი. 7. hell blau – ნათელი ლურჯი.

რადაც ამის მსგავსს ხედავდნენ ღამით, ძილის დროს, ვინაიდან იმ პერიოდებში ძილის მდგომარეობა არ იყო ისეთი ღრმა, როგორც დღეს. ის ძლიერად იყო გამსჭვალული სიზმრის სურათ-ხატებით, მაგრამ სრულიად სხვაგვარით, ვიდრე ახლა. თუ დღეს ვინმე დაიძინებს, თქვენ კი დასხდებით მის გარშემო, მაშინ მძინარე ვერც ერთ თქვენგანს ვერ აღიქვამს, თუმცა თქვენ მის გვერდით იქნებით. იმ დროს ძილი სულ სხვა იყო, ვინაიდან ძილის დროს შეიძლებოდა აურის დრუბლის სიზმრისებური ხატის დანახვა მარჯვნივ და მარცხნივ, ხოლო მის შიგნით ადამიანთა ცალკეული ფიგურების - როგორც სინათლის გეშტალტის(Lichtgestalt), – დილით ეს ფიგურები აუ-

რის ღრუბელში ბუნდოვნად გამოიყურებოდნენ, ღამით კი წარმონდებოდნენ, როგორც სინათლის გემტალტები.

ამდენად, მაშინ ჯერ არ არსებობდა ესოდენ ძლიერი კონტრასტი ღვიძილსა და ძილს შორის, როგორც – დღეს. ასევე არ იგრძნობოდა განსხვავება დღისით ცაზე მოძრავ მზესა და ღამით არარსებულს შორის. ყველაფერი ისე აღიქმებოდა, რომ დღისით მზე გამოიყურებოდა, როგორც მანათობელი სფერო ან წრე, მაგრამ ის გარემოსილი იყო მზის გასაოცარი აურით, რომელიც შემოიქცა, ასე გამოვხატო. ყველაფერი წარმონდებოდა შემდეგი სახით: იქ დაბლა არის დედამიწა (მუქი-ღურჯი), ზემოთ მიედინება წყალი, ყველაზე ზემოთ ძევს თოვლი. ზემოდან, – მაშინ ასე წარმოდგებოდათ, – იღებს სათავეს მდინარე ევფრატი. ბუნებრივია, ყველაფერი წარმონდებოდა ჩაფლული ჰაეროვან ატმოსფეროში (მწვანე). ზემოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიცურავდა მზე, მოცული გასაოცრად ლამაზი აურით.

ამავე დროს ეჩვენებოდათ რაღაც, რასაც ჩვენს დროში შეიძლება ეწოდოს მილი: თითქოს ღამით მზე შედიოდა ამ მილში, ხოლო დილით გამოდიოდა იქიდან გარეთ (ლილისფერი). მზეს კი ჭერებდნენ ამ მილის შიგნით. ღამის მზეს კი ხედავდნენ ასე: დილაობით მილიდან გამოსულს, შუაში კაშკაშას და აურით გარემოსილს. ის მოძრაობდა ცის თაღზე და დასავლეთში კვლავ მილში შედიოდა, ამასთან ბუნდოვანი, მაგრამ მისი აურა მილის ფარგლებს სცდებოდა, – ასე მოძრაობდა ის ქვემოთ. არსებობდა წარმოდგენა რაღაც მილზე, მზის ტრაექტორიის ღრუ სივრცეზე, ვინაიდან თავად მზე ბუნდოვანი, შავი ჩანდა. ადამიანები საუბრობდნენ იმაზე, რასაც თავად ხედავდნენ. ამიტომ, ცაზე მზის დისკოზე შეხედვისას ადამიანი ვერ გრძნობდა ისეთ ძლიერ განსხვავებას დღესა და ღამეს შორის, როგორც – დღეს.

სამაგიეროდ, იმ დროებში ადამიანი ძლიერად შეიგრძნობდა სულ სხვა რამეს. ის შეიგრძნობდა საკუთარ ბავშვობას, თავისი ცხოვრების პირველ ექვს-შვიდ წელს. ამ წლებში იგი შეიგრძნობდა თავის თავს მთლიანად ჩაფლობილს ღვთაებრივში, რომელშიც იმყოფებოდა დედამიწაზე დაშვებამდე. მეშვიდე და მეთოთხმეტე წლებს შორის კი იგი თავს გრძნობდა თითქოსდა აურის სულიერი კვერცხისგან სულიერად გამოჩეკილს და ეს პროცესი თითქმის ოცი წლის ასაკამდე გრძელდებოდა, რომლის შემდეგაც

თავს გრძნობდა ნამდვილად მიწაზე მდგომს. ამის შემდეგ ის გრძნობდა დღესა და ღამეს შორის განსხვავებას.

ხედავდნენ, რომ ადამიანური არსებები ცხოვრების პერიოდში, ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში, გარკვეულ განვითარებას გადიოდნენ. ეს ხდებოდა მთვარის მოძრაობის პარალელურად და – არა მზის. მთვარის ნათების ცვლილება 28 დღის განმავლობაში შეესაბამებოდა იმას, რასაც თავად ადამიანი განიცდის თავისი ცხოვრების მსვლელობაში, ციფრების 6-ისა და 7-ის წყალობით. ისინი გრძნობდნენ: იმ გზას, რასაც მთვარე გაივლის ერთი თვის განმავლობაში, თავად ადამიანი გადის 28 წელს, ანუ ოთხჯერ შვიდ წლიურ ციკლში. ეს აისახებოდა გარეგნულ წელთაღრიცხვაში: ყოველი ექვსი წლის შემდეგ წელიწადს ემატებოდა *მეცამეტე თვე*\*. მაშინ ითვალისწინებდნენ მთვარის მოძრაობას და არა – მზისას. საერთოდ გარეგნულ ბუნებას ისე არ აღიქვამდნენ, როგორც დღეს. დღეს, როცა ადამიანს ღვიძავს, იგი გარე ბუნებას აღიქვამს უსულო სახით, მკაფიოდ მოხატულ კონტურებში. ხოლო იმ დროს გარე ბუნებას დღისითაც ჭერებდნენ და ღამითაც, მაგრამ არა მკაფიოდ მოხატულ კონტურებში, არამედ მის აურას სულიერად ხედავდნენ. დღეს ადამიანი დღისით ყველაფერს ხედავს, ღამით არაფერს. ეს გამოიხატება იმაში, რომ დღისა და ღამის წარმოშობას ის მიაწერს მზეს.

უძველესი ქალდეველებისთვის, თავიანთი მისტიკებით, მნიშვნელოვანი იყო მთვარე და არა მზე, რადგან ის თავისი იერით წარმოადგენდა ადამიანის ზრდისა და განვითარების ანასახს. იმ დროს მეტი ყურადღება ექცეოდა თავად ადამიანსა და მის განვითარებას. ბავშვს სრულიად სხვაგვარად აღიქვამდნენ, ვიდრე – ჭაბუკს, ხოლო ჭაბუკს არა ისე, როგორც ზრდასრულს, დღეს კი ასეთი განსხვავება იშლება. უკვე აღარ იგრძნობა ძირეული განსხვავება ცხოვრების პირველ და მეორე შვიდწლეულებს შორის. ჩვენს დროში ბავშვები უკვე ისეთი ჭკვიანები არიან, ისეთი გონიერნი, რომ აღარ იცი, რა მოუხერხო მათ. თანამედროვე ბავშვების მოსათოკად აუცილებელია აღზრდის განსაკუთრებული მეთოდების გამოგონება. ბავშვები ჭკუით დიდად არ ჩამორჩებიან დიდებს. ახლა ყველა ერთნაირად ჭკვიანია, განურჩევლად ასაკისა.

ძველ ქალდეაში ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. პატარებს მიიჩნევდნენ ღვთაებრივ-სულიერი სამყაროს ბინადრებად,

ამასთან იცოდნენ: სანამ პატარაა, ის ჯერ კიდევ ღვთაებრივ-სულიერ სამყაროში იმყოფება და მხოლოდ მოგვიანებით გადაიქცევა მიწიერ ადამიანად, რომელიც აურის კვერცხისგან იჩეკება. ამასთან, დროის ათვლა ხდებოდა არა მზის, არამედ მთვარის მიხედვით, იმ ხაზით, რომელსაც წარმოადგენს ის ცაზე, როცა ექვემდებარება რიცხვს – 7. ასე ხდებოდა გამოთვლა. ამის გამო ემატებოდა დამატებითი თვე მეშვიდე წელს, – ეს უკავშირდებოდა მთვარეს.

კულტურული განვითარების გარეგნული ნიშანია ის, რომ ჩვენს დროში ვამატებთ ერთ დღეს, ხოლო ქალდეველებს ჰქონდათ დამატებითი ერთი თვე და ეს მიუთითებს იმაზე, რომ დღისით და ღამით ქალდეველებს არ ჰქონდათ ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობები, სამაგიეროდ, არსებობდა ცნობიერების მკაფიოდ გამმიჯნავი მდგომარეობები საკაცობრიო ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში.

დილით, გამოღვიძებისას დღეს ჩვენ ვამბობთ: მე მეძინა. უძველესი ქალდეველები კი დაახლოებით 21-22 წლის ასაკში, როცა მათ მიერ სამყაროს აღქმა სრულიად გამჭვირვალე ხდებოდა, ისინი ამბობდნენ: მე მეძინა 21-22 წელი. მათ სჯეროდათ, რომ მღვიძარებენ თითქმის 50 წლამდე, ხოლო შემდეგ არ მძინარებენ, როგორც ეს დამახასიათებელია მოხუცებისთვის, არამედ მიდიან კიდევ უფრო გასხივოსნებულ ცნობიერებამდე. აი რატომაც ხედავდნენ მოხუცებში ბრძენთ; ოცი წლის ასაკში ცნობიერების მოპოვებით, ისინი არ ეფლობიან მძინარობაში, არამედ შეუდარებლად გასხივოსნებულნი ხდებიან.

ამდენად, ძველი ქალდეველები განიცდიდნენ ცნობიერების სამ მდგომარეობას. ჩვენ კი განვიცდით მხოლოდ ორს: ღვიძილი და უსიზმრო ძილი, ვინაიდან მესამე – ძილი სიზმრებით, მხოლოდ ოდნავ შეინიშნება. ძველი ქალდეველები ცნობიერების სამ მდგომარეობას განიცდიდნენ არა იმდენად დღისა და ღამის მონაცვლეობაში, რამდენადაც ცნობიერების ბუნდოვან, მთვლემარე მდგომარეობაში, თითქმის ოც წლამდე; შემდეგ დგებოდა ღვიძილის მდგომარეობა და ის გრძელდებოდა ორმოცდაათი წლის ასაკამდე. ამას მოსდევდა ცნობიერების სხვა მდგომარეობა; ასეთი ცნობიერების მატარებელს ეუბნებოდნენ: შენ თან მიგაქვს სულიერ სამყაროში შენი მიწიერი ცნობიერება. ეს ნიშნავდა, რომ ამ ადამიანისთვის სხვებზე ბევრად მეტი იყო ცნობილი. მოხუცებს ისე უყურებდნენ, როგორც მცოდნე-

ებს. ჩვენს დროში ყველაფერი ასე არაა. დღეს მათ უყურებენ, როგორც მოსუც მარაზმატიკებს, რომელთაც გონება ებინდებათ და ჭკუასუსტები ხდებიან. ეს არის ძირეული განსხვავება, რომელიც ეხება ადამიანური ცხოვრების შინაგან აგებულებას.

ეს განსხვავება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან ის განუზომლად ბევრს ნიშნავს ადამიანის არსებისთვის. დღეს ჩვენ ვუმზერთ სამყაროს ისე, რომ ყოველთვის არავართ ცნობიერების უნივერსალურ მდგომარეობაში. სამყაროს ნამდვილად შეცნობა შესაძლებელია, როცა გესმის, მაგ., როგორი იყო ბავშვის ცნობიერება ძველ ქალდეაში. ის იყო მსგავსი, მხოლოდ მსგავსი და არა ეკვივალენტური, ჩვენი ძილისა სიზმრით, ოღონდ გაცილებით უფრო ცოცხალი. ცნობიერების ამ მდგომარეობაში ადამიანი იყო ქმედობაუნარიანი. ჩვენს დროში ასეთი მხოლოდ პათოლოგიურ მდგომარეობებში ხდება. ის, რაც ახლა პათოლოგიად ითვლება, ქალდეელებთან ნორმად ითვლებოდა ბავშვის ცნობიერებისთვის. ხოლო ის ცნობიერება, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ჯერ არც არსებობდა. მე მას ვუწოდებ ჩვეულებრივს (philiströs), ვინაიდან როცა ვხედავთ ადამიანებს ფიზიკურ კონტურებში, სწორედ ესაა ჩვეულებრივი; ადამიანის აღქმა მკაფიო კონტურებში და მისი ამ ფორმით დახატვა, ეს არის სწორედ ჩვეულებრივი, ობივატურული ცნობიერება. ცხადია, ძნელია ამას დაეთანხმო, მაგრამ ეს ასეა, ეს სიმართლეა. ამდენად, უძველეს ქალდეაში ცნობიერების ასეთი მდგომარეობა ჯერ არ არსებობდა, ხოლო ადამიანს ჭვრეტდნენ სწორედ ისე, როგორც მე აღვწერე, – ფიზიკურ იერს და აურას ერთდროულად ხედავდნენ. სიბერეში კი ეს ჭვრეტა თვით ადამიანის სამშვინველამდე განეფინებოდა. ეს იყო ცნობიერების მესამე მდგომარეობა, რომელიც დღეს დაიკარგა და ის შეიძლება შევადაროთ მხოლოდ უსიზმრო ძილს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიულ პერსპექტივაში მოვლენების განხილვისას რაც უფრო შორს მივდივართ საუკუნეების სიღრმეებში, მით მეტად ვპოულობთ ცნობიერების განსხვავებულ მდგომარეობებს, მაშინ, როცა თანამედროვე ცნობიერების მდგომარეობით შორს ვერ წახვალ. ამიტომაც არ აქცევენ ყურადღებას იმას, რას განიცდის ადამიანი, როცა იმყოფება უსიზმრო ძილის მდგომარეობაში, ვინაიდან მან, როგორც წესი, იცის, რომ ამის შესახებ არაფერი აქვს სათქმელი. იშვიათად შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც შეეძლოთ უსიზმრო

ძილის განცდებზე რაიმეს მოყოლა. ასეთები იშვიათია. ძილი სიზმრებით განიხილება, როგორც ფანტაზიები და მხოლოდ ღვიძილის პერიოდს ეკიდებიან პატივისცემით და ამით შეიძლება იხელმძღვანელო.

ძველ ქალღეაში ასე არ იყო. ბავშვის ცნობიერების მდგომარეობას თავისი ცოცხალი სიზმრებით, რომელიც აქტიურობას აღვიძებდა, გაგებით ეკიდებოდნენ იმიტომ, რომ ამ დროს ბავშვები ჯერ კიდევ სანახევროდ ჩაფლულნი არიან არამიწიერ ცხოვრებაში, რომ მათ შეუძლიათ ისეთი რამის მოყოლა, რაც ღვთაებრივ სამყაროს განეკუთვნება. ბავშვებს უსმენდნენ, ვინაიდან იცოდნენ: მათ ბევრი რამ მოაქვთ სულიერი სამყაროდან. იმიტომ იმ დროს ბავშვებისადმი დამოკიდებულება სულ სხვაგვარი იყო.

ამას მოსდევდა ცნობიერების მდგომარეობა, როცა ადამიანი ჯერაც მიწიერი იყო, მაგრამ თავის აურასთან მიმართებით – ჯერ კიდევ მშვინვიერი. ამას მოსდევდა მოხუცის ცნობიერების მდგომარეობა. როცა მას უსმენდნენ, ცხადი იყო: ეს იყო საშუალება, განეცადათ რაღაც, რაც განეკუთვნებოდა სულიერ სამყაროს, ვინაიდან მოხუცი აუწყებდა იმას, რა ხდებოდა სულიერ სამყაროში. ხოლო მათზე, ვინც ხელდასხმის საფეხურებს გადიოდა მისტერიებში, ამბობდნენ: ორმოცდაათი წლის ასაკის მიღწევისას, მზის პრიორიტეტი გადალახულია და ის შეაბიჯებს უშუალოდ სულიერში, ვინაიდან ისინი მზის გმირების საფეხურიდან გადავიდნენ მამის საფეხურისკენ – მამისკენ, რომელიც ადამიანებს აკავშირებს მათ სულიერ სამშობლოსთან.

ამდენად, დღეს მინდოდა თქვენთვის მომეწოდებინა ადამიანის განსხვავებული ცნობიერების მდგომარეობები ისტორიულ ასპექტში.

### *თანამედროვე სიზმრების ბუნებრივად ქმნადი ფანტაზია*

სანამ შევედგებით ადამიანის ცნობიერების მდგომარეობათა განხილვას, ჯერ გვერდზე გადავდეთ უსიზმრო ძილი და მივუბრუნდეთ იმას, რაც ყველა თქვენგანისთვის მშვენივრად არის ცნობილი, ჩვეულებრივი ღვიძილის მდგომარეობას, როცა შეგიძლიათ თქვით: მე მღვიძავს, მე აღვიქვამ ჩემს გარემომ-



ცველ საგნებს, ვხედავ სხვა ადამიანებს, მესმის მათი საუბარი, ვურთიერთობ მათთან.

გავითვალისწინოთ ყველასთვის კარგად ცნობილი მეორე ფორმაც, როცა უსიზმრო ძილიდან ზოგჯერ ამოტივტივდებიან ხან საშიში, ხან საოცრად სასიამოვნო სიზმრები, რომლებთან მიმართებაშიც მშენებლურად ჯანმრთელ ადამიანს კარგად ესმის: ეს არ განეკუთვნება ჩვეულ, ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც ადამიანში მრავალფეროვნად ვლინდება. ობივატელი ამაზე დიდად არ დაფიქრდება. ცრუმორწმუნე ადამიანი შეეცდება, გარეგნული სახით ახსნას ისინი. რომანტიკოსი, – არც ობივატელი და არც ცრუმორწმუნე, – ჯერ კიდევ ემხრობა სიზმრების გასაოცარ სამყაროს, ვინაიდან ადამიანის ბუნების სიღრმეებიდან მასში ამოტივტივდება რაღაც მნიშვნელოვანი, თუმცა არა ის, რასაც ცრუმორწმუნე ადამიანი გულისხმობს და ეს მნიშვნელოვანი მიუთითებს იმაზე, რომ უსიზმრო ძილშიც ადამიანის ბუნება აგრძელებს თავის მოღვაწეობას, ამასთან იწვევს განცდებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ისე, როგორც ბუნებაში წარმოიქმნებიან და კვლავ ქრებიან ღრუბლები, ნისლი და თუ გნებავთ, მთებიც. მხოლოდ სიზმრისეულ რეალობაში ხდება ყველაფერი ძალიან სწრაფად, მაშინ, როცა სამყაროში მთათა მასივები ნელა წარმოიქმნება და ასევე ნელა ქრება.

სიზმრებს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებთ. მაგ., ადამიანს შეიძლება დაესიზმროს მის გარშემო გველები ან მეტიც, გველები, რომლებიც მას სხეულზე ეხებიან. ასეთი სიზმრები ხშირია იმ ადამიანებში, რომლებიც ბოროტად იყენებენ, მაგ., კოკაინს. ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანს, მაშინაც, როცა მას არ სძინავს, აქვს გრძნობა, რომ სხეულის ყველა ნაწილიდან, როგორც სიზმარში, მოცოცავენ გველები.

ამდენად ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: ჩვენ ვხედავთ სიზმრებს, რომლებიც ჰგავს იმას, რაც ზემოთ აღვწერთ. რაც უფრო ვულრმავდებით ცხოვრებას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს სიზმრები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს შინაგანში რაღაც ვერ არის კარგად. ადამიანს, რომელსაც გველები ესიზმრება, დიდი ალბათობით აწუხებს საჭმლის მონელების დარღვევა. ნაწლავების ხვეული კი სიზმრის ხატებში წარმოჩნდება დაკლაკნილი გველის სახით.

ან მაგანს ესიზმრება, რომ ის მიდის სასეირნოდ და მოულოდნელად ჩნდება იმ ადგილას, სადაც ყანყალებს მიწიდან

ამოზიდული, ზევით დაზიანებული თეთრი ბოძი – თეთრი ქვის ბოძი ან ქვის კოლონა, რომელიც ზემოთ დაზიანებულია. ბოძის ეს დაზიანებული ზედა ნაწილი ძილში იწვევს ჩვენს შფოტს. თქვენ გეღვიძებათ და გტკივათ კბილი! ადამიანი განიცდის არაცნობიერ იმპულსს, მიხედოს თავის კბილებს, შფოთი ხომ მასთან არის დაკავშირებული. მე ვგულისხმობ თანამედროვე ჩვეულებრივ ადამიანს და არა ასაკოვან ადამიანს, რომელიც ასეთ მოვლენებზე ამაღლებულია. თანამედროვე ნამდვილი ადამიანი იტყვის: ახლა საჭიროა კბილის ექიმთან წავიდე და პატარა პლომბი გავიკეთო, რადგან კბილი დაზიანებულია. სინამდვილეში რას ვხედავთ? კბილის ტკივილის ეს განცდა მხოლოდ სიმპტომია მთელ ორგანიზმში მიმდინარე გარკვეული დარღვევისა და ის ჩვენ წინაშე ჩნდება სიმბოლოს სახით. კბილი, დაზიანებული ბოძი, მხოლოდ მიუთითებს გარკვეული სახის დაშლაზე, გარკვეულ უწესრიგობაზე ორგანიზმში.

ან ვხედავთ მკაფიო სიზმარს იმაზე, რომ ვიმყოფებით შენობაში, სადაც სუნთქვა ჭირს. ძილში ეს განცდა გვაშფოთებს. მაშინ ვამჩნევთ, რომ ოთახის კუთხეში არსებული ქურა ძალზე გაცხელებულა. ძილში გასაგები ხდება, რატომ ჭირს სუნთქვა, – ოთახში ძალიან ცხელა! ეს ყველაფერი ძილში ხდება. გამოღვიძებისას ვგრძნობთ ძლიერ გულისცემას და პულსის აჩქარებას. სისხლის მიმოქცევის დარღვევა ძილში აისახება თავისი სიმბოლური გამოსახულებით. სიზმარში ვხედავთ იმას, რაც თავად ჩვენშია და ამას შევიგრძნობთ, მაგრამ არა ისე, როგორც დღისით. ჩვენ ამას სიმბოლურ სურათ-ხატებში ადვილვამთ. ანდა ვხედავთ, რომ ეზოში ფანჯრებს მიღმა ცხრათვალა მზე ანათებს, მაგრამ მზის სხივები გვაღიზიანებს, ჩვენ ვშფოთავთ სიზმარში ამ მანათობელი მზის გამო, რაც ჩვეულებრივ სიამოვნებას გვანიჭებს. ვიღვიძებთ და ვხედავთ, – მეზობლის სახლი იწვის. გარეგნული მოვლენის სიმბოლიზაცია ხდება არა ისე, როგორც არის, არამედ სრულიად სხვა სახით. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რა არის ბუნებრივად ქმნადი ფანტაზია სიზმარში. გარეგნული თავის თავს აღბეჭდავს სიზმარში.

თუმცა ახლა არ შეიძლება ამაზე შევჩერდეთ. სიზმარმა შეიძლება, ასე ვთქვათ, შეიძინოს თავისი საკუთარი შინაგანი მნიშვნელობა და არსი. არა მარტო ჩვენი ფიზიკურ-გრძნობადი სამყარო, როგორცაა ის ჩვენ გარეთ და როგორც მოგვიცავს ჩვენ, შეიძლება წარმოჩნდეს სურათებად სიზმრებში, არამედ

სიზმრებში შეიძლება ჩაერთოს სულ სხვა სამყაროც, ვიდრე ჩვენია. ადამიანებს გრძნობად სიზმრისებურ სურათებში შეიძლება დაესიზმროთ გრძნობადზე ამაღლებული ზეგრძნობადი სამყარო. იქ მოქმედებენ სხვა არსებები. იქ ვხვდებით დემონურ და ასევე ელფების მსგავს ბრწყინვალე არსებებს. ადამიანს შეუძლია იოცნებოს ზეგრძნობად სამყაროზე სიზმრების გრძნობად სურათ-ხატებში.

ამდენად, ჩვეულებრივი ღვიძილის ცნობიერების გვერდით თანამედროვე ადამიანში სახეზეა სიზმრის ცნობიერება. სინამდვილეში შეიძლება, ითქვას: სიზმრებისკენ მიდრეკილება ჩვენ პოეტებად გვაქცევს. ვისაც არა აქვს სიზმრების ნახვის უნარი, პოეტი ვერასდროს გახდება. ვინაიდან, იმისათვის, რომ იყო პოეტი ან გახდე მხატვარი, საჭიროა, ასე ვთქვათ, დღის ღვიძილის ფანტაზიაში გადავიტანოთ ის, რაც სურათ-ხატების სახით სიზმრებში ამოტივტივდება.

ასე მაგალითად, ვისაც აქვს სიზმრები, რომლებშიც სიმბოლიზდება გარეგნული საგნები, როგორცაა მეზობლის ცეცხლმოკიდებული სახლი, გამოხატული კაშკაშა მზის ფორმით ფანჯარაში, – ის მეორე დღეს, ასეთი სიზმრის შემდეგ, იგრძნობს ლტოლვას მუზიციერებისკენ, კომპოზიციებისკენ. ის არის მუსიკოსი. ის, ვინც, ვთქვათ, საკუთარ გულისცემას შეიგრძნობს ცხელი ქურის სახით, მომდევნო დღეს განიცდის ლტოლვას ძერწვისკენ ან ხუროთმოძღვრებისკენ. ის არის არქიტექტორი, ან მოქანდაკე, ანდა ასევე მხატვარი.

ეს მოვლენები ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც წარმოგიდგინეთ. ჩვეულებრივ ცნობიერებაში რჩება მხოლოდ ის, რაც ზემოთ აღვწერე, მაგრამ ადამიანი შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს. შესაძლებელია საკუთარი ჩვეულებრივი ცნობიერების ისე განვითარება, როგორც ეს აღწერილია ჩემს წიგნებში: „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება? \*“, – ის აქ, ინგლისში, ითარგმნა სახელწოდებით „ხელდასხმა“, – და „იდუმალთმეტყველების ნარკვევი\*“, რომელსაც აქაურ გამოცემაში ეწოდება „ოკულტური მეცნიერება“. ჩვეულებრივი ცნობიერების განვითარება შესაძლებელია განსაზღვრული მშვიფიერი სავარჯიშოების შესრულებით, რაზეც კიდევ ვისაუბრებთ; შესაძლებელია, სულ უფრო აქტიური გავხადოთ მთელი ჩვენი აზრობრივი ცხოვრება, ასევე გრძნობათა და ნებელობის ცხოვრება და საერთოდ მთელი

შინაგანი ცხოვრება ისე, რომ აზრები იქცევა აღქმის იარაღად, ხოლო გრძნობები თითქოსდა – ცოცხალ არსებებად. მოგვიანებით ამას კიდევ ერთხელ შევეხები.

შემდეგ იწყება ისეთი რამ, რაც არის თანამედროვე ხელდასხმის დასაწყისი. დღისით ჩვენ ვხედავთ სიზმრებს. აქ მივყავართ მომენტს, როცა შეიძლება გაუგებრობები წარმოიშვას. ის, ვინც დღისით ბუნებრივად ეძლევა სიზმრებს, დიდად არ უნდა შევაფასოთ თავისი სიზმრებით. მაგრამ ის, ვინც თავის ცხად ზმანებებშიც რჩება მღვიძარე, როგორც სხვა ადამიანები, ამასთან აღწევს აზროვნებისა და გრძნობის მეტ აქტივობას – მხოლოდ ის მიდის წინ ხელდასხმის გზაზე. ამ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ ამ ადამიანს აქვს ამისკენ მიდრეკილება, მაშინ რჩება რა სხვებზე არანაკლებ გონიერი, იგი, მართალია კი არის ზმანებაში, მაგრამ გონიერებით არ ჩამოუვარდება გარშემო მყოფთ. ამასთან, ერთი მხრივ, ფლობს ჩვეულებრივ ცნობიერებას, ანუ ხედავს შემხვედრის ცხვირის ფორმას, მისი თვალის ფერს, ვარცხნილობას და ა.შ., ამავე დროს, როგორც სიზმარში, იწყებს სხვა რამის დანახვას, რომელიც უკვე რეალურ სიზმარს განეკუთვნება ცხადში, სულიერად მისი აურის, მისი ქცევების შინაგანი სულიერი არსის დანახვას. სრული ღვიძილის მდგომარეობაში ნახულობენ გააზრებულ, სინამდვილის შესატყვის სიზმრებს. დილით, გამოღვიძებისას სიზმარი არ ქრება, გრძელდება თითქმის დაძინებამდე, შემდეგ კი გადადის ძილში. მაგრამ ის გააზრებულია. რასაც სხვა ადამიანში აღვიქვამთ, სინამდვილეში მასში მშვენივრად არსებობს. სახეზეა ჭეშმარიტი ქმედითობა, როგორც მხოლოდ რემინისცენციებში ან მხოლოდ სიზმრებში. მაგრამ გვესიზმრება სულიერი რეალობა.

ცნობიერების მეორე მდგომარეობა უერთდება პირველს. დღის სიზმრები გადაიქცევა უფრო მაღალი რეალობის აღქმად, ვიდრე ის რეალობა, რომელიც მისაწვდომია ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის ფილისტერულ ცხოვრებაში. სრული ღვიძილის ცნობიერებისას ჩვეულებრივ რეალობას ემატება უზენაესი რეალობა, როცა ჩვეულებრივ ძილს რეალობიდან გაგყავართ. ის მხოლოდ ფანტასტიკურ დამახინჯებებს იძლევა. ის, რაც აღწერილი სახით სიზმრისებურად ვლინდება დღის ცნობიერებაში, როცა ეს სიზმრები მსჭვალავს მთელ გარემოცვას, – ცალკეულ ადამიანურ გეშტალტს, მცენარეებსა და ცხოვე-

ლებს, მაშინ, როცა ქცევები წარმოიხდება როგორც გააზრებული აქტები, თავს იჩენს მათში ჩადებული სულიერი შინაარსი და ეს ყოველივე, მთლიანად, რაღაცას ამატებს ჩვეულებრივ რეალობას, მას უფრო ამდიდრებს.

თქვენ ხედავთ, რომ აქ ჩვეულებრივი ცნობიერების შინაარსს ემატება რაღაც სხვა და სამყაროს სულ სხვაგვარად ხედავენ. ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ცხოველური სამყაროს ჭერეცისას. ის ისეთი სახით წარმოიხდება, რომ უნებურად გიკვირს: არსებითად, ადრე რას ვხედავდი? ეს ხომ მხოლოდ ამ სამყაროს ნაწილი იყო. მე ვხედავდი ცხოველთა სამეფოს მხოლოდ გარეგნულ მხარეს, ახლა კი სრულიად სხვა სამყარო მეხსნება: ცხოველთა თითოეულ სახეობას, – ყველა ლომს, ვეფხვს, მრავალფეროვან ცხოველთა ყველა სახეობას, – ემატება რაღაც, ადამიანის ტოლფასი, ჭეშმარიტად ადამიანის სწორი და მსგავსი. მაშინ ცხოველის ასეთი სახეობა ნამდვილად რაღაც განსაკუთრებული ხდება. ეს ადამიანებისთვის თვალსაჩინო ახსნას რთულად ექვემდებარება, მაგრამ გთხოვთ, ეს გააკეთოთ შემდეგნაირად.

წარმოიდგინეთ, რომ რაღაც სახით შეავსეთ საკუთარი სხეული. მიაბით საკუთარი ხელის ყველა თითს ძაფი, ანუ ათი ძაფი, რომელთა ბოლოშიც გარკვეულ მანძილზე მიბმულია ბურთულა, შესაძლოა იგი მოხატულიც კია სხვადასხვა ფიგურით. ამდენად, თქვენ გაქვთ ათი ასეთი ძაფი. თქვენ იწყებთ თითების რხევას და აკეთებთ სხვადასხვაგვარ მოძრაობას. გააკეთეთ ეს ასევე თქვენი ფეხის თითებზეც. თითოეულ თითზე მიბმულია ძაფი, მასზე კი – ბურთულა, მოხატული ფიგურებით. თქვენ ისწავლეთ თითებით ისე მოხერხებულად მოძრაობა, რომ ამ მოძრაობების შედეგად წარმოიქმნება რაღაც ძალზე შთამბეჭდავი. ამდენად თითოეული თითი თითქოსდა უფრო დაგრძელებულია და ბოლოში მიბმულია ბურთულები მოხატული ფიგურებით.

წარმოიდგინეთ, რომ ხედავთ ამ ყველაფერს თქვენს ადამიანურ გეშტალტთან დაკავშირებულს. თქვენი სამშენიველი ბატონობს ამ ყველაფერზე. თითოეული ბურთულა დამოუკიდებელია, მაგრამ დამკვირვებელს ყველა მოქმედება წარმოუდგება მთლიანად ურთიერთკავშირში. ბურთულები და ძაფები კი მოძრაობენ, მაგრამ თქვენ მათ კი არ მართავთ, არამედ საკუთარ თითებს. ამავე დროს სწორედ თქვენ მართავთ მთელ პროცესს. ყველაფერი წარმოადგენს ერთიანობას. ზუსტად ასევე ხედავთ

ზევით ღომების სამშენველს, ხოლო ქვემოთ ღომებს, რომლებიც მასთან არიან მიბმულნი, როგორც ბურთულები. ყველაფერი ქმნის მთლიანობას. ადრე, როცა ცალ-ცალკე დადებულ ბურთულებს ხედავდით, ეს იყო ცალკე სამყარო. თუ ახლა მას უმატებთ ადამიანს, თუ უმატებთ მას შინაგან მოძრაობას, მაშინ აქ უკვე სრულიად ახალი რამ მიიღება. ეს თქვენს აღქმასაც ეხება. დედამიწაზე თქვენ ხედავთ ცალკეულ ღომს. ისინი ჰგვანან ცალკეულ ბურთულებს. შემდეგ მზერას მიაპყრობთ ღომების თვითშემეცნებელ სამშენველს, რომელიც თავად ადამიანის მსგავსად იმყოფება სულიერ სამყაროში თავისი სამშენველით, მაშინ ხედავთ, როგორ გამოდიან ღომის თვითცნობიერებიდან ყველა მიმართულებით ცალკეული ღომები. ისინი ადიან სრულიად ახალი არსებისკენ.

ამდენად, შეგიძლიათ ცხოველთა სამეფოში ყველაფერთან მიმართებით ახვიდეთ სრულიად ახალი არსებებისკენ. ცხოველებს, როგორც ადამიანებს, აქვთ მშენიერი ელემენტი თავიანთ თავში, მაგრამ ისინი იმყოფებიან არა იმ სამყაროში, სადაც ადამიანს აქვს თავისი მშენიერი. როცა თქვენ გადინხართ სამყაროს, მაშინ დედამიწაზე თქვენს სამშენველს ატარებთ თვითცნობიერებასთან ერთად სრულიად მოუშორებლად. თითოეულ ადამიანს შეგიძლიათ სრულიად სამართლიანად მიაწეროთ თვითცნობიერება თავის თავში. ღომს ეს არ შეუძლია. მაგრამ არსებობს მეორე სამყარო. ის ესაზღვრება სამყაროს, სადაც ჩვენი თვითცნობიერება იბადება თითოეული ადამიანის თავში. იგივე ახასიათებს ღომების სამშენველსაც, მაგრამ უფრო მაღალ სამყაროში. მათთვის ცალკეული ღომები მხოლოდ მოძრავი ბურთულებია. ეს განსაკუთრებით გვაოცებს, როცა განვიხილავთ ცხოველთა სამყაროს თავის ნამდვილ არსში იმ ცნობიერების მეშვეობით, რასაც ჩვენში ვავითარებთ. აქ შემოდის რაღაც სხვა სამყარო.

ახლა კი ვეუბნებით საკუთარ თავს: ჩვენ, როგორც ადამიანები, ვიმყოფებით ამ სამყაროს შიგნით, მაგრამ ეს სამყარო გადაგვაქვს დაბლა, ჩვეულებრივ მიწიერ სამყაროში. ცხოველი კი ზემოთ ტოვებს რაღაცას, – თავის ჯგუფურ სამშენველს, თავისი სახეობის სამშენველს და დედამიწაზე ეშვება, როგორც ოთხფეხა ცხოველი. ჩვენ დედამიწაზე გადმოგვაქვს ის, რასაც ცხოველი ტოვებს იქ, ზემოთ და ამის წყალობით ვიღებთ სხეულს, რომელიც სულ სხვაგვარადაა მოწყობილი,

ვიდრე ცხოველებში. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ; ჩვენს შინაგანსაც აქვს მიმართება ამ ზენა სამყაროსთან, მაგრამ მხოლოდ ჩვენ გადმოგვაქვს ეს შინაგანი მიწიერ სამყაროში. ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ ვეცნობით სრულიად სხვა სამყაროს, სადაც ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, აღვიქვამთ ცხოველებს. ამ აღქმისთვის უნდა გაგვაჩნდეს სხვა სახის ცნობიერება: ღვიძილის ცნობიერებას უნდა დაგამატოთ ძილის ცნობიერება სიზმრებით, მაშინ განვჭკვრეტთ იმას, რაც ცხოველთა სამყაროშიც არსებობს. ამ ახალ ცნობიერებას დაუფლებული ადამიანი მეორე სამყაროს უწოდებს მშვინვიერს, მას ასევე უწოდებენ მშვინვიერ პლანს, ან ასტრალურ პლანს. ის, რასაც წარმოადგენს ასტრალური პლანი, ასტრალური სამყარო, ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებით, ამის წვდომა შესაძლებელია ცნობიერების ზემოაღწერილი მეორე მდგომარეობით. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ცნობიერების სხვა მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს, ჩავიხედოთ იმ სამყაროებში, რომლებიც ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების სამყაროს ფარგლებს სცდება.

### *მშვინვიერი ცხოვრების შემდგომი გაძლიერება*

მშვინვიერი ცხოვრების გაძლიერებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებით შეგვიძლია კიდევ უფრო წინ წავიდეთ. ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები წიგნების შესაბამისად შეიძლება არ მარტო მედიტაცია და კონცენტრაცია, არამედ შევეცადოთ კვლავ მოვიცილოთ ის, რაც სამშვინველში გვაქვს როგორც ძლიერი მშვინვიერი შინაარსი. ამით მიეახლებიან იმას, რომ მას შემდეგ, რაც ყველა შესაძლო ძალისხმევით გააძლიერეს მშვინვიერი ცხოვრება, განამტკიცეს აზროვნება და მგრძობელობა, ამ ყველაფერს კვლავ ასუსტებენ და მეტიც – უკან აბრუნებენ არარაში. მაშინ წარმოიქმნება ის, რასაც შეიძლება ცარიელი ცნობიერება ეწოდოს.

ცხადია, თუ ჩვეულებრივი ცნობიერების მდგომარეობაში იწვევენ ასეთ სიცარიელეს, მაშინვე იძინებენ. ეს შეიძლება ექსპერიმენტით შემოწმდეს. ამისთვის მივმართოთ ადამიანს. ჯერ მას მოვაცილებთ მხედველობით შთაბეჭდილებებს სიბნელეში მოთავსებით, შემდეგ სმენით შთაბეჭდილებებს ისე, რომ ის იმყოფება მდუმარებასა და სრულ სიჩუმეში, ასევე მოვადუნებთ მის სხვა გრძობის ორგანოებს. ადამიანი თანდათან იძინებს. საქმე

სხვაგვარადაა, როცა ჯერ აზროვნებისა და გრძნობის ძალას გაავადლიერებთ. ამ დროს შესაძლებელია საკუთარი ნებით გამოვიწვიოთ ცნობიერების სიცარიელე, ამასთან არ დავიძინოთ. ის არ მძინარებს საკუთარი ნებელობის მეშვეობით. ის არ მძინარებს, მაგრამ გარე გრძნობათა სამყარო მის წინაშე ქრება. მასში ასევე აღარ არის მისთვის ჩვეული აზრები და მოგონებები. მისი ცნობიერება ცარიელია. ამ დროს მის ცარიელ ცნობიერებაში მყისიერად იჭრება სულიერი სამყარო. როგორც გრძნობად სამყაროში ჩვეულებრივი დღის ცნობიერება არის აღვსებული ფერებით, ბგერებით, სიტბოსა და სიცივის ყველანაირი შეგრძნებით, ასევე იჭრება მასში სულიერი სამყარო. სულიერი სამყარო ხდება ჩვენი გარემოცვა, როგორც კი ჩვენი ცნობიერება ხდება ცარიელი, ამასთან დავიძინის შენარჩუნებით.

ცნობიერების ამ ახალი მდგომარეობის გასაოცარი ინტენსივობა და მისი კავშირი სულიერ სამყაროსთან ასევე შეგვიძლია ვაჩვენოთ ისევ და ისევ გარე ბუნების მაგალითზე. როგორც ადრე ცხოველებზე განსაკუთრებული სახით დაკვირვებისას შევიგრძნობდით ცნობიერების ახალ მდგომარეობას, ასევე შეიძლება ახლა შევიგრძნოთ სრულად ის, რასაც დავინახავთ მცენარეებში, დედამიწის მცენარეულ სამყაროში.

განახლებული ცნობიერებით დედამიწის მცენარეულ სამყაროს როგორ ვხედავთ? დავდივართ დედამიწაზე და ვხედავთ მინერალური მიწიდან ფერებითა და სიმწვანით მდიდარი მცენარეული სამყაროს ამოზრდას. გვახარებს ის, რაც თეთრად, ლურჯად, წითლად და მწვანედ ყვავის, რაც სიმწვანეში ცხოვრობს. აღვიქვამთ მცენარეული სამყაროს მრავალფეროვნებას, ის ზემოქმედებს ჩვენს სულზე. ის ხდება შინაგანად ცოცხალი, აღივსება სიხარულით. ის აღწევს შინაგან აღფრთოვანებას, როცა ვხედავთ ამ გასაოცარი ფერებით მბრწყინავ მცენარეულ საფარს, რომელიც განფენილია დედამიწაზე და დედამიწიდან ამოიზრდება. ჩვენ მას ვჭვრეტთ და მზერას მივაპყრობთ მზეს, რომელიც თვალს გვჭრის. ჩვენ ვიმზირებით ცის თაღის სილურჯეში და ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვამჩნევთ, გარდა იმისა, რაც წარმოჩნდება ჩვენ წინაშე დღისით, სულერთია, დღე ღრუბლიანია თუ უღრუბლო, რაც ყველამ იცით. თავიდან ჩვენთვის გაურკვეველია, რა კავშირი აქვს დედამიწის მცენარეული საფარის დაკვირვებას იმასთან, რასაც ზედაპირზე ვხედავთ.



ამ მხრივ შეგვიძლია, კიდევ უფრო შორს წავიდეთ. დავუშვათ, დღისით ჩვენ განვიცადეთ უღრმესი შინაგანი სიხარული მცენარეული სამყაროს ჭვრეტისას, ხოლო ღამით მზერას მივაპყრობთ ცის თაღს. ვხედავთ რამდენად მრავალფეროვნად არის აგებული კაშკაშა ვარსკვლავებისგან ფიგურები მთელ ცის თაღზე, ისინი ციმციმებენ, ბრწყინავენ. სამშვინველს აღავსებს რაღაც ახალი აღფრთოვანება, რაც მოქმედებს ზემოდან, რაც ზემოდან ჩვენს სამშვინველში აგზავნის შინაგან სიხარულსა და აღტაცებას.

ამდენად, დღისით შეგვიძლია მივუთითოთ მცენარეული სამყაროს მრავალფეროვან ხალიჩაზე, რომელიც ფარავს დედამიწას, – ის მსჭვალავს ჩვენს აღქმას შინაგანი სიხარულითა და აღფრთოვანებით; შეგვიძლია ცის თაღი, რომელიც დღისით ღურჯად გვეჩვენება, ღამით დავინახოთ ბრწყინვალე, მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭვდილი. ჩვენ მოგვიცავს შინაგანი აღფრთოვანება იმის ხილვისას, რაც ჩვენს სამშვინველს ეხსნება ვარსკვლავიერი ცის ხილვისას. ეს ჩვეულებრივ ცნობიერებასაც ეხება.

როცა გამოვიმუშავებთ ცარიელი, მაგრამ მღვიძარე ცნობიერება, რომელშიც შემოდის სულიერი სამყარო, მაშინ ის, რასაც ვჭვრეტთ დილით დედამიწის მცენარეული საფარის, ხოლო ღამით ბრწყინვალე, მოციმციმე ვარსკვლავების სახით, წვევტს ნათებას მღვიძარე ცარიელი ცნობიერებისთვის, რომელიც ცარიელი გახდა მიწიერი შთაბეჭდილებებისთვის. არსებობდა, მაინც რა არის ის, რასაც დღისით ვხედავდით? ახლა ღამით ვუმზერთ მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭვდილ ცას. ვარსკვლავები უკვე არა მარტო ციმციმებენ ამ მღვიძარე ცარიელი ცნობიერების წინაშე. ისინი სხვადასხვაგვარ ფორმას იძენენ. ვარსკვლავების ჩვეულებრივი ციმციმი ქრება და იქ, ზემოთ ისხნება რაღაც გასაოცარი არსებობა. იქ განფენილია ზრდადი, ქმედითი ცხოვრება, დიადი, ძლიერი და ამაღლებული. ჩვენ ვდგავართ და მას მოწიწებით ვიმეცნებთ, მოწიწებით თაყვანს ვცემთ შემეცნებაში. აქ ჩვენ მივალწიეთ ხელდასხმის საშუალო საფეხურს და საკუთარ თავს ვეუბნებით: მცენარეები თავიდანვე იმყოფებოდნენ იქ, ზემოთ. მცენარეთა ნამდვილი არსება, ეს არის ის, რაც ადრე გვინათებდა ვარსკვლავთა ცალკეულ წერტილებში. ახლა ისე აღვიქვამთ, თითქოს იქ ზემოთ არის ნამდვილი მცენარეული სამყარო. ხდება ისე, თითქოსდა ჩვენ წინაშე ია წარმოჩნდება არა როგორც ია, არამედ

თითქოს დილის იისგან, როცა ის სავსეა ნამით, ვხედავდეთ არა ყვავილს, არამედ ნამის ცალკეულ მბრწყინავ მარგალიტებს; როცა ვხედავთ ცალკეულ ვარსკვლავებს, ეს სწორედ ცალკეული ნამი ბრწყინავს ვარსკვლავში. სინამდვილეში, ამის მიღმა არსებობს ძლიერი, არსობრივი, ქმედითი სამყარო. ჩვენ სწორედ მასში ვიმზირებით. ახლა ვიცით, რა არის მცენარეული სამყარო. ის სრულებითაც არ არის დედამიწაზე, ის არის გარეთ კოსმოსში, ძლიერი და დიადი, მძლავრი და ამადლებული. რა არის ის, რასაც ჩვენ ვხედავთ დღისით აქ, დაბლა, მრავალფეროვან მცენარეულ საფარში? ეს არის ანასახი იმისა, რაც არის იქ, ზემოთ.

ახლა უკვე ვიცით, რომ კოსმოსი თავისი ქმედითი, მაცოცხლებელი იერით, თავისი ფორმაქმნადი არსობრიობით აისახება დედამიწაზე. მისი ზედაპირი არის სარკე. როცა სარკეში ვიხედებით, ვიცით, რომ ჩვენ წინაშეა მხოლოდ ანასახი, ხოლო თავად ვიმყოფებით მეორე მხარეს. ანასახი წარმოადგენს მხოლოდ ჩვენს გარეგნულ ფორმას, რომელშიც სამშინველი არ არის. ცა ადეკვატურად კი არ აისახება დედამიწაზე, არამედ ისე, რომ ის ბრწყინავს მცენარეულ ფერებში ყვითლად, მწვანედ, ლურჯად, წითლად, თეთრად. ეს არის ცის ანასახი, სუსტი ბუნდოვანი ანასახი ცისა. ასე ვეცნობით ახალ სამყაროს. ამდენად, ზემოთ არიან მცენარე ადამიანები, არსებები თვითცნობიერებით. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ ფიზიკურ სამყაროსთან, ასტრალურ სამყაროსთან ერთად გვაქვს მესამე, საკუთრივ სულიერი სამყარო. სწორედ ვარსკვლავები – ნამის წვეთების, კოსმიური ნამის წვეთების სახით ამ სულიერი სამყაროდან. მცენარეები ამ სამყაროს სარკისებრი ანასახებია. ყველაფერი, რაც აქ არის წარმოდგენილი, არ არის ის, რაც მათშია; თავიანთ მიწიერ იერში ხომ ისინი არ წარმოადგენენ არსებებს, ისინი მხოლოდ სარკისებრი ანასახებია იმასთან შედარებით, თუ რა უსაზღვროდ მდიდარ, მრავალფეროვან და აშკარა რეალობასაც წარმოადგენს იქ, ზემოთ, ჭეშმარიტი სულიერი სამყარო. იქიდან, როგორც კოსმიური წვეთები ნამისა, ასხივებენ ცალკეული ვარსკვლავები. არსებითად, ჩვენ წინაშეა მესამე, სულიერი სამყარო და ახლა ვიცით, რომ მცენარეული სამყაროს მრავალფეროვნება მხოლოდ ასახავს ამ სამყაროს.

ახლა უკვე ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ, როგორც ადამიანები, თავის თავში ვატარებთ იმას, რასაც მცენარეთა ნამდვილი არ-

სება იქ, ზემოთ ტოვებს. მცენარეები რჩებიან ზემოთ, სულთა სამყაროში. დედამიწაზე კი აგზავნიან მხოლოდ თავიანთ ანასახებს. დედამიწა ამ ანასახებს აღავსებს მატერიით, მიწიერი მატერიით. ადამიანებს, საკუთარი მშენიერი, რომელიც ასევე ეკუთვნის ზენა სამყაროს, ჩამოგვაქვს ამ ანასახების სამყაროში, ამ სარკისებრ სამყაროში, მაგრამ ჩვენი მშენიერი არა მარტო სარკისებრი ანასახია, არამედ დედამიწაზე ის მშენიერი რეალობის ხასიათს იძენს. ამდენად, თავიდან ჩვენ დედამიწაზე ვცხოვრობთ სამ სამყაროში: ფიზიკურ სამყაროში, რომელშიც ცხოველები თავიანთი თვითცნობიერებით არ ცხოვრობენ. ამავე დროს ჩვენ, როგორც ადამიანები, ვცხოვრობთ მეორე სამყაროშიც, რომელშიც ცხოველები იმყოფებიან თავიანთი თვითცნობიერებით, ეს არის ასტრალური სამყარო. მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს, მოგვაქვს ეს თვითცნობიერება ფიზიკურ სამყაროში. ჩვენ ვცხოვრობთ აგრეთვე მესამე სამყაროში, იქ, სადაც ჭეშმარიტად ცხოვრობს მცენარეთა არსება, ეს კი სულიერი სამყაროა. ოღონდ მცენარეები დედამიწაზე აგზავნიან მარტოდენ თავიანთ ანასახებს, ჩვენ კი დედამიწაზე გვაქვს საკუთარი რეალური სამშენიველი. ახლა კი შეგიძლიათ თქვათ: ადამიანი არის არსება, რომელსაც აქ დედამიწაზე აქვს სხეული, სამშენიველი და სული, ანუ ის სხეულით, სამშენიველითა და სულით ცხოვრობს ფიზიკურ სამყაროში.



ნახ. 2

1. Phys-ფიზიკური. 2. Mensch-ადამიანი. 3. Tier-ცხოველი. 4. Pflanze-მცენარე.

არსება, რომელსაც დედამიწაზე აქვს სხეული და სამშენიველი, ხოლო სული ჩვენს მოსაზღვრე მეორე სამყაროში ისე, რომ სამყაროში მისი ყოფიერება რამდენადმე მოჩვენებითია – ეს არსება არის ცხოველი.

ხოლო არსება, რომელსაც ფიზიკურ სამყაროში აქვს მხოლოდ თავისი სხეული, მეორე სამყაროში – თავისი სამშეინველი, ხოლო მომდევნო მესამე სამყაროში – თავისი სული, ისე, რომ მისი სხეული მარტოდენ ანასახია სულისა, ოღონდ აღვისილი მიწიერი მატერიით, ეს არსება არის მცენარე.

თქვენ გაეცანით სამი სამყაროს ბუნებას. გაიგეთ, რომ ადამიანი თავის თავში ატარებს სამივე სამყაროს. იგრძენით, გარკვეულწილად, როგორ იზრდებიან მცენარეები ზეცამდე. მცენარეებზე დაკვირვებისას იცით, რომ დედამიწაზე რასაც ხედავთ, მხოლოდ ანასახია არსებისა, მისი სარკისებრი ანასახი, მოკლებული არსებას და რაც უფრო ყურადღებით მივაპყრობთ თქვენს მზერას ღამით ვარსკვლავიერ ცას, მით მეტად გაგეხსნებათ იქ, ზემოთ, მისი ჭეშმარიტი არსება. ბუნება ჩვენ წინაშე წარმოჩნდება თავის მთლიანობაში, როცა საკუთარ მზერას მივაპყრობთ მიწიდან ვარსკვლავებისკენ, როცა კოსმოსსა და დედამიწას ერთ მთლიანობად განვიხილავთ. როცა საკუთარ თავს მივაპყრობთ მზერას, როგორც კაცობრიობის წარმომადგენელს, გვესმის: ის, რაც მცენარეში ზეცამდე აღწევს, ჩვენ მოვუტანეთ მათ დედამიწაზე. მე, როგორც ადამიანი, საკუთარ თავში ვატარებ ფიზიკურ, ასტრალურ და სულიერ სამყაროს.

განჭკვრიტო ის, რომ ბუნებასთან ერთად ზეცამდე ამადლდე, ჩაიხედო ადამიანში იმ მიჯნამდე, სადაც ზეცა მასში იხსნება, – აი, რას ნიშნავს, შეუდგე სულიერ კვლევას.

მისამე ლექცია

ტორკი, 1924 წლის 13 აგვისტო

მინერალურის ფორმა და სუბსტანციურობა  
ადამიანის ცნობიერების მდგომარეობებთან კავშირში

*კრისტალიზებული მინერალების არსება*

გუშინ მე მიგიითეთ ადამიანის სამშენველის შინაგან განცდებზე, როდესაც იგი წვრთნისა და მშენვენი საგარჯიშობის მეშვეობით მალდება ცნობიერების სხვა მდგომარეობებისკენ, ასევე მიგიითეთ, რომ ის, რაც ვიცით მხოლოდ როგორც ძილის ქაოტური, მოუწესრიგებელი განცდები, როგორ გარდაიქმნება მთლიანად გაცნობიერებულ, ზუსტ დეიძილის განცდებში, ამასთან გაჩვენეთ, ამის მეშვეობით, როგორ მივდივართ ცნობიერების ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც თითქოსდა ესაზღვრება ცნობიერების ჩვეულებრივ მდგომარეობას და ამ ახალ მდგომარეობაში თითქოსდა ხელმისაწვდომია ცხოველთა სამყაროს აღქმა მთლიანობაში და ვსაუბრობდი იმაზე, როგორ ადის ეს ცნობიერება ზენა მშენვენი სამყაროში, ასტრალურ სამყაროში. შემდეგ შევეცადე მეჩვენებინა, როგორ წარმოიხდება ჩვენ წინაშე დედამიწის საფარი თავის მთლიანობაში, ცნობიერების მომდევნო მდგომარეობის მიღწევისას, როცა ცნობიერება მთლიანად მღვიძარეა, ამავე დროს მთლიანად როგორ ცარიელდება ის გარეგნული გრძნობების სამყაროსთან, ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებით. როდესაც ცნობიერების ამ მდგომარეობისას ადამიანი მალდება ვარსკვლავთა სამყაროებამდე და მასში პირველად იმეცნებს ჭეშმარიტებას დედამიწის მცენარეული საფარის შესახებ, იგი ჭკრეტს, რომ დედამიწაზე მცენარეები წარმოადგენს დიადი, მძლავრი სამყაროს მხოლოდ ანასახს, რომლის გარეგნულ მხარეს, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ მხარეს წარმოადგენს მოციმციმე ვარსკვლავთა სამყარო და ეს ციმციმი ჰგავს ცვარ-ნამის ბრწყინვალეობას, რომლითაც დილაობით მცენარეა დაფარული. მე მსურს, გაუწყოთ, რომ ყოველივე, რაც სამყაროს სივრცეებშია განფენილი, იძენს თავის არსებობას, იძენს იერს, ფერებს, თვით ჟღერადობასაც, როცა ამ ცარიელი ცნობიერებით ავდივართ სამყაროს შორეთში. როცა დედამიწას იქიდან

შეგხედავთ, შეგვიძლია ჩავწვდეთ მცენარეული სამყაროს შესახებ ჭეშმარიტებას, რომ ის არის კოსმიური არსების ანასახი, კოსმიური აღსრულების ანასახი და ა.შ.

ამდენად, როცა ვჭკვრეტ, ერთი მხრივ, ვარსკვლავთა სამყაროს, ხოლო მეორე მხრივ, მცენარეულ სამყაროს, ვამჩნევთ რაღაც თავისებურებას. ჩემო პატივცემულო მსმენელებო, მსურს ეს აღვწერო, უშუალოდ შინაგანი გამოცდილებიდან გამომდინარე, აღვწერო ისეთი, როგორიც წარმოჩნდება იგი სამშვივნელების წინაშე. ჩემი აღწერის საფუძველი არავითარ შემთხვევაში არ იქნება აღებული რაიმე ლიტერატურიდან ან რომელიმე ტრადიციიდან, ანუ მე მოვლენებს აღვწერ ისე, როგორც წარმოჩნდებიან ისინი უშუალოდ სულიერი კვლევის შედეგებში. უპირველეს ყოვლისა, ვისურვებდი, თქვენი ყურადღება მიმეპყრო ერთი თავისებურებისთვის, რომელიც ეხსნება მას, ვინც მოვლენებს სწვდება ჩემ მიერ აღწერილის შესაბამისად.

ჩვენ თუ ამას გრაფიკულად წარმოვადგენთ (იხ. ნახ. 2), მაშინ აქ გვაქვს ვარსკვლავთა სამყარო (ზემოთ), ხოლო აქ მიწიერი სამყარო. დაკვირვებისას ჩვენ ყოველთვის ვდგავართ გარკვეულ წერტილში, რომელსაც შეგვიძლია ჩვენი თვალსაზრისის პუნქტი ვუწოდოთ. ცნობიერების მეორე მდგომარეობით, რომელზეც მე ვისაუბრე, ცნობიერებით, რომლის დროსაც ვარსკვლავებსა და მცენარეთა სამყაროს ერთობლივად ვწვდებით, ნამდვილად აღვიქვამთ, როგორ იმყოფებიან იქ ზემოთ, რეალური ქმნილებები, რომლებიც ტოვებენ თავიანთ ანასახებს, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი სარკისებრი ანასახები, არამედ ნამდვილი მცენარეები, რომლებიც წარმოიშვნენ დედამიწის სარკის მსგავსი უნარით. ასეთია პანორამა. ამ პანორამაზე შეიძლება ითქვას: იქ ზემოთ არის კოსმიური სიცოცხლე, აქ ქვემოთ – დედამიწა, როგორც სარკე. ცხადია, მცენარეები წარმოიქმნებიან არა როგორც უსიცოცხლო, ჩრდილოვანი, არაარსებითი ხატ-ანასახები, არამედ როგორც რაღაც რეალური, თუმცა მაინც ასახული. ამის მიუხედავად მუდმივად არსებობს გრძნობა, რომ ქვემოთ დედამიწა უნდა ჰგავდეს რაღაც სარკეს, რათა მისგან ამოიზარდოს ის, რაც არის კოსმოსში. მცენარეები არ იქნებოდა დედამიწის გარეშე, რომელზეც ჩვენ ვდგავართ, რომელზეც დავდივართ. როგორც ჩვეულებრივი სარკე წარმოადგენს ბარიერს სინათლის სხივისთვის, ანუ უნდა არსებობდეს რა-

დაც, რაც მას ელობება, სხვაგვარად ვერაფერს დაგინახავდით სარკეში, ასევე უნდა არსებობდეს დედამიწაც, როგორც ამრეკლავი, რათა წარმოიქმნას მცენარეები.

ახლა უკვე შეგვიძლია წინ წავიწიოთ და ცნობიერების მეორე მდგომარეობიდან, რომელიც გუშინ აღვწერე, ანუ ღვიძილის ცარიელი ცნობიერებიდან, გადავიდეთ მომდევნოზე, როცა საჭიროა სამშენიველის იმ ძალის განვითარება, რომელსაც ჩვეულებრივ არ განიხილავენ როგორც შემეცნების ძალას: სიყვარულის ძალას ყველა საგნისა და მოვლენისადმი, ასევე ყველა არსებისადმი. როცა მთლიანად ვმსჭვალავთ საკუთარ თავს ამ ძალით, როცა ვიჭრებით ამ სხვა სახის სამყაროში, რომელიც წარმოჩნდება ჩვენ წინაშე არა მხოლოდ კოსმოსში განფენილი ვარსკვლავების ციმციმში, არამედ არსებათა გამოცხადებაში, მაშინ გადავდივართ, შეიძლება ითქვას, სამყაროს სპირიტუალურ ოკეანეში და შეგვიძლია იმის შენარჩუნება, რაც დედამიწაზე გაგვანჩნია, როგორც ჩვენი სულიერ-მშენივერ-ფიზიკური ორგანიზაციის ძღვენი; ასევე, როცა შეგვიძლია, შევინარჩუნოთ საკუთარი თავი და გავაფართოოთ ის სიყვარულის განუზომელ ძალაში, ყველა არსებისადმი მიძღვნაში, სწორედ მაშინ წარმოექმნით და განვამტკიცებთ სულ უფრო მეტად და მეტად საკუთარ შემეცნებით ძალას. ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ ნათელმხილველურად განვჭვრიტოთ არა მარტო მცენარეული და ცხოველური სამეფოები, არამედ მინერალური სამყაროც და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ის მინერალური სამეფო, რომელიც თავისი ბუნებით შეიცავს კრისტალს. კრისტალები, სწორედ მინერალური კრისტალები არის დაკვირვებისა და კვლევის გასაოცარი ობიექტები იმისთვის, ვისაც სურს, შეაღწიოს სულიერი სამყაროს ყველაზე მაღალ სფეროებში.


როცა განვავითარებთ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროების ჭვრეტის უნარს, შესაძლებელია შევეუდგეთ კრისტალიზებული მინერალური სამყაროს ჭვრეტას. აქ კვლავ ვგრძნობთ საკუთარ თავს შებოჭილად, რომ კრისტალიზებული მინერალურიდან, რომელიც დედამიწაზე გვხვდება, მზერა მივაპყროთ სამყაროს, კოსმოსს. აქ კვლავ ვჭვრეტთ შორეულ კოსმოსში არსებებს, როგორც ეს იყო იმასთან, რაც ძვეს მცენარეთა სამყაროს საფუძველში. მაგრამ ახლა მთელი ხედვა სრულიად სხვაა. როცა ჭვრეტაში ამოვდი-

ვართ კრისტალიზებული მინერალიდან, აქ სრულიად სხვა რამ განიცდება, ვიდრე მაშინ, როცა ჭვრეტაში ამოდიან მცენარეული სამყაროდან. იქ გარეთ, სამყაროში კვლავ განიცდება არსებები (იხ. ნახ. 3, პერიფერიაზე) და საკუთარ თავს ეუბნებიან: რასაც აქ ქვემოთ, მიწიერ ყოფიერებაში ვხედავთ როგორც კრისტალიზებულ მინერალს, ეს განპირობებულია სულიერ-ცოცხალით, რომელიც არსებობს კოსმიურ სივრცეებში.

იმ დროს, როცა ეს (ნახ. 3 ისარი ზემოთ) მოქმედებს ქვემოთ, ის არ აისახება დედამიწაზე, ან დედამიწის მეშვეობით. თქვენ ხედავთ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია. როცა მინერალიდან ვმადლდებით კოსმოსისკენ და შევხედავთ ძირს დედამიწას, მაშინ მინერალურისთვის დედამიწა უკვე აღარ არის სარკე. ეს ისეა, თითქოს დედამიწა საერთოდ არ არის. ის ქრება ჩვენი თვალთახედვის არიდან. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორც ვთქვით მცენარეებზე: იქ ქვემოთ არის დედამიწა, ის არეკლავს: – არა ის არ არეკლავს, ის თითქოსდა საერთოდ აღარ არსებობს. როცა კონცენტრირებას ვახდენთ ასეთ ჭვრეტაზე, რომელიც ეყრდნობა კრისტალიზებულ მინერალს, მაშინ მხერას მივაპყრობთ სამყაროს სივრცეებს და კვლავ უკან ვიშორებით; ამ დროს ჩვენ ქვემოთ ჩნდება, უპირველეს ყოვლისა, რაღაც არარა, – დამაფრთხობელი, საშინელი უფსკრული. ჩვენ უნდა დაველოდოთ. ამასთან, საჭიროა სულიერი სიმხნევის შენარჩუნება; ლოდინი დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. თუ დიდხანს ველოდებით, მაშინ შიში წარმოუდგენლად გაძლიერდება, ვინაიდან ვგრძნობთ, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცალა. ეს სრულიად უჩვეულო გრძნობაა, რომელიც გამოიხატება უზარმაზარი შიშის სახით, თუ არ გაგვაჩნია შესაბამისი სულიერი სიმხნევე და ამ არარას მიღმა აქტიურად არ ვიჭრებით.

ჩვენ დედამიწის მიღმა უნდა გავიხედოთ. ეს ნიშნავს, რომ ის აქ არ არის, ამიტომ კიდევ უფრო შორს უნდა გავიხედოთ სიღრმეებში და ახლა იძულებულნი ვართ მინერალებისთვის დავინახოთ არა მარტო ის, რაც ჩვენ ქვემოთაა, არამედ განვჭვრიტოთ მთელი გარემოცვა. დედამიწა თითქოს მოცილებული უნდა იყოს. საჭიროა განვჭვრიტოთ ის, რაც ქვემოთაა, ასევე, რაც ზემოთაა, რაც აღმოსავლეთშია და რაც დასავლეთშია (იხ. ნახ. 3).





ნახ. 3

1. Erde - დედამიწა

ამ დროს ჩვენთან ქვემოდან ზემოთ მოდის დინება იმ დინების საპირისპიროდ, რომელსაც ადგილი აქვს მცენარეებში. სხვა მხრიდან, რომელიც ამოდის ქვემოდან, თუ ვხედავთ, რომ ერთი ნაკადი ამოდის აი აქედან, მაშინ საპირისპირო მხარეს ჩნდება მეორე ნაკადი. ყველა მხრიდან ჩვენ ვჭვრეტთ კოსმიურ ნაკადებს, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ. ისინი ერთმანეთს ხვდებიან იქ, ჩვენ ქვემოთ. ამდენად, ზემოდან გვაქვს დინება მცენარეებისთვის (ეს დაეხაზე მწვანე ფერით), რომელიც მიდის ქვემოთ, დედამიწა კი წინააღმდეგობას უწევს და მცენარე ამოიზრდება. მინერალური სამეფოსთვის დამახასიათებელი დინების დაკვირვებისას, შესაძლოა ასევე შევნიშნოთ საპირისპიროდ მიმართული დინება, რომელთა ურთიერთქმედებაც განსაზღვრავს მინერალების ფორმას. აქ ერთი დინებაა, იქ – საპირისპირო; აქ კიდევ ერთი, იქ მისი საპირისპირო და ა.შ. ყოველგვარი ბარიერის გარეშე სწორედ ამ ერთმანეთის შემხვედრი დინებების წყალობით წარმოიქმნება მინერალი კოსმოსში. კრისტალიზებული მინერალისთვის დედამიწა არ არის სარკე. აქ, დედამიწაზე არაფერი აისახება. მთელი პროცესი მის საკუთარ ელემენტში ხორციელდება.

როცა მთაში პოულობთ კვარცის კრისტალს, მაშინ ის, ჩვეულებრივ, ქვემოთ მიწიერით არის დარღვეული, იქ მოხდა ჩარევა და არიმანუღმა ძალებმა ის დაარღვიეს. სინამდვილეში ის წარმოიქმნება ისე, რომ ყველა მხრიდან ერთმანეთს მსჭვალავს სულიერი ელემენტი, ერთმანეთში აისახება და ხედავთ კვარცის კრისტალს თავისუფლად მოლივლივებს სულიერ კოსმოსში. ყოველი მხრიდან სრულყოფილ თითოეულ ცალკეულ კრისტალში შესაძლებელია დავინახოთ პატარა სამყარო.

თუმცა არსებობს სხვადასხვაგვარი კრისტალური ფორმა – კუბი, ოქტაედრი, ტეტრაედრი, დოდეკაედრი, რომბისებრი, დოდეკაედრისებრი, ბრტყელი და მრავალი სხვა. ვხედავთ, ნაკადები ერთმანეთს როგორ ხვდებიან, იკვეთებიან. აქ ვხედავთ კვარცის კრისტალს, ექვსკუთხა პრიზმას, ჩაკეტილს ექვსკუთხა პირამიდის მეშვეობით. აქ გვაქვს მარილის კრისტალი, რომელიც შესაძლოა კუბის ფორმისაა; აქაა პირიტის კრისტალი, რომელიც შესაძლოა დოდეკაედრისებრია. ჩვენ ამ ყველაფერს ვჭვრეტთ. თითოეული კრისტალი წარმოიქმნა ისე, როგორც მე აღვწერე და შეგვიძლია ჩვენ თავს ვუთხრათ: ამდენად, არსებობს სხვადასხვაგვარად წარმოქმნილი იმდენი სამყაროსეული ნაკადი და არსებობს არა ერთი სამყარო, იმდენი სივრცობრივი სამყარო, რამდენი კრისტალებისგანაც შედგება დედამიწა. ჩვენ ვჭვრეტთ სამყაროთა ამოუწურავ მრავალფეროვნებას და ვუმზერთ მარილის კრისტალს და საკუთარ თავს ვეუბნებით: იქ გარეთ, სამყაროში არიან არსებები; მარილის კრისტალი წარმოადგენს მანიფესტაციას იმისა, რაც მსჭვალავს მთელ სამყაროსეულ სივრცეს, როგორც არსებები, როგორც რაღაც სამყარო თავისი თავისთვის. ჩვენ ვუმზერთ პირიტის კრისტალს, რომელიც ასევე შეიძლება იყოს კუბის ან დოდეკაედრის ფორმის და ვეუბნებით საკუთარ თავს: იქ, სამყაროში, არის რაღაც, რაც ავსებს მთელ სივრცეს; კრისტალი ჩვენთვის არის გამოხატულება, მანიფესტაცია მთელი სამყაროსი. ჩვენ ვჭვრეტთ უამრავ არსებას, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ასეთ სამყაროებს. აქ, დედამიწაზე, ვდგავართ, როგორც ადამიანები და საკუთარ თავს ვეუბნებით: მიწიერში ერთმანეთს ეგებება უამრავ სამყაროთა ქმედებები. როცა ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ აქ, დედამიწაზე, მაშინ ჩვენს აზრებსა და ქმედებებში იღვრება ყველაზე მრავალფეროვანი არსებების აზრები და ქმედებები. კრისტალური ფორმების აურაცხელ მრავალფეროვნებაში გვეხ-

სნება მთელი სისავსე არსებებისა, რომლებიც თავიანთ თავს ასახავენ კრისტალების სივრცობრივ-მათემატიკურ ფორმაქმნადობაში. ჩვენ ვუმზერთ ღმერთებს კრისტალებში.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მიაგო საკადრისი სამყაროს, ჩაეფლო თავისებური სახის ლოცვაში და მისცე კოსმოსის გასაოცარ საიდუმლოებს შენს სამშენებელზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ვიდრე თავის მეშვეობით შეიმეცნო რაიმე თეორიულ დონეზე. ანთროპოსოფიამ უნდა წარმართოს კოსმოსში მსგავსი სახის აღსრულებისკენ. ანთროპოსოფიის წყალობით ადამიანი შეძლებს თითოეულ ცალკეულ კრისტალში განჭვრიტოს სამყაროს ღვთაებრივი შემოქმედება. მაშინ არა მარტო თავი აივსება იდეებით, არამედ მთელი ადამიანური სამშენებელი აივსება სამყაროს შინაარსით. ანთროპოსოფია ყველაზე ნაკლებადაა აღვსებული იმით, რომ თავი იდეებით აავსოს. მისი მისიაა, მთელი ადამიანი გასხივოსნდეს სამყაროს არსით, რომ მასში დაიბადოს კოსმოსისადმი ლოცვითი დამოკიდებულება, მისდამი თაყვანისცემა. ყველა საგანმა და პროცესმა სამყაროში უნდა გამოიწვიოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანის შინაგანი, მშენებელი სამსხვერპლო მსახურება. სწორედ ეს სამსხვერპლო მსახურება უნდა იქცეს შემეცნებად.

#### *მინერალური სამყაროს სუბსტანციურობა და ლითონურობა*

როცა დგახარ სამყაროს სივრცის, კოსმოსის სივრცის წინაშე და უმზერ იმას, რასაც დედამიწა კრისტალიზებული მინერალური სამყაროდან აყალიბებს, მაშინ თავდაპირველად შენ წინაშე წარმოჩნდება მიმზიდველი სურათი. ის მალევე ადგილს უთმობს იმ შიშის გამოვლენას, რაზეც უკვე ვისაუბრე. სანამ აღვიქვამთ ამ ღვთაების მატარებელ კრისტალურ სამყაროს, ჩვენ განვიცდით შიშს. თუმცა შიში თანდათანობით ქრება, როგორც კი ვიწყებთ ღვთაებით განმსჭვალული ამ კრისტალური სამყაროს ჭვრეტას, ვინაიდან წარმოიქმნება თავისებური გრძნობა: ყველაფერი, რასაც ვპოულობთ, როგორც კრისტალს, შენ მხოლოდ ნაწილობრივ გეხმარება.

ავიღოთ მაგალითი, რომელიც მე მოგიყვებით: მარილის კრისტალი, რომელსაც ვუმზერთ და პირიტის კრისტალი, ლითონის კრისტალი. პირიტის კრისტალის ჭვრეტისას, გიჩნდება შეგრძნება, რომ მასზე დაყრდნობა შეიძლება, ის შენ გატა-


რებს. როცა უმზერ მარილის კრისტალს, გეჩვენება, რომ მასში თითქოს იკარგები, ის არ წარმოადგენს საყრდენს. მოკლედ რომ ვთქვათ, ადრინდელი დიდი შიშის შეგრძნება, დაიკარგო არარაში, ვინაიდან მიწა იქცა არარად, გარკვეული თვალსაზრისით კვლავ ჩნდება, ამასთან, ნაწილობრივ, ზოგიერთ ფორმებთან მიმართებით და ამ წარმოქმნილ გრძნობას ახლა უერთდება რაღაც ახალი და რაღაც მორალური. იმ წამს, როცა ჩვენში მეორედ იჭრება შიში, ჩვენს თავში ვგრძნობთ არა მარტო ცოდვებს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე ჩაგვიდენია, არამედ ასევე იმ ყველაფერს, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჩაგვედინა.

ეს ყველაფერი ჰგავს სიმძიმეებს, რომლებიც ჩამოკიდებული გვაქვს და გვექაჩება უფსკრულში, ხრამში, რომელიც იხსნება მინერალების კრისტალით და რომელშიც შეიძლება გადავიჩეხოთ. თუმცა ჩვენ უნდა შევძლოთ გადასვლა მომდევნო შეგრძნებისკენ, განცდისკენ. ყველაფერში, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, ძვეს სიმამაცე და გამბედაობა, რომლის საფუძველია ის, რასაც საკუთარ თავს ვეუბნებით: შენ საკუთარ შინაგანში გაქვს რაღაც, რაც საშუალებას არ გაძლევს, ჩავარდე არც ქვევით, არც ზევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არამედ საკუთარ შინაგანში გაგაჩნია შენივე არსების სიმძიმის ცენტრი.

ღიას, ჩემო პატივცემულო მსმენელებო, არასდროს არის საჭირო ცხოვრებაში საკუთარი თავის უფრო მეტი ნდობა, უდიდესი შინაგანი სიმამაცე, ვიდრე კრისტალების სამყაროს ჭერებისას, როცა სამშინველს ტყვიასავით აწევა საკუთარი ეგოიზმის სიმძიმე, ვინაიდან ცოდვა ყოველთვის ეგოიზმია. გამჭვირვალობა, ანუ გამტარუნარიანობა, რომლის გავლითაც შეიძლება გადავიჩეხოთ, აქ უკვე საშინელ გაფრთხილებად იქცევა. თუ ინარჩუნებენ სიმამაცეს, მაშინ ამბობენ: შენში დავანებულია ღვთაების ნაპერწკალი, შენ არ შეიძლება ჩაიძირო, შენი არსება ღვთიურია. როცა ეს გადაიქცევა განცდად და არა უბრალოდ თეორიად, მაშინ შეიძენენ სიმამაცეს, შეინარჩუნებენ წონასწორობას და წინსვლის სურვილს.

ახლა შეიძლება მინერალების შესახებ სხვა რამის სწავლა. ადრე სწავლობდნენ მინერალების კრისტალიზებულ არსს, ახლა სწავლობენ მათი სუბსტანციურობის, ლითონური საფუძვლის შეცნობას, ანუ იმას, რაც იჭრება, მსჭვალავს მათ შინაგანს როგორც მატერია; ჩვენ გვეხსნება შესაძლებლობა

შევიცნოთ, როგორ ვიცავთ სხვადასხვა სახით წონასწორობას სამყაროში, ცნობილს ძირითადი ლითონების მეშვეობით. ჩვენ ვსწავლობთ საკუთარ თავს, როგორც ადამიანს, კოსმოსთან საკუთარი დამოკიდებულებით. ვიმეცნებთ ლითონების ცალკეულ სახეობებს, მინერალური სამყაროს ცალკეულ სუბსტანციებს და საკუთარ თავს შევიგრძნობთ იმ მყარ ცენტრად, რის შესახებაც, ახლახან ვისაუბრე (იხ. ნახ. 4).



ნახ. 4

1. rot – წითელი. 2. orange-ნარინჯისფერი. 3. gelb-ყვითელი. 4. rosa-ვარდისფერი. 5. Blei Saturn-ტყვია სატურნი. 6. Zinn Jupiter-კალა იუპიტერი. 7. Eisen Mars-რკინა მარსი. 8. Gold Erde-ოქრო დედამიწა. 9. Kupfer Venus-სპილენძი ვენერა.

უნდა აღვნიშნო, რომ რაზეც ახლა ვსაუბრობ, იძულებული ვარ გამოვსატო სიტყვებით, რომელიც მატერიალურის აღმნიშვნელია, მაგრამ თქვენ მატერიალურად არ უნდა აღიქვათ. რო-

ცა ამბობენ: გული, თავი, მაშინ თანამედროვე მატერიალისტურად მოაზროვნე ადამიანი მაშინვე წარმოიდგენს ფიზიკურ გულს, ფიზიკურ თავს. მაგრამ ეს ყოველივე ხომ, ამავე დროს, სულიერია. ის ხომ სულიერისგან წარმოიშვა. როცა ადამიანი განიხილება მის მთლიანობაში, როგორც სულიერ-მშენიანი ფიზიკური არსება და ამავე დროს აქცენტი კეთდება მის სულიერ მხარეზე, მაშინ გულის სფეროში, სადაც არის ადამიანის წონასწორობის ცენტრი, წარმოიშობა მკაფიო შეგრძნება, რომ ადამიანი არ შეიძლება ჩავარდეს და გადაიხეხოს, მარჯვნივ ან მარცხნივ, ვინაიდან ცენტრი მას აწონასწორებს. აღწევენ იმას, რომ თავის თავში სიმამაცის შენარჩუნებით, რომელიც ახლახან აღვწერე, სამყაროში წონასწორობას ინარჩუნებენ. მაგრამ რას ნიშნავს: სამყაროში საკუთარი თავი ვიპოვოთ წონასწორობაში, მყარად მდგომი?

როცა კარგავენ ცნობიერებას, ან არიან უგონო მდგომარეობაში, მაშინ ვერ ინარჩუნებენ წონასწორობას. როცა გვაქვს ძლიერი ტკივილის გრძნობა ისე, რომ თავს სრულიად სხვაგვარად შევიგრძნობთ, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში, მაშინ ასევე აღარა ვართ ჩვეულებრივი ცნობიერების მდგომარეობაში და რამდენადაც ტკივილი არის შინაგანი გრძნობის გაძლიერება, მას იგი გაჰყავს ჩვეულებრივი ცნობიერების მდგომარეობიდან, ჩვეულებრივი ცნობიერების მიღმა. ჩვეულებრივ ცხოვრებაში დაბადებასა და სიკვდილს შორის ადამიანისთვის ნიშანდობლივია ცნობიერების რაღაც საშუალო მდგომარეობა. იგი იძულებულია მას მისდიოს. თუ ასეთი ცნობიერება ძალზე ნატიფი გახდება, ადამიანი აღმოჩნდება გულყრის მდგომარეობაში, ხოლო თუ ის გამკვირვდება და უზომოდ იქნება მიმართული თავის თავზე, მაშინ წარმოიქმნება ტკივილი. გულყრისას არარაში გადასვლა, ტკივილისას კი დათრგუნვილობის განცდა, ორივე ეს შემთხვევა წარმოადგენს ცნობიერების აბერაციას. სწორედ ამას გრძნობს ადამიანი კრისტალების სამყაროს მიმართ, თუ არა აქვს ლითონურობა, სუბსტანციურობა, განცდა, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება აღმოჩნდეს გულყრის მდგომარეობაში, გაიფანტოს სამყაროში ანდა თავს დაატყდეს ტკივილი.

სწორედ ამ დროს იბადება განცდა: ყველაფერი თავმოყრილია იქ, სადაც მდებარეობს გულის კუნთები. ეს ჩვენ გვაძლევს მყარ საფუძველს. თუ ცნობიერების აღწერილი მდგომარეობა საკმარისადაა განვითარებული, მაშინ გრძნობ, რომ ის, რაც

ჩვენი შემაკავებელია მიწიერი ღვიძილის ცნობიერებაში და მას, ასე ვთქვათ, აქცევს ნორმალურად, თუ შესაძლებელია გამოვიყენოთ ეს უშნო ფილისტერული სიტყვა „ნორმალური“, ეს არის სამყაროში წარმოუდგენელი სინატიფითა და სიწმინდით გავრცელებული ოქრო, რომელიც არ მოქმედებს არც ერთ სხვა ორგანოზე ისე უშუალოდ, როგორც მოქმედებს გულზე.

ამდენად, თუ ადრე შევიგრძნობდით მინერალების აგებულებას, კრისტალიზაციას, ახლა შევიგრძნობთ სუბსტანციურობას, ვგრძნობთ როგორ მოქმედებს ლითონურობა თავად ადამიანზე. გარეთ, მინერალის ფორმით ჩვენ ვხედავთ კრისტალს, რომელსაც წარმოქმნის ლითონურობა და ვიცით, რომ ძალა, რომელიც მოქმედებს ოქრო, მთელ სამყაროში ძალზე ნატიფი დოზით არის გავრცელებული, იცავს ჩვენს გულს და ამით ინარჩუნებს ჩვენი ცნობიერების წონასწორობას, რომელიც გვახასიათებს დღის ღვიძილის ცხოვრებაში. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ; ადამიანთა გულებზე მოქმედებს ოქრო (იხ. ნახ. 4).

ის, რომ ლითონი ოქრო დაკავშირებულია ჩვენს გულთან, ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ ჩვენივე ექსპერიმენტით: წარმოსახვაში აღვადგინოთ ოქრო, როგორც ჩვენ ვიცით, ანუ კონცენტრირება მოვახდნოთ მის ფერზე, სიმკვრივეზე, ზოგადად მთელ მის სუბსტანციურობაზე და შინაგანი განცდით მივიღებთ გამოცდილებას, რომ ოქროს საქმე აქვს ჩვენს გულთან. შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე: შინაგან ადამიანზე ოქრო მოქმედებს ჰარმონიულად, გამაწონასწორებლად. ის მიდის შინაგან წონასწორობამდე ოქროს ზემოქმედების მეშვეობით. სხვა კონცენტრაციის მეშვეობით, როცა გადავალთ ვთქვათ რკინაზე და მის თვისებებზე, როცა კარგად გავეცნობით მის თავისებურებებს, გავიგებთ, როგორ მოქმედებს ის. მაშინ ჩვენ, დავივიწყებთ რა მთელ სამყაროს და მოვახდენთ კონცენტრაციას უშუალოდ რკინაზე ისე, რომ თითქოსდა თავად საკუთარ მშენიერი ცხოვრებაში სრულიად შევეზრდებით, ვიჭრებით რკინაში, ვხდებით რკინა, განვიცდით საკუთარ თავს როგორც რკინას, მაშინ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ცნობიერება თითქოს გასცდა გულის ფარგლებს. ჩვენ თავს ვგრძნობთ ჯერ კიდევ სრულიად გარკვეულად, მაგრამ ვგრძნობთ ჩვენი ცნობიერება როგორ ამოდის გულიდან და მიდის ყელისკენ, ხორხამდე. თუ საკმარისად ვივარჯიშეთ, მაშინ ეს ჩვენთვის არაა საზიანო. სხვა შემთხვევაში დგება გარკვეული მსუბუქი

თავბრუსხვევა, გულყრა. ცნობიერების ამადლებისას შევიმეცნებთ ამ მსუბუქ გულყრას, უგონობას, იმის შედეგად, რომ ნამდვილად გვემართება მსუბუქი გულყრა, ან იმით, რომ ვავითარებთ შინაგან აქტივობასა და ცნობიერების მტკიცე ძალას. ცნობიერების ეს ამადლება ხდება ნელა, თანდათანობით და ადამიანი ჩემ მიერ აღწერილი მეთოდის მეშვეობით შედის იმ სამყაროში, ამაზე გუშინ უკვე ვისაუბრე, სადაც ვხედავთ ცხოველებს თავიანთი ჯგუფური სამშენველებით. რკინის ლითონურ საფუძველზე კონცენტრაციით, ახლა ვიმყოფებით ასტრალურ სამყაროში.

ლითონის ფორმიდან ამოსვლით, შესაძლებელია ღვთაებრივ არსებებამდე მისვლა. ხოლო ლითონის საფუძველიდან, სუბსტანციურობიდან ამოსვლით – შესაძლებელია შევიდეთ ასტრალურ სამყაროში, მშენიერი სამყაროში. როცა გრძნობენ, რომ ცნობიერება ამადლდა ყელამდე (იხ. ნახ. 4), ადამიანი შედის ცნობიერების სხვა სფეროში და იცის, რომ ეს მოხდა რკინაზე კონცენტრაციის წყალობით, რის შემდეგაც ის ამ მდგომარეობაში შედის სრული და მკაფიო ცნობიერებით და მასში ჩნდება განცდა, რომ ის შეიცვალა და უკვე აღარ არის ისეთი, როგორც ადრე, აღარ არის ის ადამიანი, ადრე რომ იყო, არამედ გახდა ეთერული, ამადლდა თავის თავზე. დედამიწა თითქოს გაქრა, ის უკვე აღარ იწვევს ინტერესს. ადამიანი ადის პლანეტარულ სფეროებში, რომლებიც ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხდება მისი მყოფობის ადგილი. ასე მადლდება ის სულ უფრო მეტად და მეტად თავის თავზე და შედის სამყაროს სივრცეებში. გზა ოქროდან რკინამდე არის გზა სამყაროს სივრცეებისკენ.

აქ შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი წინსვლა. იმავე მეთოდით, რაც გამოყენებულ იქნა ოქროსა და რკინის მიმართ, შესაძლებელია კონცენტრაცია სხვა ლითონზე, მაგ., კალაზე, როცა ყურადღებას გავამახვილებთ ისევ და ისევ მის ლითონურ საფუძველზე, ანუ ფერზე, კონსისტენციაზე და ა.შ., ან როცა ცნობიერებაში საკუთარ თავს მასთან გავაიგივებთ. მაშინ გრძნობ, რომ ცნობიერება ადის კიდევ უფრო მაღლა: თუ ამას გააკეთებენ სათანადო სავარჯიშოების გარეშე, მაშინ უგონო მდგომარეობა გაგრძელდება და გაძლიერდება, დარჩება მხოლოდ ცნობიერების ძალზე სუსტი ნაპერწკალი. საკმარისი პრაქტიკის შემთხვევაში უგონო მდგომარეობა გადაილახება და, პი-



რიქით, წარმოიქმნება გრძობა, რომ კიდევ უფრო შორს გადიხარ საკუთარი სხეულიდან და ადიხარ ცნობიერების მდგომარეობისკენ, რომელიც ლოკალიზებულია თვალის არეში (ნახ. 4). საკუთარ თავს გრძობ გარეთ – კოსმოსის სივრცეებში, ვარსკვლავების სამყაროში, თავად დედამიწა კი ნელ-ნელა წარმოინდება დაშორებულ ვარსკვლავად, რომელზეც სადღაც იქ, ქვემოთ შენ დატოვე საკუთარი სხეული, ხოლო ახლა შეაბიჯე კოსმოსში და ცხოვრობ ვარსკვლავიერი სამყაროს ცხოვრებით.

არც ისე მარტივია, რასაც მე აღვწერ, ვინაიდან აღვწერე ადამიანის განცდები ხელდასხმის გზაზე, როცა წარმოიქმნება შეგრძნებები, რომ ცნობიერება განლაგებულია ყელის არეში, თავის ქვედა ნაწილებსა და შუბლის არეში, ამასთან ეს შეგრძნება მხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი ყოველთვის არსებობს ადამიანში.

ყველანი, აქ მსხდომნი ფლობთ ამ ცნობიერებას, უბრალოდ, არ იცით ამის შესახებ. როგორ გაქვთ თქვენ ისინი საკუთარ თავში? ადამიანი სრულებითაც არ არის მარტივი არსება. ამ მომენტში თუ გააცნობიერებდით ყელის მთელ აგებულებას, ამასთან შეიძლებდით საკუთარი ტვინისა და გარეგნული გრძობის ორგანოების გამოთიშვას, როცა როგორც ადამიანი მხოლოდ ყელის არეში განავითარებდით ცნობიერებას და ასევე იმაში, რაც ამ სფეროს განეკუთვნება, მაშინ გექნებოდათ მუდმივად ეს მშვიდი, უგონო, არაცნობიერი შეგრძნება. მაგრამ ის მუდმივად თქვენშია, ოღონდ დაფარულია გულის ჩვეულებრივი მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, ოქროს ცნობიერებით. თითოეულ თქვენგანში ძვეს ცნობიერების აღწერილი მდგომარეობები, ის წარმოადგენს ადამიანის განუყოფელ ნაწილს, ამიტომ თქვენი შემადგენლობის ნაწილი ცხოვრობს გარეთ, ვარსკვლავებში, რომელიც სულაც არ არის დედამიწაზე.

სამყაროს კიდევ უფრო შორეულ ნაწილებში დავანებულია კალას ცნობიერება (იხ. ნახ. 4, ნარინჯისფერი). სრულიად არასწორია იფიქრო, რომ აქ, დედამიწაზე თქვენ მარტო ცხოვრობთ. თქვენ დედამიწაზე იმიტომ ცხოვრობთ, რომ გაქვთ გული. სწორედ ის აკავებს თქვენს ცნობიერებას დედამიწაზე. ის, რაც არის ყელში (რკინა) – ეს ცხოვრობს გარეთ, სამყაროში. კიდევ უფრო შორს ცხოვრობს ის, რაც იმყოფება თვალებს ზემოთ თავში (კალა). რკინა აღწევს გარსამდე. კალა აღწევს იუპიტერამდე. მხოლოდ ოქროს მეშვეობით იმყოფებით თქვენ

დედამიწაზე. მუდმივად ხართ სამყაროში. მხოლოდ გულის ცნობიერება მაღავს ამას თქვენგან.

როცა კონცენტრირებენ ტყვიაზე ან მსგავს ლითონზე, აქ კვლავ საუბარია სუბსტანციურობაზე, ლითონურ საფუძველზე, მაშინ თქვენ მთლიანად გამოდიხართ სხეულიდან. აქ თქვენთვის ცხადია: იქ ქვემოთ, დედამიწაზე დავანებულია თქვენი ფიზიკური და ეთერული სხეულები. ეს რაღაც უცხოა. ის არის იქ, ქვემოთ. ახლა ის თქვენთვის ისეთივე უცხოა, როგორც რომელიმე ქვა, რომელიც ძვეს კლდეზე. ცნობიერებამ დატოვა თქვენი ფარგლები, აი აქ (ნახ. 4, თავის ზედა ნაწილი: წითელი). სამყაროში მცირე დოზით მუდმივად არსებობს ტყვია. მსგავსი სახის ცნობიერება დავანებულია ზევით, ის ძალზე შორს არის განფენილი. რაც შეეხება ცნობიერების ნაწილს, რომელიც მუდმივად სახეზეა ადამიანთან თავის ქალის ქვემოთ, ის ჩაფლულია სრული გულყრის მდგომარეობაში.

წარმოიდგინეთ, რა ილუზიებში ცხოვრობს ადამიანი. იგი დარწმუნებულია, რომ ფიქრობს საკუთარი თავით, როცა საწერ მაგიდასთან გამოწერს ჩეკს ან თხზავს ფელეტონს. მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა. სწორედ თავი არ იმყოფება დედამიწაზე. ეს წმინდა წყლის მოჩვენებითობაა. ყელიდან დაწყებული თავი დავანებულია სამყაროში. სამყარო მხოლოდ აისახება თავში. ხოლო ის, რაც იწვევს არსებობას დედამიწაზე დაბადებასა და სიკვდილს შორის, ეს არის გული. როცა თხზავთ კარგ ან ცუდ ფელეტონს, უგზავნით ან არ უგზავნით ვინმეს ჩეკს, ყველაფერი თქვენი გულიდან მოდის. საუკეთესო აზრები, რომელიც კი შეიძლება გქონდეთ, ეს ყველაფერი მოდის თქვენი გულიდან. წმინდა წყლის ილუზიაა, რომ ადამიანი მისი თავით ცხოვრობს დედამიწაზე. თავი, არსებითად, მუდმივად იმყოფება გულყრის მდგომარეობაში. ამიტომაც ექვემდებარება იგი მუდმივად ტანჯვებს, სხვა ორგანოები ასეთი ზომით არ იტანჯებიან. მე აქ არ დავიწყებ დეტალების განხილვას. თუ დავაკვირდებით ჩვენს თავს მის ამჟამინდელ მდგომარეობაში, მას მუდმივად ემუქრება საშიშროება, გაიფანტოს კოსმოსში, საშიშროება იმისა, რომ მთელი ცნობიერება გაიფანტება ზევით, გაიბნევა გულყრის მდგომარეობაში. გული გვიცავს ჩვენ ამ ყველაფრისგან.

ადამიანი, არსებითად, ისე ცხოვრობს, რომ შეგვიძლია ვთქვათ: ყელში ის ავითარებს ცნობიერების იმ ფორმას, რომელიც, როგორც უკვე აღვწერე, აღწევს ცხოველურ სამეფოს,

უფრო სწორედ, ამადლებულ წარმონაქმნებს, რომელიც ცხოველურ სამყაროს საფუძველად უდევს. ოღონდ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს ჩვენს ცნობიერებამდე არ დადის. ცნობიერების ეს ფორმა მუდმივად მიმართულია ვარსკვლავების სამყაროსკენ, ის მუდმივად იქ იმყოფება. კიდევ უფრო ზევით იმყოფება მცენარეული წარმონაქმნების ცნობიერება, ხოლო აქ, ქვემოთ მათი სარკისებრი ანასახი (იხ. ნახ. 4). ხოლო ყველაზე ზევით, სადაც დავანებულია ტყვიის ცნობიერება, სადაც ვაღწევთ სატურნის სფეროს, ჩვენს თავს არანაირი ცნება არ გააჩნია ფელეტონზე, ჩვენ მათ ვწერთ გულის დახმარებით. სამაგიეროდ, თავმა იცის ყველაფერი, რაც დღეს თქვენთან აღვწერე, ყველაფერი რაც გარეთაა (იხ. ნახ. 4). შეიძლება შევთხზათ რაიმე მიწიერი, რომელიც მომდინარეობს გულიდან, ამ დროს თავი შეიძლება აივსოს იმის ჭკერეცით, როგორ იხსნება ღმერთი პირიტის კრისტალში, ან მარილის კრისტალის ნამცეცში, ანდა კვარცის კრისტალში.

როცა ხელდასხმულის ცნობიერება გიმზერო, აქ სკამებზე მსხდომთ, მაშინ თქვენს გულებს ესმით ის, რასაც ვამბობ; მაგრამ თქვენი ცნობიერების სამი აღმავალი დონე კოსმოსში იმყოფება. მათში ხორციელდება სრულიად სხვა სახის პროცესები, ვიდრე ჩვენს მიწიერ ცნობიერებაში. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, კარმული პროცესები, რომელიც მუდმივად ქსოვს თავისი ცოცხალი ძაფებით.

თქვენ ხედავთ, რომ ასე თანდათანობით სწავლობენ, კოსმოსიდან გამომდინარე, საკუთრივ ადამიანის შემეცნებას. ჩვენ ვხედავთ, რა აკავშირებს ადამიანს გარე სამყაროსთან, ასევე იმას, რომ გარედან მუდმივად ემუქრება დაქუცმაცება, გულყრა, თუმცა ამას ეწინააღმდეგება გული.

### *სივრცობრივი ცნობიერებიდან დროითი ცნობიერებისკენ*

ჩვენ სულიერად მივდივართ სრულიად სხვა მიმართულებით, როცა ჩვენი კონცენტრაციის საგანი ხდება სხვა სახის ლითონები. რასაც ვაკეთებდით რკინასთან, კალასა და ტყვიასთან, ზუსტად იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ, მაგალითად, სპილენძთან დაკავშირებით. სპილენძის ლითონურ საფუძველზე კონცენტრირებით შეგვიძლია თითქოსდა შევიდეთ მასში, მთლიანად სპილენძად ვიქცეთ მშინვიერ დონეზე; შეგვიძლია დამ-

კვიდრება ფერში, კონსისტენციაში, სპილენძის ზედაპირის თავისებურ სტრუქტურაში, – მოკლედ, ყველაფერში, რისი განცდაც შესაძლებელია მშენიანი დონეზე სპილენძის ლითონურ საფუძველთან კავშირში. ამასთან ადამიანი არ ეფლობა უგონო მდგომარეობაში, მეტიც, ხდება რაღაც სრულიად საპირისპირო. წარმოიქმნება შიგნიდან რაღაცით ავსების გრძნობა. შინაგანი გრძნობების დონე ჩვეულებრივზე მაღალია. უშუალოდ ჩნდება გრძნობა, რომ სპილენძი, რომელზეც შენ იყავი კონცენტრირებული, თავიდან ბოლომდე აღგავსებს, თვით თითების ფრჩხილებამდე და კანის ზედაპირამდე. ადამიანი თითქოსდა აღივსება სპილენძით და ის, რაც შენ აღგავსებს, გარეთ გამოღწევას ესწრაფვის (იხ. ნახ. 4 – ვარდისფერი). გული არის ცენტრი, საიდანაც აღივსება მთელი სხეული. გრძნობ თითქოსდა მეორე სხეულს, მეორე ადამიანს. იწყება ნელი ტკივილი, რომელიც იზრდება. მთელს შინაგანში გრძნობენ წნეხს.

ხელდასხმულის განცდით ამ ყველაფრის განმსჭვალვისას გარკვევით გრძნობენ ასეთი სახით ადამიანში მეორე ადამიანს. თუ ეს გრძნობები ისე განიცდება, რომ გრძნობ რა საკუთარ თავში მეორე ადამიანს, რომლითაც მოდიხარ ამ სამყაროში დაბადების გავლით, რომელიც ექვემდებარება აღზრდას, რომლის წყალობითაც უმზერ სამყაროს საკუთარი თვალებით, აღიქვამ მოვლენებს და გაგაქვს ისინი ყველგან, მაშინ ოკულტური სავარჯიშოების წყალობით შეძლებ მეორე ადამიანის აღქმასაც, რომელიც შენში იწვევს აღწერილ წნეხს. ეს მეორე ადამიანი ძალზე თავისებურია. მას არა აქვს დიფერენცირებული თვალები და ყურები, ის თითქოსდა მთლიანად თვალი და ყურია, ის ჰგავს აღქმის ერთიან ორგანოს. ის ზუსტად აღიქვამს და შეიგრძნობს სწორედ ისეთ საგნებს, რომელთაც ჩვენ ჩვეულებრივ ვერ აღვიქვამთ. სამყარო ჩვენთვის მოულოდნელად მდიდრდება. ამ მეორე ადამიანის დახმარებით, რომელიც აგებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც თავისებური სახის სპილენძის ადამიანი, შესაძლებელია გარკვეული დროის განმავლობაში, – ეს არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს, მხოლოდ რამდენიმე წამს, ვინაიდან წამებშიც შესაძლებელია ბევრი რამის განცდა, – გამოსვლა საკუთარი სხეულიდან, როგორც გველი გამოძვრება ძველი ტყავიდან, და სულიერი სახით თავისუფალი გადაადგილება სინათლეში. მართალია, ეს პროცედურა

იწვევს სულ უფრო მეტ ტკივილს, მაგრამ შესაძლებელია გამოყოფა საკუთარი სხეულიდან, მისგან გამოსვლა.

ამდენად, შესაძლებელია გარეთ გამოსვლა. ახლა, ამ გამოსვლისას განიცდება გაცილებით მეტი, ვიდრე იქ დარჩენის შემთხვევაში. როცა დაეუფლები ამ პროცესს, სხეულიდან ამ გამოსვლას, ეს საშუალებას მოგცემს, უპირველეს ყოვლისა, თვალი მიაღვენო ახლახან გარდაცვლილი ადამიანის გზას იმ ქვეყნიურ სამყაროში, რომელშიც იგი შეაბიჯებს გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე დღეში. ამდენად, ვთქვათ, მავანმა გაიარა სიკვდილის კარიბჭე; ყველა ძაფი, რომლებიც თქვენ გაკავშირებდათ ამ ადამიანთან, წყდება და მას ასაფლავებენ ან კრემაციას უკეთებენ, იგი უკვე აღარ არის დედამიწაზე.

როცა ჩემ მიერ აღწერილი ამ მეორე ადამიანით გამოდიხარ სხეულიდან, შესაძლებელი ხდება, თვალი მიაღვენო იმ სამშინველის შემდგომ გზას, რომელმაც განვლო სიკვდილის კარიბჭე. შენ რჩები ამ სამშინველთან ერთად და განიცდი, სიკვდილის კარიბჭის გავლის შემდეგ, როგორ ხდება ამ სამშინველის მიერ პირველ წლებსა და ათწლეულებში უკვე განცდილის უკუმიმოხილვა. ეს ნამდვილ რეალობად იქცევა, მისი განჭვრეტა შესაძლებელია. ამის დაკვირვება შესაძლებელია, თუ გარდაცვლილთან ერთად გაგაგრძელებთ მოგზაურობას. თავის მიერ აქ დედამიწაზე უშუალოდ სიკვდილის წინ განცდილს იგი განიცდის უკუსვლით, ყველაფერს ხელახლა განიცდის უკუმიმართულებით: ჯერ მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ მოვლენებს, შემდეგ წინარეს და აშ. მიწიერი ცხოვრების ხანგრძლივობის მესამედი უკუმიმართულებით განიცდება თვით დაბადების მომენტამდე. თუ ადამიანმა მიაღწია სამოცი წლის ასაკს, მაშინ ცხოვრების ასეთი უკუმიმოხილვა გრძელდება დაახლოებით ოცი წელი. აქ შესაძლებელია მათ მივსდით.

მსგავსი განცდის მთავარი თავისებურებაა ის, რომ ამ სახით ბევრ რამეს სწავლობენ ადამიანზე უშუალოდ მისი გარდაცვალების შემდგომ. ადამიანი განიცდის თავისი ცხოვრების გამოცდილებას უკუმიმართულებით არა მარტო ისე, როგორც მათ შეიმეცნებდა აქ დედამიწაზე. თქვენის ნებართვით მოვიყვან ერთ უხემ მაგალითს. დავუშვათ, გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე ვიღაცას სილა გააწანით, ცხადია, ეს მხოლოდ მაგალითია; მაშინ თქვენ გამოძრავებდათ მრისხანება, რომელიც გასცდა ზღვარს. ეჭვგარეშეა, არც ერთი თქვენგანი ამას

არ გააკეთებდა, მაგრამ მე ვიღებ უკიდურეს მაგალითს. ამდენად, ვთქვათ, ვერ მოთოკეთ თავი, განრისხდით და ვიღაცას მი-  
აყენეთ მშვიდნიერი და ფიზიკური ტანჯვა. თქვენ დაკმაყოფილ-  
დით, მაგრამ შეცდომის გამო ვიღაცა დასაჯეთ.

ახლა კი, როცა თქვენ მიდიხართ უკუმიმართულებით და მი-  
უბრუნდებით ამ შემთხვევას, თქვენ კი მას მიუბრუნდებით დაახ-  
ლოებით ერთი წლის შემდეგ, თქვენ სულაც არ განიცდით სა-  
კუთარ მრისხანებას, არამედ – სხვის მშვიდნიერ და სხეულებ-  
რივ ტკივილს. თქვენ მთლიანად ესისხლხორცებით სხვა ადამი-  
ანს. მშვიდნიერ დონეზე სილას თავად მიიღებთ და ფიზიკურ  
ტკივილსაც ჭეშმარიტად განიცდით. ეს ეხება ყველა განცდას.  
თქვენ ყველა მოვლენას ზუსტად ისე განიცდით, როგორც განი-  
ცადა სხვამ. თქვენ ყველაფერში მისდევთ სხვა ადამიანს.

თქვენ ხედავთ, რომ იმ დროებში, რომელზეც მე მოგიყვებით,  
– ძველ ქალდეაში, რომელიც თავის კულტურულ იმპულსებს  
იღებდა მისტერიის სიღრმეებიდან, – ადამიანებმა ამ მოვლენე-  
ბის შესახებ ბევრად მეტი იცოდნენ, ვიდრე ახლა. ამ ქალდევე-  
ლებთან არსებობდა რაღაც ღირსშესანიშნავი. იმ დროებში  
ცხოვრებაში ამოსავალი წერტილი იყო არა გული, როგორც  
ჩვენთვის, არამედ – ხორხი. ქალდეველებისთვის ბუნების შესა-  
ბამისი ცნობიერება იყო თავისებური სახის რკინის ცნობიერება.  
ისინი განიცდიდნენ გარეთ, სამყაროში მომხდარს. მათ დედამი-  
წა ჯერ კიდევ არ წარმოედგინათ ისეთი მძიმე წონის, როგორც  
– ჩვენ. როცა ისინი განიცდიდნენ განსაკუთრებით სასიამოვნო  
მომენტებს ცხოვრებაში, ფიზიკური სხეულის გარეთ, – მაგალი-  
თად, როცა ისინი მიდიოდნენ მარსზე და ურთიერთობდნენ მის  
მაცხოვრებლებთან, – მაშინ მათთვის ზოგჯერ დგებოდა განსა-  
კუთრებული წამიც, როცა მათთან მთვარიდან ჩამოდიოდნენ რა-  
ღაც არსებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ აღქმის სწორედ იმ  
ფორმების წარმოქმნას, რომელიც ჩემ მიერ აღწერილი ადამი-  
ანისთვის არის ნიშანდობლივი. მაშინ ირიბი გზებით, – გარეგ-  
ნულ სამყაროში, – ქალდეველები შეიმეცნებდნენ ამაღლებულ  
ჭეშმარიტებებს, რომლებიც ეხებოდა სიკვდილის შემდგომ  
ცხოვრებას. სწავლებას ისინი გადიოდნენ გარეთ, სამყაროში.

ჩვენს ეპოქაში ამის საჭიროება უკვე აღარ არის. ჩვენ შეგ-  
ვიძლია უშუალოდ მივსდით მიცვალებულებს. შეგვიძლია მა-  
თი თანხლება, როცა ისინი უკუმიმართულებით განიცდიან  
განვლილი ცხოვრების მოვლენებს, ამასთან სუბიექტი და ობი-

ექტი ადგილებს ცვლიან. აღსანიშნავია, რომ მეორე ადამიანთან ერთად საკუთარი სხეულის დატოვებისას გრძნობ, როგორ ხედები სხვა სამყაროში, გაცილებით უფრო რეალურში, ვიდრე ჩვენი მიწიერი სამყაროა. ამ დატვირთული სისხლსავსე რეალობასთან შედარებით, რომელშიც მაშინ შედიხარ, ჩვენი მიწიერი სამყარო მთელი თავისი განცდებით წარმოგვიდგება უმნიშვნელო ჩრდილის სახით.

როცა გარდაცვლილებს მივყვებით აღწერილი სახით, მთელ გარემოცვას ვგრძნობთ ორმაგად, სამმაგად უფრო მნიშვნელოვნად, წონადად, აქ სამჯერ უფრო ნათელი, სამჯერ უფრო ხმამაღალი და წონადია ყველაფერი, ამასთან წარმოჩნდება უფრო რეალურად, ასე რომ მთელი ფიზიკური სამყარო თანდათან გვეჩვენება უბრალო ჩრდილად. როცა ამ სამყაროში შედიხარ ხელდასხმულის ცნობიერებით, მაშინ ფიზიკურ სამყაროს აღიქვამ როგორც ნახატების ნაკრებს და შესაძლებელია, რომ ხელდასხმულს, რომელიც ხშირად ურთიერთობს მიღმური სამყაროს მაცხოვრებლებთან, რომელიმე მიცვალებულმა უთხრას: თქვენ ყველანი თითქოს დახატულები ხართ. თქვენში არაფერია რეალური და სრულებითაც არ წარმოადგენთ სინამდვილეს. ვინაიდან ჭეშმარიტი სინამდვილე პირველად მხოლოდ ყოფიერების მეორე მხარეს იხსნება. თავისი რეალობით ის აღემატება ჩვენსას. ეს რეალობა, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, შეიძლება ჩვენი გამოცდილების შემადგენელ ნაწილად იქცეს.

შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა გაიხსენოს ჩემი *დრამა-მისტერიები*\*. მათი მკითხველების წრე გაიზარდა მას შემდეგ, რაც ისინი ითარგმნა ინგლისურ ენაზე. მათში გამოყვანილია პერსონაჟი შტრადერი. ეს ფიგურა აღებულია ცხოვრებიდან. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა ერთი პიროვნება და სწორედ ის წარმოადგენს, ცხადია, მხატვრულად და პოეტურად გადამუშავებულს და არა ფოტოგრაფიულად გამოხატულს, ამ პერსონაჟს, შტრადერს. ეს პიროვნება მე მაინტერესებდა თავისი ცხოვრების პერიოდში. თავიდან ეს ადამიანი იყო ბერი – კაპუცინო, შემდეგ მოხდა მკვეთრი გარდატეხა და მან დაიწყო ფილოსოფიის შესწავლა, იშვიათად თუ მოინახულებდა დორნახის მახლობლად მდებარე მონასტერს. მე გადავამუშავე და შევცვალე ამ ადამიანის სახე. ასე გაჩნდა ჩემს დრამა-მისტერიებში შტრადერის ფიგურა – ეს მხოლოდ მსგავსებაა და არა იგივეობა.

ამასობაში დაიწერა მეოთხე მისტერია. თქვენ იცით, რომ მეოთხე მისტერიაში შტრადერი კვდება.. მე არ შემეძლო ამ სურათ-ხატის კიდევ განვითარება, ამიტომ დავუშვი მისი სიკვდილი. მეხუთე მისტერიაში ის ვერ გამოჩნდებოდა. მისი პერსონაჟი ამოვიღე იმიტომ, რომ მე მას ვეღარ დავახასიათებდი. რა იყო ამის მიზეზი? დიახ, თქვენ ხედავთ, რომ სწორედ იმ პერიოდში პერსონაჟის პროტოტიპი, რომელიც კაპუცინიდან ფილოსოფოსად იქცა, გარდაიცვალა და იმ ინტერესის გამო, რომელიც მუდმივად მქონდა ამ პიროვნების მიმართ, მომეცა შესაძლებლობა, მას მივყოლოდი მიღმურ სამყაროში. იქ იგი თავს გაცილებით უფრო რეალურად ავლენდა. ის, რასაც პირველ რიგში აღწერენ, როცა საქმე აქვთ ფიზიკურ სამყაროსთან, უინტერესო ხდება იმასთან შედარებით, რასაც განიცდი, როცა მიყვები ასეთი სახის პიროვნებას მისი სიკვდილის შემდეგ.

ამასთან მოხდა ძალიან საინტერესო რამ. ანთროპოლოგებიდან ზოგიერთებმა დაიწყეს ამ შემთხვევის კვლევა; მათ აღმოაჩინეს, – ზოგიერთები ხომ ძალზე მოხერხებულები არიან, განა ასე არაა? – რომ შტრადერის პროტოტიპი გახლდათ აღწერილი პიროვნება. მათ შეისწავლეს მისი არქივი, სადაც იპოვეს ბევრი მნიშვნელოვანი რამ და ეს ყველაფერი მომიტანეს, თან ივარაუდეს, რომ მე გამოვაგლენდი აღფრთოვანებას ამ პიროვნების მემკვიდრეობისადმი. მაგრამ ჩემში ვერანაირი ინტერესი ვერ წარმოიქმნებოდა. პირიქით, ძალზე ცოცხალ ინტერესს იწვევდა ყველაფერი, რასაც ეს ადამიანი აკეთებდა სიკვდილის შემდეგ. ეს გაცილებით უფრო რეალური მოვლენებია. მათ ფონზე გაქრა ყველანაირი გარეგნული, რაც არქივებში შენარჩუნდა.

ცხადია, ჩემი უინტერესო დამოკიდებულება ეწინააღმდეგებოდა ამ მკვლევარების მოლოდინსა და არქივების მოპოვებაზე მათ მიერ დახარჯულ უზარმაზარ ძალისხმევას. მე დღემდე ვემხრობი საკუთარ პოზიციას, იმიტომ, რომ მიწიერი რეალობა უბრალო ილუზიად წარმოჩნდება იმ მძაფრ რეალობასთან შედარებით, რომელსაც ხვდები, როცა აკვირდები პიროვნების გზას მისი სიკვდილის შემდეგ, როცა ის იმყოფება იმ სამყაროში, რომლის გახსნაც შეიძლება თავად საკუთარი თავის შიგნით, თუ აღწერილი სახით საკუთარი მეორე ადამიანით გამოვალთ სხეულიდან, თუნდაც ხანმოკლე დროით; თუმცა ამ ხანმოკლე შუალედშიც შეიძლება ძალზე ბევრი რამის განცდა.



უშუალოდ ჩვენს გრძობად-ფიზიკურ სამყაროს ესაზღვრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდაცვლილთა სამყარო, ოღონდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ მასში შემსვლელის თანხლებისას გრძობა განცდების გაძლიერებულ სიცხადეს, ვინაიდან მათ იზიარებ გარდაცვლილებთან. შენ უკვე აღარ ვარდები უგონო მდგომარეობაში, ვინაიდან ცნობიერება მტკიცდება. თუ საკუთარი ცნობიერებით მადლები გულის სფეროზე, მაშინ ცნობიერება უფრო ნატიფი ხდება; დგება გულყრის მდგომარეობა. თუკი საკუთარი ცნობიერებით ჩადიხარ გულის სფეროს ქვემოთ, მაშინ ცნობიერება მკვრივდება და შედიხარ რეალურ სამყაროებში. საჭიროა მხოლოდ გქონდეს ძალა, აიტანო ეს ყველაფერი. ეს სამყაროები გაწვება, გაყენებს ტკივილს. თუ გაგაჩნია საკმარისი სიმამაცე, მაშინ შეგიძლია მასში შეაბიჯო (იხ. ნახ. 4).

ამდენად, ჩვენ გვაქვს ყოველდღიური ცნობიერება გულში (I), მეორე ცნობიერება ხორხში (II), მესამე ცნობიერება თვალის არეში (III), მეოთხე – ცოტა ზემოთ თავში (IV), ამასთან ის მთლიანად გადაღვრილია კოსმოსში, შემდეგ გვაქვს მეხუთე ცნობიერება (V), რომელიც ახლა უკვე სივრცობრივ სამყაროებში კი არ წარმართავს, არამედ უკან – დროითში. შეაბიჯებს დროში. ასეთი ცნობიერების მოპოვებით მოძრაობ დროის ნაკადში, მისდევ გზებს, რომლებსაც გადიან გარდაცვლილები, ტოვებ სივრცეს და შედიხარ დროში.

ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ ყველაფერი, არსებითად, გადაიტანება ცნობიერების სხვა მდგომარეობაში. სხვა სამყაროები მისაწვდომია, როცა გადადიხარ ცნობიერების სხვა მდგომარეობაში. აქ, დედამიწაზე, ჩვენ ვცხოვრობთ ერთ, ერთადერთ სამყაროში, ვინაიდან ვუფლობთ ერთადერთ ცნობიერებას, ხოლო ცნობიერების სხვა მდგომარეობების დროს უბრალოდ გუძინავს. სხვა სამყაროთა მკვლევრის საიდუმლოება არის ის, რომ თავად ადამიანი ხდება თავისი ცნობიერების შიგნით სხვა. ვინაიდან სხვა სამყაროებში შედიხარ არა მდიდარი ფანტაზიის ან კვლევის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენების წყალობით, არამედ ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობის გარდაქმნით მის სხვა მდგომარეობაში, ანუ ცნობიერების ტრანსფორმაციის მეშვეობით.

მეოთხე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 14 აგვისტო  
სხვა სამყაროთა კვლევის საიდუმლო  
ცნობიერების მეტამორფოზის მეშვეობით

*ლითონური საფუძვლის კავშირი  
ადამიანის ცნობიერების სხვა მდგომარეობებთან*

მე უკვე ვისაუბრე, მინერალურის ფორმასა და სუბსტანციურობაზე, ლითონურ საფუძველზე, რამდენადაც ადამიანზე ზემოქმედებისას ის გავლენას ახდენს მისი ცნობიერების მდგომარეობაზეც. სხვადასხვა ლითონის სუბსტანციების თვისებათა განხილვამდე მსურს, წინასწარი შენიშვნის სახით ვთქვა: შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ჩემ მიერ ნათქვამი არის რეკომენდაცია, გამოვიწვიოთ ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც გადაგვახვევინებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენთვის ნიშანდობლივისაგან, როცა მივიღებთ ასეთი სახის სუბსტანციებს ფიზიკურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, კვების პროდუქტის სახით. როცა საუბრობენ სულიერ სამყაროში შესვლის მეთოდებზე, ინტიმური სახის შინაგან ვარჯიშებსა და განსწავლაზე, მაშინ ადამიანები სიამოვნებით პასუხობენ: მე ვისურვებდი რაიმეს გაგებას სხვა სამყაროებზე, ცნობიერების სხვა მდგომარეობებზე, მაგრამ ძალიან რთულია რეკომენდებული სავარჯიშოები; ეს ძალზე დიდხანს გრძელდება.

ადამიანები სიამოვნებით იწყებენ ამ ვარჯიშებს. შემდეგ ებმებიან ცხოვრებაში, რომელიც ასე სავსეა ჩვეულებებით და შედეგად ვარჯიშისას თანდათანობით კარგავენ შინაგან ენთუზიაზმსა და ინტენსივობას. დროთა განმავლობაში მათთვის საერთოდ არ რჩება ადგილი მშვიინვიერ ცხოვრებაში. საბოლოოდ ადამიანი შედგეს ვერ აღწევს – მშვიინვიერი ვარჯიშები მას არახელსაყრელი ეჩვენება. როცა ვსაუბრობ, მაგ., იმაზე, რომ, ვთქვათ, გარკვეული ლითონები დაკავშირებულია ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებთან, მაშინ ადამიანები იოლად ამბობენ: დიახ, ეს ხელსაყრელია. სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაში ვინმესთვის თვალის მისადევნებლად თუ საჭიროა უბრალოდ მივიღო ცოტაოდენი სპილენძი, მაშინ ეს რატომ არ უნდა გავაკეთო, ეს ხომ საშუალებაა

მომცემდა გარდაცვლილს თან გაგყოლოდი მთელი მისი მშვინვიერი ცხოვრების გავლით.

საქმე კიდევ უფრო სარისკო ხდება, როცა ადამიანები იგებენ, რომ მსგავსი მოვლენები ხორციელდებოდა უძველეს მისტერიებში, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმათი მხრიდან, ვინც ხელდასხმულები იყვნენ. როცა ეს ესმით ადამიანებს, მაშინ ისინი ამბობენ: რატომ არ შეიძლება ამ ძველი მეთოდების ხელახლა განახლება? აქ არ ითვალისწინებენ იმას, რომ ადამიანთა სხეულები თვით ყველაზე შინაგანამდე, სრულიად სხვაგვარი იყო უძველეს დროებში, ვიდრე დღეს. რა იყო მაინც უძველეს დროებში, ასევე იმ ქალდეურ დროში, რომლებზეც მე ვისაუბრე ამ დღეებში და რა იყო ამ ადამიანებთან, უფრო სწორი იქნება ითქვას, რა არ არსებობდა?

თქვენ ხედავთ, რომ არ არსებობდა ჩვენი თანამედროვე ინტელექტუალობა. ადამიანები არ ფიქრობდნენ ისე, როგორც დღეს ფიქრობენ, მაგრამ თავიანთ ფიქრებს და აზრებს შეიგრძნობდნენ როგორც ინსპირაციას. ისევე, როგორც ჩვენი თანამედროვე ცნობიერებით თავად არ წარმოვქმნით ვარდის წითელ ფერს, არამედ ეს ვარდი ახდენს ჩვენზე ასეთ შთაბეჭდილებას, ასევე ნათელი იყო ძველი ადამიანებისთვის, რომ აზრები მათთან მოდიოდა საგნებისგან, ისინი მოაქვს ინსპირაციას. ასე იყო იმის გამო, რომ იმ ძველ დროებში სხეულებრიობა სრულიად სხვაგვარი იყო. თავად სისხლის შემადგენლობის ჩათვლით სხეულებრიობა იყო სრულიად სხვა.

აი, რატომ აძლევდნენ ნეოფიტებს იმ უძველეს დროებში უშუალოდ მშვინვიერი სავარჯიშოების შესანარჩუნებლად ლითონებს, – ამაზე მე უკვე მივუთითე, – წარმოუდგენლად ნატიფ, როგორც ახლა ამბობენ, მაღალ ჰომეოპათიურ დოზაში. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მთელი სხეული იმ დროს იყო სრულიად სხვაგვარი. მაღალპოტენციურებული სპილენძის მიღებამდე ძველი დროების ასეთი ადამიანი, ეს კი ეხება ქალდეის დროსაც, აუცილებლად იღებდა მითითებას გარკვეული მშვინვიერი სავარჯიშოების შესასრულებლად, რომელთა კეთებაც მას ევალებოდა არა უბრალოდ რამდენიმე დღის, არამედ წლების მანძილზე. ხოლო სპილენძის მიღებით მას, იმის გამო, რომ მისი სხეულებრიობა მოწყობილი იყო სხვაგვარად, უნდა ევარჯიშა იმაზე, რომ შეეგრძნო ის, თუ როგორ ზემოქმედებს სხეულის ზედა ნაწილებზე მის სისხლში მოძრავი სპილენძი, ეს ნატიფად განაწილებული, მაღალი პოტენ-

ციის სუბსტანცია. საფუძვლიანი ვარჯიშების შემდეგ იგი მიღებულ სპილენძს განიცდიდა ასეთი სახით: სიტყვები, რომლებიც გამოდის მისი პირიდან, თითქოს და უფრო თბილი ხდება იმ მიზეზით, რომ სწორედ სითბო ვრცელდება მისი ხორხის მიდამოში, ასევე ნერვებში, რომლებიც ხორხიდან ტვინისკენ მიდის.

აღწერილი პროცესი უკავშირდება იმას, რომ ძველი დროის ადამიანი სხეულის სხვაგვარი წყობის გამო თავის თავში ავითარებდა ნატიფ მგრძობელობას იმისადმი, რაც მასში ხდებოდა. თანამედროვე ადამიანს თუ მაღალპოტენციურ სპილენძს მივცემთ რაიმეს შეცვლის გარეშე, მაშინ ზემოქმედება ამ შემთხვევაშიც მოხდება, მაგრამ ის იქნება ისეთი, რომ თავიდან მას უბრალოდ ასტივდება ყელი და მეტი არაფერი. თუ ადამიანებს ეცოდინებათ ეს განსხვავება ძველი და თანამედროვე ადამიანის სხეულებრივ ორგანიზაციებს შორის, მაშინ არ იქნება ის ხარბი სწრაფვა, გადავიდნენ ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში გარკვეული ნივთიერებების მიღების გზით, როგორც ეს ხდებოდა ჯერ კიდევ ძველ დროებში, მეტიც, აქა-იქ გვხვდებოდა შუა საუკუნეებშიც.

ჩვენს დროში ერთადერთი ჭეშმარიტი გზა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი მშვიდგონებულ დონეზე ეცნობა სპილენძის ბუნებას და არსს, როგორც ეს გუშინ აღვწერე, როცა იგი იქმნის ისეთ შეგრძნებას სპილენძის ფერზე, როგორც ის არის მისი პოვნისას, როცა სპილენძი გაპრიალებულია; ჭეშმარიტი გზა მდგომარეობს ნატიფი მგრძობელობის განვითარებაში იმისადმი, როგორ ავლენს თავს სპილენძი შაბიამანში და მსგავს შემთხვევებში. როცა ადამიანი ასეთი სახით იქმნის რაღაც გრძობას, რაზეც მედიტირებს და ახდენს კონცენტრაციას, მაშინ ის ახალ ადამიანზე მართებული სახით მოქმედებს.

თქვენ შეგიძლიათ თქვათ: დიახ, მაგრამ შენს დაწერილ წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“, არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი იმაზე, რომ საჭიროა სპილენძის ამ სახით გამოყენება. მართალია, ასეთი მასში არაფერია, მაგრამ იქ არის ბევრი სხვა რამ. უპირველეს ყოვლისა, ეს სხვა რამ პრინციპულად უკვე არის ჩემს წიგნში, მხოლოდ არა უშუალოდ სპილენძთან მიმართებით, არამედ – სხვა საგნებთანაც. მასში აღწერილია, როგორ მართებთ კრისტალების, მცენარეების და ა.შ. ბუნებაში შეღწევა; ნაჩვენებია საჭირო ელემენტარული სავარჯიშოები. ცხადია, იქ არ არის საუბარი იმაზე,

რომ საჭიროა სწორედ სპილენძის ბუნების შემეცნება. მაშინ მომიწევდა არა მხოლოდ ერთი წიგნის დაწერა, არამედ – თხზულებების მთელი კრებული. ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობს, ვინაიდან მითითებულ წიგნში მოყვანილია *სავარჯიშოები საკუთარი თავის ნდობაში\**, ვარჯიშები კონცენტრაციაში სრულიად განსაზღვრულ თემებზე. ეს კი თავის თავში, ნაწილის სახით, მოიცავს იმას, რაც ითქვა სპილენძის ბუნებაზე. წიგნში არ არის საუბარი, რომ საჭიროა ყურადღება მივაპყროთ სპილენძის ბუნებას, არამედ მოცემულია რეკომენდაცია: შეეცადე აიღო რაიმე მარტივი შინაარსი და კონცენტრირება მოახდინო მასზე ყოველ დილით და საღამოს. ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ საჭიროა კონცენტრაცია სპილენძის ბუნებაზე, ოღონდ ეს გამოხატულია სხვა სიტყვებით. ის, რაც შეიძლება მოცემულ იქნას ლითონების ბუნებასთან დაკავშირებით, მოცემულია მშვიდგონებრივი შინაარსის დონეზე.

მე ვეუბნები მავანს: შენ ყოველ დილა-საღამოს კონცენტრაცია უნდა მოახდინო განსაზღვრულ მშვიდგონებრივ შინაარსზე, მაგალითად „სინათლეში იღვრება სიბრძნე“, შემდეგ როცა ეს კეთდება, როცა მას ნამდვილად აკეთებენ, ის ვლინდება შენს სამშვიდგონებელში. მისი ზემოქმედება ისეთია, მე რომ მეთქვა: შეისწავლე სპილენძის ბუნება ყოველმხრივ და მასზე მოახდინე კონცენტრაცია. განსხვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში მე ამოვდივარ მორალურიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში – უშუალოდ ფიზიკური პრინციპიდან, ქიმიური საწყისიდან. იმისთვის, ვინც არ არის უშუალოდ ქიმიკოსი, უმჯობესი იქნება, თუ სულიერ სამყაროში შევა მორალური გზით.

ამდენად, თქვენ ხედავთ, როგორ უნდა მოვეკიდოთ ამ მოვლენებს, ვინაიდან გზა, რომელსაც ადამიანი შეჰყავდა სულიერ სამყაროში უძველესი მისტერიების დროს, დღევანდელი თანამედროვე ადამიანისთვის სრულიად მცდარი იქნებოდა. დღეს მართებულია ის გზა, რომელიც გარეგნულ ბუნებრივ ფიზიკურს ცვლის უფრო მორალური, მშვიდგონებრივი სახით. ვინაიდან ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან სრულიად სხვაგვარი გახდა ადამიანური სხეულებრიობის განვითარების ზეგავლენით. სისხლის შემადგენლობა, თავად სისხლის მიმოქცევა, საერთოდ ადამიანის მთელი კონსტიტუცია ჩვენს დროში სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ძველ ქალღვევლებთან. ჩვენი სხეული სრულიად სხვაგვარი გახდა.

ანატომს ამაში ვერ დავარწმუნებთ. ჯერ ერთი, იგი მეტწილად მუშაობს გვამებზე. ახლახან ერთ საბუნებისმეტყველო შეკრებაზე ასეთი მოთხოვნაც კი გამოითქვა: მოგვეცით გვამები! ანატომებს ჰგონიათ, რომ გვამები არ ჰყოფნით ყველა საბუნებისმეტყველო საიდუმლოების კვლევისთვის: მოგვეცით გვამები! ყვირიან ისინი. თუმცა ქალდეველთა გვამების მოპოვება ამ საკითხების კვლევისთვის ძალიან რთული იქნებოდა! მიუხედავად ამისა, ანატომი თავისი უხეში საშუალებებით ასევე ვერაფერს იპოვიდა. ასეთი საკითხების კვლევა საჭიროა სულიერი გზით.

ამდენად, ჩვენი დღევანდელი სხეულებრიობა სრულიად განსხვავდება უძველესი წინაპრების სხეულებრიობისაგან. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შევეხოთ ერთ სრულიად განსაზღვრულ მოვლენას. ჩვენ შეგვიძლია ჩვენს დროშიც ვაწარმოოთ მაღალპოტენციურებული სუბსტანციები, – მაგ., ლითონები მაღალ განზავებაში. ძველებისგან განსხვავებით ჩვენ რა გვამოძრავებს? ის, რომ ბუნების არსის სწორედ სიღრმისეული განხილვა გვაძლევს საჭირო ორიენტაციას, მიმართულებას. ადამიანური სხეული თუ ნამდვილად ვიცით, მაშინ ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი იცვლება ყველა იმ ლითონის მეშვეობით, რომლებიც ვახსენეთ: კალა, სპილენძი, ტყვია და ა.შ. ეს ცვლილება უკვე აღვწერე უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ცვლილების მაგალითზე.

ამასთან, ადამიანის სხეულში ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხდება, თუ გამოვიყენებთ არც თუ კარგ ობივატელურ გამოთქმას, პათოლოგიური ცვლილებები. ვთქვათ, მაგ., გვაქვს ცვლილებები სფეროში, რომელზეც გუშინ ვთქვი, რომ ის ასხივებს სპილენძის მოქმედებას. ასეთი ცვლილებები აისახება საჭმლის მონელების ორგანოთა მოქმედების სხვადასხვა დარღვევაში, ნივთიერებათა ცვლისა და ადამიანის შესაბამისი ორგანოების დარღვევებში. დარღვევები ხდება სწორედ იმ ნაწილში, რომელიც უპირატესად უკავშირდება ნივთიერებათა ცვლას, საჭმლის მონელებას, სხეულში საკვების განაწილებას. ორგანიზმში ნებისმიერი დარღვევა, რომელსაც ჩვეულებრივ ავადმყოფობას უწოდებენ, დაკავშირებულია ასევე ცნობიერების მდგომარეობის ცვლილებასთან. ამ ფენომენის შეფასება ჯერ კიდევ მოგვიწევს მთელი თავისი მნიშვნელობით.

ჩვენ როცა გვაქვს დაავადებული ორგანო, ეს რას ნიშნავს? გუშინ უკვე ვთქვი: ჩვენს დროში ადამიანს ყოველდღე აქვს ღვიძლის ცნობიერება საკუთარი გულის წყალობით; ადამიანის ორგანიზაციის სხვა ორგანოები განსხვავებული მდგომარეობე-


ბით გამოირჩევიან, ამიტომ უბრალოდ ვერ მაღლდებიან ცნობიერების მდგომარეობამდე. თქვენი ყელის არეს იმ ყველაფერთან ერთად, რაც დაკავშირებულია ტვინთან, გააჩნია ცნობიერების მუდმივი მდგომარეობა, რომელიც მე გუშინ აღვწერე ჩვეულებრივის გვერდით. საჭმლის მონელების ორგანოს სფეროსაც აქვს ცნობიერების მუდმივი მდგომარეობა, რომელიც ჩვენ თან გვახლავს დროში, გარდაცვლილები კი გაივლიან სიკვდილის შემდეგ (იხ. ნახ. 5). ეს მდგომარეობა მუდმივად სახეზეა ადამიანში. ყოველი ჩვენგანი განიცდის იმათ ცხოვრებას, ვისთანაც შეხება ჰქონდა მას შემდეგ, როცა მათ გაიარეს სიკვდილის კარიბჭე. ამას განვიცდით გულის დონის ქვემოთ და არა თავად გულში. ამიტომაც არ ვიცით ამის შესახებ არაფერი. ამიტომ რჩება ეს ყველაფერი ჩვენი ცნობიერების მიღმა, ქვეცნობიერში.

იმ სფეროში, რომელშიც ადამიანი თანდათანობით განიცდის გარდაცვლილთა ცხოვრებას მათი სიკვდილის შემდგომ წლებში, თუ ხდება დარღვევა, სწორედ საჭმლის მონელების დარღვევა, რომელიც აღიქმება, როგორც ავადმყოფობა, მაშინ იქ, დაბლა იცვლება ცნობიერების მდგომარეობა. გულზე დაბლა განლაგებულ სფეროში ხდება ცნობიერების გაძლიერება. რას ნიშნავს, მაგ., გქონდეს გარკვეული სახის კუჭის დაავადება? ფიზიკურ დონეზე, ცხადია, ეს ნიშნავს იმას, რასაც ექიმი ფიზიკურად აღწერს. ის, რასაც აქ გადმოვცემ, არანაირად არ ეწინააღმდეგება ფიზიკურ მედიცინას. ჩვენ მას მთლიანად ვადიარებთ და ვაფასებთ. ანთროპოსოფიაში ჩვენ არ ვიზიარებთ დილეტანტის თვალსაზრისს, მაღალი წრის წარმომადგენელთა საქმეში ჩაუხედაობასა თუ შარლატანობაზე, რომელიც არ ცნობს მედიცინას, აკრიტიკებს ან ლანძღავს მას. ჩვენ მთლიანად ვადიარებთ მედიცინას. მაგრამ როცა საუბარია კუჭის გარკვეულ ფიზიკურ დაავადებაზე, მაშინ იმის გვერდით, რასაც მედიცინა აღწერს, ავადმყოფს ეძლევა იმის უნარი, თვალი მიაღვენოს მეორე ადამიანის ცხოვრებას უშუალოდ მისი სიკვდილის შემდეგ. ამდენად, რისი თქმა შეიძლება სპირიტუალური თვალსაზრისიდან გამომდინარე?

ცხადია, რომ დაავადების სიმპტომატიკას, უპირველეს ყოვლისა, აღწერენ თერაპიული თვალსაზრისით, ანუ ყურადღებას ამახვილებენ დაავადების ფიზიკურ მხარეზე. სპირიტუალური თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანში ვლინდება სწრაფვა სიკვდილის შემდგომ მოგზაურობაში მიჰყვას ადამიან-

ნებს, რომელთაც იგი იცნობდა ცხოვრებაში. მაგრამ მას არა აქვს უნარი, ჩაეფლოს ცნობიერებაში, რომელიც მის გულს ქვემოთაა. ის ვერ აცნობიერებს, რომ შედის გარდაცვლილების სფეროში. ასეთია დაავადების საპირისპირო, სპირიტუალური მხარე. კუჭის დაავადება არის შედეგი გარდაცვლილებთან მჭიდრო კავშირისა. როცა ადგილი აქვს ასეთ ინტენსიურ ურთიერთობას, მაშინ გარდაცვლილების მხრიდანაც ასევე იზრდება აქტივობა. ჩვენში შემოდის ძალზე ბევრი რამ იმ სამყაროდან, რომელზეც გუშინ ვისაუბრე, რომ ის გაცილებით უფრო რეალურია ვიდრე ფიზიკური სამყარო. როცა სასწორის წონასწორობა დარღვეულია, მაშინ იყენებენ მის საპირწონეს, ანუ პინა თუ გადაიხარა ერთ მხარეს, მაშინ მეორე მხარეს უნდა დაიდოს უფრო მძიმე საწონი.

ვთქვათ, მავანმა ადამიანმა საკუთარი გულის ქვემოთ წარმოქმნა, – თუმცა ეს მისთვის ქვეცნობიერში რჩება, – ისეთი ცნობიერება, რომლის დროსაც ის ძალზე დიდ ხანს რჩება გარდაცვლილებთან, რომელიც ჰგავს სასწორის პინის გადახრას ერთ მხარეს. ამას ახლავს საგრძნობი შედეგები. ამდენად, საჭიროა სასწორის თავისუფალ პინაზე დაიდოს საპირწონე. ეს როგორ კეთდება?



ახ. 5

1. rot – წითელი. 2. orange-ნარინჯისფერი. 3. zu starkes Bewußtsein-ჰიპერტროფირებული ცნობიერება.



თუ აქ (მიუთითებს, იხ. ნახ. 5) სახეზეა ჰიპერტროფირებული ცნობიერება, მაშინ იქ (წითელი) ცნობიერება შესუსტებული უნდა იყოს, ვინაიდან გული არის სასწორის წონასწორობის ცენტრი (ნარინჯისფერი). ამდენად, ჩვენ ცნობიერება უნდა განვმსჭვალთ აი, ამ სფეროში (წითელი). ამას როგორ მივაღწიოთ? თქვენ ადამიანს აძლევთ სპილენძს. როგორც უკვე გითხარით, თანამედროვე ადამიანის სხეულებრივი ორგანიზაცია ისეთია, რომ სპილენძი მოქმედებს მის ყელზე. საჭიროა ვიცოდეთ, რომ საჭმლის მომნელებელი ორგანოები და ყელი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, როგორც – სასწორის თეფშები. ერთის რეგულირება შეიძლება მეორის მეშვეობით. თუ ადამიანს მივცემთ სპილენძის შესაბამის დოზას, მაშინ იგი თავისი განკურნებისთვის გაივლის გარდაცვლილთა სფეროს მიღმა მაშინ, როცა იგი ჩვეულებრივ უფრო მეტად იმყოფებოდა მასში. ასეთია მკურნალობის სპირიტუალური მხარე.

სწორედ ამიტომ დღეს ამბობენ: ყველა სუბსტანციას, ყველა სუბსტანციურობას გააჩნია ისეთი ფიზიკური და მორალური მხარეები, როგორც ადრე აღვწერე. ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ფიზიკური მხარე შეიძლება გამოყენებინათ უძველეს ხელდასხმულებს თავიანთ მოწაფეებთან მიმართებით, როგორც მე ეს გითხარით; ამჟამად ამის გამეორება უკვე აღარ გეშარტება. დღეს მორალური სუბსტანცია განეკუთვნება მშვინვიერი განვითარების სფეროს; ფიზიკური სუბსტანცია ეკუთვნის ექიმს. მორალურ მხარესთან დაკავშირებით საქმე ის არის, რომ ვინც იცნობს ავადმყოფობის ფიზიკურ მხარეს და ამავე დროს ვისაც აქვს შესაძლებლობები ღრმად შეიჭრას სუბსტანციის ფიზიკურ ნაწილში, მან სუბსტანციის მორალური შემეცნების მხრივაც ასევე უნდა იპოვოს საყრდენი.

სპირიტუალური შემეცნების თანამედროვე პრაქტიკულ გზაზე აუცილებელია, მკაცრად გაემიჯნოთ შემდეგი: სუბსტანციურობის ფიზიკური მხარე ეკუთვნის ექიმს; მორალური მხარე არის იქ, სადაც მშვინვიერი განვითარებაა, ვინაიდან ადამიანური ორგანიზმი ძირეულად შეიცვალა უძველესი დროიდან. ოდესღაც სუბსტანციების მორალური და ფიზიკური მხარეების ურთიერთკავშირი წარმოადგენდა ინტიმურ ელემენტს შემეცნების გზაზე, შემდეგ ეს ინტიმური ელემენტი დაიკარგა და ახლა კვლავ უნდა აღდგეს. შემდგომში ვისაუბრებ ამ დანაკარგზე. ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს, მაგ., ფიზიკურ

სამედიცინო მეცნიერებასა და მორალურ მეცნიერებას შორის, დღეს სრულიად სხვა უნდა იყოს, ვიდრე ეს იყო უძველეს დროში. ამ მოვლენების გაცნობიერებაზეა დამოკიდებული იმ ჭეშმარიტი და მცდარი გზების განჭვრეტა, რომელთაც სპირიტუალურ სამყაროში შეჰყავთ.

*შემეცნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების  
ცვლილება ისტორიული განვითარების მსვლელობაში*

სასარგებლო იქნება, ჩვენ მიერ გადმოცემულის უფრო მკაფიოდ გასაშუქებლად თუ დაეაკვირდებით ადამიანთან დაკავშირებით შემეცნებაში განხორციელებულ ცვლილებას უძველესი დროიდან. საჭიროა ამოვიდეთ თანამედროვეობიდან და წავიდეთ უკან კაცობრიობის განვითარების წარსულისკენ, რათა ვნახოთ, რამდენად განსხვავებულად საუბრობდნენ შემეცნებისა და კვლევის სფეროსთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ჩვენს დროში, როცა თვალს გადავაგვლებთ სიტბური ძალების, ელექტრობის, ასევე ცოცხალ ორგანიზმებში მოქმედი ძალების შემეცნებაში ახალი დროის დიად, მნიშვნელოვან წარმატებებს, მაშინ საუბარია ბუნებაზე და ბუნების შემეცნებაზე, ბუნებისმეტყველებაზე, ხოლო ინგლისში საუბრობენ ბუნების ფილოსოფიაზე, ნატურფილოსოფიაზე.

რასაც ჩვენს სკოლებში პირველი კლასიდან ასწავლიან, როგორც ბუნებისმცოდნეობას, არის რაღაც სრულიად აბსტრაქტული, ე. წ. ბუნების კანონების ჯამი. ამ საგნის აბსტრაქტული ხასიათი აღიბეჭდება თავად ცხოვრებაზე. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამდენად აბსტრაქტულია ბუნებისმეტყველების შემსწავლელი სტუდენტის შეგრძნებები და გრძნობები, თუნდაც ის ენთუზიაზმით იყოს აღსავსე. მან ზეპირად უნდა ისწავლოს, ვთქვათ, ბოტანიკაში უამრავი მცენარისა და მცენარეთა სახეების სახელები, ხოლო ზოოლოგიაში – ცხოველებისა და ცხოველთა ჯგუფების. მას ნასწავლი ავიწყდება და გამოცდების ჩაბარებისას ყოველთვის თავიდან უნდა ისწავლოს. გამოცდების შემდეგ მას კვლავ ავიწყდება ეს ყოველივე და როცა დასჭირდება, ლექსიკონებში ეძებს. ჩვენ, ალბათ, ვერაფრით ვიტყვით, რომ ამჟამად ბოტანიკის ან ზოოლოგიის შემსწავლელი ადამიანის დამოკიდებულება ამ საგნებისადმი იყოს, მაგ., ისეთი, რო-

გორიც საყვარელი პიროვნებისადმი. ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია. დღეს ეს ასე არაა.

ბუნება არის რაღაც, რაც ნისლში ღღვება. არსებობს უამრავი კანონი: მიზიდულობისა და სითბოს კანონები, კანონი სინათლეზე, ელექტრობაზე, მაგნეტიზმზე, ორთქლზე და წყალზე, კანონები წონასწორობასა და წონასწორობის განსხვავებაზე; ბუნებისმეტყველება, ბუნებისმცოდნეობა არის ის, რაც ვიცით ქვებსა და მცენარეებთან დაკავშირებით. ბუნებისმეტყველება არის ასევე ის, რაზეც ამბობენ, რომ ჯერაც არ იციან: მცენარეების, ცხოველების, ადამიანების ორგანოთა შინაგანი კონსტიტუციის ცხოვრება; მოკლედ, ყველაფერზე, რაზეც დღეს ვამბობთ, რომ ეს ვიცით, ყველაფერზე, რაზეც ვამბობთ, ეს არ ვიცით, არსებითად, არის დღევანდელი ბუნებისმეტყველება, ნატურფილოსოფია.

თავად ბუნებისმეტყველება არის რაღაც, რომელთან მიახლოებაც არ შეგვიძლია, ვინაიდან ეს ყველაფერი გაიფანტება და გაიარება ნატიფად და აბსტრაქტულად. დღეს ჩვენ ვცდილობთ, დავამარცხოთ „ბუნების“ ეს აბსტრაქტულობა. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგიერთები ბუნების ამ აბსტრაქტულობის მიმართ რამდენადმე გულგრილები გახდნენ. ჩვენ ვინარჩუნებთ კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს, თუ არ მივუკუთვნებით ახალგაზრდა თაობას, რომელიც ამჟამად ოპოზიციშია და ეწინააღმდეგება იმას, რასაც სკოლებში ასწავლიან როგორც ბუნებისმეტყველებას. ეს ყოველთვის ასე არ იყო. ახლა მე მსურს, უპირველეს ყოვლისა, დავახასიათო განწყობა და შემეცნების მდგომარეობა უძველეს საუკუნეებში.

თუ მივუბრუნდებით, მაგ., IX-XIII საუკუნეებს, ვნახავთ ადამიანებს, რომლებსაც დღევანდელი გამოთქმით დავარქმევდით სწავლულებს, მეცნიერებს. იმ დროის სულისკვეთებით დავასახელებთ დიად სწავლულებს, რომლებიც ასწავლიდნენ *შარტრის ცნობილ სკოლაში*\* XI, XII საუკუნეებში, მივუბრუნდებით *ბერნარდ სილვესტრს*, *ბერნად ფონ შარტრს*, *ალანუს აბინსულისს*\*. ჩვენ ასევე გავიხსენებთ პიროვნებებს, რომლებიც, მე ვიტყვოდი, წარმოადგენდნენ იმ დროის ხელდასხმულის ისეთ ტიპებს, ანუ ადამიანის ისეთ ტიპებს, რომლებმაც ბევრი რამ იცოდნენ ყოფიერების საიდუმლოებებზე. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი უდიდესი ადამიანები, როგორიცაა *იოახიმ დე ფიორე*\*, რომელიც წარმოადგენდა ხელდასხმულს ამ სიტყვის

შუა საუკუნეებრივი გაგებით, ან უდიდესი ინდივიდუალობა, რომელიც მოქმედებდა იმავე ეპოქაში და მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა *იოანეს ფონ აუვილეს*\* სახელით. მათი დასახელებით სია არ ამოიწურება და მათ შეიძლება მივაკუთვნოთ კიდევ მრავალი სხვაც იმისათვის, რომ ჩავწედეთ იმ დროს და დავახასიათოთ დროის განწყობა შემეცნებასთან მიმართებით.

როცა ჩვენი სამშენველით ვდგავართ ამ ადამიანების წინაშე და ისინი საუბრობენ ბუნებაზე, მაშინ ეს სრულიად სხვა რამეა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ დღეს ბუნებაზე ვსაუბრობთ. ჩვენს დროში, როცა ვხვდებით ბოტანიკოსს ან პათოლოგანატომს ანდა ჰისტოლოგს, მაშინ იშვიათად ჩნდება გრძნობა, რომ მისი ფიზიოლოგია, სახე, რომელიც ჩვენკენაა მომართული, ატარებს პათოლოგიური ანატომიის ან ზოოლოგიის საიდუმლოებათა ანარეკლს. უფრო მეტად გვიჩნდება შეგრძნება, რომ მისმა სახემ შეინარჩუნა იმ ცეკვების ანარეკლი, რომელშიც მან წინა დღეებში მონაწილეობა მიიღო. ჩვენ ამ ფიზიოლოგებში გამჭოლად ვხედავთ უფრო მსგავს მოვლენებს, ვიდრე რაიმეს, მათ მიერ ბუნების საიდუმლოებიდან განცდილს. ეს, ალბათ, არ იყო ასე, როცა თვალეში ჩახედავდნენ იოახიმ დე ფიორეს, ან ალანუს აბ ინსულისს, ანდა ბერნარდოს სილვესტრისს, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ საუკუნეში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. ამ ადამიანთა სახეზე აღბეჭდილი იყო რაღაც ტრაგიკული იერი, ისეთი რამ, რაც ამბობდა: ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, როცა დაიკარგა ბევრი რამ. უღრმესი ცოდნიდან ამოტივტივებული რაღაც ტრაგიკულ-სევდიანი ცხოვრობდა ამ ადამიანთა სახეებში.

ამასთან ერთად, თუ შევხედავდით ამ ადამიანთა თითებს, რომელთაც დღევანდელი დეკადენტი ადამიანი, ალბათ, უწოდებდა ნერვიულს, ჩვენ შევამჩნევდით შემდეგს: ისინი ცოცხალი დასაბუთება იყო ამ ადამიანების სწრაფვისა, კვლავ გაეჩაღებინათ მუშაობა უძველეს საიდუმლოებში, თუმცა მათი სახე იმაზე მეტყველებდა, რომ ეს საიდუმლოები უკვე დაკარგული იყო. შეიძლებოდა იმის დანახვა, რომ ამ ადამიანებში მოქმედებს რაღაც, რაც ისწრაფვის უძველეს დროებში არსებულის ხელახლა აღორძინებისკენ. ზოგჯერ ეს მათთვის მისაწვდომი იყო; ზოგჯერ ახერხებდნენ ისინი იმას, რომ თავიანთი მოწაფეების წინაშე ჯადოსნურად გამოეწვიათ თუნდაც მოჩვენებითი სახით უძველესი დროები.

შეიძლება წარმოვიდგინოთ შარტრის სკოლა, – ეს წარმოდგენა პოეტური სურათი კი არ იქნება, არამედ სინამდვილე, რომელსაც მე თქვენ წინაშე დავაყენებ, – სადაც დღესაც დგას საოცრად მშვენიერი საკათედრო ტაძარი; ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ალანუს აბ ინსულისი, რომელიც ასწავლის და ესაუბრება თავის მოწაფეებს ბუნების შესახებ დაახლოებით შემდეგს: ბუნება – არსებაა, რომლის მოხელთებაც ჩვენ ახლა არ შეგვიძლია, ის ხელიდან გვისხლტება, როცა მასთან მიახლოება გვინდა. კაცობრიობამ განავითარა ძალები, რომელთაც ადამიანები სხვა მოვლენებთან მიჰყავს, მაგრამ მათ უკვე აღარ აქვთ უნარი, ბუნებას ჩასწვდნენ ისე, როგორც სწვდებოდნენ მას უძველეს დროში შემეცნებელნი. ვინაიდან ბუნება იყო მძლავრი დიადი სულიერი არსება, რომელიც მოქმედებდა ყველგან, იქ, სადაც წარმოიქმნებოდა ქვეები მთაში; იქ, სადაც მცენარეები ამოიზრდებოდა დედამიწიდან; იქ, სადაც ვარსკვლავები ციმციმებდნენ ცაზე. ყველგან მოქმედებდა განუზომლად დიადი არსება, რომელიც ვლინდებოდა შესანიშნავი ქალის სახით და რომელიც ცხოვრობდა ყველაფერში. ამას ხედავდნენ უძველესი ადამიანები თავიანთი მზერით. ძველი ადამიანების მიერ მოცემული მითითებებიდან გამომდინარე შეგვიძლია ასევე წარმოვიდგინოთ, რა იყო ბუნება, ყველგან მოქმედი, მოძრავი, რომელიც არის მთელ გარემოცვაში, მთელ სითბოში, სინათლის, ფერადოვნებისა და ყოველგვარი ცხოვრებისეულის გამოვლინებაში, – რომელიც მოძრაობს და ცოცხლობს. მაგრამ ეს ხელიდან გვისხლტება, როცა გვსურს მასთან მიახლოება. ვინაიდან ყველაფერში ცოცხლობს და მოქმედებს ქაღალმერთი ბუნება. ქაღალმერთი, ღვთაებრივ-სულიერი არსება, რომელზეც ვიცით, რომ მისი არსის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მზერა მისწვდება მას.

მსგავს წარმოდგენებს უხსნიდა თავის მოწაფეებს შარტრის სკოლაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში ისეთი პიროვნება, როგორიცაა ალანუს აბ ინსულისი. იმის გამო, რომ ამ ქაღალმერთ ბუნებას სწვდებოდნენ თითქოსდა ნისლში და ხელიდან უსხლტებოდათ, ხოლო ყოველივე ცოცხალის ნაცვლად პოულობდნენ მხოლოდ აბსტრაქციას, ბუნების მკვდარ კანონებს, ეს გახლდათ მიზეზი ტრაგიკული, სევდიანი ნაკვთებისა, რომელიც ამ ადამიანების სახეზე იყო აღბეჭდილი.

გარდა ამისა, არსებობდნენ ისეთი პიროვნებები, როგორც იყო *დანტეს*\* მასწავლებელი, უდიდესი *ბრუნეტო ლატინი*\*, რომელმაც განსაკუთრებული კარმული შემთხვევის წყალობით, ესპანეთიდან ფლორენციაში მოგზაურობისას მიიღო რაღაც მზის დარტყმის მსგავსი და ეს მოვლენა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ველფების (*der Weifen*) განდევნა თავისი საკუთარი ქალაქიდან და ამასთან დაკავშირებული გულისტკივილი, რის შედეგადაც შეიცვალა მისი ცნობიერების მდგომარეობა და მან შეძლო ქალღმერთი ბუნების აღქმა, რომელიც აღწერა თავის წიგნში „*Tesoretto*“. იგი აღწერს სრულიად თვალსაჩინოდ, ცოცხალ იმაგინაციებში, როგორ გაიარა მან ფლორენციიდან სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე უკაცრიელი ტყე და ამ უკაცრიელ ტყეში როგორ მიაღება ერთ მთას, სადაც დაინახა მოქმედი ქალღმერთი ბუნება, როგორ აუხსნა მას ქალღმერთმა ბუნებამ, რას წარმოადგენს ადამიანური სამშინველი აზროვნებაში, გრძნობასა და ნებელობაში, ასევე რას წარმოადგენს ადამიანის ოთხი ტემპერამენტი მისი არსების თანახმად და რა არის ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანოს არსი.

ეს ყოველივე იყო ნამდვილი სულიერ-მშინვეიერი მითითებები, რეალობა, რომელიც მან განიცადა პათოლოგიური მდგომარეობის გავლენით, როგორც ითქვა ფლორენციიდან უკან, ესპანეთისკენ მიმავალ გზაზე. ამ ყველაფრის განცდის შემდეგ მან დაინახა ოთხი ელემენტის: ცეცხლის, მიწის, წყლის, ჰაერის, სიცოცხლე და არსება; დაინახა პლანეტების არსი და ქსოვა, ადამიანური სამშინველის შესვლა ვარსკვლავიერ ცაში. ეს ყველაფერი მოხდა რაღაც სულიერი სწავლების გავლენით, რომელიც მან ქალღმერთ ბუნებისგან მიიღო.

ამ ყველაფერს იმ დროის ადამიანი აღწერს ისე მკაფიოდ, როგორც კი შესაძლებელია დღევანდელი ენისთვის. ამავე დროს იბადება განცდა, რომ ის გრძნობდა: სხეებს, ძველ ადამიანებს ამის შესახებ სრულიად სხვა ცოდნა ჰქონდათ. ეს ცოდნა თანამედროვეობას სულ უფრო მეტად უსხლტება ხელიდან. თუ სურთ ბუნების ამ საიდუმლოებათა განჭვრეტა ისინი ბუნდოვან, პათოლოგიურ მდგომარეობაში უნდა შევიდნენ.

ამავე დროს ეს ადამიანები დაუოკებლად მიისწრაფოდნენ ჯადოსნურად გამოეწვიათ რაღაც ისეთი, როგორცაა ბუნების ეს ნამდვილი გემტალტი (იერ-სახე). თქვენ ხედავთ, რომ ადამიანურ შეგრძნებაში, ადამიანურ აზროვნებაში შემეცნებასთან

მიმართებით ამ უკუ გზის განხორციელებისას ჩვენ გვაქვს გრძნობა: დიახ, ჩვენ დღესაც ვდგავართ ბუნების წინაშე, მაგრამ მას აღვნიშნავთ სახელით, რომელიც არის რაღაც სრულიად აბსტრაქტული, რაღაც კანონების ჯამი. ჩვენ ვამაყობთ, რომ მოვიცავთ ამ კანონებს გარკვეული სახის ჰარმონიაში. ახლა დავიხიოთ რამდენიმე საუკუნით უკან. იქ ჩვენ ვჭვრეტთ ცოცხალ ურთიერთობებს, რომელიც აქვთ ადამიანსა და რაღაც ღვთაებრივ არსებას, რომელიც ცხოვრობდა და მოქმედებდა ყველაფერში, რაც ვლინდებოდა მოვლენებში: მზის ამოსვლასა და ჩასვლას, ქვების გაცხელებასა და მცენარეების გათბობაში, მოკლედ ყველაფერში, რაც ვლინდება და მოქმედებს ცოცხალ ქსოვასა და მოძრაობაში. დაფიქრდით, როგორი სრულიად განსხვავებული მეცნიერებაა ეს! მეცნიერება შეიცავდა ქალღმერთი ბუნების ქმედებებს. ეს იყო მნიშვნელოვანი განსხვავება შარტრის სკოლიდან გამოსული მოწაფეებისა, – ესენი იყვნენ, უმთავრესად, ცისტერციანელი ბერები, – და იმ სტუდენტების განწყობებს შორის, რომლებიც ახლა გამოდიან სასწავლებლებიდან. მაშინ იყო რაღაც სრულიად სხვა და რაღაც ცოცხალი, რაღაც არსობრივი. და ძალზე ცოცხალი არსობრივი იჩენს თავს ისეთ აღწერებში, როგორც ეს არის ბრუნეტო ლატინისთან, დანტეს უდიდეს მასწავლებელთან.

რამდენად ცოცხალი იყო ეს ყოველივე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, ვინაიდან ყველა ის გასაოცარი სურათ-ხატი, რომლებიც აღწერა დანტემ თავის „კომედიაში“, მან აიღო კოსმიური შემთხვევის მეშვეობით ხელდასხმულად ქცეული თავისი მასწავლებლის ცოცხალი აღწერებიდან. ასეთივე სახით ბერი რამ იქიდან, რასაც ასწავლიდნენ შარტრის სკოლასა და მის მსგავსებში, აღებული იყო ისეთი ხელდასხმულისაგან, როგორიცაა იოახიმ დე ფიორე და სხვ.

იმ დროს იყენებდნენ სიტყვა „ბუნება“-ს, მაგრამ არა ისე აბსტრაქტულად, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ, არამედ იმის აღსანიშნავად, რაც მოქმედებს გარეგნულ გრძნობად გამოვლინებებში, თუმცა იმალება, ხელიდან გვისსლტება. შემდეგ ადგილი ჰქონდა კიდევ სხვა რამეს. ვთქვათ, – აქ კვლავ აღვწერ არა პოეტურ სურათს, არამედ რაღაც სრულიად რეალურს, – ჩვენ ვზივართ უკვე ასაკოვანი სტუდენტის სახით, როგორც მას ასევე უწოდებენ ალანუს აბ ინსულისის ლექციაზე. ჩვენ მონაწილეობას მივიღებდით იმაში, რაც იქ ხორციელდებოდა.

სტუდენტებს გაუშვებდნენ და შემდეგ კი წავიდოდიოთ ალანუს აბ ინსულისთან მარტოკა სასეირნოდ, განვიხილავდით რა იმას, რაც იქ ხდებოდა. რას გავიგებდით?

ასეთი საუბარი მიიღებდა რაღაც განსაკუთრებულ ფორმას. ჩვენ შეგვეძლო გვესაუბრა ამ ქალღმერთ ბუნებაზე, რომელიც გვეხსნება გარეგნულ ფიზიკურ გრძობადი სამყაროს გამოვლინებებში და რომელიც ხელიდან არ გვისხლტება. შემდეგ ალანუს აბ ინსულისი, ჩვენთან გულითად საუბარში, ზურგზე ხელს მოგვითათუნებდა და ენთუზიაზმით იტყოდა: კჰ, ჩვენ თუ გვექნებოდა ის სიზმრისეული მდგომარეობა, რომელიც ჰქონდათ ძველებს, მაშინ შევძლებდით სხვა რამის შემეცნებასაც, ანუ – ქალღმერთი ბუნების დაფარული მხრის შემეცნებას. ასევე, თუ შევძლებდით ნათელმხილველურ ძილს ისევე, როგორც – ძველები, მაშინ შევიძლებდით ქალღმერთ ბუნებას. ასე მჭევრმეტყველი ალანუს აბ ინსულისი გულითადად მიუტყაპუნებდა ზურგზე ხელს თანამოსაუბრეს.

ხოლო თუ მოგვიწვევდა გულითადი საუბარი იოახიმ დე ფიორესთან, მაშინ ის იტყოდა: დიახ, ჩვენი ყოვლად უშინაარსო ძილის მიზეზით, როცა ცნობიერება მთლიანად ჩახშობილია, რთულია შევიძინოთ მეორე მხარე ბუნების, დიადი ქალღმერთის, რომელიც თავის შემოქმედ ძალას ავლენს ყველა ქმნილებაში. ძველები მას შეიცნობდნენ თავისი ორივე მხრით. და შენ იცი, – იტყოდა იგი, – ძველები საერთოდ არ იყენებდნენ სიტყვა „ბუნება“-ს. ისინი ქალღმერთ ბუნებას არ უწოდებდნენ არსებას, რომელზეც ახლა მხოლოდ წინათგრძობა გაგვაჩნია და არა ჭეშმარიტი ცოდნა. ისინი იყენებდნენ სხვა სიტყვას – „პროზერპინა“. ეს არის ჭეშმარიტება.

იმ დროებში ამის შესახებ ჯერ კიდევ იცოდნენ რაღაც. ჩვენი აბსტრაქტული ბუნება, რომელსაც იდეებში ვატარებთ, არის მეტამორფოზა იმისა, რაც მე ზემოთ აღვწერე. ის, რაც ცოცხლობდა ისეთი პიროვნებების სამშინველებში, როგორიცაა ბერნარდოს სილვესტრისი, ალანუს აბ ინსულისი, იოჰანეს აუვილე და, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პიროვნებაში, როგორიცაა ბრუნეტო ლატინი, იყო მეტამორფოზა იმისა, რასაც ძველები ჭვრეტდნენ პროზერპინაში, დემეტრას ასულში. დემეტრა, პროზერპინა – ეს იყო მთელი სამყარო! ეს უკვე ძალზე ფილისტერულად ჟღერს, როცა წარმოთქვამენ ახალ სიტყვას, პროზერპინა(სთვის): ბუნებას. ბუნება, რომელსაც შეუძ-



ღია მხოლოდ ნახევრად იმყოფებოდეს გარეგნულ მიწიერ სამყაროში, ნიშნავს, რომ ის თავისი მხოლოდ ერთი, ნახევრად ფიზიკურ-გრძნობადი, მხრით არის მიმართული ადამიანისკენ, ხოლო მეორე – ჩაფლულია სფეროში, რომელშიც ადამიანი აღწევს მხოლოდ ძილში, რომელიც უკვე მიუწვდომელი გახდა ახლა დროში, ვინაიდან ძილი იქცა უშინაარსოდ.

ჩვენი ბუნებისმეტყველება, თუნდაც უარი ეთქვას მის აბსტრაქტულ ბუნებაზე, მხოლოდ იმიტაციაა იმისა, რასაც შეიცავს ძველი ბერძნული მითი პროზერპინაზე. ის ფაქტი, რომ ეს უკვე იგრძნობოდა იმ პიროვნებების სახის ტრაგიკულ გამოხატულებაში, რომელთა სახელებიც მე ვახსენე და თავად ასეთი გრძნობების არსებობის შესაძლებლობა იმ დროებში – გვეხმარება წარმოვიდგინოთ, რამდენად შეიცვალა შემეცნების გზები.

რადაც მსგავსის მართებულ აღწერას, როგორც უკვე აღვნიშნე ჩემი დღევანდელი სიტყვის პირველ ნაწილში, მივიღებთ მხოლოდ მაშინ, თუ წარსულში გადავხედავთ იმას, როგორი იყო შემეცნება ოდესღაც. საქმე ის არ არის, რომ ავადორძინოთ ეს ძველი შემეცნება, არამედ გამოვიწვიოთ ცოცხალი გრძნობა იმისა, რას წარმოადგენდა ის ოდესღაც; სწორედ ამისთვის აღვწერე მე ეს.

### *სურათ-ხატები უძველესი დროიდან*

ჩვენ წინაშე ამოიზიდება კიდევ უფრო ძველი ხატები, როცა გვსურს, სამშინველში შევაკავოთ სიტყვები, რომლებიც შუა საუკუნეებში შეეძლო ეთქვა იოახიმ დე ფიორეს ან იოჰანე აუვილეს: ოდესღაც პროზერპინა იყო ის, რაც დღეს მიგვაჩნია ბუნებად, უფრო სწორად ის, რაც ხელიდან გვისხლტება, ვინაიდან მიუწვდომელი გახდა ჩვენთვის ცხოვრების სხვა მხარეს და ახლა ჩვენთვის მხოლოდ მითოლოგიური პერსონაჟია. ჩვენს სამშინველში ამოიზიდება მითი პროზერპინაზე, რომელიც შენარჩუნდა მხოლოდ როგორც მითი. ეს არის სურათი იმ დროის ცხოვრებიდან, როცა ბუნება ჯერ კიდევ არ იყო აბსტრაქტული, როცა ქალღმერთი ბუნება ჯერაც ცხოვრობდა ადამიანებს შორის, როცა მათ სამშინველებში არ იწვევდა ტრაგიკულ განწყობას, ასევე სურათი იმ დროიდან, როცა ცხოვრობდა პროზერპინა-პერსეფონა თავისი ორგვარი იერით: მოციალეთი მხრივ და ტრაგიკული – მეორე მხრივ.

როგორ ცხოვრობდა ის იმ ეპოქაში და როგორი იყო კაცობრიობის შემეცნებითი ცხოვრება, როცა პროზერპინა-პერსეფონა ჯერ კიდევ სავსე იყო სასიცოცხლო ძალით? ეს იყო, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, არა მაშინ, როცა *პლატონი*\* წერდა ფილოსოფიურ შრომებს, ხოლო *სოკრატე*\* მსჯელობდა ფილოსოფიაზე, არა, ეს იყო გაცილებით ძველ დროებში, როცა თავად შემეცნება იყო ადამიანებში რაღაც შეუდარებლად უფრო ცოცხალი, ვიდრე მოგვიანებით, საბერძნეთის განათლების ეპოქაში.

შევეცადოთ, აზრობრივად დავხატოთ სურათი, რომლის საშუალებითაც საკუთარ სამშინველში გამოვიწვევთ იმას, რაც ოდესღაც, კაცობრიობის განვითარების პროცესში იყო შემეცნება. ეს დაგვეხმარება ჭეშმარიტი სახით წარმოვიდგინოთ, რაც უკვე გამოვიკვლიეთ თანამედროვე პოზიციებიდან, ამას გავაშუქებთ მომდევნო ლექციებში. შევეცადოთ, შევქმნათ, მცირე და არასრულყოფილი სურათი იმისა, რაც ხდებოდა მისტერიებში, რომელშიც განდობილი იყო ბერძენი ფილოსოფოსი *ჰერაკლიტე*, სახელად – „ბნელი“, ვინაიდან უკვე მის ეპოქაში საკმაოდ ბნელად, მშინველურ სიბნელედ შერაცხეს ის ცოდნა, რომელსაც იღებდნენ ამ მისტერიებიდან. შევეცადოთ, ჩვენი სამშინველის წინაშე დავაყენოთ სურათ-ხატი მისტერიათა განვითარების დროიდან, რომელიც ასაზრდოებდა ბერძნულ კულტურას, ავითარებდა ფანტაზიას და აგებდა მითოლოგიას. შევეცადოთ, ჩვენი სამშინველის წინაშე დავაყენოთ ეფესოს მისტერიები, რომელშიც განდობილი იყო *ჰერაკლიტე* – ბნელი.

ეფესოში უძველესი შემეცნებანი გაბატონებული იყო ჰომეროსის ეპოქამდე და შესუსტებული სახით თვით იმ დრომდე, როცა *ჰერაკლიტემ* გაიარა თავისი ხელდასხმა. უძველესი მისტერიები თავიანთ მაქსიმალურ სიცოცხლისუნარიანობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ. ასეთი მისტერიები აღსავსე იყო უდიდესი სიცოცხლისუნარიანობით და არსებობდა ხელდასხმის მძლავრი ნაკადები, რომელთა წყაროც მდებარეობდა აღმოსავლეთის მხრიდან გამოსახულებებით მორთულ ტაძრებში, რომლებიც სამყაროსთვის ცნობილი გახდა ქალღმერთ დიანას გამოსახულებებთან ერთად. ეს იყო ნაყოფიერების ქალღმერთი, რომელიც თავისი მრავალფეროვნებით ბუნებაში ყველგან გამოისატება მოსავლიანობის სიუხვით. ყოფიერების უდიდესი გამოცანები, ღრმად სპირიტუალური საიდუმლოებები იჭრებოდა ადამიანურ სიტყვებში, რომელსაც წარმოთქვამდნენ მისტერი-

ის მონაწილეები ეფესოს ტაძრის ღრმად მაიმპულსირებელი საკულტო მოქმედებების დროს. მიდიოდა ღრმა საუბრები, რომელიც შემდეგ გრძელდებოდა; კულტის მონაწილენი გამოდიოდნენ ამ ტაძრიდან და დაახლოებით სწორედ იმ საათს, როცა გარე სამყარო ყველაზე მეტად ხელსაყრელი იყო მსგავსი მოვლენებისთვის, ბინდ-ბუნდში, დაადგებოდნენ გზას, რომელსაც ტაძრის კარიბჭიდან გასაოცარი ბილიკებით მიჰყავდა აყვავებული მუქმწვანე ხეებით დამშვენებულ ტყეში, სადაც ისინი იკარგებოდნენ უღამაზეს პერსპექტივაში ყველა მიმართულებით ეფესოსკენ. მე მსურდა, მსგავსი სახის საუბრები აღმედგინა თუნდაც არასრულყოფილი ფორმით.

ხდებოდა ისე, რომ იმ დროის საიდუმლოებებში განდობილი მონაწილეობას იღებდა საუბარში მოწაფეთაგან რომელიმესთან, ბიჭთან ან გოგოსთან. აქ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ძველ დროში მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა, რომელიც შემდგომ მალევე გაუქმდა, ნამდვილად უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს არის ჩვენს დროში, ამიტომ ეფესოში მოწაფე ქალებზე შეგვიძლია ზუსტად ისევე ვილაპარაკოთ, როგორც მოწაფე კაცებზე. პროზერპინა-პერსეფონაზე მითი თავისი სპირიტუალური სახით სწორედ ამ საუბრებში იყო სრულიად ცოცხალი.

მაინც როგორ მიდიოდა პროზერპინას მითთან დაკავშირებული ამგვარი საუბარი? მასწავლებელს, ვთქვათ განდობილ ქურუმს, მის მიერ აღქმული იმპულსებიდან გამომდინარე, შეეძლო ესაუბრა საიდუმლოებზე, რომელიც ხდებოდა არსებებს შორის და შეეძლო თავისი აღსაზრდელისთვის ეთქვა დაახლოებით შემდეგი რამ: შეხედე, ჩვენ მივდივართ ბინდში. მალე დადგება ძილის დრო, რომელიც დგთაებრივ სამყაროს ხდის ხილულს, ცხადს. შეხედე საკუთარ თავს მთელ შენს ადამიანურ იერში: იქ ქვემოთ – მცენარეები; ჩვენ გარშემო მწვანე ბინდში ჩაფლული გასაოცარი ტყე. ზემოთ უკვე იწყებს გამოჩენას მოციმციმე ვარსკვლავები. კარგად დააკვირდი ამ ყველაფერს. შეხედე სიდიადეს, სიძლიერეს, მაგრამ ასევე აყვავებულ და ამოზრდილ სიცოცხლეს ზემოთ და ქვემოთ. შემდეგ შეხედე თავად შენს თავს. დაფიქრდი, როგორ ცხოვრობს და მოძრაობს შენში მთელი სამყარო, ყოველ წამს როგორ წარმოინდება მთელი არსებულის გარდაქმნის სისავსე იმ ყველაფერში, რასაც შენში აქვს საკუთარი ყოფიერება, რაც შენში მოქმედებს. იგრძენი, რომ თავად შენ ხარ მთელი სამყარო, რომე-

ლიც, მართალია, სიფრცობრივად უფრო პატარაა, მაგრამ უფრო იღუმალა და დიადი, ვიდრე სამყარო, რომელსაც შენ განიხილავ დედამიწიდან ვარსკვლავებამდე. იგრძენი ეს. როგორც ადამიანმა საკუთარი თავი იგრძენი, – სამყაროდ, რომელსაც აქვს უდიდესი სისავესე, ვიდრე სამყაროდ, რომელსაც ვხედავთ თვალებით და მოვიცავთ აზრებით. იგრძენი სამყარო საკუთარი თავის შიგნით, შენი კანის შიგნით.

შემდეგ შეიგრძენი, როგორ იმზირები საკუთარი სამყაროდან იმ სამყაროში, რომელიც დედამიწიდან ვარსკვლავებამდე აღწევს. მაშინ ჩაეფლობი ძილში და უკვე აღარ იქნები საკუთარ სხეულში, საკუთარ სამყაროში, არამედ – სამყაროში, რომელსაც ჭერეც დედამიწიდან ვარსკვლავებამდე. მაშინ შენ გამოხვალ საკუთარი თავიდან შენივე მშვენიერი-სულიერი ნაწილით, იცხოვრებ ვარსკვლავების ციმციმში, დედამიწის აორთქლებებში. შენ ილივლივებ ქართან ერთად, იფიქრებ ვარსკვლავების სხივებთან ერთად, იცხოვრებ შენს გარე სამყაროში და თვალს შეავლებ იმას, რაც ხარ შენ, როგორც სამყარო თავის თავში.

ასეთი საუბრები შეიძლება მომხდარიყო იმ უძველეს დროებში მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, ვინაიდან გარეგნული ჭერეცა ძველი დროის ღვიძილის მდგომარეობაში ჯერ კიდევ არ იყო ისე მკაფიოდ გამოხატული. ძილი ჯერ კიდევ არ იყო მოცული სრული სიბნელით. ის სავსე იყო ამ განცდებით. მათზე მიუთითებდნენ, როცა საუბრობდნენ სიზმრის მდგომარეობაზე: ახლა შენ გარშემოა პროზერპინა ანუ პერსეფონა, კორე (Kore). კორე ცხოვრობს ვარსკვლავებში, მზისა და მთვარის სხივებში. კორე ცხოვრობს ამოზრდილ მცენარეებში. ყველგან არის პერსეფონას ქმელობა, ვინაიდან მან მოქსოვა სამოსი ყველაფრისთვის, რაც გარშემოა. ამ ყველაფრის უკან იმყოფება დემეტრა, მისი დედა, რომლის გულისთვისაც მან მოქსოვა ეს სამოსი – გარე სამყარო. მაშინ არ იტყოდნენ ბუნებას, არამედ ამბობდნენ პერსეფონას ან კორეს.

შეხედე, თუ ვინმე დარჩება ღვიძილის მდგომარეობაში შენზე დიდხანს, – ასე ეუბნებოდა მასწავლებელი თავის მოწაფეს, – მაშინ იგი, სანამ შენ გძინავს, დაინახავდა ისევე, როგორც შენ იმას, რაც გარეგნულად წარმოჩნდება, როგორც პროზერპინას ხატი მცენარეებში, მთებში, ღრუბლებში, ვარსკვლავებში. ვინაიდან იღუზიაა ის, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ამას. პროზერპინა კი არ არის იღუზია, არც ის, რასაც ის იქმს მთებში, მცენარეებ-

ში, ღრუბლებსა და ვარსკვლავებში, არამედ ის, როგორც შენ ხედავ. აი, რა არის ილუზია. შემდეგ შენ იძინებ. სწორედ მაშინ შენი თვალების მეშვეობით, – ამ გასაოცარი და გამოუცნობი ორგანოს მეშვეობით, – შენში შემოიჭრება კორეპერსეფონა.

ეს წარმოუდგებოდათ არაჩვეულებრივად ცოცხლად, ვინაიდან განიცდებოდა როგორც სრულიად ცოცხალი; ჩაძინებული არა მარტო გრძნობდა, რომ ქრებოდა მისი ხედვის უნარი, ქრება მოსმენისა და აღქმის შესაძლებლობა, არამედ გრძნობდა, როგორ ეფლობოდა პერსეფონა თავისი თვალების მეშვეობით სხეულში, ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში, რომელიც ძილში მიტოვებული იყო მშენივერ-სულიერის მიერ.

ზედა სამყაროს ჩვენ განვიცდით ღვიძილისას; ქვედა სამყაროს განვიცდით ძილის დროს. პერსეფონა თვალების მეშვეობით შემოდის მძინარე ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში. პერსეფონა არის პლუტონთან, ძილის მდგომარეობის ბატონთან ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში. ძილის დროს მოწაფე განიცდიდა პლუტონისა და პერსეფონას ერთობლივ მოქმედებას, რომლებიც მის ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში ეფლობოდნენ; იმ ახსნის წყალობით, თუ როგორ შედის მასში თვალების მეშვეობით კორე, პროცესი ცოცხლდებოდა და მოწაფე განიცდიდა პლუტონისა და პერსეფონას მოქმედებას, მაშინ, როცა მასწავლებელი განიცდიდა სხვა რამეს, რაღაცას, რომელიც უფრო მეტად დაკავშირებული იყო ფორმაქმნადობასთან.

შემდეგ, როცა კვლავ ერთმანეთს ხვდებოდნენ, ორივე ეფლობდა თავის საკუთარ გამოცდილებას. მაშინ წარმოიქმნებოდა შესაძლებლობა ესაუბრათ რაიმე მცენარეზე, ხეზე. მასწავლებელი სიამოვნებით აღწერდა ფორმაქმნადობის პროცესს, ვინაიდან სწორედ ეს შეადგენდა მისი ძილის განცდებს. ის იჭრებოდა ფოთლების, ღეროების ფორმებში, სამყაროს კონფიგურაციაში, იმ კონფიგურაციაში, რომელიც, ასე ვთქვათ, ზევიდან ქვევით ეშვებოდა. მოწაფე ალბათ განიცდიდა სხვა რამეს: მას შეეძლო თითქოსდა მიეღწია იმისთვის, რასაც აღწერდა მასწავლებელი, როცა თავად იგი საუბრობდა ქლოროფილის საიდუმლოებაზე, მცენარეთა წველების საიდუმლოებაზე, წველების, რომელიც ქვევიდან ზემოთ მიედინება მცენარეში. ასეთი საოცარი სახით ავსებდნენ ეს საუბრები ერთმანეთს, მაშინ, როცა ამ საიდუმლოებს ადამიანურ სამშენიველებს უხსნიდა ცოცხალ წვდომაში ქალღმერთი პროზერპინა, რომელიც ადამიანებს სხვა

მხრივ აჩვენებდა ძილში ქვედა სამყაროს; ასე სწავლობდა უძველეს დროებში მოწაფე მასწავლებლისგან და მასწავლებელი – მოწაფისგან. ვინაიდან ერთი მხრივ სახეზე იყო სულიერ-მშენებლის გამოცხადება, ხოლო მეორე მხრივ – მშენებელი-სულიერის. ასეთი სახის საუბარი წარმოიქმნებოდა ადამიანურ ერთობაში, უზენაესი შემეცნებების ერთობლივ განცდაში.

დილისკენ ხედავდნენ ალიონს და განიცდიდნენ აღმოსავლეთიდან ამოსული ღლის მნათობის სხივებს, რომელიც ბრწყინავდა მწვანე ტყის სიბნელეში თავისი შესანიშნავი პერსპექტივით; ატარებდნენ გარკვეულ დროს ამის თუ იმის გამოღვიძებაში იმ სამეფოში, რომელსაც ახლა ჩვენ ბუნების სამეფოს ვუწოდებთ. ეს ყველაფერი კვლავ იღვრებოდა საუბარში. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს წარმოადგენდა ურთიერთობას პერსეფონასთან. ცხადი ხდებოდა, რომ პერსეფონაზე მითის შინაარსი ეს იყო ადამიანის მიერ ბუნების შემეცნების საიდუმლოებანი. საუბრებში, რომლებიც ეყრდნობოდა ეფესოს მისტერიებს, მოქმედებდა ხიბლი, რომელიც მხოლოდ არასრულყოფილად შემეძლო მომენიშნა თქვენთვის. შემდგომში ისინი დაიბინდა და ეს ტრაგიკული სახით აღიბეჭდა ისეთი ადამიანების იერზე, როგორიცაა იოახიმ დე ფიორე; შემდგომში ისინი დაიბინდა იქამდე, რაც ჩვენ ახლა გვაქვს, როგორც აბსტრაქტული „ბუნება“.

ადამიანურ სპირიტუალობისა და კოსმიური სპირიტუალობისკენ გზებს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა მათი დახასიათებისას მივუთითებთ არა მარტო ცნობიერების ცალკეულ მდგომარეობებზე, რომელთა მიღწევაც ადამიანს შეუძლია, არამედ ვუყურებთ იმასაც, როგორ გაივლიდნენ ცნობიერების მეტამორფოზას კაცობრიობის განვითარების პროცესში, როცა ვწვდებით, რამდენად სხვანაირი იყო შემეცნება, რომელიც ვლინდებოდა იმ საუბრებში, რომელსაც აწარმოებდნენ ეფესოს ტაძრიდან გამოსულები. ეს იყო გასაოცარი საუბრები; და მაინც, რამდენად სხვაგვარი იყო საუბრები, რომელთაც აწარმოებდნენ ისეთი პიროვნებები, როგორიცაა იოახიმ დე ფიორე ან ალანუს აბ ინსულისი და რამდენად განსხვავდება მათგან დღევანდელი შემეცნებები; ახლა კი ჩვენ კვლავ უნდა ვეძებოთ, ოღონდ უკვე სულიერი, სპირიტუალური სახით, რათა გარეგნულიდან დავუბრუნდეთ შინაგანს, ზევიდან – ქვედას და პირიქით, შინაგანიდან – გარეგნულს, ქვევიდან – ზედას.

მეხუთე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 15 აგვისტო  
სამშინველის შინაგანი გაცოცხლება  
ლითონური თვისებების მეშვეობით

ადამიანის სპილენძის მდგომარეობა

მე შევეცადე თქვენთვის მეჩვენებინა, ერთი მხრივ, როგორ შეუძლია ადამიანს მივიდეს ყოველდღიური ცნობიერებისგან განსხვავებული ცნობიერების მდგომარეობამდე, ხოლო მეორე მხრივ, ის, რომ ისტორიული განვითარების პროცესში კაცობრიობა ყოველთვის ვერ იმეცნებდა და ვერ მოქმედებდა ცნობიერების ამჟამინდელ მდგომარეობაში. მე თქვენი ყურადღება მივაპყარი ცნობიერების იმ მდგომარეობებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო X-XIII საუკუნეებისთვის და იღვრებოდა ისეთ ფორმებში, როგორშიც მაშინ ხორციელდებოდა შემეცნება, მაგ., შარტრის სკოლაში, მივუთითე იმაზე, რომ ამის წყალობით ადამიანები იძენდნენ ცოდნას, რომელიც თანამედროვე ცნობიერებისთვის მიუწვდომელია, როგორც ეს იყო ისეთ პიროვნებასთან, როგორიცაა *ბრუნეტო ლატინი*, დანტეს უდიდესი მასწავლებელი. გუშინ ასევე შევეცადე, თქვენთვის წარმოგედგინა სამყაროსთან ის თავისებური დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ეფესოს მისტერიებში. აქედან ჩანს, რომ ადამიანები ცხოვრობდნენ სრულიად სხვა ცნობიერებით, რომელიც თითქოსდა ემსგავსება კიდევ თანამედროვე ყოველდღიურ და მეცნიერულ ცნობიერებას.

დღეს ვისურვებდი, გამეგრძელებინა ეს დაკვირვება, რომელიც ეხება იმ მომენტს, რომელშიც თავიდან ისტორიულად ვლინდება რაღაც სახის ეპიზოდი. მე აღვნიშნე, რომ არსებობს კავშირი ლითონურ საფუძველსა, – მინერალური სამყაროს ნამდვილ სუბსტანციურობასა, – და ადამიანის ცნობიერების მდგომარეობებს შორის. ადამიანის ნათესაობა იმასთან, რაც აღვნიშნე ლითონ სპილენძით, ვლინდება უკვე აღწერილ შესაძლებლობასთან, რომ, ასე ვთქვათ, თვალი მივადევნოთ გარდაცვლილების განცდებს მას შემდეგ, რაც მათ განვლეს სიკვდილის კარიბჭე.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ შემეცნებანი, რომლებიც გაეხსნა ბრუნეტო ლატინის ისე, როგორც აღვწერე ორი დღის წინ, მისთვის მისაწვდომი გახდა ნახევრად პათოლოგიური განცდის

წყალობით, გამოწვეული თავისებური სახის მზის დაკვრით, რაზეც უკვე მიგანიშნეთ. და იმას, რასაც ის აღწერს, როგორც ბუნების ქაღალმერთის ინსპირაციის მეშვეობით მოპოვებულს, სინამდვილეში შეიძლება მიაღწიო ჩვენი ყოველდღიური ცნობიერების მსგავს და მოსაზღვრე მდგომარეობაში. ასეთი ცნობიერება შესაძლებლობას იძლევა, თვალი მივადევნოთ გარდაცვლილთა პირველ წლებს, როცა მათ უკვე გადალახეს სიკვდილის კარიბჭე. მე უკვე ვთქვი, რომ ეს მდგომარეობა განმსჭვალულია უფრო მეტი რეალობით. მაშინ ჩვენ ვდგავართ სამყაროში, რომელიც უფრო ძლიერად მსჭვალავს და ანათებს, რომელიც ყველაფერს უფრო ძლიერად აღასრულებს, ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი ფიზიკური სამყარო. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეს ასეა, შესაძლებელია ერთად კეთება იმისა, რასაც ახორციელებს ის, ვინც ცოცხალია ხნის წინ განვლო სიკვდილის კარიბჭე.

ამავდროულად ეს სამყარო გვაჩვენებს რაღაც სრულიად განსაკუთრებულსაც, როცა ვიმყოფებით მასში, რაც ზემოთ აღვწერე, ვხედავთ, ცნობიერების მსგავსი მდგომარეობის მომენტში შეუძლებელია, ვუმზიროთ საკუთარი ჩვეულებრივი დღის განცდებს და იმას, რასაც ვახორციელებთ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, არამედ ვხედავთ საკუთარი ცხოვრებიდან მხოლოდ იმას, რაც უშუალოდ მიწიერ ცხოვრებაში შესვლას უძღოდა წინ და ჯერ კიდევ სულიერ სამყაროში განვახორციელებთ მანამ, სანამ შევაბიჯებდით მიწიერ ცხოვრებაში. ასე რომ, შეიძლება ითქვას: ცნობიერების ასეთ მდგომარეობაში შესვლით ადამიანი იმყოფება უკვე არა იმ სამყაროში, რომელშიც ჩვეულებრივ იმყოფება.

წარმოიდგინეთ ეს გრაფიკულად. როცა ადამიანი იბადება ამ დროს (ხატავს დაფაზე), აღწევს დაახლოებით ორმოცი წლის ასაკს და აგრძელებს ცხოვრებას: იმ მომენტში, როცა მოვლივართ, – თუ ნებას მომცემთ ამას ასე ვუწოდო, – სპილენძის მდგომარეობაში, თქვენ წინა ლექციიდან იცით რაზეა საუბარი, მაშინ საკუთარი შემეცნებით უკვე აღარ ვიმყოფებით თანამედროვეობაში. მას არ შეუძლია ამ დონეზე მოხვედრა ოცდაათხუთმეტი ან ოცდაათი წლის ასაკში, არამედ შეუძლია მხოლოდ იმისკენ მიბრუნება, რასაც სულიერ სამყაროში განიცდიდა უშუალოდ საკუთარი დაბადების წინ. ეს ეხება თავად მას; ერთადერთი, რაც მისთვის მიუწვდომელია, გაუგებარია სხვა ადამიანებისთვის – ეს არის ის, რაც ხდება აქ და ახლა. ეს სამართლიანია მხოლოდ ადამიანებთან დაკავშირებით.



ცხოველებთან დაკავშირებით მნიშვნელობა აქვს არა იმას, რაც არიან ისინი, ჩვეულებრივ, ფიზიკურ სამყაროში, როგორც მათ ვხედავთ, არამედ ვიმზირებით ზევით, მომდევნო სამყაროში და ვხედავთ იმას, რასაც მე ჯგუფური ან სახეობის სამშინველი ვუწოდებ. ვხედავთ, გარკვეული სახით, ცხოველთა ჯგუფების აურას. საერთოდ, როცა შემდეგ ვიმზირებით სამყაროში, ვხედავთ მას შეცვლილს და ვსწავლობთ რაღაცის შეცნობას, რაც არსებითად ძალიან მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის, მაგრამ რასაც საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას თანამედროვე, მატერიალისტური აზროვნების ეპოქაში.

იმ ყველაფერთან ერთად, რისი გაგებაც შესაძლებელია ამჟამად, თვით უმაღლესი სამეცნიერო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე, თუ წარვდგებით ისეთი არსების წინაშე, როგორცაა ქაღალმერთი ბუნება, რომელზეც ადფრთოვანებით საუბრობდნენ მასწავლებლები შარტრის სკოლაში, საუბრობდნენ ბერნარდ სილვესტრი, ალანუს აბ ინსულისი და სხვები, მაშინ საკუთარი ამუამინდელი შემეცნებით თავს ვგრძნობთ უცოდინარობის სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში. ვინაიდან საკუთარ თავს ვეუბნებით შემდეგს: შენ, არსებითად, თანამედროვე ცოდნისა და შემეცნების თანახმად იცი მხოლოდ რაღაც, რასაც კავშირი აქვს იმ სამყაროსთან, რომელსაც განიცდი დაბადებასა და სიკვდილს შორის; ეს უკვე არის მცდარი, როცა ეფლობი მომდევნო სპირიტუალურ სამყაროში საკუთარი ცნობიერებით და შეგიძლია მისდომო მიცვალებულებს სიკვდილის მიღმა.

ჩვენ ვსწავლობთ ქიმიას. მაგრამ იმას, რასაც ქიმიაში ვსწავლობთ, ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ სამყაროსთვის, რომელშიც ვცხოვრობთ დაბადებასა და სიკვდილს შორის. მთელ ქიმიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სამყაროში, რომელშიც გარდაცვლილებს თან მივყვებით სიკვდილის შემდეგ. ყველაფერს, რასაც ვსწავლობთ ფიზიკურ სამყაროში, იმ სამყაროსთვის საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; იმ სამყაროში ყოფნისას ეს წარმოადგენს მხოლოდ მოგონებას. და ის სამყარო, რომელიც არის იქ, მყისიერად წარმოჩნდება ჩვენ წინაშე და ვგრძნობთ, რომ ყოველდღიური სამყარო, რომელშიც ასე ბევრი რამ ვისწავლეთ, ქრება. ასე მყისიერად მოიზიდება სხვა სამყარო.

დაეუშვათ, ჩვენ გვაქვს მთა ამ სამყაროში, რომელშიც ვიმყოფებით დაბადებასა და სიკვდილს შორის. მთა ამ სამყაროს-

თვის არის საკმაოდ მკვრივი. ჩვენ მას ვუყურებთ შორიდან. ის აირეკლავს სინათლეს, რომელსაც მას აძლევს მზე. ჩვენ მას ვხედავთ მის ფორმებში, მის კონტურებში, მივდივართ მისკენ და სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებით. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის ბარიერია, თუ მასზე ასვლას გადავწყვეტთ. ის ჩვენზე ახდენს რაღაც რეალურის შთაბეჭდილებას. ახლა გადავიდეთ სხვა სამყაროში. იმ ყველაფრის მნიშვნელობა, რაზეც ვსაუბრობდით, როგორც მყარზე, იმაზე, რაც აირეკლავს სინათლეს, – ქრება, ხოლო ის, რაც თითქოსდა მოდის მთიდან, სულ უფრო დიდდება, რაც ჩვენზე ახდენს სხვა რეალობის შთაბეჭდილებას.

შემდეგ აქ, ამ ყოველდღიურ სამყაროში ყოფნისას ვხედავთ, მთის წვერზე ღრუბლებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იქ, ზემოთ არის კონდენსირებული ორთქლი. ის სცილდება თავის რეალობას. ამ ღრუბლიდან კვლავ სრულიად სხვა რამე მოდის. ის, რაც იქ ვნახეთ, მიდის, უერთდება ამ სულ უფრო მეტად გამჭრალ ღრუბელს, მთას და წინა პლანზე გამოდის რაღაც ახალი, სრულიად ახალი რეალობა. ის არაა უბრალოდ ნისლი, არამედ არის ის, რასაც აქვს გეშტალტი და ასეა ყველა საგანთან და მოვლენასთან მიმართებით. ჩვენ აქ ვხედავთ ასეთ უამრავს, მაგალითად, მრავალ ადამიანს. იმ წამს, როცა თქვენ შეაბიჯებთ სულიერ სამყაროში, მკაფიო კონტურები ქრება. სამაგიეროდ, ამ ყველაფრისაგან მოდის – მშვინვიერ-სულიერი. მთელი გარემოცვიდან მოდის რაღაც, რაც იდუმალად სუფევს ჰაერში და მთელ გარემოცვაში. ის გვიახლოვდება. წარმოჩნდება ახალი სამყარო. ამ სამყაროში იმყოფება გარდაცვლილი თავისი სიკვდილის შემდეგ.

შემდეგ ჩვენ სხვა რამესაც ვიგებთ. თუ არ იქნებოდა ეს სამყარო, რომელშიც ახლა შევებიჯეთ, თუ ის არ იქნებოდა ყველგან, სადაც არსებობს ის სამყაროც, რომელსაც ვუმზერთ დაბადებასა და სიკვდილს შორის, მაშინ ჩვენ, როგორც ადამიანებს, არ გვექნებოდა არც თვალები, არც ყურები და საერთოდ არანაირი გრძნობის ორგანო. ვინაიდან ქიმიკოსისა და ფიზიკოსის მიერ აღწერილ სამყაროს არ შეუძლია ჩვენთვის გრძნობის ორგანოების მოცემა. ჩვენ სრულიად მოკლებულნი ვიქნებოდით მათ, ვიქნებოდით ბრმები და ყრუები. ჩვენში არ წარმოიქმნებოდა გრძნობის ორგანოები.

გასაოცარი იყო, რომ ესპანეთიდან დაბრუნებული ბრუნეტო ლატინი თავის მშობლიურ ქალაქ ფლორენციასთან მიახლოე-

ბისას, მზის მსუბუქი დაკვრის შედეგად, როგორ გადავიდა სხვა სამყაროში. მაშინ მან შეამჩნია: როგორც ადამიანს, მას საკუთარი გრძნობები შეიძლებოდა ამ სხვა სამყაროდან ჰქონოდა. ის იქნებოდა გრძნობების გარეშე, თუ ეს სხვა სამყარო არ განმსჭვალავდა ჩვეულებრივ ხილულ სამყაროს. შესაბამისად, ადამიანი სწორედ ისეთია, როგორც არის მხოლოდ იმის წყალობით, რომ მის სხეულში ჩანერგილია გრძნობის ორგანოები და ეს ამ მეორე სამყაროს გამოვლინებაა.

ყველა დროში ამ მეორე სამყაროს, – და ჩვენც შეგვიძლია ამ სახელის გამოყენება, – უწოდებდნენ ელემენტების სამყაროს. იქ აზრი არა აქვს ვისაუბროთ ჟანგბადზე, წყალბადზე, აზოტზე და ა.შ. მათზე საუბარი შეიძლება მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის ცხოვრებაში. იქ საუბარი შეიძლება მხოლოდ ელემენტებზე – მიწა, ჰაერი, წყალი, ცეცხლი, სინათლე და ა.შ. ვინაიდან წყალბადისა და ჟანგბადის სპეციფიკურ თავისებურებებს არანაირი კავშირი არა აქვთ ჩვენი გრძნობის ორგანოებთან. რასაც ქიმიკოსი პოულობს იასა და ფუნაში სუნის სახით, ფუნის სუნი კი არც თუ სასიამოვნოა, აქ ქიმიურ ანალიზს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს; პირიქით, ყველანაირი სუნი მეორე სამყაროში გასულიერებულია. იმ სამყაროს თვალსაზრისით, რომელშიც გარდაცვლილი შედის სიკვდილის შემდეგ, სუნები შეიძლება მივაკუთვნოთ ჰაერის ელემენტს, მაგრამ იქ ეს უაღრესად დიფერენცირებული ელემენტი მთლიანად გასულიერებულია. ასე რომ, ჩვენი გრძნობის ორგანოები განფესვილია ელემენტარულ სამყაროში, იმ სამყაროში, სადაც ჯერ კიდევ აზრი აქვს საუბარს მიწაზე, წყალზე, ჰაერზე, ცეცხლზე და ა.შ.

თქვენ ხედავთ, იქიდან ჩვენკენ მოდის მართებული აზრები მცდარი აზრების საპირისპიროდ. თანამედროვე ფილოსოფოსი, რომელიც მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, ძალზე გონიერი გახდა და გადალახა ძველი დროების ნაივური შეხედულებები, როგორ მსჯელობს? ის ამბობს: ძველი დროის შეხედულებები იყო ძალზე უხეში. ძველები საუბრობდნენ მხოლოდ უხეშ ელემენტებზე – მიწაზე, წყალზე, ცეცხლზე, ჰაერზე. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს 70-80 ელემენტი და არა ოთხი ან ხუთი. რომელიმე ბერძენი რომ აღმდგარიყო, კი არ გარდასხეულებულიყო, არამედ სწორედ აღმდგარიყო ისეთი, როგორც მაშინ იყო და მოესმინა ასეთი ნათქვამი, მაშინ ის იტყოდა: ცხადია, თქვენ გაქვთ ჟანგბადი, წყალბადი და ა.შ. ეს თქვენი ელემენტებია.

მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ, რა აზრი იღო ჩვენს ოთხ ელემენტში. ამას თქვენ უკვე ვერ ხედავთ. ამაზე უკვე არაფერი იცით. თუმცა თქვენი სამოცდათორმეტი ან სამოცდათხუთმეტი ელემენტით შეუძლებელია გრძნობის ორგანოების წარმოქმნა, ვინაიდან ისინი წარმოიქმნება ჩვენი – ოთხიდან. ამდენად, ჩვენ უკვე ვიცნობდით ადამიანს, ვფლობდით ცოდნას იმაზე, როგორ აისახება ადამიანში ის გარეგნული, პერიფერიული, რაც გარეგნული გრძნობის ორგანოებით არის განმსჭვალული.

მხოლოდ მაშინ შეიძლება იმ შთაბეჭდილებების შეფასება, რომელსაც იღებდნენ უძველეს დროში ხელდასხმასთან მიახლოებული ბრუნეტო ლატინის მსგავსი ადამიანები, თუ გულისხმობდა მოვეკიდებით იმ რყევას, იმ შოკს, რასაც მოიცავდა და განიცდიდა სამშინველი. ბუნებრივია, თუ მაგანს აქამდე სჯეროდა, რომ მისი თვალებით დანახული და ყურებით მოსმენილი იყო რეალობა, ხოლო შემდეგ მივიდა იმის ცოდნამდე, რომ ამ რეალობას არ შეეძლო თუნდაც თვალებისა და ყურების წარმოქმნა, რომ ამის მიღმა უნდა არსებობდეს ის, რაც მე აღვწერე, მაშინ ეს, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს გასაოცარი სახით.

აქ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვერ მივალთ ვერანაირ მსგავს შემეცნებასთან, თუ ბუნებას ჩვეულებრივ მკვდრად აღვიქვამთ და დავრჩებით ისეთი, როგორც ვართ სხვა შემთხვევაში. ყველაფერი იწყებს გაცოცხლებას, როგორც კი შევაბიჯებთ იმ სამყაროში. ჩვენ ვეუბნებით საკუთარ თავს: დიახ, მთა, რომელიც ჩვენ ვიცით, მკვდარია. ჩვენ საერთოდ არ ვიცოდით, რომ მასში არის რაღაც ცოცხალი. მაგრამ ის მასში ცოცხლობს. ახლა ის იქ არის. ადრე ღრუბელი მკვდარი გვეჩვენებოდა. ახლა იქ ვლინდება ცოცხალი ის, რაც მასშია, რაც ადრე არ გვინახავს. ყველაფერი ცოცხალი ხდება. და ამ ცოცხალ ქსოვაში იხსნება ასევე არსებების მყოფობა.

აქ უკვე ვეღარ მოვიპოვებთ ბუნების კანონებს ჩვენი ტვინიდან, არამედ ვდგავართ სულიერი, სპირიტუალური არსის წინაშე, არსება ბუნების წინაშე, რომელიც გვეუბნება და გვაჩვენებს ამას, გვაწვდის რეალურ უწყებებს. მაშინ ნამდვილად ვიწყებთ იმ მოვლენების გაგებას, რომელიც ჩვენ გარშემოა, ვურთიერთობთ ზეგრძნობადი სამყაროს არსებებთან; ამგვარად, სამყაროს წმინდა აბსტრაქტული კანონზომიერებიდან ჩვენ შევაბიჯებთ არსებითში, სადაც იმის მაგივრად, რომ თავი მოვუყაროთ ბუნების კანონებს ექსპერიმენტებისა და განსჯის

გზით, ჩვენ წინაშე ვგრძნობთ სხვა სამყაროს არსებებს, რომლებიც გვამცნობენ შემეცნებებს, ვინაიდან მათ იციან ის, რაც ჩვენ, როგორც ადამიანებმა, ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ.

ასე შეაბიჯებენ სულიერ სამყაროში მართებული გზით. შემდეგ მიდიან ასეთ განცდამდე: შენ თუ გეჭნებოდა მხოლოდ გრძნობის ორგანოები, თუ იარსებებდა მხოლოდ თვალები თავისი მხედველობის ნერვებით, ცხვირი თავისი ყნოსვის ნერვებით, ყურები თავისი სმენითი ნერვებით, ამასთან თუ გადაჭრიდნენ ამ ნერვების შემაერთებელ დაბოლოებებს, მაშინ საერთოდ ვერ გაიგებდნენ, რომ არსებობს ის ყველაფერი, რასაც ჩვენ აღვიქვამთ დაბადებასა და სიკვდილს შორის, არაფერი გვეცოდინებოდა ჟანგბადზე, წყალბადზე, აზოტზე და ა.შ. მაშინ შეხედავდნენ ელემენტების სამყაროს. ყველგან დაინახავდნენ მიწას, წყალს, ჰაერს, ცეცხლს. ხოლო ის, რაც იქნებოდა შემდგომი დიფერენციაცია მყარის, თხევადის და ა.შ., ისევე უინტერესო იქნებოდა ჩვენთვის, როგორც ხურდა ფული მილიონერისთვის. ეს უბრალოდ აღარ დაგვაინტერესებდა. ჩვენ, როგორც გრძნობებით აღჭურვილ ადამიანურ არსებებს, ელემენტარულ სამყაროზე გვაუწყებენ ჩვენი ნერვები, რომლებიც სცილდებიან გრძნობის ორგანოებს. იმ მომენტში, როცა ნათქვამს გავაცნობიერებთ, ასევე გავაცნობიერებთ, რომ უკანა გზაზე ეს ნერვები, სულ უფრო დიფერენცირებითა და სრულყოფილების მიღწევით, აგებენ ისეთ ორგანოს, როგორცაა ჩვენი ტვინი. ამიტომაც აღარ ვღრმავდებით მეტად თავის თავში, არამედ გავდივართ გარეთ და ოთხ ელემენტს: მიწის, ცეცხლის, წყლის, ჰაერის არსებას ვუერთებთ სხვას, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვსწავლობთ დაბადებასა და სიკვდილს შორის.

მთელი ეს ტვინი, რომელიც ფორმირდება უკან მომავალი მხედველობითი, სმენითი და სხვ. ნერვების დაბოლოებებით და რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის როგორც ადამიანებისთვის, ღირებულებას იძენს მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის. თავის ქალის ქვეშ ასე ნატიფად ორგანიზებულ ორგანოს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მიწიერი ცხოვრებისთვის. სულიერი სამყაროსთვის ტვინი რაღაც სრულიად არაარსებითია. ამიტომაც არის აუცილებელი ტვინის მთლიანად გამოთიშვა, თუ გვსურს ჩვენი სამყაროს მომიჯნავე სულიერ სამყაროში შეღწევა. ტვინი უნდა გაითიშოს. უზენაესი ჭვრეტისთვის ტვინი საშინელ წინაღობას წარმოადგენს. ამავდროულად, ტვინის გა-

თიშვასთან ერთად საჭიროა გრძნობის ორგანოთა ცხოვრების შენარჩუნება, და ასეთ შემთხვევაში მათი მეშვეობით შემოიჭრება გამოდვიძებული სპირიტუალი; შემოდის იმაგინაციური შემეცნება. ჩვეულებრივ ფიზიკურ სამყაროში გრძნობები აღიქვამენ გრძნობად ხატებს და ტვინი მათ გარდაქმნის აბსტრაქტულ აზრებში, ამ მკვდარ აბსტრაქტულ აზრებში. როცა გამოვთიშავთ ტვინს და კვლავ ვიწვებთ გრძნობებში ცხოვრებას, მაშინ ყველაფერს კვლავ იმაგინაციებში შევიგრძნობთ. ეს ნამდვილად ასეა. შემდეგ ასევე იგებენ, რომ უფრო ცხოვრებისეულ მდგომარეობებში ჩაფლობა დაკავშირებულია ცნობიერების მაღალი სულიერი მდგომარეობების განვითარებასთან, ვიდრე ისინი, რომლებიც გაგვაჩნია ჩვეულებრივ ცხოვრებაში.



ნახ. 6

1. rot - წითელი . 2. orange - ნარინჯისფერი

ამ სამყაროს მუდმივად აღიქვამენ ჩვენი გრძნობების ორგანოები, რომლებიც არსებითად ხედაპირზე, პერიფერიაზე განლაგებული – თვალები, ყურები (ნახ. 6-ზე, წითელი); ჩვენ ვიმყოფებით აქ, ჩემო ძვირფასო მსმენელებო. ჩვენს პერიფერიაზე განლაგებული ჩვენი გრძნობის ორგანოები აღიქვამენ ელემენტარულ სამყაროს. მასში ისინი ასევე ხედავენ წლების წინ გარდაცვლილებს. ეს ყველაფერი წაშლილია ჩვენს ცნობიერებაში იმის გამო, რომ გრძნობის ორგანოების უკან არის ტვინი (ნარინჯისფერი). ახლა მე აქ ვდგავარ ჩემი ტვინით, ჩემი გრძნობის ორგანოებით. ის ადამიანი, რომლის სხეულის პერიფერიაზეც არის განლაგებული გრძნობის ორგანოები, იმზირება სულიერ

სამყაროში და იქ ჭვრეტს გარდაცვლილთა ყოფიერებას მათი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ჩემი ტვინი შლის ყველაფერს, შლის ასევე მიწის, წყლის, ცეცხლისა და ჰაერის ელემენტებს. მაშინ ვხედავ იმას, რაც მკაფიო კონტურებში ჩანს ფიზიკურ სამყაროში, რაც არის მხოლოდ იმ სამყაროსთვის, რომელსაც მე განვიცდი დაბადებასა და სიკვდილს შორის. იქ კი სრულიად სხვა სახის სამყაროა. ჩემი ტვინის მეშვეობით მე მას ვშლი და შედეგად ვუმზერ სამყაროს, რომელიც ადამიანებისთვის არის სწორედ ყოველდღიური ცნობიერების სამყარო.

სწორედ ეს არის დღევანდელი ადამიანისთვის იმ მედიტაციის აქტუალურობა, რომელზეც მე გუშინ ვილაპარაკე. უძველესი ადამიანი ამ მედიტაციებს ამატებდა ლითონური საფუძვლის მოხმარებას, რომელიც გუშინ განვმარტე. ამის წყალობით ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, გადადიოდა ცნობიერების მომიჯნავე მდგომარეობაში, ითიშებოდა ტვინის ცნობიერება და თავისი სულით ეფლობოდა ცნობიერებაში, რომელიც აქვს ჩვენს თვალებს, ყურებს. ცხოველებს აქვთ ეს ცნობიერება, რადგან განუვითარებელია გარეგნული გრძნობის ორგანოების უკან მდგომი მათი ტვინი. მაგრამ მათ არა აქვთ თვითცნობიერებით შემოსილი სამშვინველი, ამიტომაც არა აქვთ შესაძლებლობა თავიანთი სულით ჩაეფლონ გარეგნული გრძნობის ორგანოებში. ისინი ეფლობიან მხოლოდ უხეშ მშვინვიერ ელემენტში და ვერ აღიქვამენ იმას, რაც ადამიანისთვის მისაწვდომია, როცა ის სულით ეფლობა თავის გრძნობის ორგანოებში და ჭვრეტს გარემოცვას. ასეთივე სახით ხედავენ ცხოველებიც, მაგრამ მათთვის მისაწვდომია მხოლოდ დაბალი, არაინდივიდუალიზებული.

### *მერკურის მისტერია*

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, რასაც მე ვისაუბრებ ლითონურ საფუძველზე, ანუ მინერალური სამყაროს სუბსტანციურ საწყისზე, გთხოვთ აღიქვათ მთელი ძალისხმევით, რაზეც გუშინ მიგიითეთ და რაც ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად: სამშვინველის შინაგანი გამოცოცხლება ლითონური თვისებების განცდისას, სხვა სიტყვებით, ლითონურის შინაგანად განცდის გამომუშავება, განუყოფლად მორალური გრძნობისაგან, წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის ჭეშმარიტი სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. ლითონის შინაგანად მიღე-

ბა კი განეკუთვნება მთლიანად მკურნალობის სფეროს, ამიტომ გთხოვთ, ასეთივე ძალისხმევით აღიქვათ ის, რასაც დავამატებ სხვა ლითონების მისტერიებთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, მას, ვინც სამყაროს სულიერად განიხილავს, ანუ ვისაც ფიზიკურის, ფიზიკური სუბსტანციის განხილვისას შეუძლია მასში მოქმედი სპირიტულის დანახვა, გააჩნია მნიშვნელოვანი აზრი მერკურის მისტერიის შესახებ. ლითონი მერკური წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმისა, რასაც სულისმეცნიერებაში ჩვეულებრივ უწოდებენ მერკურიულს. ყველა დენადი ლითონური არის მერკურიული, თუმცა ჩვენს ბუნებრივ მდგომარეობებში სწორედ მხოლოდ ლითონი ვერცხლისწყალი არის ლითონურად დენადი, ამიტომ არის ის მერკურიული. თუმცა ეს არის მხოლოდ ინდივიდუალური მერკურიული ჯგუფიდან. როცა სულისმეცნიერებაში ვსაუბრობთ მერკურიულზე, მაშინ ვსაუბრობთ ყველა მერკურიულზე და ვერცხლისწყალს განვიხილავთ მხოლოდ როგორც მერკურიულის წარმომადგენელს. ეს ვერცხლისწყალი, სხვაგვარად მერკური, სინამდვილეში მნიშვნელოვან მისტერიას წარმოადგენს. მისი ზემოქმედება ადამიანზე ისეთია, რომ ის საერთოდ თიშავს ადამიანისგან იმ ყველაფერს, რასაც ადამიანი იგებს ფიზიკური სამყაროს მოვლენებში, ასევე იმ სამყაროს ზემოქმედებას, რომელიც აღვწერე, როგორც ელემენტარული.

ჩვენი ადგილი სამყაროში განისაზღვრება იმით, რომ მის საფუძველზე გამოვიმუშავეთ მთელი რიგი ორგანოები, მათ შორის ტვინი. მრავალი სხვა ორგანოც ადამიანში წარმოქმნილია ფიზიკური სამყაროს მიერ, სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის ფიზიკური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ჯირკვლები. მთელი რიგი ორგანო, – ზემოთ მე მაგალითად მოვიყვანე გრძნობის ორგანოები, – წარმოქმნილია იმ სამყაროდან, რომელიც აღვწერე, როგორც მეორე ცნობიერების სამყარო. სპილენძს, რკინას – ადამიანი გადაჰყავთ ამ მეორე სამყაროში.

სხვაგვარადაა მერკურთან. მერკური უნდა იყოს აქ, ამ სამყაროში. უმნიშვნელო დოზით ის ყველგანაა. ჩვენ ვცხოვრობთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მერკურის ატმოსფეროში. იმავე წამს, როცა ადამიანი მიიღებს დასაშვებ ნორმაზე რამდენადმე მეტ მერკურს, მისი ორგანიზმი ისწრაფვის, გათიშოს ყველა ორგანო, რომლებიც მომდინარეობს ფიზიკური და ელემენტარული სამყაროებიდან. ასტრალური სხეული ადამიანისა, ასე




ვთქვათ, იმპულსირებულია იმისკენ, რომ მიიზიდოს ადამიანში მხოლოდ ის ორგანოები, რომლებიც წარმოქმნილია ვარსკვლავიერი სამყაროდან. ამიტომაც მერკურის ლითონურ საფუძველზე ცნობიერების კონცენტრაციისას, ანუ მის თვისებებზე, მის დენადობაზე, მის თავისებურ ხელუხლებლობაზე კონცენტრაციისას, რომელიც წარმოადგენს მის უცვლელ და ამავე დროს მაინც ადამიანის მონათესავე ბუნებას, ჩვენ შინაგანად ვერწყმით მესამე ადამიანს.

მე უკვე ვთქვი, რომ სპილენძის წყალობით ადამიანი უკავშირდება მეორე ადამიანს, რომელიც შინაგანად ავიწროებს და აწვება, რომელსაც შეუძლია ასევე გამოვიდეს ჩვეულებრივი ფიზიკური სხეულიდან და მისდოს, როგორც მე დავახასიათე, გარდაცვლილს სიკვდილის შემდგომ წლებში. ვერცხლისწყალი მაშინვე თავისკენ იზიდავს იმ ყველაფერს, რაც ადამიანში სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიხმობს შინაგან მშვინვიერ ორგანიზმს. ადამიანი გრძნობს, თითქოსდა შეუძლია მოიცვას მთელი ნივთიერებათა ცვლის სისტემა იმ ყველაფრის მეშვეობით, რაც ახლა მასში შემოდის ვერცხლისწყლის საშუალებით. გრძნობს, როგორ მოედინება წვენები სხვადასხვა სისხლძარღვის მეშვეობით ადამიანში, რაც მყისიერად იღვიძებს მასში, როცა განიცდის ვერცხლისწყლის ლითონურობის ძლიერ ზეგავლენას.

უპირველეს ყოვლისა, ეს არ არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება აღწერო, როგორც მშვენიერი და სასიამოვნო, ვინაიდან ადამიანი თავს გრძნობს ისე, თითქოს არ ჰქონდეს ტვინი, არ ჰქონდეს გრძნობის ორგანოები, არამედ მასში ყველაფერი წარმოადგენს ცოცხალსა და მოძრავს; როცა შინაგანში არის მოძრაობა, ქცევა, ქსოვა და სიცოცხლე. აქ ჩვენში უეცრად ყველაფერი აღივსება შინაგანი აქტიურობით, ამასთან ვაცნობიერებთ, რომ ის დაკავშირებულია გარეგან აქტივობასთან.

გარკვეული მშვინვიერი ვარჯიშების შემდეგ ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია ცნობიერად, როგორც უკვე აღვწერე, ხოლო მომხდარის უხეში სქემა ასეთია (იხ. ნახ. 7). ვერცხლისწყლის ზეგავლენის მეშვეობით, მისი ზემოქმედებით ადამიანი წყვეტს საკუთარი ტვინის შეგრძნებას; ეს არის რაღაც ხვრელი. სწორედ ეს არის ხელსაყრელი სულიერი სამყაროს აღქმისთვის; ტვინი მხოლოდ ბარიერს ქმნის. სხვა ორგანოებიც ასევე არ აღიქმება. ამის მაგივრად აღიქმება მოძრაობები, რომელიც ხდება მთელ ორგანიზმში (წითელი), ამასთან მთელი

ეს მოძრაობები თავიდან ტკივილსა და ტანჯვას აყენებს, ისინი რაღაცით ემსგავსება შინაგან დაღლას.



ნახ. 7.

1. rot - წითელი . 2. orange - ნარინჯისფერი

ეს მოძრაობები მთლიანად დაკავშირებულია გარეგან მოძრაობებთან (ნარინჯისფერი). შინაგანი აქტივობა გადაჯაჭვულია გარეგან აქტივობასთან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იქ, ქვემოთ დატოვებულია დედამიწის სამყარო, ელემენტების სამყარო. ეს გვაწამებს და გვთრგუნავს. მაგრამ ამ მოწამებრივ, დამთრგუნველ ჰაეროვან მოძრაობებში ჩაწნულია სულიერი არსებები. ღვთაებრივი ბუნება, რომელზეც ასე აღფრთოვანებით საუბრობდა ჯერ კიდევ ბრუნეტო ლატინი, შემობრუნდა.

ის იგივე არსებაა, რაც ბერძნული პერსეფონა, როგორც გუშინ აღვწერე. ადრე ის თავის სახეს უფრო მეტად მიაპყრობდა დედამიწისკენ, როცა განმარტავდა იმას, რაც ჯერ კიდევ დაკავშირებულია მიწიერთან, როგორც ცხოვრება, რომელსაც ადამიანი ატარებს თავიდან სიკვდილის შემდეგ. ახლა კი ის შემობრუნდება და თავის ქვემოთ წარმოუდგება მიწიერი და ელემენტარული, ხოლო თავის ზემოთ – ვარსკვლავების სამყარო. ახლა ვარსკვლავების სამყარო წარმოადგენს ადამიანის გარემოცვას, ისევე, როგორც ადრე მცენარეები და ცხოველთა სამყარო დედამიწაზე. ქრება შეგრძნება, რომ ხარ ნამცვეცი უზარმაზარ ვარსკვლავიერ სამყაროსთან შედარებით და ალა-

მიანი იწყებს იმის შეგრძნებას, რომ ის ისეთივე დიალია, როგორც უზარმაზარი ვარსკვლავიერი სამყარო, რაც ანალოგიურია იმისა, რასაც იგი განიცდიდა საკუთარ მიწიერ გარემოცვასთან მიმართებით. ადამიანი ნამდვილად იზრდება ზომებში და თავისი მასშტაბით ვარსკვლავიერი სამყაროს შეესაბამება. რაც შეეხება ვარსკვლავებს, ისინი უკვე ისე აღარ გამოიყურება, როგორც მათ ვხვდებით დედამიწიდან, – ვარსკვლავები ჩვენ წინაშე წარმოჩნდება, როგორც სულიერ არსებათა კოლონიები. ჩვენ კვლავ ვხვდებით იმ სამყაროში, რომელიც მე უკვე აღვწერე, როგორც ადამიანებში გამოწვეული კალას ლითონურობასთან მისი მსგავსებით. ვინაიდან მერკურსა და კალას შორის არსებობს შინაგანი მსგავსება აღნიშნული მიმართულებით. ადამიანური არსების გარკვეული ნაწილი, ეყრდნობა რა მერკურს, გამოიყოფა ადამიანის არსებისაგან და გადადის იმ სულიერ სამყაროში, რომლის გარეგნულ, ფიზიკურ გამოცხადებას წარმოადგენს ვარსკვლავიერი სამყარო.

ახლა კვლავ ვიმყოფებით სადღაც, იმის წყალობით, რომ ჩვენი ცნობიერების მდგომარეობა შეიცვალა და ის უკვე აღარ გვაქვს გრძნობის ორგანოების, ტვინის მეშვეობით, არამედ ის გვაქვს იმის მეშვეობით, რაც ჩვენი ორგანიზმიდან ამოვიდა მერკურის ლითონურობამ. ამიტომ ახლა სრულიად სხვა სამყაროში ვართ. ახლა ჩვენ ვართ ვარსკვლავების სამყაროში. ამის თქმა სხვაგვარადაც შეგვიძლია. ვარსკვლავების სამყარო, ეს ნიშნავს საგნებს სივრცობრივად; სინამდვილეში ცნობიერების აღნიშნული მდგომარეობის განვითარებით გამოვდივართ იმ სამყაროდან, რომელშიც სივრცობრივად ვიმყოფებით დაბადებასა და სიკვდილს შორის და ვიმყოფებით სამყაროში, რომელსაც განვიცდით, როგორც ადამიანი, სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის.

მართლაც, მერკურის მისტერია მოწვევტს ადამიანს გრძნობად-ფიზიკური სამყაროდან და გადაჰყავს იგი იმ სამყაროში, სადაც იმყოფება სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის, ვინაიდან ვერცხლისწყალი, მერკური შინაგანად ემსგავსება ადამიანური არსების იმ ნაწილს, რაც წარმოქმნილია არა ამ დედამიწისგან, არამედ მოტანილია სამყაროდან, რომელშიც ვიმყოფებით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის. ჩვენი სხეულის სითხეების წრებრუნვა, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ, არ არის ამ სამყაროდან, არამედ – იმ სამყაროდან, რომელსაც გავდივართ სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის.

ახლა კვლავ აღმოვაჩინოთ სხვა რამეს, რაც ბრუნეტო ლატინიმ შეამჩნია ქალღმერთი ბუნების ზეგავლენით – ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი სითხის წრებრუნვაში, რომელიც ამავე დროს დაკავშირებულია მთელი კოსმოსის სითხის წრებრუნვასთან. ჩვენ ვართ ჩვენ გარეთ და ვიმყოფებით იმ სამყაროში, რომელსაც განვიცდით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის. ახლა კი ესწავლობთ ამ სითხის წრებრუნვის ბუნებასა და იმის შემეცნებას, როგორ წარმოიქმნება ჩვენი ტემპერამენტი ამ შინაგან მოძრაობაში, ამ სითხის წრებრუნვაში, რომელთა წყაროც არის სამყაროში, რომელსაც გავივლით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის. ის წარმოიქმნება ისე, რომ ვხდებით სანგვინიკები, ქოლერიკები, მელანქოლიკები ან ფლეგმატიკები. ჩვენ უფრო ღრმად ვწვდებით საკუთარ თავს, როგორც გრძნობად ადამიანს. როცა ცხოვრებას გავივლით როგორც ფლეგმატიკები, საჭიროა საკუთარ თავს ვუთხრათ: ჩვენი ფლეგმატურობა გამოწვეულია იმით, რაც განვახორციელეთ უკანასკნელ სიკვდილსა და ამ დაბადებას შორის. სწორედ ასევე არის განპირობებული ქოლერიკული, მელანქოლიური და სანგვინიკური ტემპერამენტები.

ამ ტემპერამენტში, რასაც თავისი ფიზიკური გამოხატულება აქვს სითხის წრებრუნვის დროს, შერეულია კიდევ სხვა რამეც. დაფიქრდით, რა გაქვთ თქვენ სითხის ამ წრებრუნვისას. ანატომისა და ფიზიოლოგის თვალთახედვით თქვენ გაქვთ ფიზიკური. ფიზიკური კი მხოლოდ სულიერის ანარეკლია. თუმცა სითხის ამ წრებრუნვის მაიმუხლსირბელი სულიერი სრულებითაც არ არის ამ სამყაროდან, არამედ – იქიდან, რომელიც სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის ზემოქმედებს ადამიანში.

ამდენად, როცა გადავხედავთ ჩვენს ტემპერამენტს, – და ამან ყველაზე მეტად გააოცა ბრუნეტო ლატინი, როცა მას ქალღმერთი ბუნება უხსნიდა ტემპერამენტებს, – საკუთარ თავს ვეუბნებით: დიახ, სითხის წრებრუნვისას ჩადებულ ამ ტემპერამენტებში ძვეს სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის გავლილი ცხოვრების ბეჭედი. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, შევამჩნევთ, რომ ამას შეერევა ის, რასაც ეწოდება კარმა, რასაც ბედისწერის გამოცდა ეწოდება. ამ გასაოცრად დენადი ლითონ მერკურის სწორად გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იცი მასში ჩადებული საიდუმლოება: ამ დენადი ვერცხლის თითოეულ წვეთში ხელდასხმულს ეხსნება ღრმად ჩადებული ურთიერთმიმართებები. აქ დენადი ვერცხლის თითოეულ წვეთს შე-

უძლია ადამიანის სულიერის დაკავშირება იმ ორგანოებთან, რომელთა წარმოქმნაც, ფორმირებაც დასაბამს იღებს სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის ცხოვრებაში.

სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ყველაფერი ერთმანეთს მსჭვალავს. ფიზიკური არის მხოლოდ ილუზია, რადაც ფიზიკური ილუზია. სულიერი კი მხოლოდ ფიზიკურისთვის არის ილუზია, რადაც აბსტრაქტული ილუზია. სინამდვილეში ფიზიკური ქმედითია სულიერში, სულიერი – ფიზიკურში. ისინი მსჭვალავენ ერთმანეთს. როცა ჩვენ ვამჩნევთ ადამიანის ორგანიზმის დაზიანებას რომელიღაც ორგანოში, რომელიც არსებითად წარმოქმნილია იმ სამყაროდან, რომელსაც განვიცდით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის, მაშინ ადამიანურ ორგანიზმში უნდა გამოვიხმოთ ძალები, რომლებიც ამ დაზიანებებს გამოასწორებენ.

დავუშვათ, ავადმყოფი მიმართავს ექიმს სითხის ცირკულაციის დარღვევასთან დაკავშირებით ორგანიზმის იმ ნაწილში, რომელიც იმპულსირებულია სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის ცხოვრებით. ამდენად, სახეზეა დაავადება, რომელიც მიღებულია სხეულის სითხის ცირკულაციის მოწყვეტის შედეგად სულიერი სამყაროდან. ეს არის ფენომენი. ჩვენ სპირიტუალურად უნდა დავსვათ დიაგნოზი. ფიზიკურ დიაგნოზთან მიმართებით სპირიტული ყოველთვის უნდა გავივით ისე, როგორც მე გუშინ ავიხსენით. მე ამას კვლავ ვიმეორებ, რათა გაუგებრობა არ წარმოიშვას. ვთქვათ, დავსვით დიაგნოზი, რომ ადამიანის სითხის ცირკულაცია ძალიან არის მოწყვეტილი სულიერ სამყაროს, რომელსაც განვიცდით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის. რა შეიძლება აქ გაკეთდეს?

აუცილებელია, თერაპიის მიზნით სწეულ ორგანიზმში შევიყვანოთ საჭირო დოზით ის ლითონური საფუძველი, რომელიც კვლავ დააკავშირებს ორგანიზმის სითხის ცირკულაციას სპირიტულ სამყაროსთან. ასე მოქმედებს მერკური ადამიანებზე. მერკური ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებს ისე, რომ კვლავ აღადგენს სპირიტულ სამყაროსთან იმ ორგანოების კავშირს, რომლებიც წარმოქმნილია მხოლოდ სპირიტული სამყაროსაგან. აქ თქვენ ხედავთ, როგორი, – მინდა გითხრათ, – საშიში, მაგრამ ამავედროულად თავისთავად ცხადი, გასაგები მიმართებაა გაბატონებული ადამიანში ცნობიერების მდგომარეობის შემეცნებასა და დაავადებების შემეცნებას შორის. ერთი გადადის მეორეში.

ეს მოვლენები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ უძველეს მისტერიებში. ეს მოვლენები ნათელყოფენ ჩვენთვის რაღაც ისეთს, რაზეც გუშინ ვისაუბრე. წარმოიდგინეთ, ეპოქაში, როცა კაცობრიობამ დიდი ხნის წინ დაკარგა სპირიტული ჭვრეტის უნარი, ხოლო ქაღალმერთი ბუნება აღარ ამჟღავნებდა თავის საიდუმლოებს, როგორ ბრუნდებოდა დიპლომატიური მისიით ესპანეთიდან თავის მშობლიურ ქალაქში ბრუნეტო ლატინი, დანტეს მასწავლებელი, შეწუხებული ველფების პარტიის ბელით, რომელსაც ის ეკუთვნოდა. მის ამ განწყობილებას დაერთო მსუბუქი მზის დაკვრა. მერკურის ლითონურობამ უბრალოდ იმოქმედა მასზე გარემოს მხრიდან.

მაინც რას ნიშნავს – ჩვენ მივიღეთ მსუბუქი მზის დაკვრა? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ ზემოქმედებას უნატიფესი სახით ჩვენ გარშემო კოსმოსში დოზირებული მერკურისაგან. ეს ზემოქმედება განიცადა ბრუნეტო ლატინიმ. ამის შედეგად მან მიიღო შესაძლებლობა, მიახლოებოდა სულიერ სამყაროს აღწერილი სახით, რაც იმ დროს ადამიანისთვის შეუძლებელი იყო.

ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ადამიანში, როგორც ის ღვას ჩვენ წინაშე, არის რაღაც, რომელიც ენათესავება არა მარტო იმას, რასაც წარმოაჩენს ჩვენ წინაშე ბუნებისმეტყველი, ან, რასაც გაშლის ჩვენ წინაშე ის, ვინც მისდევს გარდაცვლილს მისი სიკვდილის შემდგომ ნაბიჯებში, არამედ მიუთითებს იმაზეც, რომ ადამიანურ არსებას, როგორც არის ის ჩვენ წინაშე, აქვს მიმართება და კავშირი რაღაც კიდევ უფრო უზენაესთან და მთლიანად სულიერთან, როგორსაც განვიცდით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის. თქვენ შეგიძლიათ ჩასწვდეთ ღვიძლისა თუ ფილტვების ფორმას, როცა იყენებთ ჩვეულებრივ მეცნიერებას. თქვენ შეგიძლიათ მოიცვათ გრძნობის ორგანოების აგებულება, როცა იყენებთ უახლეს ცოდნას; მაგრამ ეს ესება ჩვენს დღევანდელ ფიზიკას ოღონდ ძალზე უხეში ფორმით. თქვენ ვერ შეძლებთ შეისწავლოთ გამართული ადამიანის სითხის ცირკულაცია მთელი თავისებურებით, თუ არ გამოიყენებთ ინიციაციის მეცნიერების მეთოდებს. ასევე ვერასდროს შეიმეცნებთ ლითონურობის საიდუმლოებას, თუ მასაც ასევე არ მივახლებით ინიციაციის მეცნიერების მეშვეობით.

ამით ასევე ითქვა, რომ ზემოთქმული აზრით თქვენ ვერასდროს შეიმეცნებთ ავადმყოფობათა არსს, თუ ამას არ მიუდგე-

ბით ინიციაციის მეცნიერებით, ვინაიდან ლითონების ფიზიკური თვისებებით თქვენ ვეღარ შეძლებთ დახმარებას. ტვინის განკურნებას შეძლებთ ლითონების ფიზიკური თვისებებით, თუ ის იცით. თქვენ ვერ შეძლებთ სითხის ცირკულაციის განკურნებას. გადატანითი მნიშვნელობითაა ნათქვამი ის, რაც გითხარით, ვინაიდან თქვენ შეგიძლიათ ტვინის მხოლოდ ყველაზე უხეში მასის განკურნება. მაგრამ ტვინში ასევე არის სითხის ცირკულაცია. ამიტომ ნამდვილად ვერ შეძლებთ ლითონების მეშვეობით ტვინის განკურნებას, ამისთვის საჭიროა სპირიტული შემეცნება. თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ: ასეთ შემთხვევაში, თანამედროვე მედიცინა რატომ აღწევს გარკვეულ შედეგებს? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ შენარჩუნდა უძველესი დროებიდან მოსული ზოგიერთი ტრადიცია. ჯერ კიდევ გადარჩა ძველების ზოგიერთი ცოდნა ლითონების სპირიტულ თვისებებთან დაკავშირებით. ახლა სწორედ ამას იყენებენ. ეს ცოდნა გამოიყენება იმასთან ერთად, რაც გაიხსნა წმინდა ფიზიკური მეთოდებით და ეს, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც ეხმარება. მომავალში კი, როცა გაიმარჯვებს მატერიალიზმი და დაავიწყდებათ ძველი რეცეპტები, მაშინ წმინდა ფიზიკური მეთოდებით გახსნილი არც ერთი წამალი უკვე ვეღარ უშველის.

ჩვენ ვდგავართ კაცობრიობის განვითარების იმ წერტილში, სადაც უნდა მოვიპოვოთ სპირიტული, მაგრამ უკვე ახლებურად, ვინაიდან თანდათანობით გაქრა უძველესი ტრადიციები, რომელიც ეფუძნებოდა თავდაპირველ ნათელხილვას.

### *ვერცხლის მისტერია*

ვერცხლის ლითონურობის უკან იმალება სრულიად განსაკუთრებული სახის მისტერია. შეიძლება ითქვას, რომ ვერცხლის უკან იმალება კოსმიური იმპულსირება, რომელსაც ადამიანური არსებისაგან გამოჰყავს პირველი უზენაესი ადამიანი; მერკურის უკან დგას სხვა კოსმიური ძალა, რომელსაც გამოჰყავს მეორე უზენაესი ადამიანი, რომელიც დაკავშირებულია ვარსკვლავიერ სამყაროსთან და ამაგდროულად სულიერ სამყაროსთან, რომელსაც გავივლით სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის, ამიტომ ვერცხლის ლითონურობაზე სულ სხვაგვარად უნდა ვილაპარაკოთ.

როცა ადამიანი თავის კავშირს ვერცხლთან ასეთი სახით აძლიერებს, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ ეს ვნახეთ სპილენძისა და ვერცხლის ლითონურობასთან დაკავშირებით, ის მიმართავს მასში კიდევ უფრო ღრმად ჩადებულ ორგანიზაციას. მერკურით ის მიმართავდა თავის თავში სისხლძარღვების ორგანიზაციას, რომელსაც ის მოჰყავს კავშირში მთელი კოსმოსის ცირკულაციასთან და სპირიტულობასთან. იმის გამო, რომ ის აძლიერებს კავშირს ვერცხლთან, ადამიანი შედის უშუალო კონტაქტში იმპულსებთან და ძალებთან, რომლებიც შემოდიან მასში წინარე მიწიერი ცხოვრებებიდან.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: როცა ადამიანი კონცენტრირდება ვერცხლის განსაკუთრებულ თვისებებზე, რაც გრძელდება დიდხანს, სანამ გახდება ქმედითი, იგი იზიდავს თავისკენ იმ ძალებს, რომლებიც უკავშირდება იმას, რომ ახლა არა მარტო მისი სისხლძარღვები უშვებენ თხევადის ცირკულაციას, სითხის ცირკულაციას, არამედ ახდენენ ასევე სითბოს ცირკულაციას სისხლის მიმოქცევაში. ადამიანის წინაშე წარმოდება ჭეშმარიტება, რომ მისი სისხლის მიმოქცევის სითბოში, ეს კი მას აქცევს სწორედ ადამიანურ არსებად, სითბოს შეგრძნებაში, მაშასადამე, სისხლის მატერიალურ საფუძველში, – ამასთან უშუალოდ ამ შეგრძნებაში არსებობს სისხლის სუფიერება, სპირიტულობა, – ქმედითია ის, რაც ზემოქმედებს წინარე ინკარნაციებიდან. ის, რასაც შეუძლია სისხლის სითბურ დინამიკაზე ზემოქმედება, უშუალოდ გამოიხატება ვერცხლთან ნათესაობაში, ამასთან თავის ასახვას პოულობს ის, რასაც ჩვენ სპირიტუალად მივყავართ წინარე მიწიერ ცხოვრებებთან.

წარმოიდგინეთ, რომ ვერცხლი შეიცავს ლითონურობას, რომელიც გარკვეულწილად ადამიანის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რაც მასში ახლა, ამ მიწიერ ცხოვრებაში არსებობს ჯერ კიდევ წინარე მიწიერი ცხოვრებებიდან. ვინაიდან ჩვენი სისხლის მიმოქცევა თავისი სითბოს გასაოცარი დიფერენციაციებით ამ ფიზიკური სამყაროდან არ არის. ის არც ჩემ მიერ აღწერილი ელემენტარული სამყაროდან მოსულა. ასევე არც მთელი ვარსკვლავიერი სამყაროდან. ვარსკვლავიერი სამყაროდან მოდის მხოლოდ სისხლის მიმოქცევის მიმართულება. იმაში, რაც სისხლში მართებული სახით უშუალოდ პულსირებს, როგორც სითბო ჩვენი ცხოვრებისა, მოქმედებს რაღაც, რაც მძლავრობს (Kraftet) ადრინდელი მიწიერი ცხოვრებებიდან.



სწორედ ამაზე აპელირებენ უშუალოდ, როცა ვერცხლის ძალებზე აპელირებენ ადამიანებთან მათ დამოკიდებულებაში. ამდენად, ვერცხლის მისტერია კავშირშია განმეორებით მიწიერ ცხოვრებებთან. ვერცხლი არის გასაოცარი მაგალითი იმისა, რომ სპირიტუალობა გამეფებულია ყველგან, ასევე ფიზიკურშიც. ვინც ვერცხლს სწორად უყურებს, მან იცის, რომ ვერცხლი არის ღმერთების გარეგნული ნიშანი ადამიანური ცხოვრების წრებრუნვისთვის. შედეგად ვერცხლის მისტერია ასევე დაკავშირებულია გამრავლებასთან მთელი იმ საიდუმლოებით, რომლებიც ეხება გამრავლებას, იმ საფუძველზე, რომ გამრავლების მეშვეობით ადამიანი თვისი არსების კავშირს გადასცემს წინარე მიწიერ ცხოვრებებს. არსება, რომელიც არსებობდა ადრინდელ მიწიერ ცხოვრებებში, გამრავლების წყალობით იჭრება ფიზიკურ ცხოვრებაში. ეს იგივე საიდუმლოებაა, რაც სისხლის საიდუმლოება. სისხლის მისტერია, სისხლის საიდუმლოება არის ვერცხლის მისტერია. აქ შეგვიძლია ვთქვათ; თბილი სისხლის საიდუმლოება არის საიდუმლოება ვერცხლისა, ვერცხლის მისტერია.

შემეცნების ნაკადი ადამიანში ამ ნორმალური დინებიდან ისევ და ისევ მოძრაობს პათოლოგიურისკენ. წარმოდგინეთ, რომ სწორედ თანამედროვე სამყაროში არსებული გარემოებების შედეგად არ შეიძლება გათბეს სისხლი, – ვინაიდან ის უნდა გათბეს სამყაროებით, რომლებიც გავიარეთ ადრინდელ მიწიერ ცხოვრებებში, – წარმოდგინეთ, სისხლი, რომელიც თავისი სითბოთი გამოიფიტა და შეიზღუდა თანამედროვე სამყაროს მიერ, არ იქნება იმპულსირებული იმით, რითაც ჩვენ სპირიტუალი ურთიერთობების მეშვეობით დაკავშირებულნი ვართ ადრინდელ ცხოვრებებთან. მაშინ წარმოიქმნება ის ავადმყოფური მდგომარეობები, რომლებზეც შეიძლება ითქვას: მათ ადვილი აქვთ იმის გამო, რომ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ჩვენს თბილ სისხლთან, მოწყვეტილია იმისგან, რასთანაც, არსებითად, უნდა იყოს დაკავშირებული, გამომდინარე წინარე მიწიერი ცხოვრებებიდან.

რა არის ციებ-ცხელება? სულიერი თვალსაზრისით ციებ-ცხელების მიზეზია ადამიანის ორგანიზმის მოწყვეტა ადრინდელი მიწიერი ცხოვრების ზემოქმედების ნორმალური გავლენისაგან. თუ ექიმი დასვამს დიაგნოზს, რომ აქ გვაქვს მავანის ავადმყოფობის შემთხვევა: აქ არის ადამიანი; გარე სამყარო

ისე იმოქმედა ორგანიზმზე, რომ მას ემუქრება წინა მიწიერი ცხოვრებებისგან მოწყვეტა, – აქ ექიმმა უნდა მიმართოს თერაპიას ვერცხლის მეშვეობით. შეიძლება მოვიყვანოთ მშვენიერი მაგალითი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ადგილი ჰქონდა ფრაუ დოქტორ ვეგმანის *კლინიკურ-თერაპიულ ინსტიტუტში*\* არლესჰაიმში. სრულიად მოულოდნელად შეიძლება დადგეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც სპირიტულად, როგორც უკვე მივუთითე, აღმოჩნდეს გარეგნული მიზეზების შედეგი და ადამიანიურ ორგანიზმს თავისი სისხლის თვისებებში დაემუქროს საშიშროება, მოწყდეს წინარე მიწიერ ცხოვრებებს. სწორედ ამას ჰქონდა ადგილი ზემოხსენებული ავადმყოფობის შემთხვევაში. დადგა მომენტი, რასაც მატერიალისტურ მედიცინაში უწოდებენ „ოკულტურ ციებ-ცხელებას“: გამოჯანმრთელებისკენ წასულ პაციენტს მოულოდნელად აეწია ტემპერატურა, რასაც სრულიად არ ელოდნენ. ფრაუ დოქტორ ვეგმანი აღმოჩნდა ამ შემთხვევის წინაშე. საკუთარი ინსპირირებული სამედიცინო შემეცნებიდან გამომდინარე მან მყისიერად გამოიყენა ვერცხლის პრეპარატი (Silberkum). იგი მომიყვა, რომ ეს შემთხვევა მის წინაშე წარმოჩნდა მთელი თავისი გასაოცრად მშვენიერი კოსმიური კავშირებით. აქედან ჩანს, რომ ადამიანის განვითარება, ერთი მხრივ, განმსჭვალულია სპირიტუალური ურთიერთკავშირებით, მეორე მხრივ, დაკავშირებულია პათოლოგიურ მდგომარეობებთან, რომლებიც გვიბიძგებს პათოლოგიური და შემდეგ თერაპიული ჩარევისკენ.

რის საფუძველზე შეუძლია ხელდასხმულს წინარე ცხოვრებების განხილვა? სანამ ჩვენ *მიგაბიჯებთ*\* ცხოვრებაში, წარმართულნი საკუთარი კარმითა და წინარე ცხოვრებების პირდაპირი კარმული ზემოქმედებით, მანამდე დაკავშირებულნი ვართ მასთან, მაგრამ არ შეგვიძლია მათში ჩახედვა. ადამიანი მთლიანადაა ჩაფლული ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა წინარესთან კავშირი რჩება; წინარე ცხოვრება ზემოქმედებს ჩვენზე. ამ ზემოქმედების გავლენით გადაილახება თქვენი კარმა, რომ თქვენ მიაბიჯებთ ცხოვრებაში, წარმართულნი საკუთარი კარმის მიერ. თქვენ არ გაქვთ მასში ჩახედვის შესაძლებლობა. ეს ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის მიუწვდომელია. თქვენ თუ მოისურვებთ კარმაში ჩახედვას, თავიდან მოგეთხოვებათ, წამიერად გაწყვეტა მისი ძაფებისა, მათგან გათავისუფლება. მხოლოდ მაშინ, როცა ძაფები გაწ-

ყვეტილია, წინარე მიწიერი ცხოვრებები იქცევა ობიექტურ რეალობად და თქვენ შეძლებთ მათ ჭვრეტას.

ბუნებრივია, თქვენ უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, – ამაზე მე კიდევ ვისაუბრებ, – მაშინვე აღადგინოთ ძაფების ნორმალური მდგომარეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ იქნებით სულიერად ავადმყოფი და არა ხელდასხმული.

ხელაგთ, აქ აღილი აქვს მოვლენას, რომელიც დგება სპირიტული განვითარებისას: მოწყვეტა იმ სპირიტული ძაფებიდან, რომლებიც გვაკავშირებენ ჩვენს წინარე მიწიერ ცხოვრებებთან. ავადმყოფობა ამას აკეთებს ანომალურ შემთხვევაში, პათოლოგიური სახით. ავადმყოფობა აღმოჩნდება, როგორც ანომალური გამოვლინება იმისა, რამაც ზენა სფეროში ჩვეულებრივ უნდა მიიყვანოს სულიერ ჭვრეტასთან, ცნობიერების სხვა მდგომარეობებთან. როცა ადამიანის დანარჩენი ორგანიზმისგან გამოცალკევებული სისხლი ეძლევა თავის საკუთარ ცნობიერებას, – მე უკვე გითხარით, რომ სისხლს, სხეულის სხვა ორგანოს მსგავსად, გააჩნია თავისი სპეციფიკური ცნობიერება, – როცა სისხლი გათავისუფლდება (ემანსიპაცირდება) დანარჩენი ორგანიზმისაგან, მაშინ ადამიანი საკუთარ წინარე ცხოვრებებში იხედება ანომალურ მდგომარეობაში. ეს ხდება ქვეცნობიერის დონეზე. ცნობიერებაში ეს ფენომენი შემოდის მხოლოდ მაშინ, თუ წინასწარ გაწყვეტენ აღწერილ ძაფებს. არ შეიძლება გაწყვიტო ძაფი წარსულში ავადმყოფური ჩახედვისთვის.

ამდენად, დაკვირვება ვერცხლის ლითონურობაზე, რომელიც არსებითად მშვინვიერი სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა ყველა იმ დაავადებისას, რომელიც როგორღაც უკავშირდება კარმულს, ვერცხლის ამ მისტერიას ღრმად შევყავართ სამყაროს სხვა მისტერიებში და ამით თითქმის ამოვწურეთ ის მისტერიები, რომლებიც შეიძლებოდა გვესენებინა ადამიანის ცნობიერების სხვა მდგომარეობებთან დაკავშირებით.

თუმცა ჩვენ გაავარძელებთ ცნობიერების ამ მდგომარეობების კვლევას, კერძოდ, იმისა, როგორ შეიძლება მათი წყალობით ადამიანი შევიდეს სხვა სამყაროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომდევნო ლექციებში ჩვენ წინ წავიწევთ სულიერი სამყაროსკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზების ძიებაში.

მემკვსე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 16 აგვისტო  
ინიციაციური შემეცნებანი

*დღის ღვიძილი და სიზმრის ცნობიერება*

მე უკვე გესაუბრეთ ცნობიერების მდგომარეობებზე, რომლის განვითარებაც შესაძლებელია ადამიანის სამშენველის ძალებით. ის, რასაც ინიციაციურ შემეცნებას უწოდებენ, დამოკიდებულია სხვადასხვა ცნობიერებაზე, რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნება სამყაროზე შემეცნება.


დღეს შევეცდებით წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, როგორ შეუძლია ადამიანს სამყაროსთან ურთიერთქმედება ცნობიერების ამ განსხვავებული მდგომარეობის წყალობით. უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ, რომ იმ ყველაფრიდან, რომელსაც თანამედროვე კაცობრიობა აღიარებს რეალურად არსებულად, თანამედროვე ცივილიზაცია გამოყოფს ცნობიერების ერთადერთ მდგომარეობას – *დღის ღვიძილის ცხოვრებას*. დღის ამ ღვიძილის ცხოვრების გარდა ადამიანისთვის სამყაროს განვითარების თანამედროვე სტადიაში არსებობს ცნობიერების კიდევ ორი მდგომარეობა, მაგრამ მათი განხილვა არ შეიძლება როგორც პირველხარისხოვნის, რომლებიც უშუალოდ ფონს ქმნიან ნებისმიერი სახის შემეცნებაში. ერთ-ერთი არის სიზმრის მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი განიცდის დღის ცხოვრების მხოლოდ რემინისცენციებს და სულიერი ცხოვრების სუსტ გაელვებას. სიზმრების ჩვეულებრივ ცხოვრებაში დღის ცხოვრების რემინისცენციები, ისევე როგორც სულიერი სამყაროს გაელვება, გამოცხადება, იმდენად აღრეულია სხვადასხვა სურათ-ხატსა და სიმბოლოში, რომ მათგან შეუძლებელია რაიმენაირი შემეცნების მოპოვება.

ჩვენ თუ გვსურს ინიციაციის მეცნიერების დახმარებით ვუპასუხოთ კითხვას: კაცმა რომ თქვას, სად ცხოვრობს ადამიანი მაშინ, როცა სიზმრებშია? – პასუხი არის შემდეგი: ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანი ატარებს თავის თავში, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ სხეულს, იმას, რისი აღქმაც შეიძლება თანამედროვე გრძნობის ორგანოებით და რასაც სწავლობს ანატომია, ფიზიოლოგია და ბიოლოგია (იხ. ნახ. 8, ნათელი). ეს არის ადამიანური ბუნების პირველი წევრი, რო-

მელზეც ყველა ფიქრობს, რომ იცის ის, მაგრამ სინამდვილეში ჩვენს დროში მის შესახებ რეალური ცოდნა ძალზე უმნიშვნელოა, ამაში კიდევ დავრწმუნდებით.

ადამიანური ბუნების მეორე წევრია, – თქვენ შეგიძლიათ დეტალურად წაიკითხოთ ამის შესახებ ჩემს წიგნებში, კერძოდ „სულიანმცოდნეობაში“ (Theosophie), – ეთერული სხეული, ფორმაქმნად ძალთა სხეული, უნატიფესი წარმონაქმნი, რომლის დანახვაც თვალებით შეუძლებელია და რომელიც მისაწვდომია მხოლოდ ადამიანის მიერ გამომუშავებული ცნობიერების პირველი მდგომარეობით, რაზეც უკვე იყო საუბარი და რომლის დახმარებითაც ადამიანს შეუძლია გარდაცვლილებს მიჰყვეს იმ ქვეყნად მათი გარდაცვალების პირველ წლებში. ამ ეთერულ სხეულს ანუ ფორმაქმნად ძალას (ნარინჯისფერი), აქვს გაცილებით უფრო ღრმა შინაგანი კავშირი კოსმოსთან, ვიდრე თავისი ორგანიზაციით ბევრად უფრო დამოუკიდებელ ფიზიკურ სხეულს.

შემდეგ ადამიანს აქვს თავის ორგანიზაციაში მესამე წევრი, რომელსაც შეგიძლია ვუწოდოთ რაც გვინდა; ტრადიციულად მას ჩვენ ვუწოდებთ ასტრალურ სხეულს (მწვანე). ჩვენ თუ მაინც შევეცდებით აღვიქვათ ასტრალური სხეული იმ შემეცნებითი ძალების დახმარებით, რომლითაც აღვიქვამთ გარე ბუნებას, ან იმ შემეცნებითი ძალების დახმარებით, რომლებიც აღვწერე, როგორც ჩვენი ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობისთვის ნიშანდობლივი, რომელ ცნობიერებაშიც მივღვეთ გარდაცვლილთა გზას, მაშინ იმ ადგილას, სადაც არის ადამიანის ასტრალური სხეული, ვერაფერს აღვიქვამთ სიცარიელის გარდა, აღვიქვამთ არარას.



ნახ. 8


1. rot – წითელი. 2. orange-ნარინჯისფერი. 3. hell-ნათელი. 4. grün-მწვანე.

ამდენად, შეიძლება ითქვას (იხ. ნახ. 8), რომ ადამიანი შემოსილია გარეგნული აღქმისთვის მისაწვდომი ფიზიკური სხეულით. ადამიანი ატარებს თავის თავში ეთერულ სხეულს (ნარინჯისფერი); ის მისაწვდომია იმაგინაციური აღქმისთვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მისაწვდომია იმ ძალებისთვის, რომელთაც ჩვენ აღწერილი სახით მოვიპოვებთ მედიაციისა და კონცენტრაციის მეშვეობით. როცა ვიყენებთ ყველა ამ ძალას, რათა აღვიქვათ ადამიანის ასტრალური სხეული, ვეჯახებით მხოლოდ სიცარიელეს, სივრცობრივ არარას, რაღაც ხერხეს სივრცეში (მწვანე). მხოლოდ მაშინ, როცა ზემოაღწერილი სახით მივდივართ ცარიელი ღვიძილის ცნობიერებამდე, ანუ სრული ღვიძილის შენარჩუნებისას გამოირიცხება გრძნობის ორგანოების ყველა აღქმა, ამასთან სამყაროს აღქმა გრძელდება, მაშინ სიცარიელე ივსება, ამასთან ჩვენ ვიცით, რომ ეს სიცარიელე წარმოადგენს პირველ სულიერ დონეს ჩვენში, ადამიანის ასტრალურ სხეულს.

ადამიანის ორგანიზაციის შემდეგი წევრია საკუთრივ „მე“ (წითელი). ამ „მე“-ს აღვიქვამთ მხოლოდ მაშინ, როცა ცარიელი ცნობიერება სულ უფრო და უფრო ვითარდება. საწოლში მწოლარე მძინარე ადამიანისგან გამოყოფილია ფიზიკური და ეთერული სხეულები, ანუ ფორმაქმნადი სხეულები; ასტრალური სხეული და „მე“ კი იმყოფება სულიერ სამყაროში. მხოლოდ ჩვეულებრივი ცნობიერებით არ შეგვიძლია აღქმა ასტრალური სხეულისა და „მე“-ს დახმარებით. ჩვეულებრივ სამყაროში დაბადებასა და სიკვდილს შორის როგორ აღვიქვამთ გარეგნულ შთაბეჭდილებებს? აღქმის ინსტრუმენტები ჩვენთვის არის თვალები და ყურები. სამყაროს ევოლუციის თანამედროვე საფეხურზე ადამიანის ასტრალურ სხეულსა და „მე“-ში, რომელიც ჩვეულებრივი ცხოვრების წარმმართველია, არ არსებობს შესაბამისი ორგანოები, არც თვალები, არც ყურები. ასე რომ, როცა ძილის დროს ადამიანი ტოვებს საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულს, ის გარემოცულია სიბნელითა და მდუმარებით, იმის მსგავსად, თითქოსდა მის ფიზიკურ სხეულს ფიზიკურ პლანზე არ ჰქონდეს არც თვალები, არც ყურები. ეს არ ნიშნავს, რომ ასტრალური სხეული და „მე“ სამუდამოდ განწირულია, დარჩნენ გრძნობის ორგანოების გარეშე, – ცხადია ორგანოები იგულისხმება მშენიერი აზრით, – თვალებისა და

ყურების გარეშე. სამშენიველის სწორედ იმ სავარჯიშოების წყალობით, რომლებზეც საუბარია ჩემს წიგნებში, ასტრალურ სხეულსა და „მე“-ს შეუძლიათ მოიპოვონ შესაბამისი ორგანოები – მშენივერი თვალები, მშენივერი ყურები და ა.შ. მათი გამომუშავება შეიძლება გარკვეული წვრთნისა და სავარჯიშოების დახმარებით. ამის შემდეგ შესაძლებელია ჭვრეტა სულიერ სამყაროში, როგორც ეს არის მისაწვდომი ხელდასხმულისთვის. ადამიანი ტოვებს საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს და ხედავს სულიერს ისევე, როგორც საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში ყოფნისას ხედავს იგი ფიზიკურს, გარკვეული აზრით, – ეთერულსაც. ეს შეუძლია ადამიანს, რომელმაც გაიარა ხელდასხმა.

რა ხდება ჩვეულებრივი სიზმრის დროს? მოდით, უფრო დეტალურად წარმოვიდგინოთ ჩაძინების პროცესი. ფიზიკური სხეული (იხ. ნახ. 9, ნათელი) და ეთერული სხეული (ნარინჯისფერი) რჩებიან ლოგინში. ასტრალური სხეული (მწვანე) და „მე“-ორგანიზაცია (წითელი) გამოდიან გარეთ. ცხადია მე ამას სქემატურად ვხატავ. იმ მომენტში, როცა ეს ხდება, ასტრალური სხეული ჯერ კიდევ აგრძელებს სრულად ვიბრირებას ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან. ამდენად ასტრალური სხეული გამოდის ორი დაბალი სხეულიდან. მან განახორციელა ყოველივე, რასაც დიდიდან დადამებამდე შინაგანი სახით ახდენდნენ თვალები და ყურები ეთერულ სხეულში, და ასევე ის, როგორ აღბეჭდავდა ნებელობა თავის თავს ფიზიკური სხეულის მოძრაობებში. დღის ყველა მოვლენის თანმსლები იყვნენ ასტრალური სხეული და „მე“. ახლა ისინი განცალკევდნენ. აქ ვიბრაცია ჯერ კიდევ გრძელდება შიგნით. რამდენადაც დღის განცდები (იხ. ნახ. 9. ხაზი პუნქტორით) აგრძელებს თავის ვიბრაციას, ეს განცდები ეჯახება ჩვენს გარემომცველ სულიერ სამყაროს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ქაოტური, უწესრიგო ურთიერთქმედება გარეგნული სულიერი სამყაროს აქტივობისა და იმისა, რაც აგრძელებს ვიბრაციას ასტრალურ სხეულში, ე. ი. წარმოიქმნება უწესრიგო ქაოსი (ბოდიშს ვიხდი ტავტოლოგიისთვის). თავად ადამიანი იმყოფება მის შიგნით. მის მიერ მოწოდებული ზემოქმედებას ახდენს თავად მასზე. ვიბრაცია გრძელდება. მაშინ წარმოიქმნება სიზმარი. ცხადია, რომ სინამდვილესთან მიმართებით აქ ბევრს ვერაფერს ვიტყვით.



ნახ. 9

1. rot – წითელი. 2. orange-ნარინჯისფერი. 3. hell-ნათელი. 4. grün-მწვანე.

როგორ არის ეს ხელდასხმულთან? ხელდასხმულს შეუძლია გავიდეს ამ სფეროს გარეთ (იხ. ნახ. 9), ამასთან ჩაახშოს ყველა რემინისცენცია, ყველა ნარჩენი ვიბრაცია, რომელიც მომდინარეობს ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან. გარდა ამისა, მედიტაციისა და კონცენტრაციის წყალობით, ასევე ცარიელი ცნობიერების განვითარების მეშვეობით, ხელდასხმულს აქვს მშვიდგონებრივი თვალეზი და ყურები. ახლა ის აღიქვამს არა მარტო თავად მასში მიმდინარე, არამედ გარეგნულ სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესებს. სიზმრების მაგივრად წარმოიქმნება აღქმები სულიერ სამყაროში. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: *სიზმრის ცნობიერება არის სულიერი აღქმის რაღაც ქოტური საპირისპირო ხატი.*

ამასთან ხელდასხმულში, რომელიც უკვე პირველივე საფეხურზე ავითარებს ასტრალურ ხედვასა და სმენას, მიმდინარეობს გარკვეული სახის შინაგანი ბრძოლა, რომელიც მიმართულია ამ რემინისცენციების, ფიზიკური და ეთერული სხეულები



ბის ნარჩენი ვიბრაციების ჩახშობისკენ. იმაგინაციურ სამყაროში შესვლით და სულიერის ჭკრეტის დაწყებით, უწევთ მუდმივად ებრძოლონ ამ რემინისცენციებს, აქ თავს იჩენს სიზმარეული სტიქია! აქ ერთმანეთში მუდმივად იჭრება სიზმარეული ხატი და ის, რაც სულიერი სამყაროს ჭეშმარიტი სახეა.

ასეთი ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, ყველა ხელდასხმულისთვის ცნობილია. სწორედ იმ მომენტში, როცა ხელდასხმული ცნობიერად იჭრება სულიერ სამყაროში, მის წინაშე კვლავ და კვლავ ვლინდება ფიზიკური სამყაროს ანასახები; ჩნდება რაღაც, რაც სულიერი სამყაროს წმინდა სურათ-ხატებისგან განსხვავებით ბარიერს წარმოადგენს. ამ მიმე შინაგან ბრძოლაში გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მოთმინებითა და თავშეკავებით. როცა დაუფიქრებლად კმაყოფილდები იმით, რომ ცნობიერება თავისთავად, ბრძოლის გარეშე, ივსება სულიერი ხატებით, მაშინ რეალური სულიერი სამყაროს ნაცვლად შეიძლება აღმოჩნდეს ილუზორულ სამყაროში. აი რატომ არის აუცილებელი მყარი და გონიერი შინაგანი პოზიცია იმისთვის, ვინც ჭეშმარიტი ხელდასხმისკენ მიისწრაფვის. თუ საუბარი მიდის სულიერი სამყაროსკენ მიმავალ გზაზე, სულიერ კვლევაზე, მაშინ სწორედ ამ მოვლენებზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენ თუ გვსურს, მივუახლოვდეთ სულიერ სამყაროს, აუცილებელია, ვიყოთ შთაგონებულები და ენთუზიასტები. შინაგანი მოშვებულობა, შინაგანი გულგრილობა, შინაგანი ინერტულობა ამას ხელს უშლის. ამიტომ, ერთი მხრივ, საჭიროა, მართებული შინაგანი დინამიკა და აქტივობა. მეორე მხრივ, შესაძლებელია ამან მიიყვანოს ფანტასტიკურ წარმოსახვამდე. ამდენად, თუ აღამიანს სურს, განვითარდეს, მას, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს მონაცემები, რომ მისწვდეს ფანტაზიის მწვერვალებს, მეორე მხრივ, საჭიროა ფხიზელი გაგება, რომელიც განუყოფელია ამ შინაგანი დინამიკისა და აქტივობისგან.

ხელდასხმული ორივეს უნდა ფლობდეს. არ არის კარგი დაკავდე მხოლოდ გზაზე მოძრაობით ან ობივატელურად დაეყრდნო მარტოოდენ ინტელექტს და ყველაფერი გამოიგონო. ორივე ერთად ჰარმონიულად უნდა შეთავსდეს. საჭიროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭეშმარიტი ფანტაზიორობის უნარის განვითარება და ამავდროულად არ იყო ის. სამშენიველს ყოველთვის უნდა ჰქონდეს უნარი, აღიჭურვოს ნებისმიერი ფანტა-

ზიით, მაგრამ ამავედროულად შინაგანი ქცევით თავი ხელში აიყვანოს. ადამიანი ერთდროულად უნდა იყოს პოეტი ფანტაზიორი და ამავე დროს თავისი უნარის მაკონტროლებელი. შემეცნებისკენ სწრაფვისას ნებისმიერ მომენტში საჭიროა, ასე ვთქვათ, შეგეძლოს დაწერო დრამატული ნაწარმოები ან ლირიკული ლექსი, ამასთანავე შეგეძლოს ალაგმო საკუთარი ფანტაზია და მისდო იმ ძალებს, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ ყველაზე ფხიზელ, რეალისტურ ცხოვრებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ გახდები ცარიელი ფანტაზიორი, არამედ შეაბიჯებ სულიერ რეალობაში.

ჭეშმარიტი სულიერი ჭვრეტისთვის მნიშვნელოვანია სამშენ-ველის ამგვარი შინაგანი წყობა. აი რატომაა საჭირო, როდესაც ადამიანი გონივრულ მზერას მიაპყრობს სიზმრისეულ ცნობიერებას და იცის, რომ მასში სულიერი სამყაროდან იჭრება მხოლოდ ქაოტური ხატ-სახეები, საჭიროა პიროვნებამ მიუძღვნას მთელი ძალა სულიერ შემეცნებას, სხვაგვარად იგი მხოლოდ სიზმრებს დაბადებს; მაშინ მას წარმოდგენა აქვს, რას ნიშნავს სულიერ სამყაროში შესვლა. მე ვთქვი, რომ სიზმრის ცნობიერებას ზედაპირზე ამოაქვს სულიერი. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ სიზმრის ცნობიერებას ასევე ამოაქვს ზედაპირზე სხეულებრივი ცხოვრების ხატები. მაგრამ სხეული არ არის უბრალოდ სხეულებრივი, ის მთლიანად განმსჭვალულია სულიერებით. როცა მავანს ესიზმრება გემრიელი სუნიანი საჭმელი და ამით ტკბება სიზმარში, თუმცა თავისი ფინანსური შესაძლებლობით მის მეთედ ნაწილსაც ვერ იყიდდა, ამის მიუხედავად იგი საჭმლის სიმბოლურ სურათში ხატოვანი ფორმით იღებს საჭმლის მომწელებელი ორგანოების ასტრალურ განცდებს. სიზმარში ყოველთვის არის სული, თუნდაც ეს სული სხეულში იმალებოდეს. სიზმარს ყოველთვის ამოაქვს სულიერი ზედაპირზე, ამასთან ხშირ შემთხვევაში ეს სულიერი დამალულია სხეულებრივში. ეს კი უნდა ვიცოდეთ.

საჭიროა, ასევე ვიცოდეთ, რომ გველი სიზმარში არის საჭმლის მონელების ორგანოს სიმბოლო თავისი ხვეულებითი, ან სისხლძარღვების სიმბოლო ტვინში. ამ საიდუმლოებს უნდა ვწვდებოდეთ. ამიტომ, როცა იწყებენ სულიერ კვლევას ხელდასხმის მეცნიერების დახმარებით, საჭიროა შევიქმნათ თუნდაც წარმოდგენა სამშენველში მომხდარ ნატიფ, დელიკატურ პროცესებზე და ანგარიში გაუწიოთ ყველა ამ ნიუანსს.

მესამე მდგომარეობა, რომელსაც გაივლის თანამედროვე ადამიანი ჩვეულებრივი ცხოვრების დროს, არის ძილი სიზმრის გარეშე. გავარკვიოთ, როგორია ადამიანის მდგომარეობა სიზმრის გარეშე ძილის დროს. საწოლში წევს ფიზიკური სხეული და ეთერული სხეული. ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ იმყოფება ასტრალური სხეული და მე-ორგანიზაცია – „მე“. ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან შეწყდა რხევები, ანუ რემინისცენციები. თავისი გამოცალკეებულ „მე“ და ასტრალური სხეულით ადამიანი იმყოფება სულიერ სამყაროში. მას არა აქვს ორგანოები და არ შეუძლია აღქმა. ყველაფერი წყველიაღშია ჩაფლული. მას სძინავს. ეს არის სიზმრის მდგომარეობა: ცხოვრება „მე“-სა და ასტრალურ სხეულში, რომელიც მოკლებულია გარემომცველი სამყაროს სიმდიდრისა და სიძლიერის აღქმას. მისთვის არსებობას კარგავენ ფერები და თვალებით აღქმული ფორმები, რომლებთან მიმართებითაც მას სძინავს. შეუძლებელია მთლიანად ძილი, ძილი შესაძლებელია მხოლოდ რაღაც კონკრეტულთან მიმართებით.

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც იმყოფება თავის ასტრალურ სხეულსა და თავის „მე“-ში, მაგრამ მასში არ არის რამენაირი ორგანო. მას სძინავს მთელი სულიერისთვის. ასეთია ადამიანი უსიზმრო ძილის მდგომარეობაში. ყველა სავარჯიშო მედიტაციასა და კონცენტრაციაში განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ჩანერგოს ასტრალურ სხეულსა და მე-ორგანიზაციაში სულიერი თვალები და ყურები, რათა ადამიანს შეეძლოს დანახვა, მთელი გარემოცვის სიმდიდრის აღქმა. ამ აღქმას აქვს სულიერი ბუნება. აღიქმება ის, რაც ჩვეულებრივ ცნობიერებას ხელიდან უსხლტება უსიზმრო ძილის დროს. მედიტაციისა და კონცენტრაციის მეშვეობით ადამიანი შინაგანად შეიარაღებული ხდება. ადამიანმა უნდა მოახდინოს თავის თავში არაორგანიზებულის ორგანიზება. მაშინ ის იწყებს ჭვრეტას სულიერ სამყაროში, რის შედეგადაც გარემოცვას ისევე აღიქვამს, როგორც ეს ხდება ფიზიკურ სამყაროში თვალებისა და ყურების წყალობით. ეს არის ნამდვილი, რეალური ინიციაციური შემეცნების წყარო. შეუძლებელია სულიერ ჭვრეტამდე მიხვიდე გარეგნული საშუალებების დახ-

მარებით. ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს შინაგანი ორგანიზება იმისა, რაც ჩვეულებრივ არაორგანიზებულია.

კაცობრიობის განვითარების ყველა დროში მიისწრაფოდნენ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა მიეყვანათ ხელდასხმამდე. ეს სწრაფვა ცოტა ხნით შეწყდა უხეშ მატერიალისტურ ეპოქაში, რომელიც გრძელდება XV საუკუნიდან თითქმის ჩვენს დრომდე. ამ პერიოდში ადამიანებს, არსებითად, დაავიწყდათ, რას ნიშნავს ხელდასხმა და ცდილობდნენ უძველესი ცოდნის მოპოვებას მის გარეშე, ამიტომ მივიდნენ იმ რწმენამდე, რომ მხედველობაში მივლეთ მხოლოდ ფიზიკური სამყარო.

სინამდვილეში რას წარმოადგენს ფიზიკური სამყარო? მისი აღქმა არ შეუძლია სწორედ იმას, ვინც მას აღიქვამს, როგორც მხოლოდ ფიზიკურ სამყაროს. მას შეიმეცნებს სწორედ ის, ვინც სწვდება სულს, რომელიც მასში მუდმივად იმყოფება. კაცობრიობამ კვლავ უნდა მიაღწიოს ამას. ეს არის აზრი უდიდესი საკვანძო მომენტისა ჩვენს დროში, რომელიც გვაჩვენებს ნგრევისა და ქაოსის სურათს, მაგრამ თვით ადამიანური ვნებების ამ საშინელ დუდილში, რომელიც ურევს ყველა კარტს და საბოლოოდ მიჰყავს დეკადანსისკენ, ვლინდება წარმართველი სულიერი ძალების სწრაფვა, ადამიანები მიიყვანონ ახალ სულიერებასთან. ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების მიწრაფების არსი არის ის, რომ მისდიოს ამ სულიერ მოწოდებას, რომელიც ეძვრს ჩვენს მატერიალისტურ ყოფაში.

მე გითხარით, რომ ყველა დროში ესწრაფოდნენ ადამიანის ორგანიზმის ისე განვითარებას, რომ მას შესძლებოდა სულიერ სამყაროში ჩახედვა. მაგრამ არსებობდა განსაზღვრული პირობები. როცა გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ძალზე შორეულ დროებს, თუმცა არც იმ დროებს, რომლებიც აღვწერე, როგორც ქალდეური ეპოქა, არამედ გარკვეული კუთხით იმ ეპოქას, რომელსაც მიეკუთვნებოდა ბრუნეტო ლატინი, ვნახავთ, რომ ადამიანები საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან იმდენად შეზრდილი არ იყვნენ, როგორც დღეს. დღეს ხომ ადამიანები ძალზე მყარად იმყოფებიან საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში. ისინი უნდა იყვნენ მასში, ვინაიდან ასე ხდება მათი აღზრდა. მაინც როგორ უნდა შეძლონ ადამიანებმა ურთიერთობა სულებთან, თუ მათ ხშირად კბილების ცვლამდე ასწავლიან კითხვას და წერას. წერა და კითხვა გამოიგონეს მხოლოდ კაცობრიობის განვითარების

განმავლობაში და მომდინარეობს ფიზიკური პირობებიდან, – ეს არ შეუძლიათ ანგელოზებს, არც – სულებს. თუ ჩვენ საკუთარ არსებას მივმართავთ იმისკენ, რაც მოპოვებულია ფიზიკურ სამყაროში, მაშინ ჩვენთვის, ცხადია ძნელი იქნება გამოვლენა იქიდან, რა არის ფიზიკური და ეთერული სხეულები.

გარკვეული თვალსაზრისით ჩვენი დრო ამაყობს იმით, რაც კულტურას მართავს ასეთი სახით, როცა ადამიანს არ შეუძლია გადმოსცეს რაღაც, თუ დაშორდება ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს. მე არ მინდა ამ კულტურის გალანძვლა, არც – მისი გაკრიტიკება. ის უნდა იყოს ისეთი, როგორც არის. ის უნდა წარმოქმნილიყო. ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ იმაზე, რას ნიშნავს ეს, მაგრამ საქმე სწორედ ასეა. უძველეს დროებში ასტრალური სხეული და „მე“ დღის ღვიძილისას გაცილებით დამოუკიდებლები იყვნენ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან მიმართებით, ვიდრე – დღეს. ამის შედეგად ხელდასხმულებიც დამოკიდებულნი იყვნენ იმაზე, რომ მათ ბუნებისგან ჰქონოდათ ასეთი დამოუკიდებლობა. ყოველ შემთხვევაში კაცობრიობის განვითარების უძველეს დროებში თითქმის ყველას შეეძლო ყოფილიყო ინიცირებული მისტერიებში. ინიცირებისთვის შეიძლებოდა ნებისმიერის აყვანა. მაგრამ ასე იყო უძველეს დროებში, დაახლოებით პირველყოფილი ინდოეთის კულტურისა და წინარე სპარსული კულტურის დროს.

შემდეგ იყო პერიოდები, როცა ხელდასხმისთვის არჩევდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც იოლად გამოდიოდნენ საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან და ჰქონდათ შედარებით უფრო დამოუკიდებელი „მე“ და ასტრალური სხეული. შესაბამისად დამოკიდებულნი იყვნენ გარკვეულ პირობებზე. ეს ხელს არ უშლიდა იმას, რომ ხელდასხმაში ცდილობდნენ, თითოეული წინ წაეწიათ იმდენად, რამდენადაც შეიძლებოდა მისი წინ წაწევა. ეს ასეც ხდებოდა. შედეგი მეტწილად დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად დამოუკიდებელი იყო მოწაფე როგორც საკუთარ „მე“-ში, ისე ასტრალურ სხეულში. არსებობდა ადამიანის დამოკიდებულება ბუნებრივ მიდრეკილებებზე. ეს ასე იყო იმის გამო, რომ ადამიანი იმყოფებოდა ამ სამყაროში. ამიტომ ის გარკვეული სახით დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მასზე, სანამ იმყოფებოდა დაბადებასა და სიკვდილს შორის ცხოვრებაში.

თქვენ შეგიძლიათ დასვათ კითხვა, ინიციაციის დროს დღესაც ექცევა თუ არა ადამიანი მსგავსი დამოკიდებულების ქვეშ. ნაწილობრივ ეს ასეა. რამდენადაც ამ ლექციებში მე მსურს, ძალზე ნათლად, ამომწურავად ვისაუბრო ჭეშმარიტ და მცდარ გზებზე, რომელსაც შეჰყავს სულიერ სამყაროში, ამიტომ ვისურვებდი, თქვენ წინაშე წარმომედგინა ის დამოკიდებულება, რომელიც დღეს არსებობს ხელდასხმულისთვის. შევეცადოთ, ეს მკაფიოდ გამოვხატოთ.

თქვენ ხედავთ, რომ უძველესი ადამიანი ბუნებრივ მონაცემებზე უფრო მეტად იყო დამოკიდებული, როცა ის ხელდასხმული ხდებოდა. თანამედროვე ადამიანი შეიძლება თავად მივიდეს ხელდასხმამდე და ეს სწორია იმიტომაც, რომ შესაბამისი მშენებელი სავარჯიშოების მეშვეობით ყოველთვის შეიძლება ასტრალური სხეულისა და „მე“-ს ისე მომზადება, რომ ჩაიხედონ სულიერ სამყაროში, ჰქონდეთ სულიერი აღქმა. რაც შეეხება ამ შეგრძნებების სისავსესა და სრულყოფილებას, დღეს არსებობს კიდევ სხვა დამოკიდებულება. ამას უერთდება რაღაც ძალზე ნატიფი და ინტიმური, და გთხოვთ, ახლავე ნუ გამოიტანთ საბოლოო დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რაზე ვისაუბრებ, არამედ დაელოდეთ, სანამ მომდევნო ლექციების შინაარსით არ განიმსჭვალებით. ვინაიდან ის, რაც მე მინდა გითხრათ, მხოლოდ თანდათან უნდა დავახასიათო.

დღეს ხელდასხმის შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით, დამოკიდებული ვართ სწორედ საკუთარ ასაკზე. დაუშვავთ, ვსაუბრობ სრულიად კონკრეტულად, ვიღაც გახდა 37 წლის, როცა შეუდგა ხელდასხმის გზას. ამდენად, ადამიანმა იცხოვრა დაბადებიდან 37 წელი და სურს, გააგრძელოს ცხოვრება. ახლა როგორც წესი, ვინმეს ხელმძღვანელობით ან ლიტერატურული წყაროების შესწავლის მეშვეობით, ის იწყებს სავარჯიშოებს მედიტაციასა და კონცენტრაციაში. იგი კვლავ მედიტაციურად უღრმავდება განსაზღვრულ აზრობრივ ფორმულას და ამის წყალობით, უპირველეს ყოვლისა, იძენს უნარს რეტროსპექტულად მიმოიხილოს საკუთარი მიწიერი ცხოვრება, რომელიც მის წინაშე წარმოჩნდება ერთიანი პანორამის სახით.

ამდენად, ვიღაცას შეუსრულდა 37 წელი. მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ ჩვეულებრივ ვუყურებთ და ვხედავთ ოთახში ადამიანებს პირველ და მეორე რიგში, ხოლო შემდეგ მაგიდას, მის უკან კედელს და როგორც ამ დროს ყველაფერი ერთდროულად

გვაქვს პერსპექტივაში, ასევე ხელდასხმის გარკვეულ საფეხურზე ვიმზირებით შიგნით დროში. ეს ისეა, თითქოს დროის სრბოლა იყოს სივრცობრივი. ჩვენ ვიყურებით მასში და იქ ვხედავთ: ახლა შენ ხარ 37 წლის. ეს განიცადე 36 წლის ასაკში, სხვამ 35 წლის ასაკში და ეს გრძელდება ასე დაბადებამდე. ამ ყველაფერს ადამიანი ჭკრეტს თითქოსდა ერთიან პანორამაში. დაეუშვათ, რომ ხელდასხმის გარკვეულ საფეხურზე ადამიანს ნამდვილად ეხსნება რეტროსპექტული მიმოხილვის ამგვარი პანორამა. მაშინ 37 წლისას შეუძლია განჭკრიტოს თავის მიერ განვლილი ცხოვრება დაბადებიდან დაახლოებით შვიდ წლამდე, ანუ კბილების ცვლამდე. ეს დრო არის სადღაც მოშორებით. მისი ჭკრეტა შეიძლება. შემდეგ შეიძლება უმზირო დროს, რომელიც განიცადე 7 წლიდან 14 წლამდე, ანუ სქესობრივ მომწიფებამდე. შემდეგ – გზა განვლილი 14-დან 21 წლამდე მთელი თავისი მოვლენებით. ამას მოსდევს ცხოვრების დარჩენილი მონაკვეთი, განვლილი 37 წლის ასაკამდე.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭკრეტა ხდება სივრცობრივ-დროით პერსპექტივაში. თუ ამ პერსპექტივას დავამატებთ ცარიელ ცნობიერებას, ანუ ცნობიერების მღვიძარე ცარიელ მდგომარეობას, მაშინ ჭკრეტა განიმსჭვალება გარკვეული ძალით. აქ შემოდის ინსპირაცია, რომელიც სხვადასხვა სახით მოქმედებს. იქ შეამჩნევთ: ის, რაც განიცადეთ, როგორც ცხოვრება დაბადებიდან 7 წლამდე, ინსპირირებს სხვაგვარად, სამშვინველის წინაშე აყენებს სულ სხვა რამეს, ვიდრე – 7-დან 14 წლამდე, 14-დან 21 წლამდე განცდილი და ასევე შემდგომიც. ყოველი ცხოვრებისეული პერიოდი იძლევა განსხვავებულ ძალას. ჭკრეტის წინაშე ყოველ ჯერზე წარმონდება თვისობრივად სხვა რამ.

მაგრამ ადამიანს შეუძლია 37 წელზე მეტი იცოცხლოს. ვთქვათ, მას შეუსრულდა 63-64 წელი. მაშინ იგი ჭკრეტს ცხოვრების უფრო გვიანდელ პერიოდებსაც. 21-დან 42 წლამდე პერიოდი წარმონდება გარკვეული სახით როგორც ცხოვრების ცალკე ეპოქა. ცხოვრების შემდეგი პერიოდი დაყოფილია ასე: მკაფიოდ გამოიყოფა 42 და 49 წლებს შორის პერიოდი; ის, რაც ჩანს 42 და 56 წლებს შორის, ასევე 56 და 63 წლებს შორის – ეს ყველაფერი ჩვენს მზერას წარმოუდგება მკაფიოდ დიფერენცირებული. და ეს თავად ჩვენ ვართ. ადამიანის ინდივიდუალობა სულიერი სახით ხომ მუდმივად არსებობს მისი მიწიერი ცხოვრების ყველა პერიოდში. თუ ინსპირირებული

ვიქნებით ამ ყველაფრისთვის, მაშინ ყოველივე, რასაც საკუთარ თავში ვატარებთ, მოგვცემს განსხვავებულ ინსპირაციებს. ადამიანი ატარებს ბავშვობას საკუთარ თავში 7 წლამდე, რაც მას აძლევს სხვა ინსპირაციას, ვიდრე ბავშვობა, რომელსაც საკუთარ თავში ვატარებთ 7-დან 14 წლამდე და ბავშვობა, რომელიც გვაქვს 14-დან 21 წლამდე. ოღონდ არ არის საჭირო მივანიშნოთ ახალგაზრდა ქალბატონებსა და ბატონებს, რომ ისინი ექვემდებარებიან ასაკობრივი ინსპირაციების ზემოქმედებას. შემდეგ ადგილი აქვს სხვა სახის ინსპირაციას, რომელიც განეკუთვნება 21-დან 42 წლამდე პერიოდს, ხოლო შემდეგ მოდის ასევე საკმაოდ დიფერენცირებული ძალები, რომლებიც დაკავშირებულია გვიანდელ ასაკობრივ კატეგორიებთან.

დავუშვათ, ვინმემ განავითარა უნარი ხატოვნად განჭვრიტოს თავად მის მიერ განცდილი და ამას დაუმატა ინსპირაცია, მომდინარე ცარიელი ცნობიერებიდან, ასე რომ, კვლავ ჩაიხშო [ხატოვანი] ცნობიერება და ძალები, ამიტომ უკვე თვალებიდან კი არ იმზირებიან, არამედ თვალების *გავლით*. დავუშვათ, რომ ინსპირაციის მეშვეობით იმდენად შორს წავედით, რომ უკვე ვეღარ ვხედავთ საკუთარი ცხოვრების ეპოქებს თავისი ფაქტებით, არამედ ვხედავთ და გვესმის ცხოვრების ამ ეპოქების გავლით, პირველად 7-დან 14 წლამდე ცხოვრების ეპოქის გავლით, შემდეგ 49-დან 56 წლამდე ეპოქის გავლით, როგორც ოდესღაც გვესმოდა და ვხედავდით სამყაროს გავლით. მასში ვიყენებთ თვალებს და ყურებს. ინსპირაციის სამყაროში ვიყენებთ იმას, რაც გვაძლევს ძალას 7-დან 14 წლამდე ცხოვრების წლებიდან, ან იმას, რასაც მოაქვს ძალები 42-დან 49 წლებს შორის ცხოვრების წლებიდან. იქ ცხოვრების ასაკები დიფერენცირდება აღქმის ორგანოებით. შესაბამისად, დღეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ვართ საკუთარ ასაკზე. სავსებით შესაძლებელია, 37 წლის ასაკში ვისაუბროთ როგორც ხელდასხმულმა, მაგრამ 63 წლის ხელდასხმული ილაპარაკებს სრულიად სხვაგვარად, რამდენადაც მან გამოიმუშავა აღქმის სხვა ორგანოები. ცხოვრების პერიოდებში ეს აღქმის ორგანოებია. დავუშვათ, ახლა გვინდა არა წიგნებიდან, არამედ ინსპირაციული შემეცნებიდან გამომდინარე, დავხატოთ პიროვნება, როგორიცაა ბრუნეტო ლატინი, ან ალანუს აბ ინსულისი, – მე მინდა, მაგალითი მოვიყვანო უკანასკნელი ლექციებიდან. თუ შევეცდებით ამ ადამიანების დახასიათებას. როცა ვართ 37 წლის, მათ შესახებ გავიგებთ



შემდეგ: ისინი არიან იქ სულიერ სამყაროში. ისინი იქ დგანან ცოცხალ სიზმრისეულ ცნობიერებაში.

აქ შესაძლებელია მათთან საუბარი, – ცხადია, რამდენადმე რაღაც *cum grano salis* (გარკვეული წინაპირობით) საუბარი, – ისევე, როგორც ვსაუბრობთ ფიზიკურ ადამიანებთან. ეს ნამდვილად სწორია, მაგრამ თავისებურება ის არის, რომ მათ შეუძლიათ სულიერი ცხოვრების ენაზე საუბრისას მხოლოდ ნათელყონ, სწორედ რაღაცა იმისგან, რაც ახლა, ამ მომენტში მათ მოიპოვეს სიბრძნეში, შინაგან სულიერებაში. აღმოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ბევრი, ძალზე ბევრი რამის გაგება მათგან. ოღონდ საჭიროა ამ სულებს ერთგულება და რწმენა მივაგებოთ. საჭიროა მათი შევისმინოთ.

ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ახლა ამისი უკვე გეჯერა, ვინაიდან, არც ისე უმნიშვნელოა იდგე, ვთქვათ, ბრუნეტო ლატინის წინაშე სულიერ სამყაროში. ამისთვის უკვე გასაველელია აუცილებელი მომზადება, ამასთან საჭიროა მკაფიოდ განვასხვაოთ ბოდვითი სიზმრები და სულიერი რეალობა. შესაბამისად, უკვე შესაძლებელია, ასე ვთქვათ, მივცეთ რაღაც იქიდან, რაც მოდის ამ შეტყობინებების მეშვეობით.

ვთქვათ, ვისაუბრეთ ბრუნეტო ლატინისთან სულიერ სამყაროში, აქ მე კვლავ ვიმეორებ, რომ ეს პირდაპირი გაგებით არ უნდა მივიღოთ. ეს არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს ხდება ისე, როგორც ახლანდელი ჩვენი საუბარი ამ დარბაზში, უბრალოდ, შეგვიძლია ასე ვთქვათ. დავუშვათ, რომ ნავარაუდევო საუბრის მომენტისთვის ამ ვილაცას შეუსრულდა 37 წელი. ბრუნეტო ლატინი ისაუბრებს ბევრ რამეზე. ამასთან თანამოუსაუბრეს გაუჩნდება სურვილი, ბევრი რამ უფრო ზუსტად გაიგოს. მიაქციეთ ყურადღება, აქ ბრუნეტო ლატინი ამბობს: დიახ, შენ უნდა გამომყვე მე უკან, – ჩვენ ახლა ვართ XX საუკუნეში, – მე მინდა XIX, XVIII საუკუნეების გავლით ერთად მივიდეთ ჩემს საუკუნემდე. ჩვენ უნდა გავიაროთ ეს გზა უკან და ერთად მივიდეთ იქ, სადაც თავად მე ვიმყოფებოდი, როგორც დანტეს მასწავლებელი. დიახ, შემდეგ ის ეტყვის: გარდა ამისა, შენ უნდა გახდე რამდენადმე უფროსი, თუ გსურს ჩემი თანხლება, ბევრად უფროსი. მე შემიძლია შენ ყველაფერი გაუწყო. შენ შეგიძლია ყველაფრის შემეცნება, შეიძლება გახდე ღრმა ხელდასხმული, მაგრამ შენს ამჟამინდელ ასაკში არ შეგიძლია

ჩემი თანხლება. სინამდვილეში არ შეგიძლია საკუთარი სულიერი ნებით წარსულისკენ ამ გზის რეალურად გავლა.

ხელავთ, აქ საჭიროა ის უფრო ასაკოვანი იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში თუ მას სურს, წინააღმდეგობის გარეშე დაემგზავროს თანამოსაუბრეს სულიერ სამყაროში, ის უნდა გახდეს 42 წელზე მეტი ხნის, სასურველია 60 წლის.

ეს არის მოვლენები, რომლებიც გაჩვენებთ, როგორ არის საქმე ადამიანურ არსებასთან უღრმესი აზრით და რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა ადამიანი არის ასაკში ან როცა ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მხოლოდ ამ მოვლენებზე ყურადღების გამახვილებით, შეიძლება ასევე მოვიცვათ, – და მე ამაზე კიდევ ვისაუბრებ, – რატომ კვდება ზოგიერთი ადამიანი ახალგაზრდა, ხოლო ზოგი ბერდება ამ ან სხვა ცხოვრებაში და ა.შ.

### *ვარსკვლავთა სფეროების ურთიერთგანმსჭვალვა*


ჩვენ ვნახეთ რამდენად შეიძლება ადამიანის მშვიდგონიერი ცხოვრების გაფართოება, სულიერი სამყაროს აღქმის შემდგომი გავრცობა ადამიანური განვითარების მხრივ; მე უკვე ვისაუბრე, როგორ იცვლება, ვთქვათ, ურთიერთობა ისეთ არსებასთან, როგორცაა ბრუნეტო ლატინი, რომელიც იმყოფება სულიერ სამყაროში როგორც გარდასხეულებული ადამიანური სამშვიდგონიერი; როგორ იცვლება ეს ურთიერთობა ყოველთვის ხელდასხმის პირობების შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, ვუყურებთ თუ არა ჩვენ ახალგაზრდობაში გამომუშავებული ორგანოებით თუ იმ ორგანოებით, რომლებიც გამომუშავდნენ სიბერეში. ის, რაც ასეთი სახით წარმოჩნდება სამშვიდგონიერის წინაშე, როგორც ადამიანის მიერ მიწიერი სამყაროსა და მისი ევოლუციის მიმოსილვა, შეიძლება შეივსოს შემდეგი კითხვით: რა სახით და რა მიმართულებით შეიძლება ადამიანური ცნობიერებისა და ჭკრეტის გაფართოება? დღეს შევეცდები, მოვნიშნო თქვენ წინაშე ასეთი სახის მიმართულება, რათა მომდევნო დღეებში ის კიდევ უფრო დაწვრილებით წარმოვადგინო.

ჩვენი ჩვეულებრივი ცნობიერებით მიწიერ ცხოვრებაში, დაბადებასა და სიკვდილს შორის ყოფნისას, ჩვენ გარშემო გვაქვს მიწიერი გარემოცვა. ეს წმინდა მიწიერი გარემოცვა ჩვენ გარშემო არ გვექნებოდა, თუ ძილი არ იქნებოდა ქაოტური, თუკი ღრმა უსიზმრო ძილში აღვიქვამდით ჩვეულებრივი

ცნობიერებისთვის ნიშანდობლივს. აქ აღვილი აქვს სწორედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ცნობიერების განსხვავებულ შეგრძნებებსა და მდგომარეობებს, აქ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი. ჩვეულებრივ ცნობიერებას თავის გარშემო აქვს მიწიერი სამყარო. მე მსურს, ნახაზზე მოენიშნოს ის, რაც წარმოადგენს უახლოეს მიწიერ გარემოცვას, ვინაიდან დედამიწის შინაგანში ჩახედვა მზერისთვის მიუწვდომელია (იხ. ნახ. 10. მწვანე). ეს არის ის, რასაც პირველ რიგში აღიქვამს ჩვეულებრივი ცნობიერება თავის თავში. ამ სფეროში ასხივებს ყველაფერი დანარჩენი სამყაროში – მზე, მთვარე და სხვა ვარსკვლავები. ჩვენ ვხედავთ, ასე ვთქვათ, მზისა და მთვარის კოსმიურ ნიშნებს მკაფიოდ, დანარჩენი ვარსკვლავებისას – სუსტად. ისინი აგზავნიან ნიშნებს ამ ფიზიკურ სამყაროში. ფიზიკოსებს გაუკვირდებოდათ, თუ თავიანთი მეთოდებით, – მათ ხომ ჩვენი მიდგომა არ აწყობთ, – დაადგენდნენ, სინამდვილეში როგორ გამოიყურება სივრცე, სადაც იმყოფება მთვარე ან მზე. ვინაიდან ეს ყველაფერი სრულებითაც არ გამოიყურება ისე, როგორც აღწერილია ასტრონომიის ან ასტროფიზიკისა თუ სხვა ამგვარ სახელმძღვანელოში. ეს არის მხოლოდ ნიშნები, რომლებიც აქ ჩანს. როგორც წესი, ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როცა ჩვენ წინაშეა ადამიანი, რომლის გაცნობაც გვსურს და შეგვიძლია მასთან გასაუბრება, ჩვენ არ ვამბობთ: რასაც აქ ადამიანზე ვიგებ, ზუსტი არ არის; ის უნდა წავიდეს ძალიან შორს ისე, რომ ძლივს ვხედავდეთ, მაშინ გაეიცნობ მას გაცილებით უკეთ და აღწერ კიდევ.

ცხადია, ეს გამოწვეულია სამყაროსეული კანონზომიერებით, მაგრამ ფიზიკოსებს შეუძლიათ ვარსკვლავების აღწერა შორეულ მანძილებზე. გაფართოებულ, გარდაქმნილ ცნობიერებას შეუძლია თავად ჩვენი გადაყვანა სწორედ ვარსკვლავიერ სამყაროებში. პირველი, რასაც მაშინ ვსწავლობთ, ეს არის ამ ვარსკვლავიერ სამყაროებზე საუბარი სრულიად სხვაგვარად, ვიდრე მათ შესახებ ვსაუბრობთ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ამბობენ: მე ვდგავარ აქ. როცა ღამეა, ჩემ ზემოთ ვხედავ მთვარეს. ეს სწორია. ჯერ საჭიროა გადავიდეთ სხვა ცნობიერებაში, რომ ვილაპარაკოთ სხვაგვარად, ზოგჯერ ეს დიდხანს გრძელდება. მაგრამ როცა ადამიანი ეფლობა ცნობიერების სხვა მდგომარეობაში და იძენს უნარს განჭვრიტოს ის, რასაც განიცდის, როცა პირველი ცნობიერებით თანხლებას

უწევს გარდაცვლილებს, ან განჭვრეტს დაბადებიდან 7 წლამდე პერიოდში განცდილს, ანუ კბილების ცვლამდე და ა.შ., ისე რომ, შესაბამისი ინსპირაცია გარდაიქმნება ჭვრეტის შინაგან ხილად – აი, მაშინ ხელავს ადამიანი თავის გარშემო სხვა სამყაროს. ყოველდღიური თითქოს ხუნდება, ხდება გაურკვეველი, ხოლო მის მაგივრად გამოდის სხვა სამყარო.



ნახ. 10

1 Erde grün-დელამიწა მწვანე. 2. Mond weiss 0-7-მთვარე თეთრი. 3. Merkur rot 7-14 - მერკური წითელი. 4. gelb, Venus bis 21-ყვითელი, ვენერა 21-მდე. 5. Sonne bis 42-მზე 42-მდე. 6. Mars bis 49-მარსი 49-მდე. 7. Jupiter bis 56- იუპიტერი 56-მდე. 8. Saturn bis 63-სატურნი 63-მდე.

ამ მეორე სამყაროს შეიძლება ეწოდოს მთვარის სფერო (ნახ. 10, თეთრი). ამ გამოცდილების განცდით, უკვე აღარ ამბობ: აქ ვდგავარ მე, ხოლო იქ არის მთვარე, არამედ ამბობ: მე ვიმყოფები მთვარის შიგნით. ამასთან მთვარე არის ყველაფერი, რაც მის წრიულ ორბიტაშია, ანუ ყველაფერი, რაც ამ წრეშია. მთვარის მიმოქცევის წრე, მისი მხოლოდ ყველაზე გარეგნული მიჯნაა. ჩვენ განვიცდით იმას, რომ ვიმყოფებით მთვარის შიგნით. ხედავთ, იქ, მთვარეში ყოფნა შეეძლო უკვე რვა წლის ბავშვსაც, გადახედავდა რა თავისი 7 წლის ცხოვრებას, ცხადია, თუ შესაძლებელი იქნებოდა მისი ხელდასხმა. მისთვის ეს იქნებოდა ძალზე იოლი, ვინაიდან შემდგომმა ცხოვრებამ ჯერ ვერ მოასწრო მისი აღქმების დამახინჯება. ცხადია, რვა წლის ხელდასხმულები არ არსებობენ, მაგრამ თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია.

ამდენად, მთვარის სფეროს ჰკრეტა მართებთ იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლითაც გვაჯილდოებს ცხოვრების პირველი შეიღწეული. საერთოდ აქ საქმე არის სრულიად, სრულიად სხვაგვარად, ვიდრე მას აღწერენ ჩვეულებრივი ცნობიერებით. მე მსურს, ეს აგიხსნათ მაგალითის მეშვეობით. თქვენ ხედავთ, როცა დღეს ბიოლოგი სწავლობს ემბრიონს ჩანასახის თანმიმდევრული განვითარების მიხედვით მისი პირველი სტადიიდან უკანასკნელამდე, მაშინ ამ ჩანასახს სწავლობს გარკვეულ სტადიაში. პერიფერიის ერთ ადგილას, სადღაც გარეთ ზედაპირზე, არის გასქელებული მატერიალური. აქ არის ჩართულობა, აქ ჩანს რაღაც სახის თესლი. მართალია, ამას მკაფიოდ ვხედავთ მიკროსკოპის ქვეშ, მაგრამ არ შეგვიძლია და ვერც გავხედავთ ვთქვათ: ეს არის მხოლოდ ჩანასახი, მხოლოდ ემბრიონი, არამედ მას მიეკუთვნება სხვა რამეც. ზუსტად ასევეა ეს მთვარესთან და სხვა ვარსკვლავებთან. ის, რასაც იქ ვხედავთ, არის უბრალოდ რაღაც თესლი და მთელი წრე, რომელიც ხორციელდება მთვარის მოძრაობით, მიეკუთვნება მთვარეს(თეთრი შტრიხები), და დედამიწა არის მთვარეში. თესლს შეუძლია მობრუნება, ამიტომ მთვარესაც შეუძლია წრეზე ბრუნვა. მაგრამ მთვარე შემობრუნდება და წრეზე მოძრაობს. მთელი ჩანასახი ახდენს წრიულ მოძრაობას. ამიტომ მთვარეც გარშემო მოძრაობს.

ამიტომაც მოხუცები, რომლებმაც ჯერ კიდევ რაღაც იცოდნენ ამ მოვლენებზე, საუბრობდნენ არა მთვარეზე, არამედ

მთვარის სფეროზე. რასაც ახლა მთვარეს ვუწოდებთ, მათ წარმოუდგებოდათ მხოლოდ განსაკუთრებულ ადგილად გარე ორბიტაზე. ეს ადგილი იცვლება ყოველდღე. უნდა გავიძღვს 28 დღე, რომ მთლიანად განვიხილოთ მთვარის სფეროს საზღვარი. მთვარის სფეროში, როცა დედამიწა ქრება მხედველობის არიდან, ჩახედვის ძალას იძენს ადამიანი, თუ დაბადებიდან შეიდ წლამდე ასაკში განცდილი გარდაიქმნება ინსპირაციაში. ხოლო კბილთა ცვლისა და სქესობრივ მომწიფებამდე პერიოდში განცდილი თუ გარდაიქმნება ინსპირაციულ ძალაში, მაშინ ის განიცდის მერკურის (წითელი) სფეროს, მეორე სფეროს. ამდენად, ეს (აჩვენებს, – თეთრს) იქმნება დაბადებიდან შეიდ წლამდე ცხოვრების პერიოდის ძალით, ხოლო ეს (წითელი) – 7-დან 14 წლამდე პერიოდის ძალით.

აქ დედამიწა კვლავ იმყოფება მერკურის სფეროს შიგნით. მერკურის განცდები ჩვენი მზერისთვის მისაწვდომი გახდება, როცა გაცნობიერებული ჭკრეტით მივუბრუნდებით 7-დან 14 წლამდე ცხოვრების მოვლენებს. ხოლო სქესობრივი მომწიფების მიღწევისას 14-დან 21 წლამდე პერიოდში ადამიანები ცხოვრობენ ვენერას (ნახ, 10, ყვითელი) სფეროში. მოხუცები სულელები არ იყვნენ; მათი სიზმრისეული შემეცნებები მსგავს მოვლენებზე ბევრ რამეს მეტყველებდა, აი რატომ ანიჭებდნენ ისინი პლანეტას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს სქესობრივი მომწიფების შემდეგ, ქალღმერთის სახელს, რომელიც დაკავშირებულია სასიყვარულო ურთიერთობებთან, მათი დრო ხომ სწორედ ამ ასაკში დგება.

შემდეგ, როცა ცნობიერად, რეტროსპექტულად ვჭკრეტ 21-დან 42 წლამდე პერიოდში განცდილს, მაშინ საკუთარ თავს ვაცნობიერებთ მზის სფეროში. ამდენად, ჭკრეტის შინაგან ორგანოებში ტრანსფორმაციისას ცალკეული ცხოვრებისეული პერიოდები ადამიანს აძლევს ძალას, გააფართოოს საკუთარი ცნობიერება კოსმიურ სივრცეებამდე, ამასთან ეს ხდება საფეხურებრივად. უნდა ითქვას, რომ ადამიანს 42 წლამდეც შეუძლია რაღაცის გაგება მზის სფეროზე. ასეთ ცოდნას მას აუწყებენ მერკურის არსებები, ვინაიდან მათ ეს უკვე იციან. მაშინ ამაზე უშუალოდ კი არ ვიგებთ, არამედ, ასე ვთქვათ, ზეგრძნობადი განსწავლის მეშვეობით. იმისათვის, რომ გვქონდეს მზის სფეროს განცდები საკუთარი ცნობიერების ფარგლებში, რათა მასში შევიდეთ ისე, რომ ეს იყოს რაღაც სეირნობის

მსგავსი ტორკში, მაშინ 21-დან 42 წლამდე ასაკი არასაკმარისია, საჭიროა იყო უფრო ასაკოვანი; გასცდე 42 წელს, რათა განახორციელო შესაბამისი რეტროსპექტული ჭვრეტა, ვინაიდან მხოლოდ ის არის მზის საიდუმლოებათა გასაღები. ხოლო თუ შეგიძლია, რეტროსპექტულად განჭვრიტო 42-დან 49 წლამდე ცხოვრების პერიოდი, შენ გეხსნება მარსის საიდუმლოები, 49-დან 56 წლამდე კი – იუპიტერის საიდუმლოები. სატურნის ყველაზე იდუმალი, მაგრამ წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი საიდუმლოები კი იხსნება, როცა რეტროსპექტულად ვუმზერთ 56-დან 63 წლამდე განცდილს. საიდუმლოები თავის თავში შეიცავენ კოსმოსის უღრმეს გამოცხადებებს. ამას მომდევნო ლექციებში ვნახავთ.

ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ყოველივე ზემოთქმულიდან, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რომ ადამიანი ნამდვილად წარმოადგენს პატარა სამყაროს, მიკროკოსმოსს. ის დაკავშირებულია ძალებთან, რომელთა საიდუმლოებს თავისი ჩვეულებრივი მიწიერი ცნობიერებით ვერ სწვდება; იგი ვერ შეძლებდა საკუთარი ცხოვრების შინაგანი სახით ფორმირებასა და წარმართვას, თუ დაბადების მომენტიდან შეიდ წლამდე ასაკში მასში არ იმოქმედებდა მთვარის ძალები. მათ ზემოქმედებას ის აღიქვამს მოგვიანებით. ადამიანი ვერ შეძლებდა განეცალა მოვლენები, რომლებიც მას გადახდა 7-დან 14 წლამდე, თუ მასში არ იცხოვრებდა მერკურის მისტერიები. იგი ვერ შეძლებდა განეხორციელებინა ის, რასაც ახორციელებს 14-დან 21 წლამდე, – მაგ, შეიწოვოს თავის თავში კარმული მიდრეკილებისას მძლავრი და პროდუქტიული მხატვრული ძალები, – თუ იგი შინაგანად არ იქნებოდა დაკავშირებული ვენერას სფეროსთან.

მას რომ არ ჰქონდეს კავშირი მზის სფეროსთან, შეუძლებელი იქნებოდა 21-დან 42 წლამდე რაიმენაირი მომწიფებული გაგების გამომუშავება სამყაროზე, ვინაიდან ეს არის დრო, როცა ჩვენ ვამთავრებთ საკუთარ სწავლებას და ვხდებით საზოგადოების წევრები. ძველ დროებში არსებობდა თავისი განსხვავებები. 21 წლამდე ადამიანი გადიოდა პროფესიულ სწავლას; მოწაფე ჯერ ხდებოდა ქარგალი, ხოლო შემდეგ – ოსტატი. ამდენად, ყველაფერი, რაც შინაგანად უნდა ხდებოდეს ადამიანში 21-დან 42 წლამდე, დაკავშირებულია მზის ყოფიერებასთან, მზის სფეროსთან. ზუსტად ასევე ჭკნობის პერიოდში 56 და 63 წლებს შორის მომხდარი დაკავშირებულია სატურნის სფეროსთან.

ჩვენ ვიმყოფებით დედამიწასთან ერთად ურთიერთგანმსჭვალავ სფეროებში. შვიდი სფერო ერთმანეთს მსჭვალავს. ჩვენ ცხოვრების მსვლელობაში ვიზრდებით, ვერწყმით ამ ურთიერთგანმსჭვალავ სფეროებს და დამოკიდებულნი ვართ მათზე. ჩვენი ცხოვრება დაბადებიდან გარდაცვალებამდე ევოლუციას განიცდის და ავლენს ჩვენში ჩადებულ მონაცემებს, ამასთან ვარსკვლავთა სფეროები წარგემართავენ დაბადებიდან გარდაცვალებამდე. როცა მივდივართ სატურნთან, მაშინ უკვე ამოვწურეთ ყველა ის სასიკეთო, რაც პლანეტარულ სფეროებს, ანუ პლანეტარულ სფეროთა არსებებს შეუძლიათ ჩვენთვის მოიმოქმედონ. ჩვენ მაშინ ვიძენთ, ოკულტური აზრით თუ გამოვხატავთ, სამყაროში თავისუფლად მოძრაგ, ჩვენთვის ბოძებულ და ნაჩუქარ სიცოცხლეს, რომელიც წარსულში პლანეტარულ ცხოვრებას გადახედავს ხელდასხმულის თვალთახედვიდან და ამ პერიოდში იგი გარკვეულწილად შეიძლება ემანსიპირებული, დამოუკიდებელი იყოს იმისგან, რაც წინარე ცხოვრებისეულ პერიოდებში ჯერ კიდევ აუცილებელი იყო.

ამ მოვლენებზე საუბარს მომდევნო დღეებში გავაგრძელებ.



მეშვიდე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 18 აგვისტო  
ვარსკვლავური შემეცნება

*კაცობრიობის ისტორიული ჩამოყალიბებისა და  
დიფერენციაციის სულიერი საფუძვლები*

ჩვენ ვნახეთ, როგორ ეუფლება ადამიანი სულიერი ჭკერტის მეშვეობით საკუთარი ცხოვრების წლებს, მოიცავს მათ და მიდის ინსპირაციამდე, რომლის წყალობითაც საფესურებრივად ისე აამაღლებს თავის ცნობიერებას, რომ იძენს უნარს მოისმინოს ის, რასაც მას აუწყებს ვარსკვლავიერი სამყარო, რომელიც მაშინ ბუნებრივად აღიქმება, როგორც წმინდა სულიერი არსებებისა და წმინდა სულიერი მოვლენების გამოხატულება, გამოცხადება.

ამდენად, ყველაფერი ხდება ისე, რომ რეალურად მოიპოვონ შესაბამისი ცნობიერების მდგომარეობა და შესაბამისი მშენიანი წყობა, რომელსაც შეჰყავს სულიერ სამყაროში და იძლევა მასში კვლევის ჩატარების საშუალებას, ამასთან უნდა გვესმოდეს, რომ ჩვეულებრივი ცნობიერებით შეუძლებელია სულიერ სამყაროში შეღწევა. ვინც სხვაგვარად მიიჩნევს, ის ცდება. მე მსურს, დღეს ეს გადმოგცეთ კონკრეტული მაგალითებით, ან უმჯობესია ითქვას – ფაქტებით. მე მიიწვევს, სულიერი კვლევის დროს რამდენად მნიშვნელოვანია და როგორ არის განფესვილი ცდუნების მომენტი. მაგრამ დასაწყისში განვიხილოთ შემდეგი.

როდესაც ადამიანი ნამდვილად ეფლობა სულიერ მუშაობაში, რომელიც მას საშუალებას აძლევს შეაღწიოს სულის სამყაროში და განჭვრიტოს იგი, როცა ხორციელდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ურთიერთობა ამ სამყაროსთან, მაშინ სწორედ კაცობრიობის ისტორიული ჩამოყალიბებისას, – ჩვენ კი ვისწრაფვით ამ ჩამოყალიბების სულიერ საფუძვლებში შეღწევისკენ, – იგი აღიქვამს უდიდეს დიფერენციაციებს, უდიდეს განსხვავებებს. ავიღოთ, მაგ., ეპოქა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ჩვენს დროს. ჩვენი დრო, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მიქაელის ეპოქა, იწყება XIX საუკუნის ბოლო მესამედში, დაახლოებით წინა საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ამ დროს წინ უსწრებდა სხვა, რომელიც გრძელ-

დებოდა სამიდან ოთხ საუკუნემდე და ის სრულიად სხვა ბუნების იყო სულიერი სამყაროს მკვლევრისთვის. თავის მხრივ, ამ ეპოქას წინ უსწრებდა კიდევ ერთი, თვისებრივად განსხვავებული მისგან და ა.შ. ამდენად, ხელდასხმის მეცნიერების საშუალებების დახმარებით წარსულში მიბრუნებისას აღმოაჩენ, რომ თითოეული ეპოქა ახდენს თავის განუმეორებელ შთაბეჭდილებას. მე მინდა, გავექვე აბსტრაქტულ აღწერებს და წარმოვიდგინოთ რაღაც კონკრეტული.

ამ ლექციებში მე უკვე შევეხე ზოგიერთ პიროვნებას, რომლებიც კაცობრიობის განვითარებაში განსაზღვრულ ეპოქებთან იყვნენ დაკავშირებულნი. მაგ., ვისაუბრე ბრუნეტო ლატინიზე, დანტეს უდიდეს მასწავლებელზე. ვისაუბრე შარტრის სკოლის უდიდეს მასწავლებლებზე – ბერნარდოს სილვესტრისზე, ალანუს აბ ინსულისზე, იოახიმ დე ფიორეზე და შემდეგ მესაუბრა IX-XII სს, ასევე XIII საუკუნის ასობით სხვა პიროვნებაზე და *სწორედ მათი სახელებით შეგვეძლო აღგვენიშნა განსაზღვრული ეპოქები.\**

ვინც შეეცდება სულისმეცნიერული თვალსაზრისით გამოიკვლიოს ისტორიული რეალიები კაცობრიობის ცხოვრებიდან რენესანსის წინამორბედ ეპოქაში, – დავარქვათ მას დანტეს, ან ჯოტოს ეპოქა, – მიიღებს შთაბეჭდილებას, რომ მას მოუწევს სულიერ სამყაროში, ასე ვთქვათ, უშუალოდ შევიდეს ურთიერთობაში ადამიანებთან, გარდასხეულებულ ადამიანურ სამშენველებთან; მას მოუწევს პირისპირ ურთიერთობა, – ბუნებრივია ეს მხოლოდ მეტაფორაა, – ადამიანების სამშენველებთან, როგორებიც ისინი არიან უკანასკნელ სიკვდილსა და მომავალ დაბადებას შორის. ხელდასხმის მეცნიერება საშუალებას იძლევა, განვიცადოთ თავისებური გრძნობა, რომ შესაძლებელია სულიერად ურთიერთობა ისეთ ინდივიდუალობასთან, როგორიცაა, ვთქვათ ბრუნეტო ლატინი, როგორც აქ ფიზიკურ პლანზე, ურთიერთობენ ჩვეულებრივ ადამიანებთან. ამაზე უკვე საზგასმით ვისაუბრე ჩემს გამოცემებში. აი, რატომ წარმოვადგინე მე, იოახიმ ფიორეზე ან ბრუნეტო ლატინიზე საუბრისას თქვენ წინაშე ეს ეპოქა ისე, რომ ადვილი შესამჩნევი იყოს არსებობა იმისა, რომ ყველაფერი აღმეწერა, რაც შეიძლება პიროვნული სახით. მე ვისაუბრე, ასე ვთქვათ, „მხარზე მოტყაპუნებით“ და ამის მსგავსად.

ეს ყველაფერი ძირეულად შეიცვალა უკანასკნელ ეპოქაში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის XIX საუკუნის ბოლო მესამედამდე. ამ ეპოქის გამოკვლევისას განიცდი გაცილებით უფრო ნაკლებ მოთხოვნილებას, შეხვიდე პიროვნულ, ინდივიდუალურ ურთიერთობაში გარდასხეულებულ სამშენველებთან. თქვენ, ალბათ, არჩევდით ისინი გენახათ მთელი თავიანთი გარემოცვით, როცა მოისურვებდით მათთან მიახლოებას, გამომდინარე მიწიერი შემეცნებიდან და არა უშუალოდ. ჩვენ ვისურვებდით, მათთან მისვლა მოგვეხერხებინა, გამომდინარე ჩვეულებრივი ცნობიერების შემეცნებებიდან.

მაპატიეთ, თუ ახლა მოგიყვებით რაღაცას პირადი გამოცდილებიდან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პირადად განცდილი წარმოდგენს რაღაც ძალზე ობიექტურს. მიხედვით, რომ მაგალითის არჩევა აიხსნება იმით, რომ ჩვენს წინამორბედ ეპოქაში ცხოვრობდა გოეთე, ხოლო მე ათწლეულები ვმუშაობდი სწორედ მასზე. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, გოეთე განმეხილა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის კუთხით, ვსწავლობდი რა საფუძვლიანად მის საბუნებისმეტყველო კვლევებს. მხოლოდ შედარებით მოგვიანებით გაჩნდა მოთხოვნილება, შევხვედროდი მას სულიერ სამყაროში, როგორც სულიერ ინდივიდუალობას. მაგრამ მე ამ შეხვედრით არ დამიწყია. მას წინ უსწრებდა არა პიროვნული, ინდივიდუალური ურთიერთობა, არამედ მასთან შეხვედრა, როგორც ვარსკვლავიერი სამყაროს ბინადართან, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაკავშირებული იყო მთელ სამყაროსთან, მთელ კოსმოსთან.

თუ გსურს, სულიერ სამყაროში იპოვო ბრუნეტო ლატინის მსგავსი პიროვნება, ან ვინმე, ვინც მის დროს დაკავებული იყო ბუნებისმეტყველებით, აუცილებელია, პერსონალურად შეფერილ მშენიანებელ ურთიერთობაში შეძლო, ანგარიში გაუწიო მის მოსაზრებებსა და შეხედულებებს. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, რომ დროები სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან თავიანთი შინაგანი სულიერი სტრუქტურით. დღეს ვცხოვრობთ ისეთ დროში, რომელშიც ადამიანმა და განსაკუთრებით კაცობრიობამ, უშუალოდ უნდა მოიცვან სულიერი ფაქტები. ეს ნიშნავს, რომ ხელდასხმის მეცნიერება, რომელსაც შეუძლია შეღწევა სულიერ სამყაროში, შესაძლებელია, გარეგნული სახით გავრცელდეს, როგორც ნებისმიერი ადამიანური ცოდნა. ჯერ კი-

დეგ ახლახან დაწყებული ჩვენი ეპოქის დასრულებამდე, მათთვის, ვისაც განათლებულ ადამიანებს უწოდებენ, უპირველეს მიზნად იქცევა სულიერი ფაქტების წვდომა წმინდა სულიერი მეთოდებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალურად შეისწავლიან არა გრძობად-ფიზიკურ ფენომენებს, არამედ სულიერ ფენომენებს. ამიტომ, ჩვენი დროიდან დაწყებული აუცილებელია სულისმეცნიერების წარმოჩენა, რომელსაც ხელეწიფება სულიერი სამყაროს წვდომა, სხვაგვარად მიწიერი კაცობრიობა ვერ შეძლებს საკუთარი ამოცანის განხორციელებას მისთვის დანიშნული აზრით. ჩვენ სულ უფრო მეტად უნდა შევეზარდოთ სპირიტულ ეპოქას.

სხენებულ ეპოქას წინ უსწრებდა პერიოდი, როცა კაცობრიობის ევოლუციაში სრულიად სხვა ძალები იყო გაბატონებული. მოვლენების განხილვისას იმ თვალსაზრისით, როგორც მე ვისაუბრე ბოლო ლექციაში, ანუ ვარსკვლავთა სამყაროს ნამდვილი, რეალური შემეცნების თვალსაზრისით, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ვთქვათ: იმ დროს, როცა ადამიანებმა შეაბიჯეს წინა საუკუნის სამოცდაათიან წლებში, უპირატესად მოქმედებდნენ მზიდან მომდინარე სპირიტული ძალები, რომლებიც ბატონობდნენ ყველაფერზე – ადამიანების ფიზიკურ ცხოვრებაზე, მათ მშვიინვიერ, მეცნიერულ, მხატვრულ და რელიგიურ ცხოვრებაზე. ჩვენს ეპოქაში სულ უფრო მეტად უნდა შემოიჭრას ის, რისი უწყებაც სურს ჩვენთვის მზის სამყაროს, ის, რაც სამყაროში უნდა მოიმოქმედოს მზემ, რამაც სულ უფრო მეტად და მეტად უნდა მოიცვას ჩვენს დროში ყოველივე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა რეალური მდგომარეობის მცოდნე ადამიანისთვის მზე სულაც არ არის ის ფიზიკური გაზისებრი ბურთი, რომელსაც აღწერს თანამედროვე ფიზიკოსი, არამედ – სულიერი არსებების ერთობლიობა. და უმთავრესი სულიერი არსებები, რომლებიც, ასე ვთქვათ, მზიდან ასხივებენ სულიერს, სპირიტულს ისე, როგორც ფიზიკურად ან ეთერულად ციალებს მზის სინათლე, ყველა ისინი თავს იყრის განსაზღვრული არსების გარშემო. უძველეს ქრისტიანულ-წარმართულ, ქრისტიანულ-ებრაულ ტრადიციაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ არსებას ჩვენ ვუწოდებთ მიქაელის არსებას. მიქაელი მოქმედებს მზიდან. ის, რასაც სულიერ დონეზე მზე უძღვნის სამყაროს, ამას ასევე შეიძლება ეწოდოს ის, რასაც მიქაელი თავის სამყაროსთან ერთად გვიძღვნის.

ამას წინ უსწრებდა სხვა ეპოქა, რომელიც უკვე აღვწერე აღნიშნული აზრით. იმ დროში ადამიანურ ცხოვრებას, შემეცნებებსა და ქმედებებს იმპულსირებდნენ არა მზის ძალები, არამედ მთვარის ძალები. იმ ეპოქაში, რომელიც გრძელდებოდა სამი-ოთხი საუკუნე და დასრულდა XIX საუკუნის 70-იან წლებში, ყველაფერი იმპულსირებული იყო მთვარის ძალების მიერ.

მოწინავე არსებები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ დედამიწისა და კაცობრიობის განვითარებაზე, ზუსტად ასევე შეჯგუფდნენ უმთავრესი არსების გარშემო, რომელსაც ძველი ტრადიციის თანახმად შეიძლება ეწოდოს *გაბრიელი*. ჩვენ ასევე შეგვეძლო გვეპოვა საკუთარი აღნიშვნა, მაგრამ რამდენადაც ისინი უკვე არსებობს, ამიტომ არ შევჩერდებით ტერმინოლოგიაზე და შევინარჩუნებთ მათ, ვინაიდან თვისთავად ტერმინოლოგია რაიმე პრინციპულ როლს არ თამაშობს. ამდენად, ქრისტიანულ-იუდეველური ტრადიციის თანახმად, ეს არსება შეიძლება აღვნიშნოთ სახელით გაბრიელი. ამ სულიერი ქმედების შემეცნებას, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანში ვარსკვლავიერი სამყაროებიდან, ჩვენ ვსწავლობთ მეთოდით, რომელზეც ვისაუბრე. ვსწავლობთ რა იმის შემეცნებას, რა მოქმედებს ადამიანში მისი დაბადებიდან კბილების ცვლამდე ინიციაციის მეცნიერების მეშვეობით; შევიმეცნებთ ყოველივე იმას, რაც სამყაროში არსებობს, როგორც მთვარის მოქმედება. ეს ნიშნავს, რომ საბავშვო ასაკის ამ საწყისი პერიოდის ინსპირირებული რეტროსპექტული განხილვის მეშვეობით მივიღებთ გასაღებს გაბრიელის ეპოქისთვის, როცა უპირატესად აქტიურია მთვარე.

შემდეგ ჩვენ რამდენადმე უნდა მოვმწიფდეთ და მივუახლოვდეთ საკუთარ ორმოცი წლის ასაკს და გადავხედოთ, რა მოქმედებს ადამიანში 20 და 40 წლებს შორის, ან, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 21-დან 42 წლამდე ცხოვრებას შორის, რათა გავაცნობიეროთ ჩვენი ეპოქის მსგავსი ეპოქის თავისებურებები. ასე რომ, ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენს ეპოქას, სამყაროს კოსმიური მმართველობისთვის უმნიშვნელოვანესი იყვნენ ბავშვები, ჩვილები. მათთვის დანიშნული იყო ძალები, რომლებიც უნდა ჰქონოდა ეპოქას. რაც შეეხება ჩვენს დროს, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთი ცხოვრების მეორე ან მესამე ათწლეულს და იმპულსები უნდა მიიღონ მზის ძალებისგან. ჩვენს დროში განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანია მოზრდილი ადამიანები მთელი სამყაროს კოსმიური მმართველობისთვის.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულ შედეგებს იძლევა გუშინწინ ჩემ მიერ აღწერილის მსგავსი რეალური მსოფლმხედველობები. რასაც მე ვამბობ, ეს თეორიები კი არ არის, არამედ პრაქტიკული დასკვნებია სამყაროს რეალური წვდომიდან. კერძოდ, შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ჩვენი ეპოქის წინამორბედი ეპოქის, ანუ მიქაელის ეპოქის წინამორბედი – გაბრიელის ეპოქის შემეცნებისთვის არ არის საჭიროება პიროვნული მიმართებისა და პირისპირ დგომისა გარდასხეულებულ ადამიანურ სამშენველებთან. ჩვენ თავს ვგრძნობთ სწორედ პატარა ბავშვის მსგავსად, რომელიც დგას ზრდასრული, ასაკოვანი ადამიანის წინაშე, ვინაიდან მათ უნდა მიუახლოვდეთ ინსპირირებული დაკვირვებით ყველაზე ფაქიზი ბავშვობის ასაკიდან.

ყველაფერი არის სულ სხვაგვარად, როცა გადადიხარ ძიებებით ეპოქაში, რომელშიც ცხოვრობდნენ ალანუს აბ ინსულინი, ბერნარდოს სილვესტრისი, იოახიმ დე ფიორე, იოჰანეს ფონ აუვილე, ბრუნეტო ლატინი. ამ ეპოქაში ბატონობდნენ ძალები, რომელთაც ეჯახები, როცა ჭვრეტ იმას, რაც ადამიანში მოქმედებს კბილების ცვლასა და სქესობრივ მომწიფებას შორის ცხოვრების პერიოდში. ამ პერიოდში, როგორც უკვე მივითითეთ წინა ლექციაში, უპირატესად აქტიურია მერკურის ძალები და უნდა ითქვას, რომ, როცა ვაფასებთ იმას, რაც წარმოქმნება, როცა სულიერი აღქმის ორგანოები იგება სწორედ ამ ცხოვრებისეული პერიოდის ძალთა საფუძველზე, მაშინ აცნობიერებ, რომ ეს არის რაღაც განსაკუთრებული, რაღაც დიადი. ვინაიდან კბილთა ცვლასა და სქესობრივ მომწიფებას შორის პერიოდში ადამიანი წარმოადგენს ძალიან ცნობისმოყვარე არსებას. ეს ცნობისმოყვარეობა არ იკარგება, თუ ადამიანი ეყრდნობა ამ ცხოვრებისეულ პერიოდს. შესაბამისი ეპოქის ადამიანებთან ურთიერთობაც ასევე უნდა იყოს მთლიანად ინდივიდუალიზებული. სწორედ ეს მიიღწევა ინიციაციური შემეცნების წყალობით. მაგ., საჭიროა ბრუნეტო ლატინის წინაშე ვიდგეთ, როგორც ათი, თორმეტი წლის ბავშვი დგას აღმზრდელის, მასწავლებლის წინაშე. გარდა ამისა, ხელდასხმის მეცნიერებაში შეუძლებელია, გულგრილად მოეკიდო ფიზიკური სამყაროს ფენომენებს. ჩვენ ვრჩებით ასაკოვან ადამიანად და ამავდროულად ცნობისმოყვარე, ცოდნას მოწყურებულ ბავშვად.

შემდეგ ტოლ-სწორად ვდგავართ ბრუნეტო ლატინის წინაშე, ამასთან ასევე მოცული ცოდნის წარმოუდგენელი წყურვილით.

ამას ადგილი აქვს იმ ეპოქისთვის, რომელიც მიდის უკან XV-დან IX საუკუნემდე, რომელსაც დაჰკრავს განსაკუთრებული ელფერი ინიციაციური შემეცნებისთვის; აქ ჩვენ მივდივართ უკან იმ დროში, როცა მერკური იძლევა სწორედ უმთავრეს იმპულსურ ძალებს დედამიწისა და კაცობრიობისთვის და ის არსება, რომლის გარშემოც ყველა შეჯგუფდება, არსება, რომელიც იმ დროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეიძლება აღინიშნოს უძველესი სახელით – რაფაელი: რაფაელი ბატონობს, მართავს იმ ეპოქას, რომელიც წინ უსწრებდა რენესანსს – დანტეს, ჯოტოს ეპოქას. მინდა გითხრათ, რომ ალბათ ვისურვებდი პირადად ვიცნობდე სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც რამდენადმე დამალულია და არ გამოვლენილან გარეგნულ ისტორიაში.

თვით სულისმეცნიერების მცოდნესთვის ხსენებული ეპოქა თავის თავში ატარებს რაღაც განსაკუთრებულს. თავიდან გვაწუხებს ის, რომ ლიტერატურულ სახელმძღვანელოებში ასე ცოტას საუბრობენ, მაგ., ბრუნეტო ლატინიზე, ალანუს აბინსულისზე და ა.შ. ისურვებდნენ, მათ შესახებ სცოდნოდათ რაღაც ისეთი, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა გარეგნული გზით. თუმცა შემდეგ, როცა რამდენადმე წინ წავიწევთ, ძალზე მაღლიერები ვართ იმით, რომ გარეგნული ისტორია აქ დუმს. ვინაიდან ისტორიკოსების ხელში აღმოჩნდებოდა დოკუმენტების სრულიად შემთხვევითი ნაკრები. წარმოიდგინეთ, რას იფიქრებენ ჩვენს დროზე მომავლის ადამიანები, როცა შეეცდებიან, მის შესახებ წარმოდგენა შეიქმნან საგაზეთო სტატიების საფუძველზე და ყოველგვარი შეუთანხმებელი მოწმობების საფუძველზე! მხოლოდ მაღლიერები შეიძლება ვიყოთ იმისათვის, რომ ამ პიროვნებებზე პოპულარულ წიგნებში დაწერილი ნაკლებად გეხებათ. მაშინ თქვენ, თანამედროვე ეპოქაში ანთროპოსოფიული საზოგადოების მიერ შემოთავაზებული საშუალებებით შეიარაღებულთ, საშუალება გეძლევათ, სამყაროს წარუდგინოთ ის, რაც შეიძლება ითქვას ამ ადამიანებზე სულისმეცნიერულ დონეზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამოცანას ხსენებულ ეპოქასთან, რაფაელის ეპოქასთან მიმართებით, წარმოადგენს ბუნების შემეცნებაში შეღწევა. პიროვნებებს, რომლებიც სულიერად

მხედველის წინაშე წარმოჩნდებიან ძველი დროიდან, ეპოქიდან, რომელიც გრძელდებოდა IX-XV საუკუნეებამდე, შეეძლოთ ბევრი რამ ეუწყებინათ ბუნებისმეტყველების სფეროდან, სამედიცინო მეცნიერების სფეროდან; მათ შეეძლოთ ჩვენთვის გაეცნოთ საკუთარი მიდგომა მატერიასთან და ისიც, როგორ იაზრებდნენ მაშინ სამყაროსა და ადამიანის ურთიერთკავშირს. როდესაც იჭრები ამ ეპოქაში და ეცნობი მათ, რომელთა სახელებიც არ მუდგანდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი დაკარგულია მომდევნო თაობების მიერ, – თუმცა თავად პიროვნებები არსებობდნენ, – მაშინ ბევრი ინდივიდი წარმოჩნდება ისეთ ჭრილში, რომ ამბობენ: აგერ ჩემ წინაშეა „პარაცელს“ დიდი“, რომლის ხსენებაც არ ყოფილა, ხოლო ნახსენებია „პარაცელს პატარა“, რომელიც ცხოვრობდა მოგვიანებით, გაბრიელის ეპოქაში და ჯერ კიდევ გააჩნდა გარკვეული რემინისცენციები, გარკვეული გამოძახილი „პარაცელს დიდისა“, მაგრამ მოკლებული იყო სამშვინველის იმ სიდიადეს, სულის იმ გაქანებას, რაც დამახასიათებელი იყო „პარაცელს დიდისთვის“.

ასევეა იაკობ ბიომე. „*იაკობ ბიომე*“ პატარა“ ცხოვრობდა უფრო გვიანდელ ეპოქაში, გაბრიელის ეპოქაში და სამყაროს აუწყა რაღაც დიადი, ამასთან მრავალი წყარო ამტკიცებს, რომ იგი ეყრდნობოდა საკუთარ ინსპირაციას. მხოლოდ შთამომავლებისთვის უცნობ „*იაკობ ბიომე დიდთან*“, ან ისეთ პიროვნებებთან, როგორცაა ალანუს აბ ინსულისი თუ ბრუნეტო ლატინი, შეხვედრის შემდეგ, შეგიძლია შეაფასო „*იაკობ ბიომე პატარა*“ „*იაკობ ბიომე დიდთან*“ შედარებით. აქ ჩვენ გვიწევს ვთქვათ: რენესანსის წინარე ეპოქაში, რომელიც დაგვირგვინდა უდიდესი ფიგურებით დანტეოთი და ბრუნეტო ლატინით, – მას მოსდევს შარტრის სკოლის მასწავლებლები, ხოლო მათ შემდეგ ჩნდება *სკოტ ერიკენის*\* ფიგურა, – ჩადებულია რაღაც, რომელიც ფლობს უჩვეულოდ მძლავრ სპირიტულ-მამოძრავებელ ძალას. შუა საუკუნეების გარეგნული ისტორია მოცულია სიბნელით; მაგრამ ეს სიბნელე ფარავს მკაფიო სინათლეს, რომელიც საშუალებას იძლევა გაშუქდეს აღწერილი ეპოქა.

### *მოვარის არსებები*

როდესაც გაგებით უდრმავეები რაფაელის ეპოქას, რომელიც გრძელდებოდა IX-XV საუკუნეებამდე, მაშინ იქმნება ზოგადი



შთაბეჭდილება, რომ ძალზე რელიგიურად გამოიყურებიან ამ ეპოქის უდიდესი ფიგურები დანტე, ჯოტო, ასევე ისინი, ვინც ვერ შევიდა გარეგნულ ისტორიაში. მათგან იღებ უშუალო ადამიანურ შთაბეჭდილებას. თავად მთავარანგელოზი რაფაელი, რომელიც არასდროს ინკარნირებულა ფიზიკურ სხეულში, უპირატესად რჩება უკანა პლანზე; ასევე არ გამოდიან წინა პლანზე სხვა სულიერი არსებებიც, რომლებიც მუდმივად, – ყოველ შემთხვევაში ჩვენს დროში, – იმყოფებიან სულიერ სამყაროში. სამაგიეროდ, სულიერი დამკვირვებლის მზერისთვის განსაკუთრებით ძლიერად გამოიყოფიან სწორედ გარდაცვლილი ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ ეპოქას.

რაც შეეხება მომდევნო ეპოქას, ანუ მთავარანგელოზ გაბრიელის ეპოქას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვით ისეთი ფიგურებიც, როგორცაა *გოეთე*\*, *სპენსერი*\*, *ბაირონი*\*, *ვოლტერი*\* თავის თავს სულიერ სამყაროში ავლენენ უფრო მეტად როგორც ჩრდილები. ამის საპირწონედ უდიდესი ინტენსივობით ვლინდებიან ისეთი არსებები, რომლებიც არ ტოვებენ ადამიანურ შთაბეჭდილებას, არამედ უფრო მეტად ეკუთვნიან ზეგრძნობად არსებებს. სპირიტუალი შემეცნებისთვის გახსნილი ეს არსებები დღეს, – როგორც ჩვენ ადამიანები ვცხოვრობთ დედამიწაზე დაბადებასა და სიკვდილს შორის, – მუდმივად ცხოვრობენ მთვარის სფეროში. ისინი წარმოადგენენ მთვარის სფეროს ბინადრებს. უპირველეს ყოვლისა, ვლინდებიან მთვარის სფეროს მუდმივ ბინადართა პატივსაცემი ფიგურები, ხოლო ადამიანური სამშვინველები უპირატესად უკანა პლანზე ჩნდებიან. მთვარის ამ არსებათა იერი მოწმობს, რომ ოდესღაც ისინი დაკავშირებულნი იყვნენ დედამიწასთან, როგორც ჩვენს დროში არიან – ადამიანური არსებები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დედამიწაზე ჩვენ დავდივართ ფიზიკურ სხეულში, ხოლო ეს არსებები ოდესღაც დედამიწაზე დადიოდნენ უფრო ნატიფ, ეთერულ სხეულებში. და შენ სწაელობ და აცნობიერებ, რომ იქ ხვდები არსებებს, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ დედამიწაზე, ანუ დედამიწის უძველეს დროში უკვე დაკავშირებულნი იყვნენ კაცობრიობასთან და წარმოადგენდნენ ადამიანების ზეგრძნობად მასწავლებლებს. შემდეგ, როცა მათ დედამიწაზე შეასრულეს თავიანთი მისია, ეს არსებები გადავიდნენ მთვარის სფეროში და დღეს დედამიწასთან უკვე აღარ არიან დაკავშირებულნი.

ჩვენ ვიცით, – ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, რომელიც აქ, ინგლისში გამოვიდა სახელწოდებით „ოკულტური მეცნიერება“, – რომ თავად მთვარე როგორც კოსმიური სხეული ოდესღაც დაკავშირებული იყო დედამიწასთან, ხოლო შემდგომ გამოყოფილ მას. მთვარის გამოყოფას თან სდევდა არსებების განცალკევება. დედამიწის სფეროს ბინადრები შემდგომში იქცნენ მთვარის სფეროს ბინადრებად. ჩვეულებრივი ცნობიერების შინაარსის შენარჩუნებით თუ გადახვალ მის იმ საფეხურზე, როცა შეიძლება გარდაცვლილის თანხლებას მისი სიკვდილის პირველ წლებში, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, მაშინ შედიხარ სამყაროში, სადაც, ცხადია, დავანებული არიან ამჟამინდელი ადამიანების სამშენებლებიც. ეს არის სამშენებლები იმ ადამიანებისა, ვისთანაც შეგიძლია ურთიერთობა ფიზიკურად ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, როცა გადადიხარ ცნობიერების ზემოაღწერილის მსგავს შეცვლილ მდგომარეობაში, მაშინ ამ სამშენებლებს შორის ხვდები ისეთ სულიერ ფიგურებს, რომლებიც ახლანდელ დროში უნდა მივაკუთვნოთ მთვარეს, როგორც ჩვენ ვეკუთვნივთ დედამიწას; ეს არსებები არიან ყველგან, ამასთან ისინი განიცდიან მუდმივ ინტერესს ადამიანური ცხოვრების გარემოებებისადმი, მაგრამ ამას აკეთებენ სხვაგვარად, ვიდრე თანამედროვე ადამიანები თავიანთი ფიზიკური მიდგომით – მიწიერი მოვლენებისადმი.

ამ არსებებს შორის, რომლებიც ოდესღაც კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლები იყვნენ, დღეს კი აღარ არიან დედამიწის ბინადრები, არამედ, – თუ გამოვხატავთ სიტყვებით *Cum grano salis*, – ბინადრობენ მთვარეზე, გვხვდებიან ისეთები, რომლებიც მინდა გითხრათ, გამოირჩევიან უდიდესი კეთილშობილებით, არიან ყველაზე გონიერნი, ყველაზე სრულყოფილნი და შინაგანი სულიერი სიდიადით განმსჭვალულნი. მათგან შეიძლება ძალიან ბევრი რამის სწავლა კოსმოსის საიდუმლოებთან დაკავშირებით. მათ აქვთ ცოდნა, რომელიც ძალზე აღემატება თანამედროვე ადამიანის ცნობიერების ყველა შესაძლო დონეს. მაგრამ მათ არ შეუძლიათ, თავიანთი ცნობიერება გამოხატონ აბსტრაქტულ ფორმაში. შეიძლება ითქვას: როცა მათ მიეხსლება, ისინი თავის შემეცნებას გამოხატავენ პოეტურ ფორმაში ან მხატვრულ სურათ-ხატებში, რომლებიც თავისი სიდიადით, თუ მაგალითად მოვიყვანთ რაიმე ცნობილს, ენათესავენ პომერო-

სის ეპოსს ან ძველინდურ პოეზიას. ამასთან ყოველივე მათგან მომდინარე განმსჭვალულია უდიდესი სიბრძნით.

ამ არსებებს შორის შესაძლოა ნაკლებად სრულყოფილებიც შეგვხვდეს. როგორც დედამიწაზე არიან ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ, ასე თქვათ, სიმპათიურებს ან ანტიპათიურებს, ასევე ამ არსებებს შორისაც გვხვდებიან ისეთები, რომელთაც ჯერ ვერ მიაღწიეს თავიანთი თანამოაზრეების სადიადესა და სრულყოფილებას, თუმცა ისინიც არ ეშვებიან გარკვეულ ზღვარზე დაბლა, ვინაიდან წარმოადგენენ მოწაფეებს, ასევე მსახურებს იმათი, ვინც საკმარისად ამაღლდა, რათა დატოვოს დედამიწა, ავიდეს მთვარის სფეროში და გააგრძელოს ქმედება. სწორედ მსგავსი არსებების გაცნობისას ამჩნევ, რომ ისინი განიცდიან მწველ ინტერესს მიწიერი საქმეებისადმი, მაგრამ ამ ინტერესს გამოხატავენ სრულიად განსაკუთრებული სახით.

თქვენ მაშინვე კი არ უნდა წარმოიდგინოთ არასიმპათიური, შემზარავი ფიგურები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არასრულყოფილნი არიან თავიანთ თანამოძმეებთან შედარებით, მაინც ბევრად უფრო მაღლა დგანან იმაზე, რისი მიღწევაც შეუძლია ჩვეულებრივი ცნობიერებით ამჟამინდელ მიწიერ ადამიანს კეთილშობილებაში, განსჯაში, გამჭრიახობაში. ამავე დროს მათთვის დამახასიათებელია თანამოძმეთა ჩვევები, რომლებიც ძალიან განსხვავდება დედამიწის თანამედროვე ჩვეულებრივ ბინადართა ჩვევებისა და მიდრეკილებებისგან.

ახლა მსურს, მიგანიშნოთ მათ ცალკეულ განსაკუთრებულ თავისებურებებზე. როცა კონტაქტში შედიხარ ასეთი ტიპის არსებებთან, ბუნებრივია, გაქვს მოთხოვნილება, – ბოდიშს ვიხდი, თუ ეს ტრივიალურად უდერს, – გააბა მათთან ურთიერთობა, მოისმინო მათი რჩევები ამა თუ იმ თემაზე. დავუშვათ, აუცილებელია, – აქ მსურს შევეხო კონკრეტულ თემას, – მივიღოთ მათგან რჩევები წერის დროს ადამიანის უნარზე. ვთქვათ, ორი განსხვავებული ადამიანი რაღაცას წერს, რომ ერთმა დაწერა თავისი სახელი, მეორემ კი უბრალოდ ხელი მოაწერა.

ჩვენ თუ გვსურს ამ არსებების აზრის გაგება დაწერილზე, ისინი გვიპასუხებენ: ადამიანებს გაინტერესებთ ყველაზე არა-არსებითი. თუ დაწერილია სიტყვა „მჭედელი“, მაშინ თქვენი ინტერესი მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობით შემოიფარგლება. გაიგეთ! სიტყვის მნიშვნელობა, ეს ყველაზე ნაკლებად არის საინტერესო. გაცილებით საინტერესოა იმის დაკვირვე-

ბა, როგორ ახორციელებს წერისას ადამიანი გარკვეულ მოძრაობებს, ანუ რამდენად სხვადასხვაგვარად წერენ ადამიანები – ზოგი სწრაფად, ზოგი ნელა, ერთს – ინტელიგენტური ხელწერა აქვს, მეორეს – არა, ერთი – ავტომატურად წერს, მეორე – ასოებს ხატავს, ყველა ინდივიდს აქვს წერის განსაკუთრებული მანერა – აი, რაზეა საჭირო ყურადღების გამახვილება. ეს ყველაზე საინტერესოა.

სულიერ სამყაროში, რომელზეც აქ ვსაუბრობ, მათ ასევე აქვთ თავიანთი სულიერი გარემოცვა; ესენი არიან მრავალფეროვანი სულიერი არსებები, რომელთაგანაც ზოგი მიწიერ არსებებზე მაღლა დგას, ზოგი – მიწიერ არსებებზე დაბლა, მაგრამ ისინი არ იმყოფებიან დედამიწაზე. ისინი არ საჭიროებენ თვითგამოხატვას მიწიერი მეთოდების გამოყენებით, მაგრამ მოძრაობები, რომელთაც ვიყენებთ წერის პროცესში, მათთვის უცხო არ არის, რამდენადაც ეს მათ აითვისეს ჯერ კიდევ დედამიწაზე ბინადრობისას. მაგრამ მთვარის ამჟამინდელი ბინადრები, – ისინი ხომ დედამიწის ყოფილი ბინადრები არიან, – ჯერ კიდევ არ ფლობდნენ წერის ტექნიკას ჩვენი გაგებით.

ადამიანებთან ურთიერთობისას ისინი მუდმივად აკვირდებიან წერის პროცესს, ზუსტად ისევე, როგორც წარსულში ავლენდნენ ინტერესს იმისადმი, როგორ ახორციელებდნენ ადამიანები თითებით სხვადასხვაგვარ გააზრებულ მოძრაობას; უკვე იმ დროში ეს მათთვის ინტერესის საგანი იყო. მოგვიანებით წარმოიქმნა და განვითარდა თითების აქტივობის უნარი, რომ თითების მოძრაობა გადავიდეს ლერწამში, რომელიც ამოვლებულია მელანში, ან – ლერწამში, საიდანაც იღვრება რაღაც. ამიტომ, ქაღალდზე დაწერილის შინაარსი მათ გაცილებით ნაკლებად აინტერესებთ. სამაგიეროდ, მოძრაობა, რომელსაც ვახორციელებთ წერის პროცესში, მათთვის განსაკუთრებულად საინტერესოა.

ახლა ამას ემატება იმის შესწავლა, რაც ოდესღაც იყო დედამიწაზე და რაც აქამდე დარჩა, თუმცა ადამიანები ამას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, კერძოდ მრავალფეროვანი პროცესები, პირველ რიგში კი, ადამიანის მოძრაობის თანმხლები პროცესი, რასაც ადამიანი მოძრაობისას ასხივებს. ამდენად, *მოძრაობის პროცესში გამოსხივება*, სრულიად განსაკუთრებულად უნდა იქნეს განხილული ამ არსებებთან.

თუმცა ეს არ შედის ამ არსებათა საკუთარი აქტივობის სფეროში, ვინაიდან ასეთი მოძრაობები დედამიწაზე მათი ყოფნის დროს ჯერაც არ იყო. სამაგიეროდ, ცინიკურობა ადამიანურისადმი, – მართალია, კარგი და არა ცუდი აზრით, – ძვეს იმაში, როცა ისინი საუბრობენ თანამედროვე ადამიანების უმნიშვნელო უნარებზე იმის შემეცნებისას, რაც ხდება აორთქლების სფეროსა თუ თხევადის გამოყოფაში. სამაგიეროდ თქვენ გაქვთ სრულიად განსაკუთრებული თანაგრძობა; ამას თანამედროვე ადამიანი ვერ ითვალისწინებს. ამდენად, ემანაცია თხევადის, *კანიდან გამოსხივებული თხევადის*, ამ არსებათა ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და არსებითი იყო. ადრე ადამიანის შეცნობას სწავლობდნენ იმ აორთქლებით, რომელსაც ის ავრცელებდა თავის გარშემო, რაზეც შემდგომში შეწყვიტეს ყურადღების გამახვილება.

მესამე, რის მიმართაც ეს არსებები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან, არის კანის სუნთქვა, ანუ აირისებრი გამოსხივება, რომელსაც ადამიანი თავის გარშემო ავრცელებს. ამდენად, ისინი ძალზე მგრძობიარენი არიან ფიზიკური ბუნების ყველა ამ გამოსხივებისადმი, რომელთაც შეუძლიათ, – როგორც ამას ენახავთ შემდგომი განხილვისას, – მოიპოვონ სანახევროდ სრულიად სულიერი ხასიათი; მყარში – წერის პროცესით, თხევადში – კანის აორთქლებით, აირისებრში – კანის სუნთქვით; ადამიანი ხომ განუწყვეტელივ სუნთქავს კანის მეშვეობით.

მეოთხე არის *სითბოს გამოსხივება*. ყველა ეს მოვლენა, რამდენადაც ისინი დედამიწაზე არსებობს, მთვარის ამ არსებებისთვის ჯერ კიდევ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ისინი ადამიანზე მსჯელობენ სწორედ წერისას მისი მოძრაობის კონფიგურაციით და მისი განსაკუთრებული სახის გამოსხივებით.

ამ ყველაფერს ემატება მეხუთე – *სინათლის გამოსხივება*, რომელიც ასევე მუდმივად ხდება. ადამიანი ასხივებს არა მარტო საკუთარი აურის ფარგლებში, არამედ საკუთარი ფიზიკური ორგანიზმითა და ეთერული ორგანიზმითაც ანათებს, სინათლეს ასხივებს. მაგრამ ეს სინათლე იმდენად სუსტია, რომ მისი დანახვა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში; მაგ., ბუნებისმეტყველი *მორიც ბენედიქტი\** შეეცადა, დაენახა ისინი სპეციალურად ჩაბნელებულ კამერაში. ეს გამოსხივება ვლინდება წითელი, ყვითელი და ლურჯი ციალის სახით ადა-

მიანური სხეულის გარშემო, ამასთან მის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარად. მორიც ბენედიქტმა, რომელმაც აღმოაჩინა ეს გამოსხივება ჩაბნელებული კამერის დახმარებით, დაადგინა, რომ მარცხენა მხარე ანათებს ყვითელ-ნარინჯისფერი სინათლით, ხოლო მარჯვენა – ლურჯით. ცხადია ეს ნათება შეინიშნება ფიზიკურად ჯანსაღ ორგანიზმში.

შემდეგ არის მეექვსე – *ქიმიურ ძალთა გამოსხივება*. ფაქტობრივად ეს გამოსხივება დედამიწაზე ძალზე იშვიათად ხდება. უფრო ზუსტად, ის მუდმივად სახეზეა, მაგრამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იღებენ მხედველობაში ამ გამოსხივებას, ან ის თამაშობს რაიმე როლს და ეს ხდება შავი მაგიის გამოყენებისას. ამდენად, შავ მაგიასთან, რომელიც შეიძლება გაჩნდეს დედამიწაზე, შეხება აქვს ყველა იმ შემთხვევას, როცა ხდება გაცნობიერება და რაიმენაირი გამოყენება საკუთარი ქიმიური გამოსხივებისა.

მეშვიდე სახის გამოსხივება არის სიცოცხლის უშუალო პირდაპირი სულიერი გამოსხივება. თუ შავი მაგია თავისი ქიმიური გამოსხივების სავალდებულო გამოყენებით ჩვენს დროში წარმოადგენს რაღაც საძრახისს, რაღაც ბოროტს, მაშინ გამოსხივება სიცოცხლისა იმავე ზომით წარმოადგენს რაღაც ღირებულს. მთვარის არსებები, რომლებზეც მე ვსაუბრობ, სრულებითაც არ არიან შავი მაგები, თუმცა მათ ყოველთვის შეუძლიათ იმუშაონ და გამოიყენონ, – კარგი გაგებით, – ის ძალები, რომლებიც ამ ქიმიურ გამოსხივებაში ძევს. შავი მაგები არიან მხოლოდ ისინი, ვინც ამას აკეთებს დედამიწაზე და ვინც მოექცა ბოროტი საწყისის გავლენის ქვეშ. მხოლოდ საესემთვარეობისას, როცა მთვარე განათებულია მზით და მას შეუძლია შეაბიჯოს მზის სფეროს ნათელში, მათ შეუძლიათ, მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ ისარგებლონ ცხოვრებისეული გამოსხივებით.

როგორც ხედავთ, ეს ცხოვრებისეული გამოსხივება არსებითად არის ის, რაც სწორედ სიკეთის სახით უნდა შემოვიდეს ჩვენს ეპოქაში, ყველანაირი საძრახისის საპირწონედ. ვინაიდან ყველა იმპულსი, რომელიც უნდა მოიტანონ მიქაელის ეპოქაში, სულ უფრო მეტად უნდა გაერთიანდეს ცხოვრების გამოსხივებასთან, ვიტალურ გამოსხივებასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევცვალოთ უსიცოცხლო მიდგომა იმის მიმართ, რაც მოდის სულიერი სამყაროდან,

ანუ მოვიპოვოთ არა უსიცოცხლო თეორიები, არამედ ცოცხალი იდეები, ცნებები, შეხედულებები და შეგრძნებები, აი, ეს არის ეპოქის ამოცანა. ეს ყველაფერი მოდის უშუალოდ მიქაელისა და მისი თანამებრძოლებისაგან.

პირიქით, გაბრიელის გარდასულ ეპოქაში ადამიანები მდრეკილნი იყვნენ, მე ვიტყვოდი, უფრო მიწიერისკენ. ისინი არ ისწრაფოდნენ არსებებისკენ, რომლებიც სხვათა შორის ძალზე ახლოს იდგნენ ადამიანებთან, არამედ ინტერესდებოდნენ იმით, რაც მოდიოდა ადამიანებისგან, ინტერესდებოდნენ მთელი ამ ოკულტური ელვარებით.

ჩვენს სამყაროს, რომელიც გვაქვს, როგორც ფიზიკური სამყარო დაბადებასა და სიკვდილს შორის, ემიჯნება სხვა, სულიერი სამყარო, რომელშიც ჩვენ, როგორც უკვე გითხარით, ვპოულობთ გარდაცვლილებს. ამ სამყაროში არის ბევრი სხვა რამეც და მათ შორის, რაც იქაა, არის ქმედითობა სწორედ იმ ძალებისა, რომლებიც ცხოვრობენ ადამიანების ელვარებაში, გამოსხივებაში. გარკვეული აზრით სამყაროს ეს სფერო უადრესად სახიფათოა იმისთვის, ვინც მასში შედის. აუცილებელია, შევინარჩუნოთ ის მშვინვიერ-სულიერი წყობა, რომლებზეც მე ვისაუბრე, რათა ამ მშვინვიერი არსებებისგან მომდინარე მივმართოთ სიკეთისკენ და არა ბოროტებისკენ.

როგორც ხედავთ, საქმე ის არის, რომ თანამედროვე ეპოქის ყველა ძალა, ყველა იმპულსი მიმართული იყოს დედამიწისკენ, რათა გამოიყენონ ეს ვიტალური ელვარება. აქ წარმოუდგენლად ახლოსაა შესაძლებლობა, შეეხონ შავ მაგიას, რომელიც მდებარეობს ამ ვიტალურ ელვარებასა და ყველა სხვა ელვარებას შორის, რომლებიც ჩვენ შეიძლება ძალიანაც გვინდოდეს. ადამიანები ისურვებდნენ ხილული გაეხადათ ის, რაც გამოიხატება მოძრაობებით, - ამაზე კიდევ ვისაუბრებთ, - რასაც ადგილი აქვს აორთქლებაში, სინათლის გამოსხივებაში და ა.შ. ეს ყველაფერი გარკვეული აზრით დაკავშირებულია რაღაც სიკეთესთან, იმასთან, რაც არსებითად შეიძლება მხოლოდ სიკეთე იყოს, ვინაიდან მიქაელის ეპოქა ადამიანებს შორის უკვე დაიწყო.

თუმცა ამ ყველაფერს შორის (ვიტალურ ელვარებასა და წარსულის გამოსხივებებს შორის) არსებობს შავი მაგია, რომელიც უნდა უკუვაგდოთ, თუ გვსურს სიკეთისკენ, მართებული

ზეგრძობადი კვლევისკენ გზის გაკვალვა და არ დავადგეთ ზეგრძობადის კვლევაში მავნე, ყალბ გზას.

(ლექციების მსვლელობაში დაფაზე გაკეთებული წარწერა)

1. ადამიანის მიერ გამოსხივება მოძრაობისას.
2. კანის თხევადი გამოსხივება.
3. კანის გაზისებრი გამოსხივება.
4. სითბოს გამოსხივება.
5. სინათლის გამოსხივება.
6. ქიმიურ ძალთა გამოსხივება (შავი მაგია).
7. ვიტალური გამოსხივება.

### *მედიუმური ნატურები და მათი გამოსხივება*

როგორც ხედავთ, როცა აქ, დედამიწაზე მყოფ ადამიანებსა და მთვარის არსებებს შორის ხდება კონტაქტი სულიერ სამყაროში, – ეს კი ქვეცნობიერში მუდმივად მიედინება, – მაშინ ინტერესთა ეს განვითარება, რომელსაც მთვარის გარკვეული არსებები ავლენენ სულიერად იმ მოძრაობებისადმი, ადამიანები რომ ამჟღავნებენ წერისას თუ ხატვისას, ასევე შესაძლებელია გააჩნდეთ სულიერი სამყაროს გარკვეულ ელემენტარულ არსებებს. ეს ელემენტარული არსებები უფრო დაბლა დგანან ხსენებული მთვარის არსებებზე, ისინი არასდროს განსხეულებულან დედამიწაზე და სულიერ-ეთერული არსებების სახით ცხოვრობენ ჩვენს მომიჯნავე სამყაროში, რაზეც მე უკვე ვისაუბრე. თავის მხრივ, როცა ისინი იჩენენ ინტერესს, შეიძლება მოხდეს შემდეგი: აქ, დედამიწაზე, ადამიანზე დაკვირვებისას შეიძლება შევნიშნოთ, რომ ადამიანის აზრები, განსაკუთრებით კი, რომლებსაც ის იწერს, ზემოქმედებს მთელ მის არსებაზე. თავდაპირველად ეს აზრები დავანებულია მის „მე“-ში, მაგრამ შემდეგ ზემოქმედებენ მის ასტრალურ სხეულზეც, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, თავისი „მე“-ს ხელმძღვანელობით განახორციელოს წერისთვის აუცილებელი მოძრაობები. ეს მოძრაობები იჭრებიან ეთერულ სხეულში, ხოლო იქიდან უკვე მოქმედებენ ფიზიკურ სხეულში. ამ მოქმედებას აკვირდებიან ელემენტარული ბუნების გარკვეული არსებები და მათში, თუ შეიძლება ასე ითქვას, იფეთქებს სურვილი, მიბადონ და ზუსტად ასე იმოძრაონ. თუმცა მათ არ შეუძლიათ ამ სურვილის რეალიზაცია, ვინაიდან მათ სამყაროში გაბატონებულია



სხვა კანონები, ვიდრე იმ სამყაროში, სადაც არსებობს წერის შესაძლებლობა. წერა ხომ მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ ფიზიკურ სამყაროში, აქ, დედამიწაზე.

შესაძლოა მოხდეს შემდეგი: ზოგიერთი ადამიანი წერის ან თუნდაც აზროვნების დროს, გრძნობს, რომ ღრმად ეფლობა საკუთარ ეთერულ სხეულში. ყველაფერი, რაც მათ ეთერულ სხეულში ხდება, შემდეგ აღიბეჭდება ფიზიკურ სხეულში. ასეთ ადამიანებში მათი „მე“-ს შინაარსი მთლიანად ითრგუნება და მათ ასტრალურ, ეთერულ და ფიზიკურ სხეულებზე ხდება თითქოსდა წერის პროცესის მიბაძვა. ეს ადამიანები წარმოადგენენ მედიუმებს და შეუძლიათ, რამდენადაც მათი „მე“ ჩახშობილია, საკუთარ თავში მიიღონ სწორედ სწავლისკენ მიდრეკილი ის ელემენტარული არსებები, რომლებმაც წერის მოძრაობები გადმოიღეს მთვარის არსებებისგან. ამასთან მედიუმები ავლენენ გარკვეულ აქტივობას, ისინი იწყებენ წერას, მაგრამ ამას აკეთებენ არა საკუთარი „მე“-ს ან საკუთარი სრული ცნობიერების გავლენით, არამედ ელემენტარული არსების თვალსაზრისით, რომელიც მათში ზის. ეს არის წყარო ე.წ. მედიუმური წერისა, მედიუმური ხატვისა, როცა ადამიანები ახორციელებენ სხვადასხვაგვარ მოძრაობას დაქვეითებული ცნობიერებით. ასეთია ყველა ჩვეულებრივი მედიუმი, ანუ ადამიანები, რომლებშიც ამოქმედებულია უნებლიე მოძრაობები. ამდენად, აქ ადგილი აქვს გამოსხივებული მოძრაობების გამოყენებას.

მეორე სახის გამოსხივება შეიძლება გამოიყენონ გარკვეულმა არსებებმა, რომლებმაც მთვარის არსებების გავლენით განსაკუთრებით ძლიერად განივითარეს მხატვრული ელემენტი, რომელიც ადამიანთა სამშენებლებში ცხოვრობს. ასეთ არსებებს შეუძლიათ შევიდნენ ადამიანებში, რომელთაც აქვთ გარკვეული მხატვრული მონაცემები ეთერულ და ასტრალურ სხეულებში, მაგრამ მათში ჩახშობილია უმაღლესი ცნობიერება. ამასთან, აქ ძალზე საინტერესოა, როგორ შეიძლება მსგავსი არსება შეპყრობილი იყოს ელემენტარული სულიერი არსებებით; მაშინ მის გამოსხივებაში შედის რაღაც პლასტიურ-ხელშესახებად არსებული ძილის მსგავსი, რომელიც ნაწილობრივ ეხამება იმას, რასაც აღიქვამს ცხოვრებაში თავად ადამიანური არსება, ვინაიდან ის დაეშვა ეთერულ და ასტრალურ სხეულებში და ვლინდება გამოსხივებებში; ნაწილობრივ – სამყაროს იმ ნაწილის მანიფესტაციად, სადაც მხოლოდ

ელემენტარული არსებებია, რომლებიც ადამიანის არსებაში შეცოცდნენ.

თქვენ ხედავთ, რომ დაახლოებით ასეთ შედეგებამდე მივიღა *შრენკ-ნოტცინგი*\* თავისი ექსპერიმენტებით. მის განკარგულებაში იყვნენ ცნობილი მედიუმური ნატურები, რომლებიც განსაკუთრებით, როცა ცნობიერება ჩახშობილი იყო, ანუ „მე“ იყო გათიშული, მისაწვდომი იყვნენ ელემენტარული არსებებისთვის, თავისი კანიდან თხევადი სახის გამონაყოფის მეშვეობით. ამ კვლევებს შრენკ-ნოტცინგმა მიუძღვნა საინტერესო წიგნი. ზოგიერთები მას მიიჩნევენ სრულ ყალბაბანდობად, სხვები მოხიბლულები არიან. ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ უკანასკნელთ ის საოცრება ჰგონიათ. ეს მართლაც არის საოცრება. უჩვეულოა, როცა არის მედიუმი, რომელზეც ექსპერიმენტირებენ და რომელსაც სხეულისაგან ერთ განსაზღვრულ ადგილას გამოსდის პლასტიკური ფიგურა; მას აქვს რაღაც სულიერი, რაც დედამიწაზე არ არსებობს. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს ფიგურა ატარებს ანაბეჭდს რომელიმე სურათისა, რომელიც მედიუმს შეეძლო ენახა ცოტა ხნით ადრე ილუსტრირებულ ჟურნალში. ამდენად, მედიუმისგან რაღაც ასხივებს. ეს არის კანიდან ანაორთქლი. მასში ერთგება რაღაც, ასე ვთქვათ, სრულიად სულიერი; მაგრამ ამის გვერდით არის ასევე სხვა, რაც მედიუმმა ნახა ილუსტრირებულ ჟურნალში, მაგალითად, პუანკარეს პორტრეტი ან რაღაც კარიკატურა იმავე ჟურნალიდან.

გაოცებას იწვევს არა ის, რომ ვიღაცას ეს პროცესი საოცრებად წარმოუდგება, არამედ გაოცებას იწვევს უფრო ის, რომ დახვეწილი ადამიანები კარგი მანერებით, ძირითადად – ქალბატონები, გაურბიან ყველანაირად კანის ანაორთქლის ხსენებას, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ამ ფენომენში და მხოლოდ თავად მედიუმის ხილვით არიან აღფრთოვანებულები, მაშინ, როცა ეს პლასტიკური ფიგურები სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე ჩვეულებრივი გამონაყოფები კანისა, კანის ანაორთქლი.

ძვირფასო მსმენელებო, ყველა ფენომენი, რომელზეც ექსპერიმენტირებდა შრენკ-ნოტცინგი, – კიდევ ერთხელ ვიმეორებ, – არის ოფლდენის შედეგი. ამ ოფლდენაში იჭრება ის, რაც მხატვრულ-პლასტიკური მიდრეკილებების მქონე არსებებმა ელემენტარული არსებების გავლენით შეიძლება აღბეჭდონ კანის გამოსხივებებში, ემანაციებში. სხვა ელემენტარულ არსე-

ბებს შეუძლიათ გამოიყენონ კანის სუნთქვა, ანუ გამოყოფილი ანაორთქლი. კანის სუნთქვის ემანაციაზე ძლიერ ანაბეჭდს ტოვებს თავად მედიუმის იერი, ასე რომ, ხსენებული არსებები იძულებულნი არიან, გამოავლინონ თავიანთი თავი ადამიანური ფანტომის ჩარჩოებში. სწორედ მაშინ ჩნდება ის გამოვლინებები, ის ფენომენები, როცა ადამიანისგან გამოდის ფანტომი.

თუმცა არ არის იოლი, გამოავლინო სითბოსა და სინათლის გამოსხივება ადამიანისგან ისეთი სახით, რომ მათში გამოვლინდეს რაღაც იმისგან, რაც აგულიანებს ასეთ ელემენტარულ არსებებს მთვარის არსებათა ზეგავლენით. აქ უკვე აუცილებელია გარკვეული მომზადება.

მე უკვე გითხარით, რომ დღეს თავად ბუნებისმეტყველება წავიდა იმდენად წინ, რომ მან ბნელ კამერაში ხილული გახადა გარკვეული სინათლის გამოსხივება, რომელიც უკავშირდება სითბოს გამოსხივებას. სწორედ ამ მიმართებით არის ძალზე საინტერესო მორიცი ბენედიქტის ექსპერიმენტები. ასეთი სახის გამოსხივებაზე, სითბოსა და სინათლის გამოსხივებაზე მუშაობის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდათ და ჩვენს დროშიც აქვთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც გაიარეს გარკვეული მომზადება, მიმართული არა მხოლოდ ფიზიკური სამყაროს ჩვეულებრივ მაქინაციებზე, არამედ დაკავშირებული განსაკუთრებულ კეთილსურნელებასა და არომატებზე, რომლებიც შეზავებულია სპეციალური ნივთიერებებით და ა.შ., რის შედეგადაც ადგილი აქვს იმ მაგიურ პროცედურებს, რომლებზეც ასე ბევრს საუბრობენ მაგიაზე ძველ ლიტერატურაში.

მთელი ამ მაგიური მომზადების მიზანია, გამოვლენა და გამოყენება იმ ძალებისა, რომლებიც ადამიანის სითბურ და სინათლის გამოსხივებაში ძევს. ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ *ელიფას ლევის\** ნაწერებიდან, ასევე დოქტორ ენკაუსის (Encausse) შრომებიდან, რომლებიც გამოიცა პაპიუსის (Papus) ფსევდონიმით. იქ შეგიძლიათ იპოვოთ უამრავი საშიში და საეჭვო რჩევა ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენი მხრივ, ვცდილობთ, ობიექტურად მივუდგეთ და ჩავწვდეთ მოვლენების არსს, ამიტომაც იძულებულნი ვართ, ამ თემასაც შევეხოთ.

შემდეგ ამ მოვლენებს მიჰყავთ პირდაპირ შავი მაგიისკენ, სადაც მიწიერში დამალულ სულიერზე მუშაობენ. რომელ სულიერზე? მე ხშირად ვსაუბრობდი თქვენთან და შეგიძლიათ ამის შესახებ წაიკითხოთ ჩემს „იდუმალთმეტყველების ნარ-

კევეში“, რომ მთვარე ოდესღაც დაკავშირებული იყო დედამიწასთან. დედამიწიდან გამოყოფისას მას თავისი კუთვნილი ყველა ძალა თან არ წაუღია. ბევრი მათგანი დარჩა დედამიწაზე და მსჭვალავენ მინერალებს, მცენარეებსა და ცხოველებს. მთვარის ეს ძალები დღემდე აქ არიან. შესაბამისად, როცა აქ, დედამიწაზე მუშაობენ მთვარის ძალებთან, ანუ იმ ძალებთან, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ნორმალურ მინერალებს, მცენარეებსა და ცხოველებს, არც ადამიანურ ძალებს, მაშინ მთვარის ამ ძალთა დახმარებით შეიძლება არასწორი, არასათანადო სახით უშუალოდ შევიდნენ იმ სფეროში, სადაც ხვდებიან არსებებს, რომლებიც ელემენტარული არსებების მსგავსად, სხვადასხვა რამეს სწავლობენ მთვარის არსებებისგან, მაგრამ სწავლობენ მეთოდებს, რომლებიც არ მიეკუთვნება ჩვენს სამყაროს, რაზეც უკვე მივითითეთ. ამდენად, შავი მაგი, ერთი მხრივ, მუშაობს მთვარის ძალებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აქ, დედამიწაზე არიან. სწორედ ამ მუშაობით უკავშირდებიან ისინი ელემენტარულ ძალებს, რომლებიც, მინდა გითხრათ, სწავლობენ მეთოდებს, რაც შეიძლება უფრო მეტად მიუახლოვდნენ ფიზიკურ სამყაროს. ისინი ამას აკეთებენ, როცა აკვირდებიან ადამიანებსა და მთვარის არსებებს შორის სწორად მიმდინარე პროცესებს. ამ მხრივ ისინი გვაგონებენ მაყურებლებს, რომლებიც აკვირდებიან კარტის თამაშს ან ჭადრაკის პარტიას, კმაყოფილდებიან მხოლოდ დაკვირვებით, მაგრამ ზოგჯერ იჭრებიან ჩვენს სამყაროში. მათთან არაფერი ესაქმება ჩვეულებრივ ადამიანს, რომელთანაც ეს ყველაფერი ქვეცნობიერში რჩება. ხოლო მთვარის ძალებთან მომუშავე შავი მაგი, რომელიც თავისი რეტორტის, ტიგელის და გუნდრუკის მეშვეობით ფლობდა მთვარის ძალებს, მთლიანად არის განმსჭვალული ასეთი სახის ძალებით.

შავი მაგებისგან რაღაცის სწავლა თვით კარგ ადამიანსაც შეუძლია. გოეთემ თავისი „ფაუსტის“ პირველ ნაწილში ასახა ისეთი გარემოცვა მაგისა, რომელიც საეჭვოდ ახლოსაა შავ მაგიასთან. მთვარის ამ ძალების გამოყენების მეშვეობით ადამიანი შედის იმ სფეროში, სადაც არსებები, რომლებიც მთვარის ძალთა სამსახურში ჩადგნენ, მზად არიან ადამიანთან ურთიერთობისთვის. შავი მაგიის ცენტრები წარმოიქმნება იქ, სადაც სწორედ მთვარის ძალები მუშაობენ ერთობლივად სულებთან, რომლებიც უშუალოდ ჩადგნენ მთვარის ძალების სამსახურში,

მაგრამ ეს მსახურება განპირობებულია ბოროტი ზრახვებით. იმის გამო, რომ უკანასკნელ ასწლეულში ძალიან ბევრი მუშაობდა ამ მიმართულებით, დედამიწაზე შეიქმნა საეჭვო სიტუაცია. ეს საეჭვო ატმოსფერო აქ არსებობს. ადამიანების გარშემო მუდმივად ლიელებს, იჭრება რა მათში, ძალები, რომლებიც წარმოიქმნენ იმის შედეგად, რომ ადამიანური აქტივობა კავშირშია მთვარის კომპონენტებთან და მთვარის დინამიკასთან, ელემენტარულ არსებებთან, რომელთაც თავისი თავი ჩააყენეს შეუფერებელი მთვარის ძალების სამსახურში. ეს არის საეჭვო ატმოსფერო, რომელიც არის აქ. ეს არის სფერო, რომელიც ძლიერად მუშაობს სწორედ იმის წინააღმდეგ, რაც უნდა მოვიდეს მზის სფეროდან მიქაელის ეპოქაში და რასაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიტალური გამოსხივებისთვის (ცხოვრების ემანაციისთვის) წმინდა მშვიინვიერ-სულიერ სფეროში.

ამ თემას ხვალ გავაგრძელებთ.


(დაფაზე იყო დაწერილი):

1. ადამიანის მიერ გამოსხივება მოძრაობისას, მედიუმური.
2. კანის თხევადი გამოსხივება, მედიუმური პლასტიკა.
3. კანის გამოსხივება, ფანტომის გამოვლენა.
4. სითბოს გამოსხივება.
5. სინათლის გამოსხივება.
6. ქიმიურ ძალთა გამოსხივება, შავი მაგია.
7. ვიტალური გამოსხივება.

მერვე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 19 აგვისტო  
შესაძლო ცდუნებები სულიერ კვლევაში

არიმანული ელემენტარული არსებები

როცა ავითარებენ ცნობიერების მდგომარეობებს, რომლებზეც უკვე იყო საუბარი, მაშინ თითოეულ ამ მდგომარეობას შეჰყავს განსაზღვრულ სამყაროსეულ სფეროში. მე მინდა სქემატურად წარმოგიდგინოთ, როგორ იცვლება ადამიანების ხედვა, როცა აღწევენ თითოეულ ამ სფეროში, როცა აღწევენ ცნობიერების ისეთ მდგომარეობას, როგორც აღვწერე. ცხადია, ნახატზე ეს ერთმანეთის განმსჭვალავი სფეროები შეიძლება გამოისახოს მხოლოდ გვერდიგვერდ. მე უკვე გაჩვენეთ, როგორი იჭრება მთვარის სამყარო, მთვარის სფერო უშუალოდ ჩვენს სფეროში, როგორ იჭრება კვლავ და კვლავ ჩვენს სფეროში მერკურის სფერო. სხვადასხვა სამყაროს წარმოსადგენად, მომიწევს მათი გვერდიგვერდ დაყენება.



ნახ. 11

1. rot – წითელი. 2. gelb–ყვითელი. 3. hell–ნათელი. 4. Unsere Welt-ჩვენი სამყარო.

ვთქვათ, ეს არის ჩვენი სამყარო (ნახ. 11, ნათელი). ცნობიერების სხვა მდგომარეობების განვითარებით ჩვენ ვიჭრებით სხვა სამყაროებში. დაუშვათ, რომ ჩვენ ვავითარებთ ცნობიერების მდგომარეობებს, რომლებიც აუცილებელია იმ სამყაროში შესვლისთვის, სადაც შეიძლება გარდაცვლილთა თანხლე-

ბა მათი სიკვდილის პირველ წლებში. ჯერ დავახასიათებ ამ სამყაროს, რომელიც ნახატზე აღნიშნე ყვითელი ფერით და ესაზღვრება ჩვენსას (ყვითელი). რანგით მომდევნო ცნობიერების მდგომარეობის განვითარებით ჩვენ შევდივართ სამყაროში, სადაც არიან გარდაცვლილები, მას შემდეგ, რაც მათ დაასრულეს მიწიერი ცხოვრების უკუ მიმართულებით განხილვა; ცნობიერების ამ მდგომარეობას მე დავარქვი ცარიელი, დაცარიელებული, მაგრამ ღვიძლის ცნობიერება ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებით. მისი დახმარებით ჩვენ შევდივართ მომდევნო სამყაროში, რომელიც ნახატზე აღნიშნულია წითელი ფერით; ეს არის სამყარო, რომელშიც ადამიანი ურთიერთობაში შედის მერკურის სულებთან, ასევე მოვლენებსა და ფაქტებთან, რომელთაც ადგილი აქვთ რაფაელის სფეროში, რომელიც გუშინ აღვწერე. ამ სფეროში ეცნობიან ყველა მოვლენასა და ვითარებას ადამიანური ბუნების სამკურნალო ძალაზე.

ასე მიდიან ცნობიერების ყოველი მომდევნო მდგომარეობისას განსაზღვრულ სამყაროსეულ სფეროში. ამის წყალობით იმეცნებენ არსებებს, რომლებიც ამა თუ იმ დროს მიეკუთვნებოდნენ ამ სფეროს. თუ მსურს, გავიგო რაიმე ადამიანური სამშეინველის ცხოვრებაზე სიკვდილის შემდგომ უახლოეს წლებში, ჩემთვის აუცილებელია, საკუთარი ცნობიერებით შევიჭრა სამყაროში, სადაც არის დავანებული ეს სამშეინველი. მე არ შემძლია მას დავაკვირდე მის ნამდვილ გეშტალტში რომელიმე სხვა სამყაროდან. ასევე, თუ მინდა, შევიმეცნო რომელიმე მერკურიული არსება, აუცილებელია, საკუთარი ცნობიერებით შევადწიო სამყაროში, სადაც ის არის დავანებული. აქედან გამომდინარე, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ გარკვეული აზრით სამყაროებს აღვიქვამთ, როგორც ერთმანეთისგან გაყოფილს და ყოველი მათგანისთვის ვავითარებთ ცნობიერების შესაბამის მდგომარეობას. ჩვენ ვაღვებულნი ვართ ეს გავაკეთოთ, თუ გვსურს სამყაროების სწორად შემეცნება და მხოლოდ ეს გვაძლევს შესაძლებლობას, მართებული სახით შევიმეცნოთ თითოეული არსება თავისი ნიშანდობლივი ბუნებით. მინდა გაჩვენოთ მარტივი მაგალითით, საით მიჰყავს ადამიანი ასეთი სახის შემეცნებას, ანუ შემეცნებას, რომელსაც შეუძლია სწორად განავითაროს ცნობიერების შესაბამისი მდგომარეობა განსაზღვრული სამყაროსეული სფეროსთვის.

ჩვენ ვუყურებთ მცენარეს, მის ფოთლებს, ყვავილებს. ჩვენ ვნახეთ, რომ მცენარე წარმოადგენს იმ ფორმაქმნადი ძალების ანასახს, რომლებიც მოქმედებენ გარე სამყაროში. დედამიწაზე ჩვენს მცენარეებში აისახება ის, რაც შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ სამყაროში, რომელზეც არის საუბარი. მცენარეს რა სახით შევიმეცნებთ? ეს შესაძლებელია, როცა საკუთარი ცნობიერებით იმ სამყაროში ავლივართ. მაგრამ იქ ვხვდებით რაღაც ძალიან სპეციფიკურს, რომელიც მდგომარეობს დედამიწის მცენარეული სამყაროს წარმომადგენლებისადმი ძალზე დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობაში. თუ ვხედავთ რომელიმე მცენარეს, მაგ., ვარდკაჭკაჭას ან რომელიმე სხვას, მაშინ სულიერი თვალსაზრისით ის წარმოჩნდება ჩვენ წინაშე განსხვავებულად უამრავი სხვა მცენარისაგან.

ავიღოთ, მაგ., ჩვეულებრივი ია და შევადართო, – რადიკალური მაგალითი რომ გვქონდეს, – შმაგას (Belladonna); მცენარეთა სამყაროზე შეხედვისას, როგორც ეს დავახასიათო, დაინახავთ, როგორ გახსნილად დგას ია მშენიერი მზერის წინაშე, როცა ვიმყოფებით სამეფოში, რომელსაც ია მიეკუთვნება, ანუ ცარიელი ღვიძილის ცნობიერების სამყაროში.

ეს ასე არაა შმაგასთან. შმაგა თავის არსებაში სხვა სამყაროებიდან იზიდავს რაღაცას. მე შემიძლია ეს დავახასიათო ასე: ჩვეულებრივი მცენარის შესწავლისას, აღმოჩნდება, რომ მას აქვს თავისი ფიზიკური სხეული და თავისი ეთერული სხეული; შემდეგ ხედავთ, რომ ყვავილებისა და ნაყოფების გარშემო ლივლივებს საყოველთაო კოსმიური ასტრალურობა. ასე ვხედავთ ჩვენ მცენარეებს. ყველგან დედამიწიდან ამოიზრდება მცენარის ფიზიკური სხეული. ყველგან მცენარეს აქვს თავისი ეთერული სხეული და ამის ზემოთ, თითქოსდა ღრუბლებში, დავანებებულია – ასტრალური. ასეა მოწყობილი ეს ისეთ მცენარესთან, როგორიცაა ია.

ეს სხვაგვარადაა შმაგასთან: მცენარე იზრდება, აქ მას აქვს ყვავილები, აქ ზემოთ ვითარდება ნაყოფი (კეთდება ნახატი). აქ ასტრალური იჭრება ნაყოფში. ია თავის ნაყოფს ავითარებს უშუალოდ ეთერულში. შმაგა თავისი ნაყოფით იზიდავს ასტრალურს. ამიტომაც არის ნაყოფი შხამიანი. ყველა მცენარე, რომელიც რაიმე სახით იწოვს ასტრალურს კოსმოსიდან, შხამიანი ხდება. ცხოველში შეჭრისას იგივე ელემენტი მას აძლევს ასტრალურ სხეულს და აფორმირებს მისგან არსებას,



რომელსაც აქვს შინაგანი შეგრძნებების უნარი; მაგრამ მცენარეში შეჭრისას ის ამ მცენარეს შხამიანად აქცევს. ეს ძალზე საინტერესოა, რამდენადაც შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი ასტრალური სხეული თავის თავში ატარებს ძალებს, რომელიც, თუ მცენარეში მოხვდება, გამოვლინდება, როგორც შხამი. სწორედ ასეა საჭირო შხამის აღქმა. შხამის შინაგან შემეცნებამდე მივდივართ მხოლოდ იმ ცოდნით, რომ ნორმალური სახით ადამიანს საკუთარ ასტრალურ სხეულში აქვს ძალა ყველა სახის შხამისა, ვინაიდან ისინი მიეკუთვნება ადამიანის არსებას.

ახლა მსურს ეს მსჯელობა მოგაწოდოთ გარკვეული წარმოდგენის სახით, რომლითაც ჩვენ შემდგომში უნდა ვისარგებლოთ, რათა ჩაეწვდეთ განსხვავებას ჭეშმარიტ და მცდარ გზებს შორის სულიერი კვლევის შემთხვევაში. რას ვხედავთ ჩვენ ამგვარ მაგალითში? ჩვენ გვაქვს ია და გვაქვს შმაგა. თუ თითოეული სამყაროსთვის განვავითარებთ სწორ ცნობიერებას, მაშინ ჩვენ იაში დავინახავთ არსებას, რომელიც დავანებულია თავის ჭეშმარიტ სამყაროში, როცა ის მისთვის უცხო სამყაროდან არაფერს იზიდავს; ხოლო შმაგას შემთხვევაში: მისთვის უცხო სამყაროდან ის რაღაცას იზიდავს, იგი ითვისებს რაღაცას, რაც მცენარეს არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ეს ეკუთვნის ცხოველებს. ასევე არის ყველა შხამიან მცენარესთან. ისინი ითვისებენ რაღაცას, რაც არ ეკუთვნის მცენარეს, არამედ დამახასიათებელია ცხოველთა სამყაროსთვის.

კოსმოსში არის უამრავი არსება, რომლებიც მიეკუთვნება ძალიან განსხვავებულ სამყაროსეულ სფეროებს. სწორედ იმ სფეროში, როცა უშუალოდ შევდივართ სამყაროში, სადაც შეგვიძლია მივყვეთ გარდაცვლილებს, ორი წლის ან 10, 20, 30 წლის შემდეგ გარდაცვალებიდან, სანამ ისინი არ დატოვებენ ამ სამყაროს, ჩვენ ვპოულობთ ურიცხვ არსებას, რომლებიც ნამდვილად არსებობენ, მაგრამ ხილულად არ იჭრებიან ჩვენს ფიზიკურ სამყაროში. მინდა, ისინი დავახასიათო, როგორც გარკვეული სახის ელემენტარული არსებები.

როცა მივყვებით გარდაცვლილს, გაივლის რა იგი სიკვდილის კარიბჭეს, მაშინ შევდივართ სამყაროში, სადაც ასევე არიან ელემენტარული არსებები, რომელთაც აქვთ ფორმები და რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნამდვილად მიეკუთვნებიან იმ სამყაროს. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ვინაიდან ეს არსებები მიეკუთვნებიან იმ სამყაროს,

მათ უშუალოდ უნდა ისარგებლონ ყველა ძალით, რომელიც იმ სამყაროშია. ამ ელემენტარულ არსებებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც იქ არ რჩებიან, არამედ უმზერენ, როგორ წერს, მაგ., ადამიანი, ასევე აკვირდებიან იმ აქტივობას, რომელსაც ავლენენ ადამიანები დედამიწაზე დაბადებასა და სიკვდილს შორის. ასეთი სახის დამკვირვებლები მუდმივად არსებობენ. თავისთავად ასეთ დამკვირვებაში არაფერია ცუდი, ვინაიდან მთელი გეგმა, რომლის საფუძველია ის, რაზეც ახლა გესაუბრებით, რომ ყველა იმ სამყაროს, რომელიც ჩვენი მომიჯნავეა, მაშასადამე იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ შევდივართ გარდაცვალების შემდეგ და ვიმყოფებით იქ ათწლეულების განმავლობაში, ჰქონდეს რაღაც განმასხვავებელი ადამიანის მიწიერი გარემოცვისგან და იმისგან, რასაც ის სწავლობს დედამიწაზე. როდესაც შედიხარ ჩვენი სამყაროს მომიჯნავე სამყაროებში, მაშინ იქ, მაგ., არ არსებობს წერა და კითხვა ჩვენი გაგებით. არ არსებობს აგრეთვე საფრენი აპარატები, არც მანქანები, ასევე არ არსებობს ჩვეულებრივი ცხენის აღკაზმულობა. ასევე არ შეიძლება ვთქვათ, თითქოს ზოგადად სამყაროსთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ყველაფერს, რასაც აქ დედამიწაზე ვაგებთ, როგორც მანქანებს, ვწერთ და ვკითხულობთ, ვთხზავთ წიგნებს, რომლებსაც ანგელოზები არ კითხულობენ. სინამდვილეში გარკვეულ არსებებს, რომლებზეც უკვე იყო საუბარი, სპეციალურად აგზავნიან მისიით მომიჯნავე სამყაროდან ჩვენს სამყაროში, რათა დააკვირდნენ ადამიანურ ქმედებებს, შეისწავლონ და შეინახონ ნასწავლი მომავალი დროებისთვის. ამდენად, თქვენ ხედავთ, ჩვენ ადამიანებს შეგვიძლია ჩვენი კარმა ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადავიტანოთ, ასევე შეგვიძლია ერთი ცხოვრებიდან სხვაში გადავიტანოთ ყველაფერი, რაც გარეგანი კულტურის მეშვეობით ჩვენს კარმაში ხდება. ჩვენ, როგორც ადამიანები, ავტომობილით მოგზაურობისას რასაც განვიცდით, ამის გადატანა შეგვიძლია ერთი ცხოვრებიდან მეორეში; ავტომობილის კონსტრუქციის კი – არა. ხოლო უშუალოდ მიწიერი ძალებისგან წარმოქმნილის გადატანა თავად ადამიანებს ერთი მიწიერი ცხოვრებიდან მეორეში არ შეგვიძლია. ამის შედეგად კაცობრიობამ ცივილიზაციის განმავლობაში შექმნა რაღაც, რასაც თავად იგი დაკარგავდა, თუ მის დასახმარებლად არ მოვიდოდნენ სხვა არსებები.

ეს არსებები, ასე ვთქვათ, მოვლინებულნი არიან განსაკუთრებით იმისათვის, რომ შეინახონ მომავლისთვის ის, რისი გადატანაც ადამიანს არ შეუძლია ერთი მიწიერი ცხოვრებიდან მეორეში. ყველაზე მნიშვნელოვანია, ვთქვათ: ჩვენს მომიჯნავე სამყაროში გვყავს არსებები, რომლებიც განკუთვნილნი არიან იმისათვის, რომ მომავალში გადაიტანონ ის, რისი გადატანაც ადამიანს თავად არ შეუძლია საკუთარი გარეგნული ცივილიზაციიდან, რომ ადამიანს ეს კვლავ ჰქონდეს მომავალში. თუმცა თქვენ ხედავთ, იმის შედეგად, რომ წარსულ დროებში ამ არსებათაგან ზოგიერთებისთვის ძალზე რთული გახდა თავისი ამოცანის შესრულება, კაცობრიობისთვის დაიკარგა ბევრი რამ იქიდან, რაც ძველი დროის ცივილიზაციებმა აღმოაჩინეს.

ამდენად, უმთავრესია ის, რომ ჩვენ შორის არიან არსებები, რომლებიც მონაწილეობენ სამყაროს გეგმის განხორციელებაში, გადააქვთ მომავალში ის, რისი გადატანაც თავად ადამიანებს ერთი მიწიერი ცხოვრებიდან მეორეში არ შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული არსებები. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ბიბლიოთეკების აბსტრაქტული შინაარსი. აქვე აღვნიშნავ, რომ ამის გაკეთება არ შეუძლიათ იმ სულიერ არსებებს, რომლებთანაც ადამიანი შეიძლება უშუალო კონტაქტში შევიდეს. აი, რატომ არ გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, ამის უნარი. ჩვენთან დაკავშირებული ეს არსებები უნდა სარგებლობდნენ სხვა არსებების მომსახურებით, რომლებიც მათთვის დიდი ხნის განმავლობაში უცხოები იყვნენ და რომლებმაც სრულიად სხვა განვითარება განვლეს.

ამ არსებებს, რომლებმაც სრულიად სხვა განვითარება განვლეს, მე საკუთარ წიგნებში ვუწოდებ, არიმანული. ეს სრულიად სხვა ევოლუციაა, რომელიც ჩვენს დროს ისეთ ვითარებებში ეხება, როგორცაა, მაგ., ჩვენ მიერ ავტომობილის კონსტრუირება. ეს არსებები, რომლებიც ეყრდნობიან სამყაროს არიმანულ ძალებს, განსაკუთრებით ითვისებენ ჩვენი დროის ამგვარი სახის სპეციფიკურ ფენომენებს. მათ გადააქვთ მომავალ დროებში ის, რაც ერთხელ უკვე ათვისებული იყო საკაცობრიო ცივილიზაციის მიერ, მაგრამ ამის გადატანა ერთი ინკარნაციიდან მეორეში თავად ადამიანის მიერ შეუძლებელია.

ახლა, ვისარგებლებო რა ჩვენ მიერ მოპოვებული წარმოდგენებით, შეგვიძლია დავახასიათოთ ის, რას წარმოადგენს, არსებითად, მედიუმი ადამიანი. ბუნებრივია, საჭიროა განვასხვაოთ მედიუმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და ის, რასაც უწოდებენ მედიუმიზმს ვიწრო გაგებით. ვინაიდან, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, არსებითად, ჩვენ წარმოვადგენთ მედიუმებს, თუ ამ ტერმინს გავიგებთ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მაგ., სანამ დავეშვებოდით მიწიერ სამყაროში, სადაც ვახორციელებთ ცხოვრებას დაბადებასა და სიკვდილს შორის, ჩვენ ვიყავით სულიერ-მშვიდგონიერი ადამიანები. ის, რასაც წარმოვადგენთ სულიერ სამყაროში, განსხვავებულია შემდეგ იმაში, რასაც წარმოვადგენთ აქ, ფიზიკურ სამყაროში; ამ ფიზიკურ სამყაროში ჩვენ ვართ მედიუმები ჩვენი საკუთარი სულისთვის. მაშასადამე, ფართო მნიშვნელობით სიტყვის გამოყენებისას, შესაძლებელია ყოველი არსება როგორღაც დავახასიათოთ, როგორც მედიუმი. თუმცა ეს მხედველობაში არა აქვთ, როცა იყენებენ სიტყვას, მედიუმური ადამიანი, მისი საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით. მედიუმური ადამიანი ჩვენს სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ დაბადებასა და სიკვდილს შორის, არის ის ადამიანი, რომელმაც ტვინის გარკვეული ნაწილები ისე განავითარა, რომ ისინი შეიძლება გამოითქვას თავისი ერთიანობიდან. ამდენად, გარკვეულ დროებში მედიუმს აქტიური არა აქვს ტვინის ის ნაწილები, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს, განსაკუთრებულ საყრდენს „მე“-ს მოქმედებისთვის.

ჩვენ თუ მართებულად ვუწოდებთ საკუთარ თავს „მე“-ს და ჩვენი „მე“ კანონზომიერად შედის ჩვენს ცნობიერებაში, მაშინ ცნობიერების ასეთი სახის განვითარება, „მე“-ს განვითარება ყოველთვის ეყრდნობა ტვინის სპეციფიკურ ნაწილს. ტვინის ეს ნაწილები კი ეთიშება მედიუმს. შედეგად გარკვეული სახის არსებებს, როგორც ზემოთ დავახასიათეთ, აქვთ სურვილი, ადამიანური „მე“-ს მაგივრად თავად შეაღწიონ ტვინის ამ ნაწილში. მაშინ მედიუმი ხდება მატარებელი არსებებისა, რომელთა მისიაც არის ის, რომ საკუთრივ ცივილიზაცია გადაიტანონ მომავალში. ასე რომ, როცა ასეთი არსებები ხედავენ ადამიანის ტვინს, რომლის „მე“-მ დატოვა იგი ამ მომენტში, ისინი უდიდესი წყურვილით იჭრებიან ამ ტვინში. თუ

მედიუმი იმყოფება ტრანსში, ანუ ტვინი გათიშულია, მაშინ მასში ინერგება აღწერილი სახის არსება, რომელიც იმყოფება არიმანული გავლენის ქვეშ და განკუთვნილია მომავალ დროებში თანამედროვე ცივილიზაციის გადატანისთვის. ამ დროს მედიუმი, იმის მაგივრად, რომ იყოს ადამიანური „მე“-ს მატარებელი, ხდება მატარებელი ელემენტარული არსებისა, რომელიც თავს არიდებს საკუთარ კოსმიურ მოვალეობებს. ეს გამოხატვა საჭიროა გავიგოთ სიტყვასიტყვით: ხდება თავის არიდება კოსმიური მოვალეობებისადმი.

კოსმოსში ასეთი სახის არსებების მოვალეობაა, დააკვირდნენ, როგორ წერენ ადამიანები. ისინი წერენ იმ ძალების დახმარებით, რომლებიც განფესვილია ტვინის იმ ნაწილებში, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი. იმის მაგივრად, რომ ახორციელებდნენ უბრალო დაკვირვებას, როგორც ეს უნდა აკეთონ მუდმივად მითითებულმა არსებებმა, ისინი ეძებენ მედიუმურ ტვინს, რომელიც შეიძლება გათიშული იყოს. მაშინ ისინი იჭრებიან მასში და თანამედროვე ადამიანების სამყაროში გადმოაქვთ ის, რასაც თავის თავში ავითარებენ წერის ხელოვნებაზე დაკვირვების წყალობით. ასე ახდენენ მედიუმების დახმარებით ეს არსებები აწმყოში იმის პროცირებას, რაც მათი ამოცანების შესაბამისად უნდა გადაიტანონ მომავალში. მედიუმიზმი ეფუძნება იმას, რაც უნარის სახით უნდა განვითარდეს მხოლოდ მომავალში; მართალია, გაურკვეველად და ქაოტური სახით, მაგრამ ეს უკვე თანამედროვეობაშიც წარმოიქმნება. აი, საიდან მოდის მედიუმური არსებების წინასწარმეტყველური ნიჭი, აი საიდანაა მათი მომხიბვლელობა. აქ ნამდვილად ვლინდება რაღაც, რაც მუშაობს უფრო სრულყოფილად, ვიდრე ადამიანი თანამედროვეობაში. თუმცა ეს ამ არსებებს შემოაქვთ სწორედ ისეთი სახით, როგორც ზემოთ დაგისახიათ.

სწორედ ისე, როგორც შმაგა არის მედიუმი ასტრალური სამყაროსთვის, ვინაიდან ის არის მედიუმი გარკვეული ასტრალური ძალებისთვის, რომელთაც ის იზიდავს თავის ნაყოფში, ზუსტად ასევე წარმოადგენს ადამიანი მედიუმი თავისი განსაკუთრებული ტვინის მეშვეობით სწორედ მედიუმს ამ ელემენტარული არსებებისთვის, რომლებიც თანაზიარი უნდა იყვნენ ჩვენი ცივილიზაციისა, ვინაიდან ადამიანებს არ შეუძლიათ ყველაფრის გადატანა ერთი მიწიერი ცხოვრებიდან მეორეში.

ეს არის საკუთრივ მედიუმური არსებების მისტერია: ისინი შეპყრობილები არიან ასეთი სახის სულიერი არსებებით. ახლა თქვენთვის ნათელია, რომ ეს არსებები, გარკვეული ასპექტებით, წარმოადგენენ ჭეშმარიტად არიმანული არსებების ქმნილებებს. არიმანული არსებები კაცობრიობასთან შედარებით ძალზე შორს არიან წასული გონებრივად; უშუალოდ ჩვენს მომიჯნავე სამყაროში ჩვენ ვხვდებით არიმანულ არსებებს, – ისინი მისაწვდომი არიან ჰერმეტიკისთვის ჯერ კიდევ ამ ფიზიკურ სამყაროში, – და ჩვენ გვაოცებს მათი გაუგონარი, წარმოუდგენელი გონიერება. ისინი გაცილებით გონიერები არიან, ვიდრე შეიძლება იყოს რომელიმე ადამიანი. ამ მხრივ ისინი ნამდვილი ზეადამიანები არიან. როგორც კი ჩავწვდებით, რამდენად გონიერები არიან და რამდენად უსაზღვროა მათი ინტელექტი, ჩვენ პატივისცემით განვიმსჯელებით ამ არსებებისადმი.

ეს ინტელექტი ანარეკლის სახით აღიბეჭდება მათ ქმნილებებშიც, იმ ელემენტარულ არსებებზე, რომლებიც ეუფლებიან მედიუმის ტვინს და მასში ეფლობიან; ასე შეიძლება მედიუმებისგან მოდიოდეს მნიშვნელოვანი გზაწვნილები. შეიძლება ძალზე ღირებული ინფორმაციების მიღება, განსაკუთრებით, თუ მიღებულ უწყებებს მივუდგებით მკაფიო და განვითარებული გაგებით. თუმცა საქმე ის არის, რომ ჩვენ, როცა მართებულნი ვართ ვიგებთ სულიერი სამყაროს კონსტიტუციასა და ვითარებას, უარფყოფთ, მედიუმების მეშვეობით გამოვლენილ ბევრ სწორ რამეს სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სამყაროში. სინამდვილეში, შეიძლება მედიუმების მეშვეობით გავიგოთ ბევრი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი რამ, მაგრამ ეს არ წარმოადგენს სწორ გზას. რატომ?

ამის შესახებ შეგიძლიათ გაიგოთ გარკვეული მცენარეების მაგალითზე, რომლებიც არიან მცენარე-მედიუმები, მედიუმები გარკვეული ასტრალური ძალებისთვის, რომლებიც მათ შხამიანად აქცევენ. ჩვენ ასევე შეგვიძლია გავიგოთ, მხოლოდ კარგად განვითარებული ცნობიერების მეშვეობით, თუ როგორ არის საქმე ასეთ მოვლენებთან დაკავშირებით. ახლა მსურს წარმოგიდგინოთ ის, თუ როგორ ვიგებთ ამას. როცა საუბარია სულიერი სამყაროს აღწერაზე, უმჯობესია ვისარგებლოთ სურათ-ხატების ენით, ვიდრე გამოვიყენოთ აბსტრაქტული ცნებები.

დაეუშვათ, რომ ჩვენ ინიციაციური შემეცნებით შევდივართ იმ სამყაროში, სადაც თავიანთი სიკვდილის შემდეგ იმყოფები-

ან გარდაცვლილები. ჩვენ მიყვებით მათ და, უპირველეს ყოვლისა, შევდივართ, თითქოსდა, სრულიად სხვა სამყაროში. მე ნაწილობრივ აღვწერე და დავახასიათე, როგორ ახდენს ის, როგორც რეალობა, გაცილებით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას, ვიდრე სამყარო, რომელშიც ვიმყოფებით დაბადებასა და სიკვდილს შორის. მაგრამ, როგორც კი მასში შედიხარ, მაშინვე თვალში გეცემა, რომ გარდაცვლილთა სამშენებლების გარდა იქ იმყოფებიან ძალიან უცნაური ქმნილებები. მალევე მას შემდეგ, რაც ადამიანი გარდაიცვლება, ჩვენ ვხედავთ, თუ მას მიყვებით, რომ გარდაცვლილ ადამიანურ სამშენებლებს შორის და ახლახან გარდაცვლილების გარშემო თავმოყრილია უცნაური, დემონური ფიგურები. სამშენებლის სამყაროს სწორედ ამ შესასვლელთან, სადაც გარდაცვლილი შედის და საითაც ჩვენ გარკვეული ნათელმხილველური მზერით შეგვიძლია მას მივსდით, ვხედავთ დემონურ ფიგურებს, რომელთაც აქვთ მძლავრი, დიდი აპოკალიფსური ფეხები; ცხადია, როცა აქ ვსაუბრობთ პირობითად მიწიერი თვალსაზრისით დიდსა და მცირეზე, შეიძლება ვისაუბროთ შედარებით ხარისხზე, ვინაიდან მათ აქვთ აპოკალიფსური ფეხები ისევე, თუ საერთოდ მოცურავე ცხოველებით, ამასთან ძლიერ განვითარებული, მაგრამ მუდმივად ცვალებადი. მათ აქვთ ფორმა, რომელიც შეიძლება შევადაროთ კენგურუს ფორმას, ამასთან ნახევრად ფრინველისა და ნახევრად ქვეწარმავლის მსგავსს. ესენი არიან დიდი, მძლავრი არსებები. როცა გარდაცვლილებს თან მიყვებით ჩვენ გავდივართ ძალიან ვრცელ რეგიონებს, რომლებიც ასეთი არსებებითაა დასახლებული. აქ იბადება კითხვა: სად არიან ეს არსებები? პასუხისთვის საჭიროა სწორად გვესმოდეს სიტყვა „სად“-ის მნიშვნელობა ამ არსებების მიმართ. ისინი მუდმივად ჩვენ გარემოცვაში არიან, ვინაიდან ვიმყოფებით სწორედ იმ სამყაროს შიგნით, რომელშიც იმყოფებიან გარდაცვლილები. ამდენად, ეს არსებები მუდმივად ჩვენს გარემოცვაში არიან, მაგრამ, იცით, მოცემულ მომენტში ისინი ამ დარბაზში არ არიან. აქ იწყება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი, ძალზე ზუსტი სულიერი კვლევის გზა.

ავიღოთ შემდეგი მაგალითი. ჩვენ ვსეირნობთ შემოდგომის მდელაზე, სადაც ხარობს უამრავი მცენარე, რომელიც განეკუთვნება უცუნას სახეობას. ისინი გვხვდება ყოველ ნაბიჯზე. ამ მცენარეებს შორის ყოფნისას შედიხართ ცნობიერების ისეთ

მდგომარეობაში, რომელიც საშუალებას გაძლევთ, თანხლება გაუწიოთ მიცვალებულებს და მაშინ იმ ადგილებში, სადაც ხარობს უცუნა, ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ ისეთ არსებას, როგორც ახლახან აღწერე – დამახასიათებელი აპკოვანი თითებით და შესამჩნევი სხეულით, რომელიც გვაგონებს კენგურუს. ყოველი უცუნასგან წარმოიქმნება ასეთი არსება. შემდეგ გაეშურეთ სხვა მიდამოსკენ, სადაც გზაზე ხარობს შავი შმაგა და თქვენ გადახვედით ცნობიერების ჩემ მიერ მითითებულ მდგომარეობაში, მაშინ თქვენ იქ შეხვდებით სრულიად სხვა, საშინელ დემონურ არსებებს, რომლებიც იგივე სამყაროდან არიან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას: უცუნა, შმაგა, არსებითად მედიუმებია, რომლებიც თავიანთ თავში უშვებენ მომიჯნავე სამყაროს და თავიანთი მეორე სხვა არსებით იმყოფებიან გარდაცვლილთა სამყაროში.

თქვენ თუ ამას დააკვირდებით, მაშინ შეგიძლიათ საკუთარ თავს უთხრათ: ჩვენ გარშემო ყველგან არის სამყარო, რასაც სხვა სამყაროს ვუწოდებთ. ყველაფერი გიწყობს ხელს, გააცნობიერო, რომ უმაღლესი ცნობიერების წინაშე შმაგა წარმოჩნდება გარდაცვლილთა სამყაროში და წარმოადგენს არა მხოლოდ იმას, რისი ჭკერებაც შეიძლება ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცნობიერების დახმარებით. შმაგას ჩვენ ვხედავთ უმაღლესი ცნობიერების დახმარებით იქ, სადაც ის იმყოფება – გარდაცვლილთა სამყაროში.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: აქ ჩვენთვის განფენილია მდელი, სადაც ხარობს უამრავი შმაგა. ახლა ჩვენ თუ ვიმყოფებით ფიზიკურ სამყაროში, საჭიროა წავიდეთ შორს, ავიდეთ მაღალ მთაზე, სადაც არის ბუჩქები, რომელზეც ხარობს შმაგას ნაყოფები. შმაგა და უცუნა სულაც არ მეზობლობენ ერთმანეთთან ფიზიკურ სამყაროში. მაგრამ ჩვენს მომიჯნავე სულიერ სამყაროში, რომელზეც ვსაუბრობ, ისინი გვერდიგვერდ არიან. სივრცე მოწყობილია სრულიად სხვაგვარად. ის, რაც ფიზიკურ სამყაროში სივრცობრივად არის გაყოფილი, შესაძლოა სულიერ სამყაროში იყოს გვერდიგვერდ. სულიერი სამყარო დასაბამიდანვე ექვემდებარება საკუთარ კანონებს. იქ ყველაფერი სხვაგვარადაა. ახლა დავუშვათ, იგივე მცენარეებს ვხვდებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდაცვლილთა სამყაროში. თქვენ თუ მიყვებით ახლახან გარდაცვლილს, მაშინ არ განიცდით იმ განზიდვის შთაბეჭდილებას, რომელსაც იწვევენ



ეს მცენარეები დედამიწაზე, ვინაიდან თქვენ იცით, რომ ამ დემონური ფიგურების არსებობა გამართლებულია ბრძნულ სამყაროსეულ გეგმაში. ამდენად, როცა გარდაცვლილებს პირველად უწევთ თანხლებას სამშინველთა სამყაროში, ის წარმოჩნდება თქვენ წინაშე დემონური არსებებით სავსე, მაგრამ გარდაცვლილებს საერთოდ არა აქვთ ის საშინელი შთაბეჭდილება, რასაც იღებს მიწიერი ადამიანი ამ მცენარეებისაგან. ჩვენს მომიჯნავე სულიერ სამყაროში ეს ფიგურები შეესაბამებიან შხამიან მცენარეებს.

შემდეგ, როცა გადადიხართ იმ რეგიონებში, რომელსაც მიცვალებულები ტოვებენ 10, 20, 30 წლის შემდეგ, იმისათვის, რომ შეაბიჯონ უფრო მაღალ სფეროებში, მაშინ იქ პოულობთ, უპირველეს ყოვლისა, იმას, რაც შეესაბამება ჩვენს შხამიან მცენარეებს. იქ პოულობთ თქვენ, მაგ., იას და მის მსგავსებს, იმას, რაც შხამიანი არაა. ამდენად, მცენარეთა სამყაროს მნიშვნელობა აქვს არა მარტო აქ, ფიზიკურ სამყაროში, არამედ სხვაშიც, ზენა სამყაროებში. ოღონდ, იქ ჩვენ მათ ვხედავთ შეცვლილი ფორმით. მათი ნამდვილი იერი დაგანებულია ვარსკვლავების სამყაროში, ხოლო ის, თავის მხრივ, აისახება დედამიწაზე სწორედ იმ ფორმით, როგორსაც იძენს შმაგა, უცუნა ან ია; ასეთი ანასახი არსებობს იმ სამყაროშიც, რომელშიც შედის გარდაცვლილი. ის, რაც არსებობს ერთ სამყაროში, ასევე ზემოქმედებს სხვა სამყაროებზე. თუ გვსურს რაღაც არსებულის შემეცნება მის ნამდვილ რეალობაში, მაშინ საკუთარი ცნობიერებით უნდა შევაბიჯოთ მისთვის ჩვეულ სამყაროში. ეს ასევე არის აქ სხვა სამყაროების არსებებისთვისაც. ეს ელემენტარული არსებები რასაც წარმოადგენენ, უმთავრესად არიან არიმანული მბრძანებლების ქმნილებები, რომლებიც შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მაშინ, როცა შევაბიჯებთ ჩვენს უახლოეს, მომიჯნავე სამყაროში.

ეს არსებები გვევლინებიან მედიუმების მეშვეობით; მედიუმები შეპყრობილები არიან ამ არსებებით და ამ გზით ისინი დროებით შემოდინა ჩვენს სამყაროში. ჩვენ თუ ამ არსებებს ვიმეცნებთ მარტო ჩვენს სამყაროში მხოლოდ მედიუმების მეშვეობით, მაშინ ჩვენ მათ ვსწავლობთ სამყაროში, რომელიც მათთვის უცხოა, რომელშიც ისინი თავის ჭეშმარიტ სახეს არ ამჟღავნებენ. ამიტომ, მათთვის, ვინც იმეცნებს ამ არსებებს და მათ გამოცხადებებს მხოლოდ მედიუმების მეშვეობით, არ არსე-

ბობს არანაირი შესაძლებლობა, შეიჭრას მათ ჭეშმარიტ არსში, ვინაიდან ისინი ვლინდებიან მათთვის სრულიად უცხო სამყაროში. აქ აშკარად ადგილი აქვს სულიერ გამოცხადებას, მაგრამ ამ სულიერი გამოცხადების გაგება შეუძლებელია, თუ ამ არსებების შეცნობას ვსწავლობთ მხოლოდ იმ სამყაროში, რომელსაც ისინი სულაც არ მიეკუთვნებიან. ეს არის სწორედ მოჩვენებითი, ძალზე მცდარი წარმოდგენა იმ ყველაფერზე, რაც შემოდის სამყაროში მედიუმური ცნობიერების მეშვეობით. მოჩვენებითი იმიტომ, რომ მათ, ვისაც შეხება აქვს ამ არსებებთან, არ იციან, არსებითად, როგორი თვისებები აქვთ ამ არსებებს, და მათ ნამდვილ ბუნებაზე მკაფიო წარმოდგენა არ გააჩნიათ.

იმის გამო, რომ ისინი სამყაროში ასეთი სახით შემოდინან, ამ არსებებს ასევე განსაკუთრებული ბედისწერა აქვთ. შემდეგ თქვენ ხედავთ, რომ ბევრ სხვა რამესაც შეიცნობენ, როცა სწავლობენ სამყაროს სწორედ ისე შემეცნებას, როგორც ეს მე აღვწერე. შეაბიჯებთ რა გარდაცვლილთა სამყაროში და გაივლით რა იქ დემონების ტყეს, სადაც არის უცუნა, შმაგა, ფუტკარა (Digitalis), ლება (Datur stramonium) და სხვ. ამჩნევთ შემდეგ: იები; ისინი გარდაიქმნებიან და მომავალში მათ ექნებათ სრულიად სხვა იერი. მათ აქვთ მნიშვნელობა მომავალ კოსმოსში. უცუნა ნაწილობრივ განწირულია სიკვდილისთვის. შხამიან მცენარეებს, მომაკვდავ მცენარეებს, გადაშენების პირას მყოფ მცენარეებს, უნარი არა აქვთ თავიანთი ფორმები გადაიტანონ მომავალში. მომავალ ეპოქებში წარმოიქმნებიან ახალი სახის შხამიანი არსებები. მაგრამ ეს არსებები, რომლებიც დღეს შხამიანი არსებები არიან, ჩვენს ეპოქაში დაიხოცებიან. ეპოქა გრძელდება დიდხანს, მაგრამ ისინი (ეს შხამიანი მცენარეები) თავის თავში ატარებენ სიკვდილის იმპულსს. ეს ვრცელდება ასევე მთელ ფლორაზე. ფლორა მხოლოდ მაშინ გვეხსნება, როცა ამ მზერით ვჭვრეტთ, აღმავალ, თავის თავში განვითარებად, მომავალში იმპულსირებულს და ასევე მომაკვდავს, თავის თავში სიკვდილთან დაკავშირებულს.

ასეთივე მდგომარეობაა იმ არსებებთან, რომლებიც მედიუმებს თავის თავში შეპყრობილებად აქცევენ. ისინი თითქოს განცალკევდებიან თავიანთი ამხანაგებისაგან, რომელთა ამოცანაც არის თანამედროვეობის გადატანა ძალზე შორეულ დროებში; ისინი მედიუმების მეშვეობით იჭრებიან

ჩვენს თანამედროვე სამყაროში, ამავე დროს თავის თავს აკავშირებენ მიწიერ ბედისწერასთან და კარგავენ თავის ამოცანას მომავლისთვის.

ამავე დროს ისინი, მნიშვნელოვანი აზრით, ადამიანს ართმევენ თავისი მომავლის ამოცანას. ეს არის ის, რაც უშუალოდ ჩვენ წინაშეა, როცა ჭეშმარიტად შევიმეცნებთ მედიუმის არსებას. მომავალი უნდა მოკედეს, – ასე ამბობს საკუთრივ მედიუმის არსება, – თანამედროვეობა არის ერთადერთი რეალობა. აი, რატომაა, რომ სპირიტულ სეანსებზე მოხვედრისას ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ სულიერი სამყაროს ფაქტებისა და არსებების ჭვრეტის უნარს, თავიდან გაოცებულები არიან იმით, რომ წრეში მსხდომი ადამიანები და სპირიტული მანიფესტაციის მონაწილენი გარემოცულნი არიან ფორმებით, რომლებიც შხამიან მცენარეებს განეკუთვნებიან. ყოველი ასეთი სპირიტული სეანსი უშუალოდ დამძიმებულია შხამიანი მცენარეების რაღაც ბადით, რომელიც ისეთი არ არის, როგორც გარდაცვლილების სამყაროში, მაგრამ, რომლებიც იზრდებიან სპირიტული კრებულის გარშემო და რომელთა ყვავილებიდან და ნაყოფებიდან ამოიზიდებიან დემონები.

ეს ისაა, რასაც ხედავს სპირიტულ სეანსებზე ის ადამიანი, ვინც იმზირება სულიერ სამყაროში. მას უწევს თითქოსდა რაღაც ბარიერის გადალახვა, კოსმიური ღობის გადალახვა შხამიანი მცენარეებისგან, რომლითაც გარემოცულია სპირიტული შეკრება, მაგრამ მხოლოდ ეს მცენარეები ატარებენ თავის თავში რაღაც მოძრავს, რომელიც ჰგავს ცხოველურ გამოვლინებებს. მხოლოდ მათი ფორმებით შეიძლება ჯერ კიდევ ამოვიცნოთ, რომ ეს მცენარეები შხამიანია. სწორედ ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ დავინახოთ მედიუმის მიზმში გამოვლენილი ძალა, თუ რა მუშაობს ამ მედიუმურ ფორმაში, ის, რაც უნდა მიედინებოდეს კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, რათა ნაყოფიერი გახდეს მომავალში და ეს შემოჰყავთ თანამედროვეობაში, რომელსაც ის არ ეკუთვნის და სწორედ თანამედროვეობაში ვითარდება კაცობრიობის საზიანოდ. აი, რა არის მედიუმური არსების შინაგანი მისტერია, რომელიც ჩვენ აქ ამ მოხსენებების მსვლელობაში უნდა გაგვეცნო.

შესაძლებელია სრულიად გარკვეულად და ზუსტად განისაზღვროს, სად ძვეს მედიუმურ არსებაში, ასე ვთქვათ, საკაცობრიო კონსტიტუციის სიმძიმის ცენტრი. აქ უნდა გაგვაკეთო რაღაც სახის აბსტრაქტული განმარტება, რომლის მეშვეობით, ასე ვთქვათ, შეძლებთ, რამდენადმე ჩასწვდეთ მედიუმიზმის არსს.

თქვენ იცით, რომ ადამიანის ტვინი ისეთია, როგორც არის თავის ქალაში და მისი საშუალო წონაა 1500 გრამი, ან ცოტა მეტი. ეს, არსებითად, მნიშვნელოვანი წონაა. თუ ეს ადამიანური ტვინი თავისი საკუთარი წონით დააწვებოდა თავში მის ქვეშ გამავალ წვრილ სისხლძარღვებს, ის მაშინვე გაჭყლექდა მათ. ჩვენი ტვინი არ მოქმედებს თავისი წონით, თავისი სიმძიმით სისხლის მიმოქცევის სისტემაზე, რომელიც მის ქვეშ არის. ამ ფაქტს მაშინვე გავიგებთ, თუ მას სწორად აღვიქვამთ.



ნახ. 12.

1. rot – წითელი. 2. lila-ლილისფერი.

აიღეთ ადამიანი თავისი აგებულებით; თქვენ ხედავთ, რომ ადამიანის ხერხემალი ადის ზევით და გადადის ტვინში (ნახ.

12, წითელი). ხერხემლის კონსისტენცია ისეთია, რომ მთელი ხერხემლის სვეტი, ცალკეული ნაწილების გამოკლებით, მთლიანად არ არის გამყარებული, არამედ იმყოფება ნახევრად მყარ მდგომარეობაში, არის რა ავსებული სითხით. თავად ტვინიც ტივტივებს ასეთივე სითხეში, ტვინის სითხეში (ლურჯი). მაგრამ არსებობს არქიმედეს კანონი, თქვენ ალბათ, სწავლობდით მას სკოლაში ფიზიკის გაკვეთილებზე. ამ კანონს ეწოდება ძველი ბრძენის – *არქიმედეს*\* სახელი. ცნობილია, რომ თავისმა გენიალურმა ნიჭმა მას საშუალება მისცა აღმოეჩინა ეს კანონი, როცა იგი აბაზანას იღებდა. მან განახორციელა უმარტივესი ექსპერიმენტი: მთელი სხეულით აბაზანაში ჩაწოლილი, იგი ხან ამოწევდა ფეხებს აბაზანის კიდეზე, ხან ჩაუშვებდა მათ წყალში. მან შეამჩნია, ფეხებს აქვთ სხვადასხვა წონა, გამომდინარე იქიდან – წყალში ჰქონდა ჩაწყობილი, თუ არა. გარეთ ისინი უფრო მძიმეა, ხოლო წყალში წონაში კლებულობენ. არქიმედესთვის ეს დაკვირვება ნიშნავდა რაღაც სხვას, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომლისთვისაც ეს იქნებოდა უბრალოდ თამაში, ხოლო არქიმედემ გააკეთა უდიდესი აღმოჩენა. „*ეвриკა!*“ მე აღმოვაჩინე! აღმოჩენა იყო ის, რომ სითხეში ჩაძირული ნებისმიერი სხეული კარგავს საკუთარი წონის ნაწილს, რომელიც გამოდევნილი სითხის წონის ტოლია.

დავდგათ ჩვენ წინ ჭურჭელი, რომელიც ავსებულია წყლით. მე მასში ვდებ მყარ სხეულს. თუ ეს სხეული წინასწარ ავწონე, მაშინ შემიძლია, ზუსტად დავადგინო, რომ წყალში სხეული მსუბუქდება, იქ ნაკლებს იწონის. ამასთან, თუ წყლის მოცულობასაც გავზომავთ, აღმოჩნდება, რომ მისმა მოცულობამ მოიმატა და ამ მომატებულ წყალსაც ხომ აქვს წონა. სწორედ ამ წონის შესაბამისად კლებულობს წყალში ჩაძირული სხეულის წონა და მისი წონა იკლებს ზუსტად იმდენს, რამდენიც არის გამოდევნილი წყლის წონა. ასეთია არქიმედეს კანონი.

ჩვენი სხეულის ანატომიის განხილვისას, ხედები, რომ ამ კანონს ჩვენთვის ბევრი სარგებელი მოაქვს. ვინაიდან ტვინის სითხეში მოტივტივე ტვინი სწორედ იმდენს იკლებს წონაში, რამდენსაც იწონის გამოდევნილი ტვინის სითხე, ხოლო მისი მოცულობა ტოლია ტვინის მოცულობის. აი, რატომ არის ჩვენი ტვინის წონა არა 1500 გრამი, არამედ თავის წონაში კარგავს სწორედ იმდენს, რამდენსაც აიწონიდა ტვინი, რომელიც მთლიანად სითხისგან იქნებოდა შედგენილი, ანუ ის კარგავს

თავისი წონის 1480 გრამს და იწონის, შესაბამისად, დაახლოებით 20 გრამს. ამდენად, ჩვენი ტვინი სინამდვილეში იწონის არა 1500 გრამს, არამედ მხოლოდ – 20 გრამს. დანარჩენი წონა იკარგება იმის წყალობით, რომ ტვინის სითხეში მოძრაობისას ტვინი ექვემდებარება არქიმედეს კანონს. შედეგად ტვინი ჩვენს ორგანიზმში, სინამდვილეში, გაცილებით მსუბუქია, ვიდრე ის არის რეალურად. ჩვენ შიგნით ტვინი იწონის სულ რაღაც 20 გრამს. მაგრამ სწორედ წონის ამ 20 გრამს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი „მე“-ს არსებობას უნდა ვუმადლოდეთ სწორედ ამ 20 გრამს. ყველა დანარჩენს ვიღებთ სხვა წყაროებიდან.

მთელი ჩვენი სხეულიც ავსებულია მრავალფეროვანი მყარი შემადგენელი ნაწილებით, რომლებიც ცურავენ სისხლში, მაგ., სისხლის ნაწილაკები. ისინიც ასევე კარგავენ თავიანთ წონას, ხოლო ნარჩენ წონაში დავანებულია ჩვენი „მე“, ასე რომ, ჩვენი „მე“ ასევე მოიცავს სისხლს, მაგრამ დააკვირდით, არა სისხლის მთელ წონას. ამ ყველაფერს უნდა მივაპყროთ ყურადღება, ყველაფერს, რასაც აქვს საგრძნობი წონა, როცა ჩვენ გადავადგილდებით. დიას, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, საჭიროა მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რაც განლაგებულია აქ (იხ. ნახ. 12, - ტვინი) და ამავე დროს გააჩნია რაღაც წონა მის წონით მდგომარეობაში. სწორედ ის არის ჩვენი „მე“. სხვაგვარად მისთვის ვერ მოინახებოდა ადგილი, სხვაგვარად ადამიანი მთლიანად შემდგარი იქნებოდა ასტრალური სხეულისგან, ეთერული სხეულისგან და ა.შ.

მედიუმი არის ისეთი ადამიანი, რომლის ტვინის წონითი შემადგენელი, ანუ მითითებული 20 გრ., – აღარ შეიცავს მის „მე“-ს. მისი „მე“, განდევნილია სიმძიმის სფეროდან, წონის სფეროდან. ტვინის ამ ნაწილს მყისიერად იკავებენ ის არსებები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ.

აღწერილში შეიძლება შევნიშნოთ ერთი თავისებურებაც. აზროვნების მატერიალისტური სახე ყველგან მიდრეკილია ადგილის ლოკალიზაციისკენ. ყოველთვის იბადება კითხვა: სად არის ის ადგილი, რომელსაც იკავებს ელემენტარული არსება, როცა მედიუმს ეუფლება? ასეთი კითხვა არ არის მიმართული რაღაც კონკრეტულისკენ, ეს უბრალოდ მატერიალისტური განსჯის ჩვეული მიდგომაა. ასე საუბარი შეუძლია მხოლოდ მექანიკური ან მათემატიკური აზროვნების მქონეს. მაგრამ ცხოვრე-

ბა მიედინება არა მათემატიკურად ან მექანიკურად, არამედ დინამიურად. ასე რომ, კი არ უნდა ითქვას: მედიუმი შეპყრობილია სხეულის რომელიმე განსაზღვრულ ადგილზე, რომელიც შეიძლება ლოკალიზებული იყოს მათემატიკური თუ გეომეტრიული ხერხით, არამედ საჭიროა ითქვას: მედიუმი შეპყრობილია იმ ნაწილში, რომელიც მასში რჩება მძიმე, იმ ნაწილში, რომელიც მას ეწევა მიწისკენ. სწორედ იქ შეუძლიათ ჩანერგვა არიმანულ არსებებს. და არა მხოლოდ იქ, არამედ ასევე სხვა ადგილებშიც. თქვენ ხედავთ, ყველაფერი ჩემ მიერ აღწერილი არის მხოლოდ ყველაზე უხეში ნაწილი საგნისა. არსებობს უფრო ნატიფიც.



ნახ. 13

ფიზიკურ პლანზე ჩვენ როგორ ვხედავთ? აქ გვაქვს ჩვენ თვალები (იხ. ნახ. 13). თვალიდან ტვინისკენ მიემართება მხედველობითი ნერვი. ის მოიცავს თვალს, ხოლო შემდეგ მიემართება ტვინისკენ. მხედველობით ნერვში ჩადებულია ფერების აღქმის წინაპირობა. მატერიალისტები მიიჩნევენ, რომ მხედველობით ნერვს ფერები მიაქვს ტვინში და იქ თითქოსდა ჩამოტვირთავს. ვინაიდან მატერიალისტებს ეს ყველაფერი წარმოუდგენიათ როგორც გემების თუ რკინიგზის საშუალებებით გადმოტვირთვა. რაღაცა გარეგნული იტვირთება გრძნობის ორგანოებში, შემდეგ გადაიტანება ნერვში; შემდეგ ის სადღაც ჩამოიტვირთება, შედის სამშვინველშიც, ცხადია, არც ისე უხეშად, მაგრამ რაღაც ამდაგვარად. სინამდვილეში ყველაფერი სრულიად სხვაგვარადაა! საქმე ის არის, რომ მხედველობითი ნერვის დანიშნულება სულაც არ არის, ტვინს მიაწოდოს ფერითი აღქმები; პირიქით, ის განკუთვნილია, გარკვეულ წერტილში ჩაახშოს ეს აღქმები. ფერები არსებობს მხოლოდ გარე-

დან, პერიფერიაზე. მხედველობითი ნერვი განკუთვნილია ფერების ჩასახშობად იმ ზომით, როგორც ისინი მოძრაობენ შიგნით ისე, რომ ტვინს რაც შეიძლება მოაკლდეს ფერი, რათა მასში იჭრებოდეს მხოლოდ სუსტი, ოდნავ საგრძნობი ფერები. ტვინში წაიშლება არა მხოლოდ ფერები, არამედ ყველანაირი კავშირი გარე სამყაროსთან. სმენა, ხედვა არის გრძნობის ორგანოებში. ტვინთან მიახლოებისას მხედველობითი, სმენითი, სიტბოს მატარებელი ნერვები შლიან ყველაფერს, რაც ხდებოდა მათ პერიფერიაზე, დაჰყავთ რა თავდაპირველი აღქმა მხოლოდ სუსტ ჩრდილამდე. ეს სუსტი ჩრდილი ისეთივე პროპორციაშია თავდაპირველად აღქმულთან, როგორც 20 გრ. – 1500 გრამთან. ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ 20 გრამი მხოლოდ უმნიშვნელო ჩრდილია ტვინის ნამდვილი წონისა.

აი, ის უმცირესი, რაც ჩვენ აქ გვაქვს. როცა ჩვენ წინაშეა მძლავრი, გიგანტური დილის ცისკარი, რომელიც დავანებულია ჩვენი გრძნობის ორგანოებში, მაშინ ტვინის სიღრმეში გვაქვს მისი მხოლოდ სუსტი ჩრდილი. საჭიროა, ამ სუსტ ჩრდილს მივაქციოთ უდიდესი ყურადღება, ვინაიდან მხოლოდ მასშია დავანებული ჩვენი „მე“. იმ წამს, როცა ჩვენი „მე“ გამოთიშულია, როცა ვხდებით მედიუმები, ჩვენში, ამ სუსტ ჩრდილში, ან სუსტ ბგერაში, რომელიც მოწოდებულია ყურის მიერ და ა.შ., მაშინვე იჭრება ჩემ მიერ აღწერილი ელემენტარული არსება. ყველაფერში, სადაც გაბატონებულია „მე“, სადაც გარეგნული გრძნობები ჩახშობილია, იჭრებიან ასეთი არსებები და მედიუმს აქცევენ შეპყრობილად. ის იჭრება თვით ნერვების განშტოებებამდე, თვით მოტორულ ნერვებამდე, ანუ იმ ნერვებამდე, რომლებიც ნებელობითი იმპულსების გამტარებლებია. ხდება ისე, რომ მედიუმში იწყებს აქტიურობას, ვინაიდან მასში დაპყრობილია ის, რაც დაპყრობილი უნდა იყოს მხოლოდ ადამიანური „მე“-ს მიერ. ტვინის წონის ნარჩენში, ფერადოვანი და ხმოვანი აღქმის მკრთალ ჩრდილში, ყველა იმ ნარჩენსა და ჩრდილში, რომელიც ჩვენში ფანტომის სახით თითქოსდა რაღაცას ქმნის, ეფლობა ასეთი ელემენტარული არსება; ვინაიდან წონის ეს 20 გრამი, არსებითად, მხოლოდ ფანტომია; ფერთა ეს სუსტი ჩრდილები, რომლებიც შედიან შინაგანში, ისინიც ფანტომების მსგავსია. ამდენად ამ ყველაფერში იჭრება სწორედ ასეთი ელემენტარული არსება. შემდეგ ადამიანის სხეული მთლიანად უძრავ მდგომარეობაში, ლეთარგიულ ძილ-



შია, სამაგიეროდ აქტიური ხდება ის, რაც აღვსილი უნდა იყოს მისი „მე“-თი, რომელიც ადრე ავსებდა კიდევ სუსტ, ფანტომისებრ ჩრდილებს.

ამდენად, შეხედეთ მედიუმს. მას შეუძლია იყოს მედიუმი მხოლოდ იმის შედეგად, რომ ყველაფერს, რასაც იყენებს ნორმალური ადამიანი, მასში ჩაფლულია ლეთარგიაში, აბსოლუტურ უმოქმედობაში და კმედითი ხდება ის ფანტომი, რომელიც მე აღვწერე. ამას თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ, მაგ., მისი წერის მეთოდში. მედიუმის წერა, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო, თუ მედიუმის შიგნით ყველაფერი უფრო მსუბუქი არ იქნებოდა, როგორც ეს ხდება ტვინთან დაკავშირებით; ვინაიდან ნებისმიერი სიმძიმე, რომელიც ტივივებს სითხეში, ბადებს სიმსუბუქის შეგრძნებას და მედიუმის წერა ხორციელდება სიმსუბუქის ამ ელემენტში. მხოლოდ ჩვეულებრივ ცხოვრებაში წარმართავს კალამს ადამიანის „მე“, ხოლო მედიუმის ელემენტარულ ფანტომში კალამს წარმართავს ელემენტარული არსება.

თქვენ ხედავთ, რომ ეს არის ნამდვილად სხვა სამყაროს ჩანერგვა, როცა მედიუმი ასე ზის, ანდა რაღაც სახით ახდენს თავისი თავის გამოვლენას, მანიფესტირებას. როგორც მედიუმის მოძრაობაში შეუძლიათ ჩანერგვა არიმანულ არსებებს, ზუსტად ისე შეუძლიათ ჩანერგვა სხვა სამყაროს არსებებს გამოსხივებაში, ყველა გამოსხივებაში, როგორც გუშინ აღვწერე. ამასთან, ეს ყოველთვის ხდება ადამიანის ორგანიზმის იმ ნაწილებში, სადაც განლაგებულია ჯირკვლები, რომელშიც მუდმივად ადგილი აქვს სითხის მძლავრ გამოსხივებას, ემანაციას. ამ ემანაციებში თავის მხრივ იჭრებიან ელემენტარული სამყაროს არსებები, ისინი ასევე იჭრებიან სუნთქვისა და სინათლის გამოსხივებებში. მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება ქიმიურ გამოსხივებას, წარმოიქმნება ცნობიერი კონტაქტი, იმათ შორის, ვინც იყენებს აღნიშნულ გამოსხივებებს და იმ არსებებს შორის, რომლებიც იჭრებიან ამ ქიმიურ გამოსხივებებში. აი, აქ იწყება, როგორც გუშინ დავახასიათე, შავი მაგია – ცნობიერი მუშაობა არსებებთან, რომლებიც შემოდინ ჩემ მიერ აღწერილი მეთოდით.

თავად მედიუმში და, როგორც წესი, მათშიც, ვინც ექსპერიმენტირებს მედიუმთან, სრული გაურკვევლობაა მომხდარ პროცესებთან დაკავშირებით. შავ მაგებთან კი უმეტესწილად გვხვდება სრული გაგება იმისა, რომ ამ ქიმიური გამოსხივებე-

ბით, უმთავრესად მისი საკუთარი გამოსხივებით, სორციელდება ელემენტარული სამყაროს არსებების გამოსხივება. შესაბამისად შავი მაგი მუდმივად გარემოცულია მსახურების რაზმით, ამ ელემენტარული არსებებით, რომლებსაც იგი საშუალებას აძლევს ოკულტურ-ქიმიური იმპულსები გამოიყენონ აქ, ამ ფიზიკურ-გრძობად სამყაროში.

ამას მიყვაროთ შემდეგ შემეცნებად: ზუსტად ისე, როგორც შმაგა ამოიზრდება იმ სამყაროში, რომელსაც არ ეკუთვნის და ამის გამო ის ხდება შხამიანი, ასევე იჭრება სულიერი სამყარო მედიუმების მეშვეობით ჩვენს საკუთარ სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ძირითადად, არსებობს საშიშროება, რომ ეს სულიერი სამყარო შემოიჭრება ჩვენს სამყაროში იმავე მეთოდებით, როგორც ამას ახორციელებს შმაგა. ასეთი რამ ხდება ყოველთვის, როცა ჩახშობილია ადამიანის ცნობიერება, როცა ადამიანი „მე“-თი ვეღარ ავსებენ თავის თავს, ანუ როცა ადამიანი იმყოფება დაბინდული ცნობიერების მდგომარეობაში ან ნამდვილი გულყრის მდგომარეობაში.

ყოველთვის, როცა ადამიანის ცნობიერება ქვეითდება არა ჩვეულებრივი ძალის შედეგად, არამედ სხვა მიზეზით, არსებობს საშიშროება, რომ გაიღება ფანჯარა ჩემ მიერ აღწერილი სამყაროსთვის. იმ უმნიშვნელოვანეს როლზე, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში თამაშობს ეს გასსნილი ფანჯრები, – დაქვეითებული ცნობიერების შედეგი, – ამაზე ვისაუბრებ სვალინდელ და მომდევნო ლექციებში.

მეცხრე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 20 აგვისტო  
არანორმალური გზები სულიერ სამყაროში  
და მათი გარდაქმნა

*შემეცნების გზისთვის საბუნებისმეტყველო  
წარმოდგენების გამოყენება*

ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენს ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ასევე სიზმრის ცხოვრებაში არსებული რომელიმე მდგომარეობის კვლევას როგორ მივყავართ იმ დაკვირვებებისკენ, რომელთაგანაც შემდეგ შეიძლება გადასვლა ადამიანის სამშეინველში ცნობიერების სხვა მდგომარეობების განმარტებისკენ, რომელთაც ხელეწიფებათ სხვა სამყაროებში შეღწევა, ვიდრე დაბადებასა და სიკვდილს შორის ჩვენ მიერ განცდილს. თქვენ ნახეთ, რომ მედიუმების ცნობიერების მდგომარეობას მიჰყავს რაღაც სომნამბულური მდგომარეობისკენ, ვინაიდან მედიუმიზმი, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა სომნამბულიზმი (ლუნატიზმი). დააკვირდით, რომ ორივე, – სიზმრების განცდა და სომნამბულური განცდა, – წარმოადგენს შინაგან მშეინვეიერ მდგომარეობას, რომელიც გვხვდება ჩვეულებრივ ნორმალურ ცხოვრებაშიც და მხოლოდ გაძლიერების შემდეგ, შესაძლებელია წაიყვანოს სწორი ან არასწორი მიმართულებით.

დღეს კიდევ ერთხელ განვიხილოთ სიზმრის ცხოვრება. სიზმარი ადამიანის ჩვეულებრივ ცნობიერებაში შემოდის, როცა იგი ღვიძილიდან გადადის ძილის მდგომარეობაში და მის ასტრალურ სხეულში თითქოსდა ვიბრირებას აგრძელებს ღვიძილის დროს მის ეთერულ და ფიზიკურ სხეულებში განცდილი. სწორედ მაშინ წარმოიქმნებიან ის ქაოტური, თუმცა კი ზოგჯერ გასაოცარიც, სიზმრები, რომელთა განმარტებაც ნამდვილად ხელმისაწვდომია მხოლოდ ხელდასხმულთათვის, ხოლო მას, ვისაც არ შეუძლია ღრმად შეიჭრას სულიერ სამყაროში, სიზმრების ჩვეული ქაოტური სამყარო უბრალოდ დააბნევს და ააღელვებს.

ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ მედიტაციური სავარჯიშოებისა და კონცენტრაციის წყალობით, ძილის ცხოვრების ეს ქსოვილი იმსჭვალება ჰემარიტი უმაღლესი ცნობიერებით. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ადამიანი, ჩაფლობილი სიზმრების გასაოცარ

ქაოტურ სამყაროში, მაგრამ სიზმრის ეს ცხოვრება განმსჭვალულია ცნობიერებით და ის ისე ყურადღებით იქცევა ამ სამყაროში, თითქოსდა სიზმრები ისეთივე რეალობა იყოს, როგორც ჩვეულებრივი ცხოვრება. ასე იღებს ადამიანი იმ სხვა სამყაროს ჭვრეტის უნარს, რომელშიც შესაძლებელია თანხლება მიცვალებულებისა მათ მიღმურ ცხოვრებაში, როგორც ჩვენ ვისაუბრეთ. ამასთან გრძნობ, რომ ხედები სამყაროში, რომელიც ჩვეულებრივ სამყაროსთან შედარებით გაცილებით უფრო რეალურია. მაშინ იბადება კითხვა; რას წარმოადგენს ეს სხვა სამყარო? ამაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ მე მსურს, ამ თემას დღეს სულ სხვა თვალსაზრისით შევხეხოთ.

ოდესღაც ადამიანებთან ერთად ცხოვრობდნენ, როგორც უკვე ვთქვი, კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლები, რომლებიც იმყოფებოდნენ არა ფიზიკურ სხეულებში, არამედ ნატიფ ეთერულ სხეულებში, ვინაიდან შეეძლოთ განსხეულება ჰაერის ელემენტში; ისინი ადამიანებს ასწავლიდნენ ინსპირაციის მეშვეობით და დედამიწაზე დააფუძნეს უძველესი კულტურა. ცნობიერების შესაბამისი მდგომარეობის დახმარებით ამ უძველესი დროების ჭვრეტისას ადამიანებს შორის აღმოჩენ აგრეთვე კაცობრიობის ამ დიად სულიერ არქემასწავლებლებს. ისინი დაბრუნდნენ მთვარეზე და ახლა მათი აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ მთვარის სფეროში; იქვე იმყოფებიან სხვადასხვა, მათზე დაქვემდებარებული ელემენტარული არსებები, რომლებიც არასდროს მიახლოებიან დედამიწას. სიკვდილის კარიბჭის გავლისას ეს არქემასწავლებლები ადამიანს თავისი კარმის შესაბამისად ესხნებიან. მათვე ხედება ადამიანი, როგორც კი შეაბიჯებს სულიერ სამყაროში. როგორც მიწიერ ცხოვრებაშია ადამიანი ჩართული სხვა ადამიანთა საზოგადოებაში, ასევე შეიძლება მიედინებოდეს ცხოვრება უმაღლესი შემეცნების სფეროში, ოღონდ სხვა არსებათა საზოგადოებაში. მთვარის ამ არსებებთან, რომლებიც ოდესღაც, შეიძლება ითქვას, იყვნენ მიწიერი არსებები, კაცობრიობის უძველესი მასწავლებლები, ასევე მათზე დაქვემდებარებულ ელემენტარულ არსებებთან თანამშრომლობით ადამიანი იწყებს ჩვენი სამყაროს მომიჯნავე სულიერი სამყაროს კვლევას.

ყოველთვის არის შესაძლებელი ამ სამყაროში ვიპოვოთ ამოსავალი წერტილი, შევისწავლოთ ადამიანის წინარე ინკარნაციები, მივუბრუნდეთ ადრინდელ მიწიერ დროებს, რათა ვი-

პოვით პიროვნებები, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ, რომლებთანაც კარმულად ვიყავით დაკავშირებული ან – არ ვიყავით. მე უკვე მოგიყევით, თანდათანობით როგორ შევდიოდი კონტაქტში იმათთან, ვინც ახლანდელ დროში არაა განსხვავებული დედამიწაზე, ესენია: *ბრუნეტო ლატინი, დანტე, ალანუს აბ ინსულისი* და სხვა. ეს ყოველივე ეფუძნება ცნობიერების ამ მდგომარეობაში ჩაღრმავებას. შესაბამისად, ცნობიერების ეს მდგომარეობა არის შუქის მომფენი, გამსხვივოსნებელი სიზმრის მდგომარეობისა, რომელიც ასე ვთქვათ, წარმოადგენს ჩვეულებრივი ცხოვრების რუდიმენტს ამ სფეროში. მაინც რა განსხვავებაა, ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობით ადამიანსა და ხელდასხმულს შორის? ამ განსხვავების გარკვევა თქვენ ძალიან მარტივად შეგიძლიათ.

ჩვეულებრივი ძილისას ადამიანი თავისი ფიზიკური და ეთერული სხეულებით იმყოფება საწოლში; იგი თავისი ასტრალური სხეულით და თავისი „მე“-თი იმყოფება ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ. სიზმარში იგი განიცდის მხოლოდ „მე“-თი. ამასთან არის პროცესები, რომელთაც განიცდიან სიზმარში, ასევე ასტრალურ სხეულში, რომელიც ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთაა; მაგრამ ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის განცდები მისაწვდომია მხოლოდ „მე“-თი. ხელდასხმულთან კი მოქმედებს არა მარტო „მე“, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ასტრალური სხეული. ამდენად, განსხვავება ჩვეულებრივი სიზმრების მქონე ადამიანსა და ხელდასხმულს შორის არის ის, რომ პირველში, როცა იგი იმყოფება თავისი ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ, ამოქმედებულია მხოლოდ თავისი საკუთარი „მე“, ხოლო ხელდასხმული განიცდის ასევე ასტრალური სხეულითაც.

აღქმის ასეთი მეთოდი აქტიურად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ უძველეს მისტერიებში ზეგრძნობადი სამყაროების შესასწავლად. თავისი რუდიმენტული, გადაგვარებული ფორმით აღქმის ეს ხერხი მუშაობდა შუა საუკუნეებშიც, თვით უახლეს დრომდე, როცა ამა თუ იმ ხარისხით ის უკვე დაკარგული იყო. თუმცა ცალკეულ ინდივიდს ყოველთვის შეეძლო სულიერ სამყაროებში შეღწევა, რომელშიც შესვლა უკავშირდება სწორედ ამ ტიპის აღქმებს, დამოუკიდებლად იმისგან, მოპოვებული იყო თუ არა იგი დამოუკიდებელი გზით, ან ეყრდნობოდა თუ არა ძველი მასწავლებლების ტრადიციას, რომლებიც შენარჩუნდა

მისტერიულ სწავლებებში. ამ სამყაროში შეღწევის მსურველს ყოველთვის ელოდება საშიშროებები. ვინაიდან ხელდასხმული, როცა მათში ეფლობა იმაგინაციური ცნობიერების დახმარებით, მაშინვე განიცდის იმას, რაც ჩვეულებრივ ხორციელდება, მაგ., სიზმრის მეშვეობით, როცა თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება, თითქოს ეკარგება მთელი სამყარო და თავისი ცნობიერებით, ასე ვთქვათ, ლივლივებს სიცარიელეში. მას არ ტოვებს შეგრძნება, რომ ნიადაგი ფეხქვეშ ეცლება და წონა და სიმძიმე ქრება. იგი გრძობს, როგორ ხდება შინაგანად მსუბუქი, როგორ მიიშრება მისი ნების საწინააღმდეგოდ სულიერი სამყაროს შორეთში, როგორ ადვილად შეუძლია დაკარგოს ძალაუფლება თავის თავზე, ვინაიდან მთელი სიმძიმე, მთელი წონა მის მიერ დაიკარგა.

ამას შეიძლება გავექცეთ იმ სავარჯიშოების დახმარებით, რომელიც აღწერილია ჩემს წიგნში: „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“. ვინც სწორად ვარჯიშობს, დაინახავს, რომ მშვიფიფიერად მას თითქოსდა ფრთები გამოესხა, რომ სიმძიმისა და წონის გაქრობის მომენტში, მას თითქოსდა ატარებენ მშვიფიფიერი ფრთები. ხელდასხმული შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე სარისკო პირობებში, როცა მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმტყუნებენ ფეხები, ხოლო ფრთები ჯერ კიდევ არ ამოსულა, როცა ფიზიკური და ეთერული ფეხები უმტყუნებენ, ხოლო ასტრალური ფრთა და „მე“-ს ფრთა ჯერ არ ამოზრდილა. ცხადია, მე ფიგურალურად ვამბობ, მაგრამ საუბარია რეალურ პროცესებზე; ცხადია, სულიერ სამყაროში ფრთხილი შეზრდისას, რომელშიც შედიხარ სავარჯიშოების მეშვეობით, აცილებულია ყველანაირი საშიშროება. შეიძლება ამ სამყაროებში თანდათანობით შეზრდა, როგორც შეზრდებიან ჩვეულებრივ ფიზიკურ სამყაროს ფიზიკური და ეთერული სხეულების დახმარებით.

ეს იყო ის მდგომარეობა, რომელშიც მეტ-ნაკლებად იმყოფებოდა უძველესი კაცობრიობა ბუნებრივი გარემოებების წყალობით. ჩვენ კი ამის მიღწევა სავარჯიშოების მეშვეობით გვიწევს. უძველესი კაცობრიობა ამას არ საჭიროებდა. უძველეს კაცობრიობას ჰქონდა ბუნებრივი მონაცემები, რომლის წყალობითაც ყოველთვის არსებობდა ცნობიერების ისეთი მდგომარეობა, რომელიც განსხვავდებოდა ჩვენი ღვიძლის მდგომარეობისაგან და იყო რაღაც სულიერი ჭერეტის მსგავსი, როგორც აღწერე ეს ქალღვევლებთან. მეორე მხრივ, ცნობიერების ეს

მდგომარეობა განსხვავდებოდა ჩვენი სიზმრისეული მდგომარეობისაგან და იყო რაღაც იმაგინაციური აღქმის მსგავსი. ვთქვათ, ერთი ადამიანი ხვდება მეორეს. ის აღიქვამდა მეორე ადამიანის არა მარტო კონტურებს, არამედ თითქოსდა სიზმარში მის გარშემო ხვდავდა აურას. მაგრამ ეს იყო ნამდვილი აურა და არა უბრალოდ სუბიექტური სიზმარეული ხატი.

ასევე, თუ მას ჰქონდა ნიჭი, დაენახა რომელიმე მიწიერი, ფიზიკურად მცხოვრები ადამიანის აურა, მაშინ ჰქონდა სხვა უნარიც, – ვინაიდან ორივე უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, – კერძოდ, დაენახა რომელიმე სულიერი არსების აურა, რომელიც ფიზიკურ სხეულში არ იყო განსხვავებული. შემდეგ მას ესიზმრებოდა ამ სულიერი არსებების გეშტალტი. დააკვირდით განსხვავებას: როცა უძველეს დროებში ხვდებოდნენ ადამიანს, მაშინ რეალურ სიზმარში ამ მიწიერი ადამიანის გარშემო იმაგინაციურად ხვდავდნენ აურას. სულიერ არსებასთან, ანგელოზთან ან ელემენტარულ არსებასთან შეხვედრისას ჯერ ხვდავდნენ სულიერ აურას, შემდეგ კი თითქოსდა სიზმარში უმატებდნენ გეშტალტს.

ასე ხვდავდნენ ძველი მხატვრები. ეს ჯერ კიდევ არ იციან. ძველი მხატვრები ხვდავდნენ სულიერ არსებებს, შემდეგ თითქოსდა სიზმარში ამატებდნენ გარკვეულ გეშტალტს; თუ ანგელოზთა იერარქიიდან არსებებს ისინი ხატავდნენ ჯერ კიდევ ადამიანების მსგავსად, მაშინ მთავარანგელოზების სხეულზე – საკმაოდ მკაფიოდ გამოხატულ ფრთებს, ხოლო არქანგელების გამოხატვისას ძველი ოსტატები ხატავდნენ მხოლოდ ფრთიან თავს, ვინაიდან ისინი მათ ასე ესიზმრებოდათ. ძველი ადამიანებისთვის ეს ყოველივე იყო ძალზე ბუნებრივი და ჩვეულებრივი, როგორც ჩვენთვის სახის ნაკვთების აღქმა. ის, რაც კაცობრიობამ თანდათანობით დაკარგა ამ უნარების სახით, დღეს კვლავ უნდა მოიპოვოს სავარჯიშოების მეშვეობით. იმის შედეგად, რომ ის დამახასიათებელი იყო უძველესი კაცობრიობისთვის და შედარებით ადვილი მისაღწევია სავარჯიშოების საშუალებით, ეს სფერო მრავლჯერ გამოიკვლიეს დროთა განმავლობაში. სამყაროს, რომელიც, ასე ვთქვათ, იმართება მთვარის არსებების მიერ, ყოველთვის იკვლევდნენ დიდი გულმოდგინებით უძველესი მისტერიების ხელდასხმულებიც, რომლებიც ამ სფეროში ჭეშმარიტი მკვლევრები არიან; ისინი ამ სამყაროზე ბევრს საუბრობენ, ასევე თავიანთ შეხვედრებზე გარ-

დაცვლილებთან, მათ მიერ მთვარის სფეროს კვლევაზე. მათ ეხსენებოდათ პერსპექტივა, როგორ გამოიყურება დედამიწა, გამომდინარე მთვარის სფეროდან.

კოპერნიკმა კი დააფუძნა თავისი სისტემა, გამომდინარე მიწიერი სფეროდან. პტოლომეის ძველი სისტემა არაა მცდარი, იგი აღწერს ხედს, რომელიც იხსნება მთვარის სფეროდან და ამ მხრივ ის აბსოლუტურად სწორია. ჩვენ ამ მკვლევრებში ყოველთვის ვპოულობთ რაღაც თავისებურებას – ისინი მთვარის სფეროს იქით არ მიდიან.

ყველა თქვენგანისთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ანთროპოსოფიული საზოგადოება თავიდან ვითარდებოდა თეოსოფიური საზოგადოების წიაღში. ეს კი ისეთი სახის საზოგადოებაა, რომლის მსგავსიც ბევრი არსებობდა დროის განმავლობაში და მან შექმნა მდიდარი ლიტერატურა. თქვენ თუ წაიკითხავთ ამ ლიტერატურას, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, მაშინ ნახავთ, სწორია თუ არასწორი, – ახლა ეს არაა არსებითი, – რომ იქ აღწერილია ის სამყარო, რომელზეც ვისაუბრე, სამყარო, გამოკვლეული მთვარის არსებებთან ერთად, მთვარის სფეროს სამყარო. როცა მივიღე მოწვევა, მონაწილეობა მიმელო თეოსოფიური საზოგადოების ცხოვრებაში, პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ მე შევეჯახე გარკვეულ წინააღმდეგობას. წინააღმდეგობა მრავალმხრივი იყო – თეოსოფიური საზოგადოების წევრები ფლობდნენ კვლევებს და ლიტერატურას, რომლებიც ეხებოდა მარტოოდენ ამ მთვარის სფეროს. ამ კვლევებში იყო ბევრი უაზრობა, მაგრამ იყო ასევე ბევრი ძალზე მნიშვნელოვანი, ამაღლებული, მძლავრი, განსაკუთრებით *ბლავატსკაიას*\* თხზულებებში. ბლავატსკაიას შრომების შინაარსის ამოსავალი სწორედ მთვარის სფერო იყო, თითქოსდა ის იმყოფებოდა მის შიგნით; გარდა ამისა, ის დაკავშირებული იყო ხელდასხმულებთან, რომლებიც მისდევდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამ მთვარის სფეროს. მე შემიძლია გითხრათ: გავეცანი ბევრ ასეთ ხელდასხმულს, გავიგე როგორ იჭრებიან ასეთი სულები მთვარის სფეროში და რომ ისინი ხდებიან გულგრილები, როცა ვაგვლენთ უფრო შორს გახედვის სურვილს.

1906-1909 წლებში, როცა ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ აღვწერდი დედამიწას, მის წინარე ინკარნაციებში მთვარის, უფრო ადრე მზის და კიდევ უფრო ადრე – სატურნის ინკარნაციებს, მაშინ არ შევჩერებულვარ მთვარის ინ-



კარნაციაზე, არამედ გავაგრძელებ თვით სატურნამდე. მაშინ, როცა ამ მოვლენებზე საუბრისას სხვა ხელდასხმულები ჩერდებოდნენ დაახლოებით ძველ მთვარესა და ძველ მზეს შორის, უფრო ზუსტად მიდიოდნენ მთვარის სფეროს მხოლოდ უკიდურეს ზღვრამდე, კიდემდე. ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი მოძრაობის შემდგომ გაგრძელებაში, ზოგჯერ შფოთავდნენ ასეთი პერსპექტივის გამოვლენისას. ეს არ შეიძლება, ამბობდნენ ისინი, აქ მივდივართ რაღაც ზღვრამდე, სადაც არის ფარდა, საფარველი, რომლის იქით წასვლა არ შეიძლება.

ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია და საინტერესო, ვნახოთ, რასთან არის ეს დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთი ხელდასხმულები, – ხოლო მათი გაცნობისას ამის შემჩნევა მალევე შეიძლებოდა, – განიცდიდნენ ზიზღს, ანტიპათიას წარმოდგენების იმ ფორმების გაცნობისას, რომლებიც განეკუთვნება უახლეს ბუნებისმეტყველებას. შეიძლება მივიღოთ ასეთი გამოცდილებაც, როცა წარმოდგენებს, როგორც ისინი გადმოცემულია დარვინიზმის, ჰეკელიზმის და ა.შ. ცხოვრებაში, სთავაზობენ ამ ხელდასხმულებს; ისინი კი გამოხატავენ ღრმა აღშფოთებას და მათ განიხილავენ რაღაც ბავშვობად, რაღაც უტვინობად, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ადამიანისთვის, ამიტომ არ უნდოდათ მათთან საქმის დაჭერა. გოეთესეული წარმოდგენების წინაშე ისინი არ გამოხატავდნენ ამგვარ უკმაყოფილებას, მაგრამ მაინც პოულობდნენ, რომ გოეთე ტოვებს ისეთივე შთაბეჭდილებას, როგორც ახალი დროის ბუნებისმეტყველარი. შემდეგ მის საქმეებსაც გვერდზე მოისვრიდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, მსგავსი წარმოდგენებით სრულიად შეუძლებელი იყო ამ ხელდასხმულებთან მიახლოება. მხოლოდ აღნიშნულ წლებში, 1906 წლიდან 1909 წლამდე, უბრალოდ შევეცადე, ის საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენები, რომლითაც აღბეჭდილია თანამედროვე სამშენველი, გადაამეტანა იმ სფეროებში, სადაც განურჩევლად ბატონობდნენ მარტოოდენ იმაგინაციები და მე პირველად მომეცა შესაძლებლობა შემედწია ძველ მზემდე და ძველ სატურნამდე. ამდენად, ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენები შემეცნებისთვის ისე არ გამოიყენებია, როგორც ჰეკელმა ან ჰეკსლიმ, არამედ ვიყენებდი მათ, როგორც შინაგან აქტივობას, რომ გადამელახა ეს საზღვარი, რომელსაც ემორჩილებოდნენ ხელ-

დასხმულები იმ დროებში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა უახლესი მეცნიერული სახის აზრები, შესაბამისად ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობებში შეღწევა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმით, თუ სიზმრების სამყარო დაიტივრთებოდა იმაგინაციებით და საჭირო იყო ასეთი შეზღუდვის გადალახვა. ამდენად, ჩემი „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ იყო მცდელობა შინაგანისკენ მიმემართა სრულიად ცნობიერი წარმოდგენების სამყარო, რომლებსაც იყენებენ გარეგნული მეცნიერული დისციპლინები გარეგნული მოვლენების აღწერისთვის და მიმესადაგებინა ისინი სამყაროსთვის. მაშინ გაჩნდა შესაძლებლობა, გამომეკვლია მთელი ჯაჭვი: სატურნი – მზე – მთვარე და გამომეკვლია დედამიწასთან მიმართებით ძველი ხელდასხმულების მონაპოვარი.

მე გიყვებით შემეცნების ამ გზაზე, რათა დაინახოთ, როგორ მიმდინარეობს ასეთი პროცესები. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: ეს რაღაც ძალზე პიროვნულია; მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა პიროვნული, სინამდვილეში, არის რაღაც სრულიად ობიექტური. ჩემს „იდუმალთმეტყველებაში“ აკრიტიკებდნენ იმას, რომ ის დაწერილია მათემატიკის სახელმძღვანელოს მსგავსად (მე ამისკენ შეგნებულად ვისწრაფოდი), რომ არ შეეცადა მასში შემეტანა რაიმე სუბიექტური, არამედ კვლევის მთელი ეს გზა ჩავწერე, როგორც მასზე ახლა ყვებიან, მათემატიკური სიზუსტით. და ეს ჭეშმარიტად ასეა. ის შეიქმნა იმის შედეგად, რომ კოპერნიკის, გალილეისა და სხვების დროიდან გაბატონებულ აზრთა წყობაში, რომელიც გოეთემ სიღრმისეულად დაამუშავა, შევიტანე ის მშვიინვიერი მდგომარეობა, სადაც მანამდე გაბატონებული იყო მხოლოდ იმაგინაციები. ამის წყალობით სფერო, რომელიც მისაწვდომი იყო მხოლოდ ხელდასხმულთათვის, გაფართოვდა დროის ხაზით თვით ძველ სატურნამდე. ამ მაგალითზე თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, რომ აღნიშნულ სფეროში შესაძლებელია გავექცეთ ცნობიერების ბუნდოვანებებს და შევინარჩუნოთ სრული სიცხადე, შევიტანოთ ცნობიერების სიცხადე იქ, სადაც იოლად წარმოიქმნება გულებრა. ამდენად, ჩვენ წინაშეა მაგალითი იმისა, მხოლოდ ადამიანის „მე“-სთვის მისაწვდომი სიზმრის ცხოვრება როგორ შეიძლება მოიცვას ასტრალურმა სხეულმა.

ამიტომ, კითხვას, რითი განსხვავდება თანამედროვე მეცნიერება ჩემი „იდუმალთმეტყველების“ მონაცემებისაგან, მინდა

გუბასუხო: თანამედროვე მეცნიერს შეუძლია მიმართოს მხოლოდ ადამიანის „მე“-ს, ხოლო მის ფარგლებს მიღმა მაშინვე ეფლობა სიზმრების სამყაროში, ჩემთან კი წარმოდგენების მეცნიერული სამყარო მისადაგებულია ასტრალურ სხეულთანაც. ამის წყალობით ასტრალურ სხეულს შეუძლია აღწერილ სამყაროებში შეღწევა. ეს გზა, რომელიც თავისი უმნიშვნელო წვრილმანებით უნდა აღიწეროს, მკაფიო მაგალითია, რითი განსხვავდება მართებული გზა მცდარი გზისგან.

*კარიკატურული საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდების გადაღახვა მედიუმიზმისა და სომნამბულიზმის (მთვარეულობის) კვლევისას*

სიზმრის მდგომარეობის პოლარულად საპირისპიროა სომნამბულიზმი და მედიუმიზმი. მძინარე მთლიანად ცხოვრობს საკუთარ „მე“-სა და ასტრალურ სხეულში; მას ასტრალურ სხეულში რომც არ ჰქონდეს ცნობიერი აღქმები, ის მაინც ცხოვრობს მასში. მძინარე ადამიანი მთლიანად ცხოვრობს საკუთარ „მე“-სა და საკუთარ ასტრალურ სხეულში, ანუ საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ. იგი ჩაფლულია საკუთარ არსებაში და რამდენადაც იგი დაკავშირებულია სხვადასხვა სამყაროსთან, ამიტომ საკუთარი არსებიდან გამომდინარე, ამ ჩაფლობის მეშვეობით ის დაკავშირებულია სამყაროებთან. მისი ფიზიკური ორგანიზმიც გარკვეულწილად წარმოადგენს ამ სამყაროს ნაწილს. ამდენად, მძინარე ადამიანი სიზმრებისას ჩაფლულია საკუთარი არსების სიდრემებში და შესაბამისად სამყაროს სივრცეებში. მედიუმიზმისა და სომნამბულიზმის შემთხვევაში ხდება სრულიად საპირისპირო. სომნამბულურ და მედიუმურ მდგომარეობებშიც ჩვენ ასევე ვიმყოფებით საკუთარი „მე“-თი და ასტრალური სხეულით ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ; თუმცა მაშინ, როგორც უკვე ვთქვი, „მე“ და ასტრალური სხეული განმსჭვალულნი არიან უცხო არსებით.

ამდენად, ჩვენ გვაქვს მედიუმი ან სომნამბული თავიანთი ფიზიკური არსებით, მაგრამ ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ იმყოფება მისი „მე“ და ასტრალური სხეული. მისი „მე“ დათრგუნვილია, დამონებულია ისევე, როგორც მისი ასტრალური სხეული, ვინაიდან მის შიგნით ზის, როგორც გუ-

შინ აღვწერე, სხვა არსება. ამიტომ მედიუმს არ შეუძლია ჯეროვანი ზემოქმედება საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე. მაშინაც, როცა ჩვენ, მაგ., გვიძინავს, როცა ვიმყოფებით უსიზმრო ძილში, უკანვე ვმოქმედებთ ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებზე. დეიძილის დროს განსაზღვრული სახით ვავსებთ ამ სხეულებს შიგნიდან, ხოლო ძილის დროს მათ გარედან ვიცავთ. სომნამბულთან ეს წყდება. მედიუმს, სომნამბულს არ შეუძლიათ საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე ზრუნვა. ეს უკანასკნელი მათთვის, ასე ვთქვათ, მიტოვებული სფეროა. სწორედ ეს არის დამახასიათებელი მედიუმისა და სომნამბულისთვის.

როცა ვაკვირდებით ადამიანს, რომელსაც ჩვენი თანამედროვეობისთვის ნორმალური მშვიდგონიერი წყობა გააჩნია, ვამჩნევთ, რომ მის ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე გავლენა აქვთ მხოლოდ მინერალებისა და მცენარეების ძალებს. ჩვენს ფიზიკურ სხეულზე რომ არ ზემოქმედებდეს მინერალების ძალები და, შესაბამისად, ასევე მინერალური დედამიწის ძალები, ჩვენ ვერ შევძლებდით სიარულს, ვერ შევძლებდით გადაადგილებას; ვინაიდან ეს არის, არსებითად, ფიზიკური ძალები, რომელთაც ვიყენებთ. ჩვენ შეგვიძლია მათში შევიდეთ; ეს ნორმალური მდგომარეობაა. მაგრამ ისინი არ უნდა შევიდნენ ეთერულ სხეულში.

ზუსტად ასეა მცენარეებთან. მათ შეუძლიათ გარკვეული დოზით ჯერ კიდევ იმოქმედონ ეთერულ სხეულზე, მაგრამ არა – ძალიან ძლიერად. თუმცა სწორედ ის ძალები, რომლებიც წარმოქმნიან ცხოველებთან შეგრძნებებს, ასევე ადამიანების გარემომცველი ძალები არ უნდა ზემოქმედებდნენ არც ჩვენს ფიზიკურ სხეულზე და განსაკუთრებით არც ეთერულ სხეულზე. სწორედ იმიტომ, რომ მედიუმებთან და სომნამბულებთან ფიზიკური და ეთერული სხეულები მიტოვებულია, მათზე ზემოქმედებენ ცხოველური და მიწიერ-ადამიანური ძალები. ისინი ექვემდებარებიან სუბესტიურ ზემოქმედებას.

როგორც აზრები მკვიდრდება საკუთარ თავში სიზმრებიდან, ასევე მკვიდრდება ადამიანისგან ნებელობა გარემოში. ჩვენ შეგვიძლია სომნამბულს, მედიუმს შთავაგონოთ, რომ მათ უნდა იარონ. ჩვენ შეგვიძლია მათ შთავაგონოთ, მივცემთ რა კარტოფილს, რომ ეს გემრიელი მსხალია და ა.შ. ადამიანს შეუძლია მოახდინოს სუბესტიური ზემოქმედება მედიუმზე და

სომნამბულზე უშუალოდ მათ ფიზიკურ სხეულთან მიმართებით და ირიბად – ეთერულ სხეულთან მიმართებით. სომნამბულები და მედიუმები თავიანთ ფიზიკურ გარემოცვას ატარებენ ეთერულ სხეულში, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს მათ ფიზიკურ სხეულში, როგორც ნორმალურ ადამიანებთან. ამდენად, ნორმალური ადამიანი სიზმარში თითქოსდა გახსნილია შინაგანი მშეინვიერი ცხოვრებისთვის, ხოლო სომნამბული და მედიუმი გახსნილები არიან გარე ბუნების სამყაროსთვის.

კვლავ და კვლავ, მედიუმიზმი თუ სომნამბულიზმი თავისებურად ნორმალური მდგომარეობაა, ვინაიდან ჩვენი სიარულის უნარი, სხეულის სხვადასხვანაირი მოძრაობა და საერთოდ გარემომცველ სივრცეში ცვლილებების გამოწვევა, საყოველთაოდ გამოვლინებაა ნებისმიერი ადამიანის მაგიური სომნამბული აქტივობისა. მთავარია, რომ ის არ უნდა შეიჭრას ეთერულ სხეულში, არამედ უნდა დარჩეს ფიზიკური სხეულის დონეზე. სხვაგვარად ნორმალური გარდაუვალად გადადის ავადმყოფურში. ამდენად, სიზმრისას ადამიანი იმყოფება მთლიანად თავის თავში; მედიუმი და სომნამბული კი საკუთარი თავის გარეთ. შესაბამისად, მედიუმი და სომნამბული თავისებური სახის ავტომატებია, რომლებიც შედგებიან ფიზიკური და ეთერული სხეულებისაგან და მათზე შეიძლება გარეგანი ზემოქმედება, ვინაიდან ეს სხეულები არ იმყოფებიან საკუთარი „მე“-სა და ასტრალური სხეულების დაცვის ქვეშ. ამის შედეგად, როგორც მძინარესთან იბადება შინაგანი სულიერი სამყარო, ასევე სომნამბულთან და მედიუმთან იბადება კავშირი გარე ბუნების სამყაროსთან, ფორმების სამყაროსთან, ფორმაქმნად სამყაროსთან, იმ ყველაფერთან, რაც მისაწვდომია მზერისთვის დროისა და სივრცის სამყაროში.

სიზმრის სამყაროში ჩაფლობისას, ხვდებიან უფორმო სახეების, მუდმივი ცვლილებების სამყაროში. როცა სომნამბული ნებელობის სუბესტიური ზეგავლენით საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულებით იჭრება ამ სამყაროში, მაშინ ყველაფერი განსაზღვრულია, მკაფიოდ მოხაზულია. სინამდვილეში აქ უდიდესი სიზუსტითაა შესრულებული ყველაფერი, რაც ხორციელდება გარეგნული ზეგავლენით. ეს სრულიად საპირისპიროა სიზმრების სამყაროსი, ანუ ესაა გარკვეულწილად რეალიზებული, გარეგანი, ბუნების კანონებს დაქვემდებარებული სიზმრები, სადაც რეალურად ესიზმრებათ მხო-

ლოდ შინაგან განცდაში. ეს დაპირისპირებულობა, კონტრასტი ასევე მნიშვნელოვანი და ძალზე საინტერესოა, თუ მას აკვირდებიან ხელდასხმულის თვალსაწიერიდან. სიზმრების სამყაროში ჩაფლობისას ხელდასხმული, როგორც უკვე გითხარით, განიცდის თავის სირთულეებს, როცა ამ სამყაროს მსჭვალავს იმაგინაციებით; მას აქვს ისეთ გრძნობა, თითქოს კარგავს წონას, სიმძიმეს და იკარგება გარე სამყაროს ყველა საგანი, ფეხქვეშ ეცლება ნიადაგი.

როცა ხელდასხმული გაივლის ასეთ განცდას, – და ეს უნდა იყოს გაცნობიერებული, ვინაიდან მან ცნობიერება სპეციალურად უნდა განავითაროს, რომ გავიდეს იმ სამყაროში, მაშინ როცა სომნამბული შედის სრულიად არაცნობიერად, – ის ასევე გრძნობს, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაკარგოს გონება ან ცნობიერება. მას მუდმივად ეძუება ცნობიერების დაკარგვის საშიშროება. აუცილებელია, ყოველთვის ვიყოთ შინაგანად მხნე და მტკიცედ შევიკავოთ თავი, რათა არ დაგვკარგოთ ცნობიერება.

მინდა გითხრათ, რომ ამ სამყაროში წინსვლისას, ჩვენ, ხელდასხმულებმა, ისევე ჯანსაღად და გონივრულად უნდა დავიჭიროთ თავი, როგორც მოძრაობენ და უჭირავთ თავი ჩვეულებრივ გონიერ, ჯანსაღ ადამიანებს ჩვენს სამყაროში. ასევე მინდა, გითხრათ, რომ ხელდასხმულს არ უნდა შეეძინეს, რომ იმ დროს, როცა იგი დადის ადამიანებს, ცხოველებსა და ქვეებს შორის, იგი ამავე დროს სრული ცნობიერებით იმყოფება სულიერ სამყაროში. საკმარისია, მან მხოლოდ წამიერად გაიფიქროს, რომ მას არა აქვს ფეხები და დაფრინავს აქ, ამ სამყაროში, რომ ის იოლად აღმოჩნდებოდა ისეთ ვითარებაში, რასაც მისი თანამოძმე ადამიანები საექვკოდ ჩათვლიდნენ. ისინი იტყოდნენ: ვინ არის ეს გიჟი! ეს შეიძლება მოხდეს, თუ ის შინაგანად მტკიცედ და მხნედ არ იქნება, რათა შეინარჩუნოს სრული ცნობიერება სულიერი სამყაროს გავლისას, რომელიც არსებობს ყველგან, ისევე, როგორც ფიზიკურ-გრძნობადი სამყარო.

თქვენ ხედავთ, რომ აქ იხსნება სფერო, რომელიც, ასე ვთქვათ, არ იქცა თეოსოფიური საზოგადოების სფეროდ (Domäne), არამედ – სფეროდ, ე. წ., ფსიქიკური კვლევებისთვის და ა.შ.; ესაა სფერო, სადაც მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ბუნებისმეტყველებაში ბევრს ვერაფერს აკეთებენ, მაგრამ მიდ-

რეკილნი არიან, შეისწავლონ და დაკავდნენ მსგავსი ფენომენების სტატისტიკური გამოთვლებით, განახორციელონ ცდები მედიუმებთან, რათა შეადწიონ სულიერ სამყაროში. იქმნება სხვადასხვა საზოგადოება, სადაც განსხვავებული თვალსაზრისებით ცდილობენ გარეგნულად გამოიკვლიონ პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს, როცა ადამიანი თავისი სხეულის ორგანოებს მართავს არა ჩვეულებრივი ცნობიერების დახმარებით, არამედ დაქვეითებული ან მთლიანად გამოთიშული ცნობიერებით, როცა საშუალებას აძლევს სხვა არსებას, დაეუფლოს მის სამშინველს. იქ არეგისტრირებენ, რას აკეთებენ სხვა ადამიანები, რომლებშიც ცნობიერება ჩახშობილია.

ერთხელ პირადად ჩემგანაც, მეცნიერული კვლევის ენთუზიასტებმა, მოითხოვეს, რომ თავად წარმდგარიყავი მათ ლაბორატორიაში იმ ყველაფრით, რაც მაქვს უწყების სახით სამყაროსთვის, რათა გარეგნულად გამოიკვლიათ ჩემში მიმდინარე პროცესები, ჩემი შინაგანი სამყარო. ეს ნაკლებად განსხვავდება იმისგან, ვინმეს რომ ეთქვა: მე არაფერი მესმის მათემატიკაში და, ალბათ, არ შემიძლია მქონდეს რაიმე აზრი ამ მათემატიკოსის მათემატიკური გამოთვლების სისწორეზე, დაე, ის მოვიდეს ჩემთან ფსიქიკური კვლევების ლაბორატორიაში, სადაც ჩავატარებ მასზე ექსპერიმენტს და დავადგენ მისი კომპეტენტურობის ხარისხს.

დაახლოებით ასე გამოიყურება საქმის ვითარება. ამით მე მივუთითებ იმ სფეროზე თანამედროვეობაში, სადაც სურთ, გამოიკვლიონ სომნამბულური და მედიუმური სამყარო გარედან, კარიკატურული საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდის მეშვეობით, უშუალოდ შინაგანს კი აღარ ეხებიან. შინაგანს თუ განიხილავდნენ, მაშინ დაინახავდნენ, რომ სომნამბულსა და მედიუმში ჩვენ გვაქვს გარეგნული, ფიზიკური და ეთერული სხეულის ავტომატი; ასევე ვნახავდით, რომ აქ სრულებითაც არ იკვლევენ სულიერს და იმან, რისი გამოკვლევაც სურთ, უკვე მოიტოვა ის, რაც მათ წინაშეა. სულიერი სამყაროს სწორედ ამ ნატიფ თავისებურებებზე არ სურთ ადამიანებს შეხედვა. ხშირად მათ სურთ არა მარტო შინაგანი განცდის მეშვეობით, არამედ გარეგნული ჭვრეტითაც იყოს მათ წინაშე სულიერი. სულიერის დანახვა სურთ მის გარეგნულ, ხილულ, გრძნობად გამოვლინებებში.

ეს გვხვდება კიდევ მრავალი სხვა სახით. ასეთი ვითარება შესაბამისად გამოვლინდა მოგვიანებით, სწორედ იმ დროს, როცა ვიკვლევდი ამ გზას თეოსოფიურ საზოგადოებაში, როცა ქრისტეს სულიერი იერის ძიებას ცდილობდნენ ერთ პიროვნებაში, რომელიც განსხეულებული იყო, თითქოსდა, დედამიწაზე ერთ პიროვნებაში. ესწრაფოდნენ, რომ სულიერი მოეპოვებინათ უშუალოდ გარეგან ფიზიკურ სამყაროში.

### *ხელოვნება, როგორც ხიდი მატერიიდან სულისკენ*

ფიზიკური სამყარო უნდა დარჩეს ფიზიკურ სამყაროდ, ხოლო სულიერი უნდა ვეძიოთ იქ, სადაც არის, თუმცა ის ყველგანაა, სადაც ფიზიკური სამყაროა, მაგრამ სწორედ იმ სფეროებში, რომლებიც მართალია, ფიზიკურ სამყაროში კი იჭრებიან, თავად სულიერი რჩებიან. აქ არის აგრეთვე სხვა სფეროც. ადამიანი თავის ჯანსაღ მდგომარეობაში თავს გრძნობს მოწოდებულად გადოს ხიდი ამ ორ სფეროს შორის, შინაგანი განცდის სფეროსა და გარეგნული ჭვრეტის სამყაროს შორის, ანომალიური სიზმრების სამყაროსა და მედიუმიზმისა თუ სომნამბულიზმის ანომალიურ სამყაროს შორის. ამ ორი სამყაროს ერთმანეთთან შეერთებით, ორივეს ვანაყოფიერებთ, რის შემდეგაც წარმოიქმნება ხელოვნება. ვინაიდან ხელოვნებაში გარეგნულ-გრძნობადი სახით აღქმული გასულიერდება, იმსჭვალება სულიერი სამყაროს იმპულსებით, ხოლო შინაგან-მშვინვეიერი სახით აღქმული – გარეგნულად განხორციელდება.

იმ დროს, როცა თეოსოფიური საზოგადოება დაკავებული იყო იმით, რომ გარეგნულ ფიზიკური არსება წამოეყენებინა როგორც სულიერი არსება, ჩვენ ანთროპოსოფიულ საზოგადოებაში შევეცადეთ ხელოვნებაში შემოგვეტანა ოკულტური ნაკადები. ასე წარმოიქმნა დრამა-მისტერიები. წარმოიქმნა ევრიტიკა. ამაზე აიგო ჩვენი მეტყველების ხელოვნება. ყოველივე, რაც წარმოიქმნა ანთროპოსოფიული მოძრაობის წიაღში, მომდინარეობდა ამ იმპულსიდან, ამ სწრაფვიდან, რომ ხიდი გადმოგვესროლა სულიერიდან ფიზიკურში ისე, რომ სიზმრების ქაოტური სამყაროთი აღვსილი ცნობიერება ასახულიყო იმ სამყაროში, სადაც ხდება სომნამბულიზმისა და მედიუმიზმის ქაოტური გამოვლინება. ხელოვნებაში ორივე ერთმანეთს ცნობიერად მსჭვალავს.



ოდესმე ამას გაიგებენ. გაიგებენ, რა ჩავიფიქრეთ, როცა წამოვიწყოთ, მაგ., მარია შტაინერის მცდელობით კვლავ აგვეყვანა მეტყველების ხელოვნება იმ საფეხურზე, რომელზეც ის იმყოფებოდა კაცობრიობის ინსტინქტური სულიერების პერიოდში. მაშინ მეტყველებაში წინა პლანზე იყო წამოწეული რიტმი, ან ტაქტი და ეს იყო გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე გარეგნული აბსტრაქტული სიტყვიერი გამოხატულება. ეს კვლავ უნდა ყოფილიყო მოპოვებული. ევროთმიაში კი კვლავ ვეუფლებით ადამიანის მოძრაობის პლასტიკას, რომელიც ადამიანს ჩვენ წინაშე წარმოაჩენს ისეთს, როგორსაც წარმოადგენს იგი, როგორც სულიერ-მშენიერი არსება. ეს არის, რასაც თქვენ ხედავთ ევროთმიაში.

ამდენად, ხელოვნებაში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აგვეშენებინა ეს ხიდი იმ სამყაროს, რომელსაც ადამიანი ეხება სიზმრისას, და იმ სამყაროს შორის, რომელშიც ხეტიალისას სომნამბული და მედიუმი ბორძიკობენ, უნიათოდ დაღასღასებენ. ჩვენს მატერიალისტურ ეპოქაში სიზმრებისას ადამიანი რჩება იზოლირებული და ვერაფერს აღიქვამს იმ ხატებზე, იმ მატერიალურ ფორმებზე, რომლებიც სულიერის გამოხატულება და გამოცხადებაა. და გარშემო დადიან სომნამბულები, – არა აქვს მნიშვნელობა, იქნებიან ესენი აღიარებული მედიუმები, თუ ბოლშევიკი მოღვაწეები, თავიანთი სახელმწიფო თეორიებით, მთავარია, რომ ისინი, როგორც მედიუმები, ცდილობენ ეს ყოველივე თავს მოახვიონ სამყაროს, – რომლებიც დაეხეტებიან სამყაროში და ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან, ამასთან გუმანითაც ვერ წვდებიან სულიერს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელახლა აიგოს ხიდი სულიდან მატერიისკენ და მატერიიდან სულისკენ. ხელოვნების სფეროში ეს არის უპირველესი ამოცანა; საჭიროა არა უბრალოდ სხეულის სულელური მოძრაობები, არამედ მათში შევიტანოთ აზრი სულიერი მოძრაობების წყალობით, თუმცა ისინი ძალზე უჩვეულოდ გამოიყურებიან.

ჭეშმარიტად, ხედავთ, რომ თქვენ წინაშეა ევროთმიის ნამდვილი, შინაგანი წყარო, როგორც ინიციაციის, ხელდასხმის იმპულსი; ის ყველაფერი, რასაც ჩვენთან სწავლობენ, როგორც მეტყველების ხელოვნებას, ასევე ამ იმპულსის დამსახურებაა. როცა უახლოეს მომავალში დორნახში წავიკითხავ ლექციების კურსს დრამატულ ხელოვნებაზე, შევეცდები, სასცენო ხელოვნებაშიც დავამკვიდროთ, რომ სცენაზეც მოხდეს

სულიერის გამოვლენა. დიდი ხნის განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ იმაზე, რომ მსახიობი სცენაზე ისევე მოქცეულიყო, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახლა უბრალოდ სასაცილოდ გვეჩვენება 90-იანი წლების პოლემიკა, როცა წყვეტდნენ, საჭირო იყო თუ არა შილერის პერსონაჟებს ნატურალიზმის გამო სცენაზე ევლოთ ჯიბეში ხელეხაწვობილებს, მაშინდელი მოდის შესაბამისად, ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მსახიობები პიესაში სხვადასხვა გმირული სენტენციის წარმოთქმისას;

თქვენ ხედავთ, რომ არსებობს უამრავი მიზეზი ვეძიოთ გზები სულიერი სამყაროს მართებული კვლევისთვის. ხოლო ის გზა, რომელიც გვეხსნება ხელოვნების სფეროში, ჭეშმარიტად ჯეროვანი და ზუსტია.

ერთი მხრივ, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთვარის მისტიკაში გადრმავებული ხელდასხმის უძველესი მეცნიერებიდან და იმ ყველაფრიდან, რაც მას მიეკუთვნება, წინსვლას და მიახლოებას იმასთან, რაში შეღწევა შესაძლებელია ბუნებისმეტყველების მშენებელი წვდომის მეშვეობით, როცა ისინი ამდიდრებენ მშენებელ მდგომარეობას, რომლის დროსაც შესაძლებელია ოკულტურად შემეცნება. თუ ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მეორე მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დილეტანტურ ექსპერიმენტებს, როცა ცდილობდნენ, კვლევა ექციათ განსაკუთრებულ სფეროდ, მოაცილეს რა იქიდან სული, ანუ რასაც ადგილი აქვს მედიუმთან და სომნამბულთან სწორედ სულიერი ზეგავლენით და ვლინდება სულიერის ფორმებში. ამ მიმართულებით უკვე იყო უაზრო დილეტანტური მცდელობები. ორივე ეს გზა საჭიროა განვიხილოთ, როგორც რაღაც ერთიანი: გონივრული სიზმრების სამყაროს გამოღწევა შიგნიდან გარეთ და ცნობიერი წვდომა გარე სამყაროსი, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას დაჰყავს მხოლოდ მინერალური თვისებების შესწავლამდე და რომელსაც იკვლევენ დილეტანტური სახით, ე.წ. ფსიქიკური ძიებების მეშვეობით. რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ზეობის პერიოდში, ამიტომ მნიშვნელოვანია სულიერი კვლევის ამგვარი გზის გავლაც და იმ სფეროს სულიერი კვლევა, რომელიც სრულიად საპირისპიროა სიზმრების სამყაროსი.

როცა ჩვენ წინაშეა სომნამბული და მედიუმი, მაშინ მათი მეშვეობით ხდება რაღაც, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვენთვის უჩვეულოა. სომნამბული არ წერს ისე, როგორც წერს ჩვეულებრივი ადამიანი; ის მოძრაობს, საუბრობს, ჭამს სხვანაირად, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი, ვინაიდან მისი ასტრალური სხეული და „მე“ იმყოფებიან ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ და ჩვენ საქმე გვაქვს მიტოვებულ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან, რომლებიც იმყოფებიან კოსმოსის ზემოქმედების ქვეშ და მთლიანად ეძლევიან მის გავლენას. შესაბამისად, ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ფიზიკური და ეთერული სხეულის გამოვლინებებთან, ეს გამოვლინებები ჩვეულებრივ ბუნებრივად კი არ ხდება, არამედ მომდინარეობს სულიერი სამყაროდან. და ბოლოს, არა აქვს მნიშვნელობა, ვდგავარ თუ არა მე მედიუმის წინაშე და შთავაგონებ თუ არა მას რამეს, ან მედიუმი ეძლევა რაიმე ვარსკვლავურ ზეგავლენას თუ აღიქვამს მას ეთერულ სხეულში, ანდა ექცევა თუ არა რაიმე ლითონის ან კლიმატის გავლენის ქვეშ და ა.შ.

მედიუმი ისეა ორგანიზებული, რომ მაგიური სახით არის გადაცემული სულიერი სამყაროსთვის. ეს ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩხეს. მაგრამ თუ არ გაგვაჩნია სულიერ სამყაროში შედწევის შესაძლებლობა, არაპროდუქტიულია გარეგნული სახით ექსპერიმენტირება მედიუმურ გამოვლინებებთან, როგორც ეს ხდება გარეგნული ფსიქიკური კვლევის საზოგადოებებში. აქ აუცილებელია სულიერში ურთიერთკავშირების განჭვრეტა. ამიტომ წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული ის, რაც ხდება მედიუმისა და სომნამბულის მეშვეობით ან, სხვა შემთხვევაში, ადამიანის მეშვეობით, ხოლო სიდრმეში უნდა დავინახოთ ის, რაც არსებობს, როგორც სულიერი.

ყველა გავლენა, რომელიც წარმოიქმნება მედიუმსა და სომნამბულში, ენათესავება სხვა მედიუმურ გამოვლინებას. როცა ჩვენ წინ ზის მედიუმი და გარკვეულ მდგომარეობაში აკეთებს ამას ან იმას, ადამიანისა თუ კოსმოსის გავლენით, ეს, არსებითად, ნიშნავს, რომ ფიზიკური და ეთერული სხეულები წარმოქმნიან ამას თუ იმას და ზუსტად ასე ხდება, – თუმცა ამ პროცესების ხანგრძლივობა განსხვავებულია, – შხამიან მცენარეში, რომელსაც შეუძლია ადამიანის დასნეულება გარკვეული ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ სომნამბულურ თუ მედიუმურ მდგომარეობაში ვლინდება თითქოსდა წარმავალი, ხანმოკლე

გარეგნული სახის ავადმყოფობა. გარკვეული თვალსაზრისით, – ამ თემას მომდევნო ლექციებში განვახილავთ, – მედიუმისა და სომნამბულის გამოვლინებებში შეგვიძლია, აუცილებლობის შემთხვევაში, განვჭვრიტოთ ის, რაც ხდება ავადმყოფ ადამიანში, როცა მისი „მე“ და ასტრალური სხეული რაიმე არაჯანსაღი სახით ტოვებენ სხეულის რომელიმე ორგანოს ან მთლიანად ორგანიზმს და თავად ადამიანი ექცევა განსაკუთრებული სულიერი ზეგავლენის ქვეშ.

რამდენადაც ძველ დროებში შეეძლოთ ამ ურთიერთკავშირების არსის განჭვრეტა, ამიტომ მისტერიები ყოველთვის დაკავშირებული იყო მედიცინასთან. იმ დროებში ადამიანები, ჩვენი თანამედროვეთაგან განსხვავებით, არ იტანჯებოდნენ ცნობისმოყვარეობის სიჭარბით, ამიტომაც საჭიროდ არ თვლიდნენ ზედმეტი ყურადღების გამახვილებას მედიუმებსა და სომნამბულებზე, როცა მათთან დაკავშირებულ გამოვლინებებს მიაკუთვნებდნენ პათოლოგიური მდგომარეობის სფეროს. ასეთ ფენომენებს უფრო ეკიდებოდნენ მედიცინის პოზიციიდან და საჭიროა ასეთი თვალსაზრისი ხელახლა მოვიპოვოთ.

საჭიროა სწორად წარიმართოს ამჟამინდელი დილეტანტური მიდგომა, როცა ადგილი აქვს, ბუნებრივ მოვლენებზე დაყრდნობით, სულიერში შეღწევის მცდელობებს. ადამიანთან და ცხოველთან სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის ბუნებრივი ფენომენი საჭიროა სწორად იყოს ინტერპრეტირებული. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, გამოვიკვლიოთ ის, რაც შესწავლის საგანია ამჟამინდელი ფსიქიკური კვლევის საზოგადოებებში.

სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ ჩვენც ანთროპოსოფიული მოძრაობის საფუძველზე. საქმე ის არის, რომ პათოლოგიური მოვლენები საშუალებას იძლევა, სათანადო მიდგომით მიიღონ სულიერ სამყაროში შეღწევის შესაძლებლობა. ამ საფუძველზე დოქტორ იტა ვეგმანთან თანამშრომლობით ჩვენ ვცდილობთ წავიდეთ წინ სწორი მიმართულებით, განსხვავებით იმ მიდგომისაგან, რომელსაც პრაქტიკაში იყენებენ ფსიქიკური კვლევის საზოგადოებები. ჩვენი თანამშრომლობა წარმოიქმნა იმის წყალობით, რომ იტა ვეგმანს ჭეშმარიტად გააჩნია არა მარტო თანამედროვე ექიმის ერუდიცია, არამედ ის ინტუიციურ-თერაპიული იმპულსებიც, რომლებსაც უშუალოდ მიჰ-

ყავთ ავადმყოფობის ისტორიიდან სულიერი სამყაროსკენ, ხოლო იქიდან – თერაპიული მეთოდისკენ.

აი, აქ არის სწორედ კვლევის ის სფერო, რომელზეც მე მივუთითებ. აქ მუშაობენ იმაზე, რომ შეიქმნას ჭეშმარიტი, ინიცირებული მედიცინა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ინიცირებულ ბუნებისმეტყველებას. მაშინ შესაძლებელი იქნება ორგანიზება იმ მართებული მიდგომისა, მცდარი მიდგომის საპირწონედ, რომელსაც შემდეგ შევთავაზებთ სამყაროს. იტა ვეგმანთან თანაავტორობით დაწერილი წიგნის უკვე პირველივე ტომიდან ნათელი გახდება, როგორ უნდა მოხდეს ასეთი მიდგომის რეალიზება.

უმჯობესია კონკრეტულ მაგალითებზე ვაჩვენოთ, რითი განსხვავდება ჭეშმარიტი გზა მცდარისგან, რომელსაც მიჰყავს ცდუნებისკენ. ამასთან, აქ, ალბათ, საჭიროა ასევე მივუთითოთ ზემოაღნიშნულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. მე უკვე გითხარით, რომ საჭიროა გზის გაკვალვა ხელოვნების სფეროში, რათა დავაახლოოთ სულიერისა და მატერიალურის სფეროთა ფორმები და ახლა მსურს, დავამატო: თანამედროვე ცივილიზაციის პირობები ავლენს, რომ ხელოვნების სფეროში შეჭრა უშუალოდ დაკავშირებულია ბუნებრივი მოვლენების შესწავლაში პროგრესთან, თუ ვიპოვით ამისკენ მართებულ გზას; ვინაიდან კაცობრიობა ხელოვნებაში იმდენად ჩამორჩა ამ ხიდის აგებაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, რომ შესაძლოა, ხელოვნებაში სულიერი ცხოვრების ქმედითობამ დაარწმუნოს მხოლოდ მაშინ, როცა ინტენსიურად მივაღწიოთ სულიერის მოქმედებაში რწმენამდე, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა პათოლოგიურზე გენეზისში. ეს ცხადი გახდება *იმ წიგნზე\** მუშაობის წყალობით, რომელიც დავწერე იტა ვეგმანთან ერთად და პირველად გახდება თვალსაჩინო სულის გამოვლინება მატერიაში, ასევე ის, თუ როგორ მოქმედებს და ცხოვრობს სული მატერიაში. როცა ადამიანები დაიწყებენ სულის მუშაობის განჭვრეტას ბუნებაში, შესაძლოა, მათში გამოიდვიდოს ენთუზიაზმმა, ხელოვნებაში ხორცი შეასხან იმას, რაც მისი მოწოდებაა, რომ წარუდგინონ სამყაროს.

ხვალ მე გავაგრძელებ ამ თემებზე საუბარს.

მეათე ლექცია  
ტორკი, 1924 წლის 21 აგვისტო  
დედამიწისგარეთა კოსმოსის ზეგავლენა  
ადამიანურ ცნობიერებაზე

*მზისა და მთვარის ზემოქმედება*

გუშინ მე მიგითითეთ იმაზე, როგორ უნდა განვიხილოთ და განვაფიქროთ ნაყოფიერად სულიერ სამყაროში შეღწევის ანობალიური, მტკივნეული გზები, – ერთი მხრივ ეს არის გზა შინაგან-მისტიკური ჩაღრმავებისა, ღრმა შეჭრისა სიზმრების სამყაროში, ხოლო მეორე მხრივ სომნამბულისა და მედიუმის გარეგნული გამოვლინებები, რომელმაც, მე ვიტყვოდი, მიიღო კარიკატურული საბუნებისმეტყველო მეცნიერული სახე, – თუ გვსურს ფაქტობრივად მივიდეთ ინიციაციური შემეცნების განხორციელებამდე. ჩვენ გავაგრძელებთ შეჭრას ამ სფეროში, თუ ჩვენი სამშინველის წინაშე დავაყენებთ, კოსმოსის მხრიდან როგორი გავლენის ქვეშ იმყოფება ადამიანური ცნობიერება და საერთოდ მთელი ადამიანური არსება.

თქვენ შესაძლოა მარტივად ვერ შენიშნოთ, რომ ადამიანის აქტიულობაზე დედამიწის გარდა ზემოქმედებს მზე და მთვარე, რომელთა მოქმედება ყველა დანარჩენს აღემატება. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ამაზე მსჯელობა არაა მიღებული, მაგრამ საბუნებისმეტყველო მეცნიერული თვალსაზრისით სრულიად ცხადია: რომ არ ყოფილიყო მზის ზემოქმედება, რომელიც მოდის დედამიწამდე დედამიწის გარეთა კოსმოსიდან, დედამიწაზე არ იქნებოდა არაფერი იქიდან, რაც ახლა მასზე არსებობს.

ჯადოსნური სახით ამოზრდიან მთელ მცენარეულ სამყაროს მზის ზემოქმედებები. იგი აუცილებელია ცხოველთა სამყაროსთვის, ასევე იმ ყველაფრისთვის, რაც ადამიანში არის ფიზიკური და ეთერული სახით. ამ ზემოქმედებების აღმოჩენა ყველგან შეიძლება, ამასთან მათ მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ადამიანის არსების უმაღლესი წევრებისთვის. მთვარის ზემოქმედება ნაკლებად შესამჩნევია. დღეს ის ცხოვრობს მრავალნაირი ფორმით ცრურწმენებში; და ის, რაც შეიძლება მასზე ზუსტად ვიცოდეთ, დამახინჯებულია იმის გამო, რომ არსებობს სწორედ მრავალგვარი ცრურწმენითი წარმოდგენები მთვარის ზემოქმედებებზე. ამიტომ უარყოფენ უმნიშვნელოვანეს ცნობებს მთვარის ზემოქმედებაზე.

მედებაზე და ისინი ვერ ხვდება მეცნიერული ცოდნის სფეროში. თუმცა მის ზემოქმედებაზე წინათგრძნობა გვხვდება ასევე მეცნიერულ წრეებშიც და არა მხოლოდ პოეტებს შორის, რომლებიც აღიარებენ მის ჯადოსნურ ზეგავლენას ფანტაზიაზე და შეყვარებულებს შორის, რომლებიც ამჯობინებენ მთვარის შუქზე მიეცნენ სასიყვარულო სიამეთ, თუმცა ამ ზეგავლენების ინტერპრეტაცია მათში სრულიად სხვაგვარია. ამ დროს ძალზე უცნაური მოვლენებიც ხდება.

XIX საუკუნის შუაში გერმანიაში ცხოვრობდა ორი მეცნიერი. ერთს ერქვა *შიეიდენი\** (*Schneiden*), მეორეს – *გუსტავ თეოდორ ფენერ\**. გუსტავ თეოდორ ფენერს უყვარდა ადამიანზე და გარემოზე ბუნების იღუმალის ზემოქმედების მეცნიერული თვალსაზრისით განხილვა. ის აგროვებდა სხვადასხვა ფაქტს და ადგენდა თავისებური სახის სტატისტიკას ნალექების რაოდენობაზე ახალმთვარეობისა და სავსემთვარეობის პერიოდებში. მან აღმოაჩინა, რომ მთვარის განსაზღვრული ფაზის დროს მოცემულ ადგილებში მოდის მეტი ნალექი, ვიდრე სხვა ფაზების დროს. ის იყო ამ აღმოჩენის ენთუზიასტი და არ ერიდებოდა ასეთი სახის ცოდნის დემონსტრირებას აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებებთან ერთად. მისი უნივერსიტეტელი კოლეგა კი, პროფესორი შიეიდენი, უდიდესი ბოტანიკოსი, მასხრად იგდებდა ფენერს და ამტკიცებდა, რომ ასეთი სახის მთვარის ზემოქმედებებზე საუბარიც არ შეიძლება.

მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი: ირივე მეცნიერი ცოლიანი იყო. იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა შედარებით პატარა საუნივერსიტეტო ქალაქები, სადაც დიდი გერმანული ქალაქებისგან განსხვავებით ჯერაც არსებობდა პატრიარქალური ურთიერთობები; მაშინ ქალებს შორის მიღებული იყო წვიმის წყლის მოგროვება, ვინაიდან გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ წვიმის წყალი განსაკუთრებით კარგია თეთრეულის გასარეცხად. ამდენად, პროფესორებს ჰყავდათ ცოლები – ქალბატონი ფენერი და ქალბატონი შიეიდენი. ისინი ჩართულნი აღმოჩნდნენ თავიანთი მეცნიერი ქმრების კამათში. ფენერმა უთხრა თავის ცოლს: პროფესორ შიეიდენს არ სჯერა, რომ მთვარის ფაზები ზემოქმედებს ნალექის რაოდენობაზე. შენ ხომ არ იქნები წინააღმდეგი სარეცხისთვის წყალი მოგეგროვებინა მთვარის ერთ ფაზაში, იმ პირობით, რომ ქალბატონი შიეიდენი მას მოაგროვებს სხვა ფაზის დროს. პროფესორ შიეიდენს არ სჯერა მთვარის ფაზების

ზემოქმედების, მაშასადამე, მისი მხრიდან არ იქნება უარი. მაგრამ დახედეთ, ქალბატონმა შეიედენმა არ ისურვა დაეთმო ქალბატონი ფეხნერისთვის მთვარის ის ფაზები, რომლებზეც მის ქმარს არ სჯეროდა, რომ იმ დროს მოდიოდა მეტი ნაღვექი! ამდენად, შეიქმნა ძალზე სასაცილო საუნივერსიტეტო და საოჯახო დავა ამ თემაზე. თუმცა მას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერული საფუძველიც. თუ ამ საკითხს მოვეკიდებით უპირატესად უკვე სულისმეცნიერული საშუალებებით, მაშინ ვნახავთ, რომ ეს სულაც არ არის ცრურწმენა, არამედ პირიქით, შესაძლებელია მეცნიერული საუბარი მთვარის ძლიერ ზეგავლენაზე მზის ზეგავლენასთან ერთად.

ამით ჩვენ რამდენადმე ამოვწურეთ ის, რაც ეხება ფაქტს, რომელსაც თანამედროვე ადამიანის ჩვეულებრივი ცნობიერება მოიცავს. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, ასე ვთქვათ, დედამიწის, მთვარისა და მზის ზეგავლენის ქვეშ. ის თავის ცნობიერებაში ასევე მეტწილად დამოკიდებულია დედამიწაზე, მთვარესა და მზეზე. ვინაიდან, ამაზე მე უკვე მივითითეთ, როგორც ვარსკვლავებში არაა გარეგნულად ხილული არსებითი, ასევე გარეგნულად ხილული მზე და მთვარეც არ წარმოადგენს არსებობას. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ დაწერილებით იმაზე, რომ მთვარის სფერო თავის თავში იფარავს იმ არსებებს, რომლებიც ოდესღაც იყვნენ კაცობრიობის დიადი მასწავლებლები. ასევე ინახავს მზის სფეროც თავის თავში სულიერი არსებების უდიდეს რაოდენობას. ყოველი ვარსკვლავი არის კოლონია რაღაც არსებების, როგორც დედამიწა არის კოსმიური კოლონია ადამიანების. როგორც უკვე ითქვა, ამჟამად ადამიანი, რომელიც გაივლის თავის სიცოცხლეს დაბადებასა და სიკვდილს შორის, ცხოვრობს უშუალოდ დედამიწის, მთვარისა და მზის გავლენის ქვეშ. საქმე ისაა, რომ გავიგოთ და ზუსტად განვსაზღვროთ, როგორ ცხოვრობს ადამიანი მთელი თავისი ცნობიერებით, ასევე სხეულებრივი მდგომარეობით, ანუ თავისი სულიერი, მშენიერი და ფიზიკური მდგომარეობით მზისა და მთვარის გავლენის ქვეშ.

მაგალითად ავიღოთ ცნობიერების უკიდურესად საპირისპირო მდგომარეობები, რომელთა შორისაც ძვეს ძილის მდგომარეობა სიზმრებით და განვიხილოთ დღის დღიძილის მდგომარეობა და უსიზმრო ძილის მდგომარეობები, ანუ ცარიელი ცნობიერება. როგორც მე უკვე გითხარით, როცა ვაკვირდებით ადამიანს ძილის დროს, როცა ფიზიკური და ეთერული სხეუ-



ლები დაცილებულია ასტრალურ სხეულსა და „მე“-ს, ვხედავთ, თუ როგორ სათუთად ინახავს ადამიანი მზის ზეგავლენას დაძინებასა და გამოღვიძებას შორის იმაში, რაც მან საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან გამოყო, როგორც ასტრალური სხეული და „მე“, ანუ ინახავს მზის ზეგავლენას ასტრალურ სხეულსა და „მე“-ში.


გამოღვიძებიდან დაძინებამდე ჩვენ მზეს ვუმზერთ გარეგნულად. ჩვენ შეგვიძლია ასევე დავინახოთ მისი მოქმედება მაშინაც, როცა ჩვენ წინაშეა თავსხმა წვიმის ფარდა; ვინაიდან გარემომცველ საგნებს აღვიქვამთ მათგან არეკლილი მზის სხივების შედეგად. მთელი ღვიძილის მდგომარეობის განმავლობაში ვიმყოფებით მზის გავლენის ქვეშ, რომელიც გარეგნულად ანათებს ყველა საგანს. როგორც კი ვიძინებთ, სულიერი მზერისთვის ჩვენს „მე“-სა და ასტრალურ სხეულში ნათებას იწყებს მზის სინათლე. ამდენად, დაძინებასა და გაღვიძებას შორის ჩვენში გვაქვს მზე-თქვენ ალბათ იცით, რომ არსებობს გარკვეული მინერალები, რომლებსაც შესაბამის პირობებში თუ გაანათებენ და შემდეგ სათავეს დააბნელებენ, მაშინ ისინი ინარჩუნებენ სინათლეს და ამ სინათლეს უკანვე აბრუნებენ ბნელ სივრცეში. ასეთივე მდგომარეობაა სულიერი ჭვრეტისთვის ადამიანურ „მე“-სა და ასტრალურ სხეულთან. ისინი გარკვეულწილად აღვსილია გარეგნული მზის სინათლით ღვიძილისას; ისინი იწყებენ ნათებასა და გამოსხივებას ძილსა და ღვიძილს შორის დროში, რამდენადაც უკვე ატარებენ თავის თავში სინათლის სხივს.

ამდენად, შეიძლება ითქვას: ღვიძილისას ადამიანი იმყოფება მზის ზემოქმედების ქვეშ. ძილის დროს კი ის იმყოფება მზის იმ ზემოქმედების ქვეშ, რომელსაც ის ახლა უკვე თავის თავში ატარებს გამოღვიძებამდე. როცა ვიძინებთ და ღამით ვტოვებთ ჩვენს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს, ჩვენში ვატარებთ მზეს. ძილის დროს სულის სამყაროში თავად ვანათებთ საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს ჩვენ მიერვე შენარჩუნებული მზის სინათლით. ჩვენ თუ ამას არ გავაკეთებდით, თუკი გარედან არ გავანათებდით ჩვენივე შენარჩუნებული მზის სხივებით ჩვენს კანს, თვით გრძნობის ყველაზე შინაგან ორგანოებამდე, მაშინ ადამიანი დილით ადრე გამოიღვიძებდა სრულიად გამომშრალი, გამოფიტული, დამჭკნარი. ჩვენი ორგანიზმის სიჯანსაღეს, ზრდასა და სიცოცხლისუნარიანობას ვინარჩუნებთ იმით, რომ ძილის დროს შენარჩუნებული სინათლის სხივით გარედან

ვანათებთ ჩვენს კანს და ჩვენი გრძნობის ორგანოებს. შესაბამისად, ძილის დროს ადამიანი, იმყოფება რა გარეთ თავისი „მე“-თი და ასტრალური სხეულით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ კანს ანათებს შენარჩუნებული მზის სხივით გარედან, მეორე მხრივ, მზის სხივი მოქმედებს პირუკუ თვალებისა და ყურების მეშვეობით თვით ნერვულ სისტემამდე. ადამიანური ძილის ფენომენი არის სწორედ ის, რომ მზე ანათებს, თავად ადამიანური „მე“-დან და ადამიანური ასტრალური სხეულიდან ამოსვლით და ანათებს მის კანს იქ, სადაც არის გრძნობათა კარიბჭე, იჭრება რა ადამიანში. (იხ. ნახ. 14, „ძილი“, წითელი).

შემდეგ დგება, სულერთია, ახალმთვარეობა ან საესემთვარეობა, ვინაიდან ამის შედეგად მხოლოდ იცვლება მოქმედებები, მაგრამ მათ ადგილი აქვთ მთვარის ყველა ფაზის დროს, რის შემდეგაც მთვარის ზემოქმედებები უახლოვდება ადამიანს გარედან და ვრცელდება ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე. ამდენად, (აქ მე უნდა დამეხატა მთელი ადამიანი), ჩვენ გვაქვს ფიზიკური და ეთერული სხეულები ადამიანისა, რომელიც ექვემდებარება „მე“ და ასტრალური სხეულიდან მომდინარე ზემოქმედებას და მთვარის უშუალო ზემოქმედებებს გარედან. ამით დავახასიათეთ ძილის მდგომარეობა კოსმოსთან მიმართებაში. ადამიანი თავისი შინაგანის მეშვეობით დგას მზესთან კავშირში; თავისი გარეგნულით – დგას მთვარესთან კავშირში. ვინაიდან ასტრალური სხეული და „მე“ არსებითად შინაგანია, თუმცა ახლა ისინი გარეთაა. (იხ. ნახ. 14 „ძილი“).

ღვიძილისას ადგილი აქვს საპირისპიროს. ღვიძილისას საკუთარ შინაგანში, საკუთარ შინაგან არსებაში ვატარებთ მთვარის ზემოქმედებას, ხოლო მზის ზემოქმედებები ჩვენთან მოდის გარედან. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: ღვიძილისას მზე ჩვენზე გარედან ზემოქმედებს უშუალოდ ჩვენს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე, ხოლო ჩვენი შინაგანი, ასტრალური სხეული და „მე“ იმყოფებიან შენარჩუნებული მთვარის ძალების ზეგავლენის ქვეშ. ღვიძილის მდგომარეობის სქემატურად გამოხატვისას, ვხატავთ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს, როგორც გარედან ზემოქმედების ქვეშ მყოფთ (ყვითელი), ხოლო „მე“ და ასტრალურ სხეულს მთვარის ზემოქმედების ქვეშ შიგნიდან (მწვანე. იხ. ნახ. 14, „ღვიძილი“).



ნახ. 14

1. Schlafen-ძილი. 2. rot-წითელი. 3. Sonnenwirkungen vom Ich und astralleib-მზის ზემოქმედებები „მე“ და ასტრალური სხეულიდან. 4. Mondenwirkungen von außen auf den physischen leib und Ätherleib-მთვარის ზემოქმედებები გარედან ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებზე. 5. Wachen-ღვიძილი. 6. gelb-ყვითელი. 7. Sonnenwirkungen von außen auf den physischen leib und Ätherleib-მზის ზემოქმედებები გარედან ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებზე. 8. grün-მწვანე. 9. innerlich Mondenwirkungen auf Ich und astralischen Leib-მთვარის ზემოქმედებები „მე“-სა და ასტრალურ სხეულზე.

ამდენად, ღვიძილისას მზის ზემოქმედების ქვეშაა ჩვენი ფიზიკური და ეთერული სხეულები, ხოლო შენარჩუნებული მთვა-

რის ზემოქმედების ქვეშ – ჩვენი შინაგანი. ძილის დროს ასტრალურ სხეულსა და „მე“-ში ცხოვრობს მზე, ხოლო ღვიძილისას – მთვარე. ღვიძილის დროს მზე ცხოვრობს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში, ხოლო ძილის დროს მათში ცხოვრობს მთვარე. მოვლენათა ასეთი მდგომარეობის წყალობით ეს ზემოქმედებები რჩება, თუნდაც ადამიანი იყოს ღამის პეპელა (ან ბუ), ანუ იმის მაგივრად, რომ იძინოს, დილისთვის იმზადებს თავის ტკივილს; ამ შემთხვევაში ადამიანი არღვევს გარეგნულ ბუნებრივ პირობებს, მიუხედავად ამისა, ისინი ფლობენ კოსმიური რიტმების მდგრადობას და ინერციით აგრძელებენ ადამიანში მოქმედებას.

თუნდაც ადამიანს დღისით ეძინოს და ღამე ფხიზლობდეს, ღამის ღვიძილისას მის „მე“-სა და ასტრალურ სხეულში მაინც იჭრებიან მთვარის ზემოქმედებები. მზის ზემოქმედებები შემოდიან მასში გარედან, ოღონდ უშუალოდ ლამპიონის სინათლის ფორმაში, ხოლო, თუ ადამიანი დახეტიალებს სადღაც მინდვრებში, მაშინ – ვარსკვლავების მკრთალი ციმციმის ფორმაში. ადამიანი ყველგან განიცდის მზის ზემოქმედებებს, რასაც ძილის დროსაც ინარჩუნებს და ასევე – მთვარის ზემოქმედებებს, რასაც შინაგანად ატარებს თავის თავში ღვიძილის დროს. სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა ფიზიკურ და ეთერულ დონეზე გარეგნულ ზემოქმედებებთან მიმართებაში. თავისი ჩვეულებრივი ცნობიერებით ადამიანი ვალშია ამ კონსტელაციებთან. ჩვენ დავრწმუნდებით, რამდენად იცვლება ეს ვითარებები ცნობიერების სხვა ფორმებისკენ ასვლისას. ვინაიდან მხესა და მთვარესთან დამოკიდებულება ხელდასხმულთან სულ უფრო მეტად და მეტად იცვლება და კოსმოსთან ამ დამოკიდებულების შეცვლაში მდგომარეობს კიდევ გზა, რომელსაც შეჰყავს სულიერ სამყაროში.

*მთვარის სფეროს ცოცხალი აღქმა,  
როგორც ინიციაციის გზის ამოსავალი წერტილი*

როგორ დგას ადამიანი სამყაროში, როგორ დგას იგი მზისა და მთვარის პირისპირ ჩვეულებრივი ცნობიერებით, ამის აღწერა არ მჭირდება; ამის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ სამშეინველს, ვინც დაფიქრდება იმაზე, როგორ გამოიყურება დღე, როგორ ცხოვრობს ადამიანი დღისა და ღამის განმავლობაში.

იმ მომენტში, როცა ადამიანი იწყებს თავისი შინაგანი მშენებელი ძილის გაძლიერებას ჩვეულებრივი ქაოტური სიზმრისეული ცნობიერებისთვის და მიეახლება იმას, რომ ეს ცნობიერება აქციოს რეალობის აღქმის იარაღად, – ადამიანი უკვე ხედავს, მის „მე“-ში შენარჩუნებული მთვარე როგორ იმყოფება იქ. იმ მომენტში, როცა ჩვენ, ხელდასხმულის შემეცნების წყალობით, ნამდვილად გარდაექმნით ძილს სინამდვილედ, თავს ვგრძნობთ თითქოსდა მეორე ადამიანით განმსჭვალულად. მაგრამ ვიცით, რომ ამ მეორე ადამიანში ცხოვრობს მთვარის სფეროს ძალა. ამდენად, როცა იღვიძებს ინიციაციური ცნობიერება, ვამბობთ: ჩემში ცხოვრობს მთვარის სფეროს ძალა, და მას, არსებითად, მუდმივად აქვს ტენდენცია ჩემში წარმოქმნას მეორე ადამიანი, რომელსაც იმ დროს ვატარებ საკუთარ პირველ ადამიანში, როგორც გარსში. ახლა აქ იწყება ასევე ბრძოლა, რომელიც ხდება არა დღის, ღვიძილის ცნობიერებაში, არამედ ღამის ცნობიერებაში; და როცა მთვარე იწყებს მოქმედებას ადამიანში შინაგანად, ის მოქმედებს ამ მეორე ადამიანში, რომელზეც ვთქვი, რომ ის ადამიანთან ნორმალურად თავისუფლდება შინაგანი მთვარის ზეგავლენებით – ღამით კი თავისუფლდება ნამდვილი მთვარით, და როცა ეს მეორე ადამიანი იძენს თავის მნიშვნელობას ძილის ბუნდოვან მდგომარეობაში, მაშინ იგი, პირველში, ჩვეულებრივ ადამიანში მეოფი, ესწრაფვის მთვარის შუქზე ხეტიანს და თან მიჰყავს პირველი. მაშინ დგება სომნამბულური მდგომარეობა, რასაც მთვარეულებთან ვხედავთ.

ახლა წარმოიდგინეთ: გარეთ ანათებს მთვარე და შესაძლოა გამოღვიძებულია ეს მეორე ადამიანი, მაშინ ის შედის განსაკუთრებულ მაგიურ, ანუ უჩვეულო, ბუნებრივისგან გადახრილ მდგომარეობაში. ადამიანი გარშემო დაეხეტება. წარმოიდგინეთ ასეთი მთვარეული. დაბინდული ცნობიერების დროს ადამიანი აკეთებს სხვადასხვა სისულელეს, რასაც ჩვეულებრივი ცნობიერების დროს ის არ იზამდა. ჩვეულებრივი ცნობიერების დროს ის მშვიდად დაწვებოდა ლოჯინში, სადაც არის მისი ადგილი. ამის მაგივრად ის გარშემო დაბორიანებს, ძვრება სახურავზე. ის ეძებს სფეროს, რომელიც უნდა იყოს მისი ფიზიკური სხეულის ფარგლებს გარეთ.

თქვენ ხედავთ, რომ თუ ამას წაიყვანთ ნორმალური მდგომარეობისკენ, გაცნობიერებული შინაგანი გამოცდილებისკენ, მაშინ წარმოქმნება ხელდასხმულის ჩანასახოვანი ცნობიერება.

ამ შემთხვევაში არ მივეხსნებით მთვარის ზეგავლენას, მთვარის ნამდვილ მოქმედებას გარედან, არამედ მეორე ადამიანის ცნობიერება წარმოიქმნება მთვარის იმ ქმედებით, რომელსაც შინაგანად ატარებენ. ამასთან აუცილებელია მთელი ძალების მოკრება, რათა ეს მეორე ადამიანი არ დაუსხლტეთ. ამავე დროს პირველი ადამიანი უნდა იმყოფებოდეს სიმშვიდეში. მეორეს შეეძლო წასულიყო, ეხეტიალა, ჩავარდნილიყო ცდუნებაში, ევლო სრულიად მცდარი გზებით. საჭიროა მისი შეჩერება.

სწორედ ეს უნდა ახლდეს აუცილებლად ინიციაციური შემეცნების მოპოვებას: შინაგანი სიმტკიცე და მდგრადობა, რათა ის, რასაც გამოსვლა უნდა, დარჩეს ჩვენში და შევინარჩუნოთ ის კავშირში სრულიად ჩვეულებრივ ფიზიკურ ცნობიერებასთან, რომელიც გვაქვს ჩვენს ფიზიკურ სხეულში. საჭიროა მუდმივად ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ არ წავიდეს ეს მეორე ადამიანი, რომელიც წარმოიქმნა შინაგანი მთვარის არსების განმტკიცების მეშვეობით. ამ მეორე შინაგან ადამიანს აქვს ძლიერი მიდრეკილება იმ ყველაფრისადმი, რაც უკავშირდება ნივთიერებათა ცვლასა და მოძრაობას ადამიანში, იმისადმი, რაც მოდის კუჭიდან და სხვა ორგანოებიდან. ის უდიდეს ანგარიშს უწევს ამ სახის ძალებს.

როგორც ხედავთ, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მოსალოდნელი გამოცდილება ინიციაციური ცნობიერების დამწვებისთვის. ის მიდის ერთ-ერთი გზით ორიდან, რომლითაც საჭიროა წინსვლა: გზა სიზმრების სამყაროს მოწესრიგების, მისი რეალიზაციის გზით და მისი შესაბამისობაში მოყვანა რეალობასთან, სიზმრების სამყაროს ავსება რეალობით. ახლა კი, თუ გავიაზრებთ, არადა, როგორც ეს აგისხენით, საჭიროა გავიაზროთ, მაშინ მივალთ შემდეგთან: როცა გარეთ დღეა, შინაგანად ვატარებთ დამეს საკუთარ თავში და დღის განმავლობაში თითქოსდა იღვიძებს შინაგანი დამე.

ინიციაციური ცნობიერების გამოვლენისას, გარეგნული თვალებისთვის და საგნების გარეგნული აღქმისთვის არსებობს დღე; ხოლო დღის ამ სივრცეში ყველგან იწყებს მოქმედებას და ცხოვრებას სულიერი მთვარის შუქი, რომელიც ანათებს გარშემო და ასხივებს ისე, რომ სულიერი იწყებს ნათებას. ახლა უკვე ვიცით, რომ საკუთარი სამშვინველის მეშვეობით დღეში გადაგვაქვს დამე. თუ ეს ხდება სრულ ცნობიერებაში, როგორც ხდება სხვა ქმედებები სრული ცნობიერე-

ბით დღის განმავლობაში, თუკი ადამიანს შეუძლია თითქოს-და ჯადოსნური სახით შემოიტანოს მთვარისეული ღამის ზემოქმედება დღის აქტივობაში, მაშინ ის სწორ გზაზეა. მაგრამ თუ მას სრული ცნობიერების გარდა შეაქვს საკუთარ თავში რაღაც და მისი შინაგანი ძალების მეშვეობით დღისით ამოდის ღამე, მაშინ ის მიდის არასწორი გზით, რომელსაც საბოლოოდ მიჰყავს მედიუმიზმამდე.

ამდენად, მთავარია არა თავად მოვლენები ან ფაქტები, არამედ მეთოდი, რომლითაც ადამიანი მათ შეესისხლხორცება, ანუ ცნობიერების სისავსე და შინაგანი კონტროლი იმისა, რაც ხდება. თუ სახურავზე ბორიალის მომენტში მთვარეული შეძლებდა თავისი სრული ცნობიერების განვითარებას, მაშინ იმავე წამს ის იქნებოდა ხელდასხმული. მას ეს არ შეუძლია; მაგრამ თუ მას შეუძახებთ ან გააღვიძებთ, იგი ძირს ჩავარდება. თუ ის არ ჩავარდებოდა, არამედ მოიპოვებდა ღვიძილის ცნობიერების მთელ სისავსეს და შეძლებდა ამ მდგომარეობაში დარჩენას, მაშინ ის განდებოდა ხელდასხმული. ხელდასხმის მეცნიერების ამოცანაა განავითაროს ის, რაც ვლინდება პათოლოგიურ მდგომარეობებში, არა უბრალოდ ჯანსაღი სახით, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეჯანსაღი სახით. თქვენ ხედავთ, რამდენად მჭიდროდ დგას ერთმანეთთან ყალბი და მართებული სულიერ სამყაროში. ფიზიკურ სამყაროში ჯერ კიდევ შესაძლებელია ადვილად გაარჩიო არასწორი და სწორი, რამდენადაც აქ გვაქვს უხეში ლოგიკა, უხეში გამოცდილება. მაგრამ, როგორც კი შევალწევთ სულიერ სამყაროში, ეს განსხვავება უაღრესად რთულდება, მთლიანად დამოკიდებულია შინაგან თავშეკავებულობაზე, შინაგან გონიერულობაზე.

გარდა ამისა, მთვარის შუქი თანდათანობით კარგავს გარეგნული ნათების ხასიათს, როცა ადამიანი, აღწერილი სახით, დღისით აღვიძებს ღამეს. მთვარის შუქი უკვე აღარ გამოიყურება ესოდენ გარეგნულად. ის ვლინდება მხოლოდ ცხოვრების საერთო შეგრძნებაზე. ამას ემატება კიდევ რაღაც. ახლა ამ სულიერი ღამის ცაზე გასაოცარი სინათლით ანათებს მერკური. ამ ღამით, რომელიც თითქოსდა ზღაპრული სახით შემოიჭრა დღეში, ნამდვილად ამოდის მერკურის ვარსკვლავი, მაგრამ არა ისე, როგორც მას ხედავენ ტელესკოპში, არამედ ჭეშმარიტად: ეს არის რაღაც ცოცხალი. მაშინვე შეუძლებელია, განასხვავო ცოცხალი სულიერი არსებები, რომლითაც დასახლებულია მერ-

კური, მაგრამ იმით, თუ როგორ წარმოჩნდება ის ჩვენ წინაშე, ვიგებთ, რომ საქმე გვაქვს სულიერ სამყაროსთან.

როდესაც მთვარის შუქი სულში წარმოჩნდება, როგორც საყოველთაო სასიცოცხლო ელექსირი, რომლის შიგნითაც შენ ხარ დავანებული, მაშინ ამ დამეში, რომელიც ჯადოსნური სახით შეიჭრა დღეში, თანდათანობით ამოდის მერკურის სულიერი ვარსკვლავი. მოელვარე ბინდიდან და შებინდების ელვარეებიდან ამოიზიდება მერკური და ჩვენ გვეგებება ის არსება, რომელიც შეიძლება აღინიშნოს, როგორც მერკურის ღვთაებრივი არსება. ის გვჭირდება. გვჭირდება აუცილებლად, სხვაგვარად მოხდება არეულობა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, სულიერ სამყაროში ვიპოვოთ ეს არსება, რომელზეც, ალბათ, ვიცით, რომ ის მიეკუთვნება მერკურის არსებებს. იმის მეშვეობით, რომ მას ცნობენ, შეუძლიათ ჩვენში გაცოცხლებული მეორე ადამიანის დაუფლება, წინასწარგანზრახულად დაუფლება. აღარ არის საჭირო მთვარეულის მსგავსად გაურკვეველი გზებით ბოლიალი, არამედ შესაძლებელია მერკურის ამ ღვთაებრივი მოციქულის ხელმძღვანელობით წინსვლა მართებული გზით სულიერი სამყაროსკენ.

უნდა იცოდეთ: თუ გსურთ, იპოვოთ შესასვლელი სწორი გზა, ჯერ საჭიროა მიიღოთ გარკვეული გამოცდილება, რომელიც წარმართავს და ხელმძღვანელობს. ჩვეულებრივი მისტიკოსი საკუთარ შინაგანში ღრმავდება. ხდება გრძნობების აღრევა; ღმერთი და სამყარო, ანგელოზი და ეშმაკი, ეს ყველაფერი მისტიკოსთან ერთმანეთში ირევა. უკეთეს შემთხვევაში, ადგილი აქვს ზოგადი სიზმრების ნაკადს, რომელშიც შეუძლებელია განასხვაო, სად ხდება ის, სქესობრივ სფეროში თუ თავის სფეროში. მოკლედ განცდები აფორიაქებულია, არეულია. ეს არის გაურკვეველი, ბუნდოვანი მისტიკა, რომელიც სიზმარს ვერ აშუქებს, პირიქით მას კიდევ უფრო მეტი ქაოსით ავსებს, რაშიც გარკვევა შეუძლია მხოლოდ ხელდასხმულს.

აღწერილი განცდები, რომლებიც ასე გასაოცრად და უადრესად პოეტურად გამოიყურება *კატარინა სიენელთან*\*, შეიძლება გაიგოს მხოლოდ ხელდასხმულმა, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია ამაში გარკვევა. ამიტომ შეიძლება, ითქვას: თუ ხელდასხმის პროცესი ხორციელდება ცნობიერების სისავსეში, სრული ცნობიერებით, რომელიც ისე მკაფიო და გამჭვირვალეა, როგორც ცნობიერება, რომლითაც ითვლი ან მეცადინეობ



გეომეტრიაში, თუკი ამ სავსე გონივრულობით შედისარ ამ მოვლენებში, მაშინ შენ სწორ გზაზე დგახარ. მხოლოდ მაშინ, როცა იგებ, როგორი ჯადოსნური სახით შემოგაქვს შინაგანი ღამე გარეგნული დღის მსვლელობაში, მაშინ მოიპოვებ ნამდვილ, რეალურ სულიერ სამყაროს. ისევე, როგორც ვერავინ უარყოფს, რომ მთვარის ამოსვლა, მერკურის ამოსვლა გარეგნულ სივრცეში არ არის სიზმარი, არამედ რეალობა; ასეთივე სახით ადამიანი სრული ცნობიერებით შედის სულიერ სამყაროში და ხვდება სულიერ არსებებს, როგორც ფიზიკურ სამყაროში შეიძლება შეხვდეს ადამიანებს. მაგრამ შენ ადგახარ მცდარ გზას, თუ სულიერს სულიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენების გაუცნობიერებლად ეძებ. ვისაც სურს შემოიფარგლოს ფიზიკურ სამყაროში ყოფნით და მედიუმებზე ექსპერიმენტებით სულიერ სამყაროში რეალური შესვლის გარეშე, მხოლოდ მათი გარეგნული გამოვლინებების შესწავლით, როცა გაურბის სულიერთან ჭეშმარიტად შეხებას, ასეთი ადამიანი მცდარი გზით მიდის. ხოლო ყველაფერი, რაც არ უკავშირდება ცნობიერების გამოდევნებას სულიერ სამყაროში, არამედ მხოლოდ აგრძელებს ჩაფლობას ძილში, ყველაფერი, რასაც განზრახული აქვს მხოლოდ შედეგების და არა მიზეზების ძიება, როგორც ეს კეთდება გარეგნულ ოკულტიზმში, აშკარად მცდარი გზით მიდის. ხოლო მართებული გზით მიდის ყველაფერი, რაც სულიერ სამყაროში შესვლისას ანგარიშს უწევს მის რეალობას, რომელიც სულიერი ბუნებისაა.

ამდენად, ხელდასხმის ერთ-ერთი გზის ამოსავალი წერტილია მთვარის სფეროს შინაგანად ცოცხალი, შემეცნებით წვდომა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ის, რაც ჩვეულებრივ დვიდილისას, როცა ადამიანური მთვარე მოქმედებს შინაგანში, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ მზესა და მთვარესთან მიმართებაში, ეს ახლა ხელდასხმულთან ვლინდება დვიდილის დროს, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ვლინდება ძილში. ადამიანი ჭეშმარიტად სწვდება მთვარის მოქმედებებს, თითქოსდა ისინი იყო გარეგნული. მას ჯადოსნურად შეჰყავს ღამე დღეში. ვარსკვლავებით მოჭედული ცის თაღის ჩვეულებრივი სურათებისგან განსხვავებით, ჯერ სულიერად ამოდის მერკურის ვარსკვლავი. და თუ იმ გზაზე, რომელიც აღწერილია ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“, ადამიანი ისწავლის იმაგინაციების აგებას, მივა ჭეშმარიტ იმაგინაციებამ-

დე, მაშინ მთვარის ამ სამყაროში დღისით ჩვენ წინაშე ამოი-  
ზიდება იმაგინაციის სამყარო, როგორც სინამდვილე.

როცა შედიხარ მერკურის მოქმედების სფეროში, ეს იმაგინა-  
ციები მის არსებებს განეკუთვნება. ახლა კი ეს არ არის უბრა-  
ლო ხედვა, რომლის მიღმაც არაფერი რეალური არ იმალება,  
არამედ ეს ნამდვილი იმაგინაციებია, რომლებიც ადიან მათი შე-  
საბამისი არსებებისკენ. ამგვარად შეგიძლიათ, თუ ჯერ კიდევ  
ძალზე შორს არ წასულხართ საკუთარ იმაგინაციურ შემეცნე-  
ბაში, იხილოთ მთავარანგელოზი, მაგრამ ის დარჩება ხილვად.  
მხოლოდ შემდგომი განვითარებისას ეს ხილვა ნამდვილად იქ-  
ცევა მთავარანგელოზად და თქვენ გაქვთ ხილვა, რომელშიც ის  
იმყოფება. ადრე, მთვარის ჩვეულებრივი შუქის დროს ის არ სა-  
ჭიროებდა მასში ყოფნას. ახლა ის მასში იმყოფება. ამდენად,  
მერკურის მოქმედებასთან მიმართებაში თქვენ ხდებით ცნობი-  
ერნი, მაშინ, როცა თქვენ მიერ მოჩვენებითად აღქმულ სამყარო-  
ში შემოდის სულიერის ნამდვილი აღქმა. საჭიროა მუდმივად  
ხაზი გავესვათ, რომ მართებული სახით ამ ყველაფრის მიღწევა  
შესაძლებელია მხოლოდ სრული ცნობიერებისას.

შემდეგ, როცა ადამიანი აგრძელებს თავის მედიტაციებს და  
განამტკიცებს თავის შინაგანს, აქცევს მას შინაგანად უფრო  
აქტიურს, მაშინ იგი მერკურის მოქმედების სფეროს გარდა,  
ასევე აღწევს ვენერას მოქმედების სფეროს. მნიშვნელოვანია  
შევნიშნოთ, რომ ვენერას ზეგავლენის წარმოქმნისას, როცა  
დღის განმავლობაში წარმოიქმნება ვენერას ზეგავლენები ამ  
ჯადოსნური სახით გამოვლენილ შინაგან ღამეში, მაშინ ამ  
დროს გამოვლენილ არსებებთან მიმართებაში, რომლებიც შე-  
მოსილნი არიან ნამდვილი იმაგინაციის ხატებში, იკარგება  
ხილვები და ადამიანი სულიერი სამყაროს წინაშე დგას ცარი-  
ელი ცნობიერებით, იცის რა, რომ იმყოფება სულიერი არსებე-  
ბის გარემოცვაში. აქ მიღწეულია ვენერას სფერო. იქ არიან  
სულიერი არსებები და მოლოდინი მზის სფეროში შესვლისა.  
ყველაფერი მთლიანობაში მხოლოდ და მხოლოდ მომზადებაა  
იმისთვის, რომ მეორედ განიცადონ მზე, განხორციელებული  
მიწიერი ღვიძილის დროს, როცა მზე ზემოქმედებს გარედან.  
ადამიანი გადის აღწერილ გზას, რომელსაც მთვარის, მერკუ-  
რისა და ვენერას სფეროების გავლით მიჰყავს; მაშინ ხილვები  
ქრება და ის აგრძელებს გზას. ეს არის გზა დედამიწიდან  
მთვარისკენ, შემდეგ მერკურისა და ვენერასკენ, თვით მზემდე.

ის იჭრება მზის შინაგანში. აქ ხდება მზის განჭვრეტა მეორედ, სულიერად. ის ჯერ კიდევ მუდმივად არაა ხილული, ჯერ კიდევ არაა მკაფიო, მაგრამ იცის: მას ის ჭვრეტს სულიერად. ის იჭრება მზის შინაგანში და ჭვრეტს მას.

ხდება ისე, – თუ შეიძლება გამოვიყენო ძალზე უხეში შედარება, – თითქოს საკუთარ თავს ვეუბნებით: იქ, სადღაც შორს მე ვხედავ რაღაცას, ვუახლოვდები მას, მივიჩნევ რაღაცად, რაც ხელოვნურად არის გაკეთებული; ვუახლოვდები მას, ვტაცებ ხელს, შემდეგ ის ხელზე კბილებით მწვდება. ახლა ვიცი, რომ ეს არაა ხელოვნური, რომ ეს არის ნამდვილი ძაღლი. მე ვრწმუნდები, რომ მასში არის რაღაც შინაგანი. ამ უხეში შედარებით მინდოდა, თქვენი ყურადღება მიმეპყრო იმაზე, როგორ გამოიყურება რაღაც რეალური. ადამიანი ამოდის დედამიწიდან, გადადის მთვარის, მერკურის, ვენერას ზემოქმედებებისკენ და ბოლოს მიდის მზის ჭვრეტამდე, ამასთან ამჩნევს: ის არის ცოცხალი სულიერი არსება; იქ შიგნით ასევე ცხოვრობენ არსებები.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის გზა, რომელიც შეიძლება გამოუმავდეს და რომელიც ყველაფერში თავისი ყოველი ნაბიჯით აჩვენებს, როგორ უნდა შეინარჩუნოს ხელდასხმულმა წინსვლისას ცნობიერების სრული სისავსე; მხოლოდ მაშინ მიდის ის მართებული გზით. მაგრამ ადამიანი მიდის არასწორი გზებით, თუ ვერ ხედავს იმას, რომ ის იმ დროს რაღაც სახით თავს კარგავს, გამოდის თავისი თავიდან, შედის კოსმოსში და რომ კოსმოსი ხდება სულიერი მისი სულიერი მზერის წინაშე. თქვენ ხედავთ, რამდენად აუცილებელია შინაგანად ვიცოდეთ განსხვავება ნამდვილ და ყალბ გზებს შორის სულიერ კვლევაში.

#### *ადამიანის ორგანიზაციის წვდომა იმაგინაციებში*

გუშინ მე უკვე მივითითეთ, როგორ ხელმძღვანელობენ ჩვენი დროის მოთხოვნებით ფსიქიკური კვლევის სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებიც გარეგნული ფენომენების საფუძველზე სულიერი სამყაროს კვლევის მცდელობისას თავიანთ მუშაობაში კარიკატურულად ბაძავენ სამეცნიერო მეთოდებს. ცუდად ნუ გამოგებთ, ვინაიდან მე არ მინდა ამ ადამიანების კრიტიკა, ვიცი რა კარგად, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს სურვილი შეაბიჯო სულიერი სამყაროს არსში, საბუნებისმეტ-

ყველო გზაზე გარეგნული მოვლენების დაკვირვების მეშვეობით. მე მხოლოდ იმის ჩვენება მსურს, რატომ მიჰყავს ასეთ გზას ცდუნებისკენ და რატომაა აუცილებელი იარონ მართებული გზით. თავისთავად ცხადია, რომ დღეს, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ეპოქაში და უნდა ვიცხოვროთ კიდევ დიდხანს, ჩნდება ადამიანები, რომელთაც სურთ სულიერი სამყაროს კვლევა ისე, როგორც იკვლევენ უშუალოდ ბუნებისმეტყველებაში და საეჭვოდ მიიჩნევენ სხვებს, წმინდა სულიერ გზებს. ისინი ამბობენ: ერთი მხრივ ჩვენ წინაშეა ნორმალური სამყარო; იქ დადიან ადამიანები, რომლებიც გარეგნული სოციალური ცხოვრების მიერ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებენ; ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ და მოქმედებენ ამ გარეგნული სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით. ამაში არაფერია უჩვეულო, ვინაიდან ჩვენ ამას მივეჩვიეთ. ამ სამყაროში ბუნებისმეტყველება, რომელიც დაკავებულია გარეგნული მოვლენებით, იკვლევს სითბოს, სინათლეს, ელექტრობას, მაგნიტურ გამოვლინებებს და ა.შ.

ცხოვრებაში ასევე ვხვდებით ანომალურ მოვლენებს. ადამიანები იქცევიან როგორც ავტომატური გადამწერები, როგორც ამა თუ იმ ზეგავლენის შემსრულებლები ჰიპნოზის, შთაგონების მეშვეობით. ვარაუდობენ, რომ ამ მეთოდით საუბრობს ჩვენთვის უცნობი სამყარო ჩვენს ჩვეულებრივ სამყაროსთან; სურთ ამ გარეგნულად მიღებული ნიშნების, ამ ანომალური მოვლენების ახსნა, ახსნა იმისა, როცა ნიუ-იორკში მავანი რაიმეზე დაძაბულად ფიქრობს და განიცდის, ხოლო მეორე მასთან მშვიდფერად მონათესავე ადამიანი ევროპაში იღებს უწყებას შინაგანი გზით, როგორც სხვა შემთხვევაში იღებენ მას უკაბელო ტელეგრაფით გარეგნული სახით. ასეთ გამოვლინებებს, რომლის მაგალითებიც შეიძლება ასობით და ათასობით მოვიყვანოთ, იკვლევენ გარეგნულ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, სტატისტიკური გზით.

ამ გზამ შეუძლებელია მიიყვანოს მიზანთან, ვინაიდან მასში არ არის სულიერი მიმართულება, რომელზეც საჭიროა იარონ და რომელიც საჭიროა თავად სულიერ სამყაროში იყოს. რამდენადაც ყველა ეს ფენომენი, როგორი გასაოცარიც უნდა იყოს ისინი, წარმოადგენენ სხვადასხვა მოვლენის უთავბოლო აგრეგატს, რომელიც გარე სამყაროში ძვეს ერთი მეორის გვერდით. არ არსებობს ამ ფენომენების ნამდვილი შემეცნება; შესაძლებ-

ღია მათი მხოლოდ რეგისტრაცია, განხილვა როგორც რაღაც განსაკუთრებულის, ასევე შეიძლება სულიერ სამყაროზე სხვადასხვა ჰიპოთეზის მოფიქრება, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ვინაიდან თავად ეს ფენომენები გარე სამყაროს ფარგლებში თავიანთ აზრს არ ამჟღავნებენ. მედიუმებისა და სხვადასხვა გარეგნული კვლევის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია რამდენიც გვინდა ვეძიოთ სულიერი სამყაროს გამოცხადებანი, მაგრამ ის თავის ბუნებას არ გაგვიხსნის.

ამ ფონზე გამოდის წიგნი, ამაზე მე გუშინ ვისაუბრე, რომელშიც დოქტორმა იტა ვეგმანმა და მე შევეცადეთ მკაფიოდ წარმოგვედგინა კვლევის სხვა სახე; ამ კვლევასაც გარდაუვალად მიჰყავს სულიერ სამყაროში, მაგრამ არა როგორც სხვებს, ამაზეც მე ახლახან ვისაუბრე, რომლებიც სულიერ სამყაროში შეღწევის ცდილობენ ძილის შინაგანი გაშუქების გზით. ძილის ეს შინაგანი სამყარო გარდაუვალად შედის სულიერ სამყაროში, მაგრამ ეს მიედინება ისე, რომ თავად სულიერ სამყაროში გამოვლენილი მიზნის თანახმად ის პოულობს იქ გამოვლინებებს, რომელიც საჭიროა ასეთი კვლევისთვის. თუმცა ეს გამოვლინებები სულაც არ მდგომარეობს მიმოფანტულ გასაოცარ მოვლენებში, რომლებიც ჩვენ წინაშე ჩნდება გარეგნულ სამყაროში, ახლახან აღწერილი სახით. ისინი ძვეს იმ სფეროში, რომელსაც განათლებული ადამიანი აკვირდება მედიცინაში, ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, როცა იგი ადამიანური ორგანოს გარეგნული ფორმების წვდომიდან, – იქნება ეს ფილტვები თუ ღვიძლი, ან რომელიმე სხვა ორგანო, – მალღდება ამ ორგანოს იმაგინაციური წვდომისკენ, როცა თანდათანობით იწყებს სამშენებლის წინაშე წარმოიდგინოს ადამიანის ორგანიზაცია იმაგინაციებში.

როგორც ხედავთ, შესაძლებელია ორგვარი მიდგომა, ერთი იკვლევს შემთხვევას, როცა ადამიანის სხეულის ორგანოების ფუნქციონირება გადაიხრება მეცნიერების მიერ აღიარებული ნორმებისაგან, ანუ ადგილი აქვს ანომალიურ გამოვლინებებს; მეორე კი ამოდის ადამიანში ჩადებული საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ანატომიური ცოდნიდან და შემდეგ მალღდება ადამიანური ორგანიზაციის სულიერ ჭვრეტამდე. პირველ შემთხვევაში ამოდინ მთელი ადამიანის კვლევიდან, ჩემ მიერ აღწერილ მეორე შემთხვევაში კი ადამიანის ცალკეული ორგანოებიდან, რომელთაც მოიცავენ სულიერი ანატომიის მეშვეობით

და უშუალოდ აკვირდებიან, შემეცნების მცდარი გზის საპირისპიროდ, რომელშიც გარეგნულ მოვლენებს ამუშავებენ სტატისტიკური კარიკატურული საბუნებისმეტყველო-მეცნიერული სახით. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, რომ ჯერ საჭიროა მონახოს ადამიანი, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა მედიცინაში, რათა ეს მოვლენები ზუსტად გაირკვეს.

შემდეგ საუბარია იმაზე, რომ იმ მომენტში, როცა ასეთი სახით სულიერად მოიცავენ ადამიანის ორგანოს ყველა ადამიანთან, – ამასთან იგულისხმება ადამიანი, რომელიც მსგავსი სახით განიხილავს ანატომიას, – აუცილებელია, რომ ეს მიზანი არ ცხოვრობდეს მის აზრებში, როგორც გაურკვეველი მიზანი. აქ უკვე წარმოჩნდება არა შინაგანი ადამიანი, როგორც ადრე აღვწერე, არამედ გარეგანი, კოსმიური ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ბუნდოვნად წარმოგვიდგება, მაგრამ, სწორედ, როგორც კოსმიური ადამიანი, როგორც უზარმაზარი, გიგანტური ადამიანი, ის წარმოჩნდება არა როგორც მიწიერი მთლიანობა, არამედ როგორც შედეგი იმისა, რომ ჩვენ ვჭვრეტთ მის ორგანოებს, შინაგანად მოვიცავთ მათ სულიერს. იმის გამო, რომ ეს ორგანოები ვლინდება სულში, სულიერად, ჩვენ წინაშე დგას არა უბრალოდ მიწიერი ადამიანი, არამედ ადამიანი, რომელიც მოიცავს კოსმოსს. შემდეგ ჩანს: სწორედ ისე, როგორც ადრე დამის სამყარო, მთვარის სამყარო შედიოდა ჯადოსნური სახით დღის სამყაროში, ასე შედის ახლა ჯადოსნური სახით სატურნის სფეროს იმპულსი საკუთრივ ადამიანში, მაგრამ არა მთლიან ადამიანში მკაფიო კონტურებით, არამედ ადამიანში, რომელიც შედგება ცალკეული ორგანოებისაგან.

ზუსტად ისე, როგორც ადრე მთვარის სფერო გადაიტანებოდა ჯადოსნური სახით ჩვეულებრივ დღის ცნობიერებაში, ასევე ჯადოსნურად გადაიტანება ახლა მეცნიერულ ცნობიერებაში სატურნის სფერო და ჩვენ ვიგებთ, რომ სატურნის ძალები თითოეულ ორგანოში განსაკუთრებული ფორმით მოქმედებს, რომ სატურნის ძალები მოქმედებენ მაგ., ყველაზე ძლიერად ღვიძლში, შედარებით უფრო სუსტად – ფილტვებში, ხოლო თავში – ყველაზე ნაკლებად. მიზნის გაგების შემდეგ ის შეიძლება, გამოიხატოს შემდეგი სიტყვებით: შენ გმართებს, სატურნი ეძებო ყველგან. როგორც ადრე მედიტაციის დახმარებით მიიწვევდა წინ ადამიანი კვლევაში, ასევე ახლაც, სატურნის ძალთა ამ ძიებაში ჩაფლობით, ანუ ყოველი ორგანოს ში-

ნაგან სულიერ სტრუქტურაში ჩაფლობით, ის იჭრება იუპიტერის სფეროში, ამასთან იმეცნებს იმას, რომ ნებისმიერი ორგანო წარმოადგენს რომელიღაც სულიერ-ღვთაებრივი არსების ანასახს. ადამიანი საკუთარი სხეულის ორგანოებში შინაგანი სახით ატარებს სულიერ-ღვთაებრივი არსებების ანასახებს. მთელი კოსმოსი, რომელიც თავიდან უზარმაზარი ადამიანი იყო სატურნის სფეროში, მთელი ადამიანი მისაწვდომი ხდება როგორც ერთი გიგანტური კოსმიური არსება; მაგრამ ამ დროს ის წარმოგვიდგება, როგორც ღვთაებათა გენერაციის ერთობლიობა მათი შინაგანი, ორგანული ურთიერთქმედებისას.

კვლავ და კვლავ აუცილებელია, რომ ეს გზა გავიაროთ სრული ცნობიერების მდგომარეობაში. ის ისე უნდა გაიაროთ, რომ მასში იმოქმედონ ძალებმა, რომლებიც ამ ყველაფერში შეგვანარჩუნებინებს სიმტკიცეს. თქვენ უნდა გაიაზროთ, რომ მთელი ეს ქმედებები ცხოვრობენ, უპირველეს ყოვლისა, Status nascendi-ში, დინამიური წონასწორობის მდგომარეობაში (ანუ წონასწორობის წარმოქმნის მომენტში), და ეს ქმედებები იმ დროს იქ არიან, თუმცა მაშინვე კვლავ ქრებიან. ამიტომ, ისინი შეიძლება ადვილად მოიხელთო; მაგრამ შეუძლებელია მათი აღწერა, მყარად შეკავება, რაიმე ფორმის აზრობრივ-ხატოვნად წარმოდგენა; აქ არსებობს საშიშროება, რომ სწორედ იმ დროს, როცა წარმოჩნდება ის, რაც მე მოგიყვებით, ეს ყველაფერი კვლავ გაქრეს ცნობიერების წინაშე, ამიტომ სრულებით არ ექვემდებარება დაკვირვებას. როგორც ხედავთ, თანამედროვე ადამიანები ფსიქიკური კვლევისას სრულებითაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ აქ გამოიხმონ სულიერი, ჭეშმარიტი სულიერი. მათ სურთ, ეს ყოველივე გააკეთონ ლაბორატორიული, თვითნებური ფორმით, მოუხმობენ რა თავისთან A, B, C-ს როგორც ადამიანებს ლაბორატორიაში და ასრულებენ სამუშაოს. სულიერი რეალობები ამ გზით არ მიეახლებიან ადამიანის მიერ შეცნობილ სამყაროს და, უპირველეს ყოვლისა, არც ის რეალობები, რომელთა მოხელთებაც ამ მეთოდით სურთ, რომ შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლონ მათი აღწერა მეცნიერულად.

სამედიცინო წიგნი, რომელზეც გუშინ ვისაუბრე, წარმოადგენს მხოლოდ ელემენტარულ საწყისს იმისა, რაც შორეულ მომავალში, როცა ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით ცოცხლები, მეცნიერული ცოდნით იქნება დამუშავებული. რამდენადაც ეს მოვლენები ამჟამადაც არსებობს სულიერ სამყაროში, – მათ ხომ, მაგ.,

აქვთ ადგილი იმ არსებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ არა დედამიწაზე, არამედ მზეზე, – ამიტომაც შეიძლება მათი შეტანა აღწერილი სახით მიწიერ ცნობიერებაში. ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ამ მიმართულებით წინსვლა ლაბორატორიული კვლევებით, ასევე იმ აბსტრაქტული ცოდნის დახმარებით, რომელიც ანატომიის სახელმძღვანელოებშია გადმოცემული. მთელი არსი ის არის, რომ ეს ყოველივე ცოცხალი ადამიანის მეშვეობით განხორციელდეს. რატომ?

იმიტომ, რომ ეს მოვლენები შეიძლება დაფიქსირდეს და შენარჩუნდეს მხოლოდ იმ ძალებით, რომლებიც ასევე ვლინდებიან ადამიანების ერთობლივი მისწრაფებებიდან, ვინაიდან მომხდარის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ ძალებით, რომლებსაც ადამიანები თავის თავში ატარებენ თავიანთი წინა მიწიერი ცხოვრებებიდან; სწორედ ეს ძალები უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საყრდენს ასეთი მოვლენების ფიქსაციისთვის. ასეთ შემთხვევაში, სატურნისა და იუპიტერის ამ სფეროში შემოდის ის, რასაც შეიძლება მარსის სფერო ვუწოდოთ; აქედან იწყებენ მოვლენები გამოვლენას. ამ მომენტიდან მომხდარი თავს ავლენს ინსპირაციის მეშვეობით. შემდეგ ინსპირირებული ცნობიერებით კვლავ მზისკენ ბრუნდებიან. ეს არის სხვა გზა, რომელიც დღეს ვლინდება როგორც ის გზა, რომელსაც ითხოვს ბუნებისმეტყველება, მაგრამ მასზე სიამოვნებით უარს იტყოდნენ ხელდასხმულები, რომლებზეც მე გუშინ ვისაუბრე. მათთვის უსიამოვნოა, როცა ისინი ამ გზაზე მიდიან, მაგრამ მაინც საჭიროა მისი გავლა.

მთვარის სფეროს გავლით გზას, – ეს თქვენთვის ცნობილია დღევანდელი განხილვითაც, – გაივლიდნენ სწორედ ძველი ხელდასხმულები და ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ მოვლენებს სწორედ *ელენე ბლავატსკაიას* „საიდუმლო დოქტრინაში“ მთვარის ამ გზასთან მიმართებით. თუ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სწორი და არასწორი, მაშინ ამ „საიდუმლო დოქტრინაში“ ვიპოვით უდიდეს ჭეშმარიტებებს. ამ გზას მიჰყავს მთვარის ასტრალური სინათლის მეშვეობით, ელენე ბლავატსკაიას კი შეეძლო მასში გასაოცარი სახით ყოფნა, სადაც ინტერპრეტაციების ძიებაში მან შეიძინა არაჩვეულებრივი წინამძღოლი, მერკურის მოციქული. ამის დანახვა შეიძლება, თუ დავაკვირდებით მის განმარტებებს, სადაც მას ყოველთვის შემოჰყავს იმაგინაციები საჭირო ადგილას. სწორედ ეს გვაოცებს ბლავატ-



სკაიასთან: იმაგინაციური შემეცნება ჩნდება მისი მოთხოვნით; მას წარმართავს მერკურის მოციქული; მას ის მიჰყავს იქ, სადაც არის დაფარული ბიბლიოთეკა. მასში იბადება იდეა; მაშინ მერკურის მოციქულს ის მიჰყავს ვატიკანის მიერ გულმოდგინედ დაცულ წიგნთან. ბლავატსკაია კითხულობს მასში. ბლავატსკაიას აქვს ბევრი ისეთი რამ, რისი სხვაგვარად მოძიებაც შეუძლებელია, ვინაიდან ვატიკანი მკაცრად იცავს ასეთ წიგნებს და ამას აკეთებს უკვე ასწლეულები! ფაქტობრივად ეს არის ის გზა, რომლითაც ბევრნი მიდიოდნენ, სადაც საჭიროა ფრთხილად განვასხვაოთ ყოველივე ის, რაც მოითხოვს შინაგან სიმტკიცეს, როგორც ამაზე უკვე ვისაუბრე.

მეორე გზა კი შეესაბამება ჩემ მიერ აღწერილს, რომელიც ითვლება თანამედროვე საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ გზად, რომელიც ასევე სძულდა ბლავატსკაიას, ანუ, მას სძულდა დამე, რამდენადაც ჩვეულებრივ ადამიანს ეშინია მოჩვენებების. ამ გზის გავლა საჭიროა აღწერილი სახით და უნდა ვადიაროთ, რომ ის ეყრდნობა ადამიანის კარმულ ენერგეტიკულ პოტენციას, როცა ენერჯიას იღებს არა იმდენად თავად მოგონებებისგან, რამდენადაც იქიდან, რომ ეს მოგონებები შეიძლება დაფიქსირდეს, შენარჩუნდეს და, შესაძლოა, აღიწეროს კიდევ. თანამედროვე მეცნიერება საჭიროა განიმსჭვალოს ადამიანურობით, როგორც გუშინ დავახასიათე მედიცინის სფეროში ჩემი თანაშემწის მაგალითზე. ამ მაგალითზე ყველაზე უკეთ შეიძლება ვაჩვენოთ, რითი განსხვავდება ჭეშმარიტი გზა მცდარისაგან. ამას აკეთებენ არა დეფინიციების დახმარებით, არამედ რეალური მაგალითების განხილვით.

ამჟამად ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა დიდხანს შევჩერდეთ ამ თემაზე, ასე რომ, ხვალ თავს ნებას მივცემ მხოლოდ ზოგი რამ დავამატო, რათა გარკვეული აზრით დავასრულო ლექციების ეს ციკლი.

მეთერთმეტე ლექცია

ტორკი, 1924 წლის 22 აგვისტო  
როგორია გაგების მნიშვნელობა სულიერი კვლევისთვის?

*კვლევის ორი შესაძლებლობა*

ბუნებრივია, შეიძლებოდა ბევრი რამ დაგვემატებინა იმისთვის, რაც ლექციების ამ ციკლში განვიხილეთ, მაგრამ დღეს მოგვიწევს, ჩვენი სამშინველების წინაშე წარმოვადგინოთ გარკვეული სახის შემაჯამებელი დასკვნა.

უპირველეს ყოვლისა, ნათქვამიდან გამომდინარე ჩვენი მშინვეიერი მზერის წინაშე უნდა დადგეს შემდეგი კითხვა: არსებითად როგორ არის საქმე ანთროპოსოფიისა და სულიერი კვლევის გაგებასთან დაკავშირებით, რომელიც შეთავაზებულია სამყაროსთვის ანთროპოსოფიის მეშვეობით? როგორ დააკავშიროთ ანთროპოსოფიული შემეცნება იმ ფაქტთან, რომ ჩვენი დროის ყველა ადამიანს როდი შეუძლია უშუალოდ დაკავდეს სავარჯიშოებით, რომლებიც მას სწრაფად მიიყვანენ პირად გამოცდილებამდე უზენაესი სამყაროების ჭვრეტაში, ამასთან შეძლებს საბოლოოდ თავად გადაამოწმოს შესაბამის სამყაროებში ის, რაზეც საუბრობს ანთროპოსოფიული კვლევა? სწორედ ეს კითხვა უტრიალებს გულში ბევრს, ვინც განიცდის ანთროპოსოფიისკენ გარკვეულ ლტოლვას და წუხს მასზე. თუმცა სწორედ მას უყურებენ ყოველთვის ყალბ ჭრილში, ამასთან სწორედ მაშინ, როცა ის აუწყებს რაღაც ჭეშმარიტს, როგორც გადმოვეცი მაგალითად ამ ლექციებში, შეუძლიათ თქვან: დიას, მაგრამ რითი დამეხმარება სულიერი სამყაროს მთელი ეს აღწერები, თუ მე თავად არ შემიძლია ამ სულიერ სამყაროებში ჩახედვა? აი, რატომ მსურს ხსენებული საკითხის ჩართვა ჩვენს დღევანდელ შემაჯამებელ საუბარში.

არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია, მოიპოვო რაიმე სახის ჭვრეტა, ანთროპოსოფიული ცოდნის რაიმენაირი გაგება, სანამ ადამიანი თავად ვერ შეძლებს განახორციელოს კვლევები სულიერ სამყაროში. აუცილებელია განვასხვაოთ, განსაკუთრებით ჩვენს დროში, ერთმანეთისგან საკუთრივ კვლევა, ანუ გარკვეული ფაქტების და მოვლენების პოვნა, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სამყაროს და გაგება იმისა, რაც ამ კვლევით მიიღეს. თქვენ სრულად გაარ-

კვებით ამ განსხვავებას, თუ ყურად იღებთ იმას, რომ თანამედროვე ადამიანი, როგორც დგას ის ჩვენ წინაშე, მიეკუთვნება სხვადასხვა სამყაროს, ასე რომ, იგი ნამდვილად სხვადასხვა სამყაროდან იღებს თავის განცდებს, რაც მას გააჩნია. ადამიანი, როგორცაა ის ამჟამად, ჩვეულებრივი ყოფიერებისა და მეცნიერების წარმოდგენებს იძენს ცნობიერებაში და სწორედ ამ წარმოდგენებით ვხელმძღვანელობთ საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთი სახის ცნობიერება თანამედროვე ადამიანს საშუალებას აძლევს დღის ღვიძილის დროს მიმოიხილოს განსაზღვრული გარემო სამყაროში და, უპირველეს ყოვლისა, მიმოიხილოს ყოველივე ის, რაც მას ეხსნება გრძნობის ორგანოების მეშვეობით, რაც ექვემდებარება ინტერპრეტაციას, ინტელექტის მეშვეობით წვდომას, რომელიც ადამიანმა აითვისა თავისი ევოლუციის განმავლობაში.

უშუალოდ იმ მომიჯნავე სამყაროს, რომელიც გარეგნული გრძნობების მიღმა დაფარული, ადამიანი თავისი გონებით სრულიად გაურკვეველი სახით აღწევს სიზმრებში, როგორც უკვე აღვწერე. ხოლო იმ სამყაროში, რომელსაც ადამიანი გაივლის სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის, თავისი მშვენიერი ცხოვრებით დედამიწაზე, იგი აღწევს მხოლოდ უსიზმრო ძილის დროს, როცა იგი გარემოცულია მშვენიერი წყვილით და სიბნელით, სადაც იგი განვლევს ცხოვრებას, რომელზეც მას ჩვეულებრივ არა აქვს მოგონებები.

ადამიანისთვის ცნობილია ეს ცნობიერება თავისი სამგვარი მდგომარეობით – ღვიძილის, სიზმრებისა და უსიზმრო ძილის მდგომარეობებით. მაგრამ ადამიანი ცხოვრობს არა მარტო ამ სამყაროებში, რომლებიც მისთვის მისაწვდომია ცნობიერების ასეთი მდგომარეობებით. ადამიანი არის არსება, რომელიც ცხოვრობს მთელ რიგ სამყაროში. მისი ფიზიკური სხეული ცხოვრობს სხვა სამყაროში, ვიდრე მისი ეთერული სხეული. ეს ეთერული სხეული ასევე ცხოვრობს სხვა სამყაროში, ვიდრე ასტრალური სხეული და ყველა ისინი ერთად – კვლავ და კვლავ სხვა სამყაროში, ვიდრე „მე“. და ეს ცნობიერებებია: ნათელი ღვიძილის მდგომარეობა, სიზმრის მდგომარეობა, უსიზმრო ძილის მდგომარეობა, შეიძლება ითქვას არაცნობიერების, მაგრამ უმჯობესია ითქვას მხოლოდ დაბინდული ცნობიერება, – ცნობიერების ეს სამივე მდგომარეობა აქვს უშუალოდ „მე“-ს, როგორც ის არის დღეს. ამ „მე“-ს,

როგორცაა ის დღეს, ასევე აქვს სამი მდგომარეობა, როცა იმზირება შინაგანში და როცა იმზირება გარედან. გარედან შეხედვისას ეს არის დღის ღვიძილის, სიზმრისა და ძილის ცნობიერება. როცა ის იმზირება შინაგანში, მაშინ აქვს ნათელი მოაზროვნე ცნობიერება; აქვს ძალზე დაბინდული, უფრო მეტად სიზმრის ცხოვრების მსგავსი, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, შეგრძნებადი ცნობიერება, – ცხოვრება შეგრძნებებში. მას აქვს ბუნდოვანი, დანისლული ძილის ცხოვრება, იდენტური ნებელობითი ცნობიერებისა. ჩვენი ნებელობის მდგომარეობა სრულიად უცნობია ჩვენი ცნობიერებისთვის, არსებითად ისეთივე უცნობი, როგორც ძილი. ადამიანს, როცა მას რაიმე სურს, აქვს აზრები, რომელიც არის მკაფიო და ნათელი. შემდეგ ის ავითარებს რამდენადმე გაურკვევლად ამ აზრის გარშემო გრძნობას, ხოლო ამის მერე გრძნობით განმსჭვალული აზრი ჩადის ორგანოებში. რა ხდება იქ, ამას ადამიანი ჩვეულებრივი ცნობიერებით არ განიცდის. იმ კვლევის წინაშე, რომელზეც გუშინ და გუშინწინ ვისაუბრე, ნებელობა ვლინდება შემდეგნაირად: იმ დროს, როცა თავში ყოფნისას აზრს რაღაც სურს და შემდეგ გრძნობის მეშვეობით ჩადის მთელ სხეულში, ისე რომ ნების გამოვლენა ხორციელდება მთელი სხეულის მეშვეობით, სწორედ ამ დროს ადამიანში ვითარდება რაღაც, თითქოსდა ნატიფი, სუბტილური, ინტიმური პროცესი წვისა.

ინიციაციურ შემეცნებასთან მისვლისას ადამიანს შეუძლია სითბოთი განმსჭვალული ამ ნებელობის განცდა. ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის კი ეს მთლიანად სიღრმეში რჩება. ეს მხოლოდ მაგალითია იმისა, მაინც როგორ შეიძლება ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის სიღრმეში დარჩეს ის, რაც უკვე შესაძლებელია აიტანონ ხელდასხმულის ცნობიერებამდე. მაგალითად, ოდესმე ნამდვილად გავიგებთ იმას, რაც სამყაროში თანდათანობით შემოვა, რაც მოხდება წინა ლექციაში ჩემ მიერ ხსენებული წიგნის მეშვეობით და ამას ნამდვილად დავინახავთ. დავინახავთ, რომ, თუ ადამიანს სურს რაიმე და ამას ვაკვირდებით ინიციაციური ცნობიერებით, მაშინ ხდება ისე, თითქოსდა ვაკვირდებოდით სანთლის წვის გარეგნულ მოვლენას ან ზოგადად ვუმზერთ სინათლეს, რომელიც გამოყოფს სითბოს. ზუსტად ისე, როგორც აქ გვაქვს ნათელი სურათი გარეგნული დაკვირვებისგან, ასეთივე სახით შეგვიძლია, დავინახოთ აზრის

ჩანერგვა ნებელობაში, რომელზეც ამბობენ: აზროვნება ავითარებს გრძნობას და გრძნობიდან გადმოდის, – ადამიანთან ეს პროცესი ხდება ზევიდან ქვევით, – სიტბოს გენერაცია, ცეცხლი; ეს სურს ცეცხლს. ეს სულ უფრო და უფრო იხსნება.

ჩვეულებრივი ცნობიერება სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

შიგნით:  
*ნათელი ცნობიერება.  
გრძნობათა ცხოვრება.  
ნებელობითი ცნობიერება  
(მნებავი ცნობიერება).*

გარედან:  
*დღის ღვიძილის ცნობიერება.  
სიზმრის ცნობიერება.  
ძილის ცნობიერება.*

გარედან დღის ღვიძილის ცნობიერება, შიგნიდან – ნათელი ცნობიერება; გარედან სიზმრის ცნობიერება, შიგნიდან – არამკაფიო, მაგრამ თბილი გრძნობათა ცხოვრება; გარედან ძილის ცნობიერება, შიგნიდან – მთლიანად გაუმჭვირვალე ნებელობითი ცნობიერება.

თუმცა, სულიერი სამყაროს კუთვნილი ფაქტების კვლევისთვის თუ საკუთარი ცნობიერება გადაგაქვს სამყაროში, რომელშიც შეჭრას ცდილობ შემეცნებითი გზით, მაშინ შემდგომში სხვა ცნობიერებას გადაეცემა მოპოვებული იდეები, მსგავსი კვლევის ნაყოფები, რომელთა გაზიარებაც მხოლოდ სიტყვების მეშვეობით შეიძლება. მაშინ თქვენ შესაძლოა ჩასწვდეთ, რომ არსებობს ორგვარი რამ. უპირველეს ყოვლისა, შეიძლება, მაგ., გამოვიკვლიოთ სამყაროში ადამიანური ორგანოები, როგორც გუშინ აღვწერე, და ვაწარმოოთ იქ კვლევები იმ ფაქტებისა, რომლებზეც არის საუბარი, რომ საქმე ეხება ადამიანებთან სულიერ სამყაროში ცხოვრებამდე მოახლოებული ძალების გამოკვლევას. აქ პოულობენ შესაბამის ფაქტებს და ისინი წარმოჩნდება სამშვინველის წინაშე შემეცნებისთვის. ისინი აქ გვაქვს. შესაბამისად ადამიანები დგანან ამ ფაქტების წინაშე გარეგნულ სამყაროში. მათ შესახებ უწყება მოდის გარკვეული ადამიანების მეშვეობით, ისინი წარუდგენენ მას სამყაროს. თუ ამას თან დაუერთავთ საკმარის მიუკერძოებლობას, შესაძლებელია მას ჩავწვდეთ ჩვეულებრივი ცნობიერებით. ამის შედეგად კაცობრიობის ევოლუციაში ყოველთვის ასე იყო, რომ მხოლოდ მცირერიცხოვანი ადამიანები იყვნენ დაკავებულნი იმ მოვლენების

კვლევით, რომლებიც განეკუთვნება სულიერ სამყაროს. გამოკვლევის შემდეგ ისინი მას უკვე სხვებსაც გადასცემდნენ.

დღეს საუბრობენ ასეთი სახის შემეცნების წინააღმდეგ მხოლოდ იმას, რომ ზოგადად ადამიანები იზრდებიან ისეთ სოციალურ გარემოში და მათი აღზრდა ვითარდება ისეთ პირობებში, სადაც მათ ეძლევათ ჩვევები შეიგრძნონ და ირწმუნონ მხოლოდ სამყაროს გარეგნული ფაქტები, გრძნობათა ორგანოების სამყარო და ის, რასაც გონება იგებს ამ სამყაროდან. ეს არის ჩვეულება, რომელიც ისე ძლიერად მოქმედებს, რომ ამ ჩვეულებიდან გამომდინარე ყოველთვის ამბობენ: ეს არის უნივერსიტეტი; უნივერსიტეტში ადამიანებს აქვთ ხარისხები, იქ ასწავლიან, ასევე იკვლევენ გრძნობადი სამყაროს გარკვეულ მოვლენებს, ან, როცა მას იკვლევენ სხვები და ხდება მათი შევსება და დადასტურება. თუ თავად არ იკვლევენ გრძნობადი სამყაროს მოვლენებს, მაშინ სხვების სჯერათ. ადამიანები წარმოუდგენლად ენდობოდნენ სწორედ თანამედროვე ბუნებისმეტყველებას. მათ სჯერათ ისეთი რამ, რაც მცოდნესთვისაც წარმოადგენს არა მარტო პრობლემურს, არამედ ნამდვილად არასწორს. ეს ყველაფერი ეფუძნება უკანასკნელი ასწლეულის ჩვეულებრივ აღზრდას, როცა შეიცვალა აღზრდის ძველი მეთოდები.

აღზრდის ეს ძველი მეთოდები ადამიანებს გააჩნდათ წინარე საუკუნეებში, ამჟამინდელი მეთოდები, მინდა გითხრათ, მაშინ არ იყო. იმის წყალობით, რომ ბევრს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სულიერ სამყაროში ჭკრეტის უნარი, ასევე იყო ნარჩენი უნარები, ემოციისა და ნებელობის დონეზე შეზღუდოდნენ სულიერ სამყაროს, ამიტომ ადამიანები ცდილობდნენ, ერწმუნათ იმათი, ვისაც შეეძლო სულიერი მოვლენების კვლევა. ჩვენს დროში ადამიანები სრულიად მოკლებულნი არიან ამას და უბრალოდ არ არიან ჩვეულებრივ; კონტინენტზე, ევროპაში ისინი მიეჩვივნენ სამყაროს შეხედონ უფრო თეორიულად, ხოლო ამერიკასა და ინგლისში უფრო პრაქტიკულად, რაშიც ისინი მთლიანად დამკვიდრდნენ.

კონტინენტზე გაბატონებულია დამუშავებული თეორიები, სამაგიეროდ, ამის შესახებ ინგლისსა და ამერიკაში ჭარბობს შეგრძნება, რომლის დაძლევაც შინაგანი სახით არც ისე იოლია. ყველაფერი მიდის იქამდე, რომ საუკუნეების განმავლობაში ადამიანები მიეჩვივნენ, მეცნიერება, რომელიც მიმართულია გარე გრძნობათა სამყაროზე, მაგ., ასტრონომიაზე, ბოტა-

ნიკაზე, ზოოლოგიაზე, მედიცინაზე, მიიღონ ისეთი, როგორც ის ისწავლება საყოველთაოდ აღიარებულ სასწავლო დაწესებულებებში. ამას ადამიანები საუკუნეებია მიეჩვივნენ და ამჟამადაც წარმოდგენილად მყარად არიან მას ჩაბლაუჭებული. როცა რომელიმე ქიმიკოსი ჩაატარებს თავის ლაბორატორიაში კვლევას, ხოლო ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვს მის საქმიანობაზე, მაგრამ იციან, რომ ის ცნობილი ქიმიკოსია, ამიტომ დარწმუნებული არიან: ეს ჭეშმარიტებაა, ეს შემეცნებაა. ისინი ამბობენ: ეს არაა რწმენა, ეს შემეცნებაა. სინამდვილეში ეს წმინდა წყლის რწმენაა. ადამიანები კი ამბობენ: შემეცნება.

ყველა გზაზე, რომელიც მიდის გრძნობადი სამყაროს კვლევისკენ, მისი კანონების გაგებისკენ, ადამიანები ვერაფერს პოულობენ ისეთს, რაც შეიძლება ეხებოდეს სულიერ სამყაროს. მაგრამ ყოველთვის უმცირესობაში არიან ისინი, ვისაც უნარი აქვს მთლიანად და სრულად იოლად გავიდეს სულიერი სამყაროს გარეშე, თუმცა ამ შემთხვევაში პატიოსნად არ იქცევიან. უპირველეს ყოვლისა, ადამიანს აქვს მოთხოვნილება, რაიმე იცოდეს სულიერ სამყაროზე. ამჟამად ისინი ყურს არ უგდებენ იმათ, ვისაც შეუძლია თანამედროვე ყაიდაზე მათთვის რაიმეს თქმა სულიერ სამყაროზე. მაგრამ ისინი ყურს უგდებენ იმას, რაც გადმოგვეცა ისტორიულად და რაც ძვეს წიგნებში, აღმოსავლეთის წმინდა წერილებში, ბიბლიაში. ისინი ისმენენ ამის შესახებ, ვინაიდან მათ სხვაგვარად არ შეუძლიათ, მათ სჭირდებათ ჰქონდეთ რაიმენაირი ურთიერთობა სულიერ სამყაროსთან. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი, რაც წერია ბიბლიაში ან აღმოსავლეთის წმინდა წიგნებში, შეიძლება გამოიკვლიონ ის, რაც მხოლოდ ერთეული ხელდასხმულებისთვის არის ასევე მისაწვდომი, ადამიანები ამბობენ: დიახ, ეს არის სრულიად სხვა სახის მსოფლმხედველობა. აქ საქმე ისე არაა, როგორც გარეგანი გრძნობადი სამყაროს შემეცნებისას. ეს არ არის მეცნიერული შემეცნება, მაგრამ ეფუძნება რწმენას. აქ საჭიროა გჯეროდეს. შემდეგ ადამიანები ხვდებიან, რომ არის რაღაც მეცნიერება, არის რაღაც სხვა რწმენა და ისინი მეცნიერებას მიაკუთვნებენ გრძნობად სამყაროს, ხოლო რწმენას – სულიერ სამყაროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კონტინენტზე არსებობს მთელი რიგი თეორიისა, – სწორედ ევანგელისტური ეკლესიის თეოლოგებს შორის და არა კათოლიკური ეკლესიის თეოლოგებს

შორის, რომლებმაც შეინარჩუნეს ძველი დროის ტრადიციები და მსჯელობენ არა ისე, როგორც ევანგელისტი თეოლოგები ან გარეგნული მეცნიერები, – რომლებშიც აღნიშნულია, როგორ მიდის შემეცნება და ცოდნა რაღაც პუნქტამდე, ხოლო შემდეგ იწყება რწმენა. თითქოს ეს ასეც უნდა იყოს. აქ ინგლისში, ცოტაა თეორია, ვინაიდან თეორიები არ უყვართ. მაგრამ აქ აქვთ ცხოვრებისეული პრაქტიკა, რომელიც მიუთითებს, რომ ერთი მხრივ, სწორია, ყური მიუგდო მეცნიერებას და მნიშვნელობა მიანიჭო იმას, რაც მის მიერ არის აღიარებული; მეორე მხრივ, საჭიროა იცხოვრო სწორად, მოწიწებაში, მე არ მინდა გითხრათ მოწიწებით, რწმენაში და ამასთან მკაცრად გამიჯნოთ ერთი მეორისგან.

ამას ახორციელებდნენ არა მარტო დილექტანტები, არამედ სწავლულები, ამასთან დიდი ხნიდან მოყოლებული. ერთი მხრივ, ასე შექმნა *ნიუტონმა\** გრავიტაციის თეორია, ანუ ისეთი შეხედულება სამყაროს სივრცეზე, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ყველანაირ სულიერ საწყისს. სამყარო რომ ისეთი იყოს, როგორც წარმოედგინა ნიუტონს, სული ვერ შეძლებდა მასში ყოფნას. უბრალოდ, არ ჰყოფნით სიმამაცე თანმიმდევრულად მივიდნენ ასეთ დასკვნებამდე. როგორც ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ ჯარასგან შეიძლებოდა ოდესღაც წარმოქმნილიყო ადამიანი ან წარმოვიდგინოთ იგი ჯარაში, ასევე ნაკლებად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ნიუტონისეულ სამყაროში ღვთაებრივ-სულიერის არსებობა და მოქმედება. უბრალოდ არა აქვთ შინაგანი სიმამაცე, შინაგანი გამბედაობა, აღიარონ ეს. არა მარტო რაღაც ამის მსგავსის მიმდევრები ემხრობიან იმას, რომ ერთი მხრივ, იქადაგონ სივრცობრივ-დროითი მსოფლმხედველობა, რომელიც გამორიცხავს სულიერს, არამედ ამას ემხრობიან ისინიც, რომლებიც ნიუტონის მსგავსად თავად იკვლევენ; ამის კარგი მაგალითია ნიუტონი, რომელიც ერთი მხრივ აფუძნებს მსოფლმხედველობას, რომელიც გამორიცხავს ყველანაირ სულიერს, მეორე მხრივ, სამშვიდობის სრული იგნორირებით ახდენს აპოკალიფსის ინტერპრეტირებას.

ის, რაც არის გრძნობადი სამყაროს ცოდნა, შემეცნება და რაც არის სულიერი სამყაროს ცოდნა, შემეცნება – ამათ შორის ჩანგრეულია ხიდი. დღეს იქაც, სადაც უყვართ თეორიები, ცდილობენ ამის მკაცრად დასაბუთებას, ხოლო იქ, სადაც თე-



ორიები არ უყვართ, ეძლევიან შეგრძნებებისა და აზროვნების ჩვევებს, ასე რომ, აქედან თავის დაღწევა საერთოდ შეუძლებელია. ამასთან, ადამიანთა გონება, გაგება, იდეური ძალა, იდეური უნარი დღეს უკვე იმდენად განვითარდა, რომ საკმარისია ამაზე მხოლოდ კარგად დაფიქრება და მისი დაუფლება, მაშინ სავსებით შესაძლებელია გონებით წვდომა, მაგრამ შესაძლოა ვერ გამოიკვლიონ ის, რაც მოდის ინიციაციური ხედვიდან.

მაინც რისი გაკეთებაა აუცილებელი? აუცილებელია, განვითაროთ თვალსაზრისი: უპირველეს ყოვლისა, კვლევა იმისა, რისი კვლევაც სულიერი სამყაროდან უნდა მოხდეს, ამასთან ისეთი ადამიანების მიერ, რომლებსაც შეუძლიათ, თავიანთ ამჟამინდელ ცხოვრებაში დასახმარებლად მოუხმონ ძალებს ადრინდელი ინკარნაციებიდან, რაც მათ მისცემს უნარს, კვლევისთვის მოიძიონ ის, რაც აუცილებელია. შემდგომში ამ გზით გამოკვლეული საჭიროა აღიქვას ადამიანების გარკვეულმა რაოდენობამ და ეს რიცხვი სულ უფრო უნდა იზრდებოდეს, ამასთან შემეცნება უნდა განხორციელდეს იდეის ფორმით, როგორც ეს ეკადრება ზოგადად შემეცნებას. შედეგად, როცა სულიერი კვლევის ნაყოფები აღქმული იქნება ჯანსაღი გაგებით, სხვა ადამიანები, სწორედ ამ გაგების მეოხებით, შეძლებენ, საფუძველი ჩაუყარონ თავიანთ უნარებს თავად ჩაიხედონ რეალურად სულიერ სამყაროში. მე უკვე არაერთხელ ვთქვი: ყველაზე ჯანსაღი გზა, რომელსაც რეალურად შეჰყავს სულიერ სამყაროში – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის ათვისება და იმის აღქმა, რაც გვეუწყება სულიერი სამყაროდან.

ასეთი იდეების მიღებით, შინაგანად გამოაცოცხლებენ თავის თავს და ადამიანი არა მარტო იგებს, არამედ შედის სულიერი სამყაროს ჭკერებში, რამდენადაც უშვებს ამას მისი კარმული შესაძლებლობა. აქ უდაოდ უნდა დავეთანხმოთ კარმაზე შეხედულებას. დღევანდელი ადამიანი კარმაზე არ ფიქრობს. ადამიანები საუბრობენ იმაზე, რომ ისე, როგორც ვიკვლევთ გოგირდს ლაბორატორიაში, ამის მსგავსად უნდა ჩავატაროთ კვლევები ანომალური გამოვლინებებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი აქვს ადამიანთან. მაგრამ, დააკვირდით, გოგირდს არა აქვს არანაირი კარმა! მხოლოდ იმ „გოგირდს“, რომელსაც ეხება ადამიანი, აქვს კარმა. ჩვეულებრივ, მინერალურ გოგირდს კარმა არა აქვს. მხოლოდ ადამიანებს აქვთ კარმა. არასდროს არ შეიძლება წინასწარ განსაზღვრული

იყოს ადამიანის კარმაში ის, რომ იგი ექსპერიმენტებს ატარებდეს საკუთარ თავზე ლაბორატორიაში. ამის გათვალისწინება აუცილებელია, რათა კვლევები ნაყოფიერი იყოს.

ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს სულისმეცნიერება. აუცილებელია, ჯერ გამოვიკვლიოთ კარმული წინაპირობები, რომელიც ბადებს ადამიანის უნარს გამოიკვლიოს სულიერი სამყარო. ამის შესახებ მკაფიოდ გადმოვეცი ჩემი წიგნის – „თეოსოფია“, ბოლო გამოცემების დასკვნაში. მაგრამ ჩვევის გამო თანამედროვე სამყაროს არ შეუძლია ამ მოვლენების აღქმა; არა უუნარობის გამო, არამედ ჩვევის გამო. თუმცა ეს წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, არსებითია გავერკვეთ შემდეგში: შენ კვლევის გზით მაშინვე არ უნდა შეხვიდე სულიერ სამყაროში. თუ აქ, ფიზიკურ პლანზე არ ივლით ექსპერიმენტების მცდარი გზით კარმასთან ერთად, – რაც, ცხადია, შეუძლებელია, თავად კარმით იყოს განპირობებული, – და არ დაიწყებთ ექსპერიმენტებს მედიუმებთან, არამედ დაეყრდნობით იმას, რაც ამ სამყაროსთვის წარმოადგენს სწორედ მართებულ ცნობიერებას და ჩემ მიერ აღწერილია, როგორც ყოველდღიური ცნობიერება, თუ სწორად მიენდობით ამ ცნობიერებას, მაშინ შესაძლებელია სრულად გაგება იმისა, რასაც გვთავაზობს ხელდასხმის მეცნიერება. როცა ფიქრობენ, რომ ასეთი გაგება ვერ გექნება იმაზე ადრე, სანამ თავად ვერ შეძლებ სულიერ სამყაროში შეღწევას, მაშინ ნამდვილ ცდუნებაში არიან. ერთ-ერთი მცდარი გზაა ასევე ის, რომელსაც დღეს მიჰყვებიან, როცა ამბობენ: როგორ შემეხება მე სულიერი სამყარო, თუ თავად არ შემიძლია მასში ჩახედვა. ამგვარი მსჯელობა ყველაზე დიდი, ყველაზე საშიში, ყველაზე აშკარა ცდუნებაა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ცდუნებას უნდა მიაპყროს თავისი ყურადღება ისეთმა მოძრაობამ, რომელიც განსხეულებულია ანთროპოსოფიულ საზოგადოებაში.

#### *დაბადება, სიკვდილი და ბოროტება*

ის, რომ ადამიანი თავისი ყოფიერებით აქ, ფიზიკურ სამყაროში განეკუთვნება სხვადასხვა სამყაროს, ეს ნათელია მიუკერძოებელი ცნობიერებისთვის უკვე იმით, რომ მის მიერ განცდილ მოვლენებს ყველგან, სადაც კი ისინი ეხებიან მნიშვნელოვანს ცხოვრებაში, უჭირთ ყოველდღიური ღვიძილის ცნობი-

ერების გაგება. გაუგებარი კი იმის გამოა, რომ წარმოგვიდგება განცალკევებული, მაშინ, როცა გარკვეულ შემთხვევებში მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

უპირველეს ყოვლისა, მსურს, ამ შემაჯამებელი განხილვისას მივითითოთ ადამიანის შემოსვლაზე ფიზიკურ სამყაროში და მისგან გასვლაზე, ანუ მსურს, მივითითოთ დაბადებასა და სიკვდილზე. დაბადება და სიკვდილი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ეს ორი მოვლენა ადამიანის მიწიერ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის წარმოადგენს თითქოსდა სრულიად საპირისპიროდ მომართულს. ყველაფერი, რაც უსწრებს დაბადებას, რაც დაკავშირებულია მიწიერ ყოფიერებაში ადამიანის შესვლასთან, ეს დევს მისი მიწიერი ცხოვრების დასაწყისში. სიკვდილი დგას მიწიერი ცხოვრების ბოლოს. ისინი გამოიყურება განცალკევებულად. სულიერი ცხოვრების მკვლევართვის კი ისინი სულ უფრო მეტად და მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. ვინაიდან, როცა ვაკვირდებით გზას, რომელიც აღვწერე, როგორც ადამიანის შეჭრა მთვარის მისტერიებში და უნარი, რომ ღამე შეიყვანოს დღეში, – ამაში ის ხედავს, სულ უფრო მეტად როგორ ამოიზრდება და იფურჩქნება ფიზიკური და ეთერული სხეულები დაბადების ყველა მოვლენაში. ხედავს, როგორ ამოდიან ისინი პატარა ჩანასახიდან და თანდათანობით იძენენ ადამიანურ იერს, როგორ გამოხატავენ ისინი ასევე, ჯერ კიდევ მიწიერი ცხოვრების განმავლობაში აღმავალ ცხოვრებას და მხოლოდ მიწიერი ცხოვრების შუაში, დაახლოებით 35 წლისთვის, იწყებენ ნელ-ნელა დაცემას, ავლენენ რა დაღმავალ ცხოვრებას. ამას ადამიანი ჭვრეტს ასევე გარეგნულადაც. მაგრამ ის, ვინც დაადგება მთვარის ამ გზას, რომელზეც ვისაუბრე წინა ლექციაში, იგი ასევე ხედავს, რომ ფიზიკური და ეთერულისთვის ჩანასახოვანი ცხოვრების დაწყების შემდეგ წარმოიქმნება რაღაც სხვა ცხოვრება, რომელსაც ვწვდებით ანთროპოსოფიის სფეროში, როგორც ასტრალურ სხეულსა და „მე“-ს, რაც არსებითად კვდება, ექვემდებარება სიკვდილს.

მისტიკურ ცხოვრებაში შესვლით, რაც გუშინ დეტალურად აღვწერე, ვჭვრეტთ არა მარტო ფიზიკურად და ეთერულად დაბადებას, არამედ ვხედავთ ასტრალურისა და „მე“ არსების სიკვდილს. ვხედავთ, რომ სიკვდილი ჩაქსოვილია ცხოვრებაში, რომ კვდომა შეუღლებულია აღმოცენებასთან და კვლავ და კვლავ, როცა ადამიანს განიხილავენ ამ ინიციაციური

ცნობიერებით, მაშინ ხედავენ, – მისი სხეულის დაშლის დაწვებისას, დაწვებული მისი ცხოვრების 35 წლიდან, – როგორ იწყება ასტრალური სხეულისა და „მე“ არსების აღორძინება. თუმცა ეს პროცესები შეუმჩნეველია იმ კვდომის გამო, რომელსაც ადგილი აქვს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში. და მაინც, აღორძინება რეალურად ხდება. ამდენად, კვლევის სულიერი გზის წყალობით ვსწავლობთ სიკვდილის შემეცნებას თავად სიცოცხლეში, ხოლო სიცოცხლისას – სიკვდილში. ამავედროულად, ვემზადებით იმისათვის, რომ შემდგომში დავაკვირდეთ კვდომას, რომელიც უკვე შესამჩნევია შობის პროცესში, მიწიერამდელი არსებობის სფეროში, სადაც კვდომა წარმოჩნდება მთელი თავისი მნიშვნელობითა და სიდიდით. და კვლავ იმ მიზეზით, რომ კვდომად მიწიერ ცხოვრებაში ასტრალური სხეული და „მე“-არსება წარმოჩნდებიან სულ უფრო მხნე და გამოცოცხლებულნი, ოღონდ უბრალოდ ფიზიკური და ეთერული სხეულების ტყვეობაში მყოფნი, ვემზადებით იმისათვის, რომ დავაკვირდეთ ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან გამოსულთ და – სიკვდილის კარიბჭის გავლით სულიერ სამყაროში შესულთ. სიკვდილი და შობა ხვდებიან ერთმანეთს მაშინ, როცა ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის ისინი წარმოჩნდებიან განცალკევებულ მოვლენებად.

ეს ყოველივე, მოპოვებული ამ კვლევის მეშვეობით სულიერი სამყაროდან, სავსებით შეიძლება გავიაზროთ ჩვეულებრივი ცნობიერებით, სწორედ იმ გზით, რომელიც მე აღვნიშნე დღევანდელი მოხსენების პირველ ნაწილში; საჭიროა, მხოლოდ უარი ითქვას იმაზე, რასაც ითხოვს ეს ჩვეულებრივი ცნობიერება დღევანდელი დღისთვის. მე ვიცნობდი ერთ ადამიანს, რომელიც ამბობდა: „ქვა ძირს ვარდება, მე თუ სკამს ავწევ და შემდეგ ხელს გავუშვებ, ისიც ძირს ვარდება; ყველაფერი ვარდება დედამიწაზე. ადამიანები კი ამტკიცებენ, რომ დედამიწას არა აქვს საყრდენი, მაშასადამე, ის უნდა ჩამოვარდეს“. ასე ამბობდა ეს ადამიანი და ვერ ითვალისწინებდა იმას, რომ დედამიწაზე ყველაფერი უნდა ჩამოვარდეს დედამიწის ზეგავლენით, მაგრამ თავად დედამიწა თავისუფლად მოძრაობს სივრცეში, რადგან ვარსკვლავები აკავებენ მას ყველა მხრიდან, ისევე როგორც, აკავებენ ერთმანეთს.

ადამიანები, რომლებიც დღეს ამტკიცებენ, რომ საჭიროა, ყველაფერი დადასტურდეს გარეგნული გრძნობის ორგანოების

მეშვეობით, თანამედროვე მეცნიერების მსგავსად, – ჰგავს იმას, ვინც ამბობს: თუ დედამიწა არ იქნება რაღაც დიდ პალოზე მიჭედებული, მაშინ ის უნდა ჩამოვარდეს. ანთროპოსოფიული ჭეშმარიტებები სწორედ ასეთია, მათ ერთმანეთი უჭირავთ, როგორც ვარსკლავები აკავენ ერთმანეთს. აუცილებელია, ამის აღიარება. ერთხელაც, როცა აქამდე მივალთ საკუთარი ჩვეულებრივი ცნობიერებით, ნამდვილად ვიწყებთ ანთროპოსოფიის წვდომას იდეურად, ასევე ისეთი მოვლენების წვდომას, როგორცაა დაბადება და სიკვდილი. მაგრამ ახლა ჩვენ კიდევ უფრო წინ წავიწიოთ. ყურადღება მივაპყროთ იმაზე, რომ, ვინც კარგადაა მომზადებული იმით, რაც თანამედროვე მეცნიერებისთვისაა მისაწვდომი, მაგრამ ამას იღებს ცოცხალი აღქმით, ის გაიგებს, მართალია, არა მთლიან ადამიანს, არამედ მის ორგანოებს ისე, როგორც უკვე ითქვა.

ორგანოების ამგვარი შემეცნების მეშვეობით, რომელიც მოპოვებულია ხელდასხმის გზაზე, სამშვიინველის წინაშე წარმოჩნდება არა დაბადება და სიკვდილი, არამედ რაღაც სრულიად სხვა. ორგანოთა ამგვარი შემეცნების წინაშე შობა და სიკვდილი კარგავს თავის ჩვეულ აზრს, ვინაიდან კვლევა შეუძლია მხოლოდ მთლიან ადამიანს და არა მის ცალკეულ ორგანოებს. მაგ., ფილტვები არ კვდება. დღევანდელი მეცნიერება უკვე იწყებს იმის განჭვრეტას, რომ ადამიანის ცალკეული ორგანოები შეიძლება გაცოცხლდეს, თუნდაც ადამიანი უკვე გარდაცვლილი იყოს. ცალკე აღებული ორგანო არ კვდება, დამოუკიდებლად იმისგან, ადამიანი დაასაფლავეს თუ კრემაცია გაუკეთეს და თითოეული ორგანო თავის ყაიდაზე ეძებს გზას კოსმოსში, თუნდაც ადამიანი უკვე დასაფლავებული იყოს. სხეულის ორგანოები ეძებენ თავისთვის გზებს წყლის, ჰაერის და სითბოს ელემენტების მეშვეობით კოსმოსში. სინამდვილეში ორგანოები კი არ კვდება, არამედ იშლება, იხსნება; კვდება მხოლოდ მთლიანი ადამიანი.

სიკვდილზე საუბარს აზრი აქვს მხოლოდ მთლიან ადამიანთან დაკავშირებთ. ცხოველის ორგანოების შემთხვევაში საჭიროა ვისაუბროთ ამ ორგანოების სიკვდილზე. ცხოველებთან შედარებით ადამიანის ორგანოები იშლება, განზავდება. ოღონდ დაშლის ეს პროცესი ხდება ძალიან სწრაფად, მსგავსად იმისა, როგორც უმწიფარი ვაშლის ხარშვისას, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით უფრო სწრაფად გა-

დის ამ პროცესს, ვიდრე მწიფე ვაშლი. დასაფლავება ეს არის შენელებული პროცესი, ხოლო კრემაცია – დაჩქარებული. ასევე შეიძლება თვალი მივადევნოთ თითოეულ ორგანოს თავის თავისებურებაში უკიდევანო სივრცეებში თავის გზაზე. მაგრამ იქ, გარეთ, კოსმოსში, ისინი არ იფანტებიან უკიდევანო სივრცეში, არამედ, როგორც გუშინ აღვწერე, კვლავ წარმოჩნდებიან მზერის წინაშე უზარმაზარი ადამიანის სახით, კოსმოსური ადამიანის სახით.

ამდენად, როცა ინიციაციური ცნობიერებით ვაკვირდებით ორგანოებს, ვხედავთ, სინამდვილეში რა მოსდით სიკვდილისას მათ, როგორ მიიმართებიან ისინი მათთვის მონათესავე კოსმოსის სხვადასხვა რეგიონში. გული მიდის ერთი მიმართულებით, ფილტვები – მეორე, ხოლო ღვიძლი – მესამე მიმართულებით. ისინი ნადგურდებიან კოსმოსში. ამის ჭკრეტა შესაძლებელია, თუ ხელდასხმის გზაზე განვავითარებთ ორგანოების ცნობიერებას, უფრო სწორად, ცნობიერებას, რომელიც განეკუთვნება ორგანოებს, ორგანოებზე ცნობიერებას. მაშინ ვლინდება ეს ადამიანი. ადამიანი ვლინდება ისეთი, როგორც ის არის ჩაწერილი კოსმოსში. კოსმოსში ჩაწერილი ადამიანის ჭკრეტის დახმარებით შეიძლება, მაგ., წარმოღვენა შევიქმნათ იმაზე, რა ძვეს ერთმანეთის მომდევნო ინკარნაციების საფუძველი.

აქ გვჭირდება დაკვირვება, როცა ამოვდივართ არა მთლიანი ადამიანიდან, არამედ ორგანოებზე დაკვირვებიდან, რათა შევძლოთ, შევიმეცნოთ ადრინდელი მიწიერი ცხოვრებებიდან მისი დაბრუნება ამ მიწიერ ცხოვრებაში. აი, რატომაა, რომ სულიერ სამყაროში მთვარის გზით შეჭრილი ადამიანები – მისტიკოსები, თეოსოფები და სხვა მათი მსგავსნი, ჭკრეტენ მთელ სპექტრს ღმერთებისა, სულებისა, ადამიანური სამშვინველებისა, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ დედამიწაზე, მაგრამ არ შეუძლიათ სრულიად განსაზღვრულად თქვან: ეს არის *ალანუს იბ ინსულისი*, ეს არის *დანტე*, ეს არის *ბრუნეტო ლატინი*. სახეზეა სხვადასხვა არსება, რომლებიც ზოგჯერ წარმოჩნდებიან ძალზე უცნაური, გროტესკული სახეებით. ეს არის წინარე ინკარნაციები. მაგრამ შეუძლებელია განვასხვაოთ, არიან თუ არა ისინი ეს სამშვინველები, ან სხვები, ანდა კიდევ რომელიმე სხვა. ასე რომ, როცა სულიერი სამყარო იჭრება დღეში ჯადოსნურად შემოყვანილ ამ ღამის სამყაროში, შემდეგ კი იხსნება ვენერასგან გადმოღვრილი იმპულსებისგან, მაშინ წარ-

მოჩნდება სულიერი სამყარო მთელ მის მთლიანობაში, მაგრამ აუცილებელი და საჭირო სიცხადის მიღწევა შეუძლებელია. როგორც ხედავთ, ამ სამყაროში შესაძლებელია განჭვრეტა იმისა, მთლიანად როგორ დგას ადამიანი სამყაროში, როგორ არსებობს იგი კოსმოსური არსების სახით.

მეორე მხრივ, ამას უკავშირდება, – მე ვიტყვოდი, – ერთი ძალზე ტრაგიკული დასკვნა. თუ ადამიანი იქნებოდა მხოლოდ მთლიანი ადამიანი, როგორსაც ის წარმოადგენს თავის კანში აქ, დედამიწაზე, დიახ, ეს იქნებოდა ძალზე კარგი, თვინიერი, კეთილშობილი არსება. ისევე, როგორც არ შეგვიძლია სიკვდილის გამოკვლევა ჩვეულებრივი ცნობიერებით, – რამდენადაც შეგვიძლია მისი მხოლოდ გაგება, ხოლო კვლევა არა, – ასევე არ შეგვიძლია ჩვეულებრივი ცნობიერებით გამოვიკვლიოთ, რატომ არიან ადამიანები ამდენი ბოროტების მატარებელი თავიანთი ასეთი წმინდა, სუფთა სახეებით, მათი უმრავლესობა ხომ სწორედ ასეთია. ბოროტი ხდება სწორედ არა მთელი ადამიანი. კანი არის განსაკუთრებულად კეთილშობილი. ბოროტები ხდებიან ცალკეული ორგანოების მეშვეობით. ორგანოებში ძვეს ბოროტების შესაძლებლობა. ამის შედეგად, რამდენადაც ორგანოები ენათესავენ სამყაროს ცალკეულ რეგიონებს, ასევე შეიმეცნებენ, ბოროტებით შეპყრობილი ასეთი არსებები სამყაროს რომელი რეგიონებიდან მოდიან, ვინაიდან იზოლირებული ორგანო თავისთავად არ წარმოადგენს ბოროტების წყაროს. ამდენად, მთლიანი ადამიანის კვლევას, უპირველს ყოვლისა, მიყვართ შობისა და სიკვდილის შემეცნებისკენ. მეორე მხრივ, ადამიანური ორგანიზაციის კოსმოსთან ნათესაობის შემეცნებას ჯანმრთელ და ავადმყოფურ მდგომარეობაში მიყვართ ბოროტების შემეცნებისკენ.

ადამიანური სამშენველის წინაშე შეიძლება წარდგეს ასევე გემტალტი, რომელმაც გაიარა გოლგოთის მისტერია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ, ამოვალთ რა ადამიანის ორგანოლოგიიდან (Organologie), გვექნება შესაძლებლობა, დავინახოთ კოსმიური ადამიანი. ვინაიდან ქრისტე დაეშვა მზიდან, როგორც კოსმოსური ადამიანი. მაგრამ როგორ შევძლებთ კოსმოსური ადამიანის შემეცნებას, თუ მანამდე არ მოვემზადებით იმისათვის, რომ საერთოდ ჩავწვდეთ მას! ქრისტოლოგია მომდინარეობს სწორედ კოსმოსური ადამიანის ასეთი წვდომისგან. ამდენად, თქვენ ხედავთ, როგორ შეჰყავს მართებულ

გზას სულიერ სამყაროში, როცა წარმართავს შობისა და სიკვდილის შემეცნებისკენ, ადამიანური ორგანოების კოსმოსთან ნათესაობის შემეცნებისკენ, ბოროტი საწყისის შემეცნებისა და კოსმიური ადამიანის – ქრისტეს შემეცნებისკენ.

ამ ყველაფრის, რომლებიც ერთმანეთს ეყრდნობიან, გაგება შესაძლებელია. ამიტომაც არის გაგება საუკეთესო გზა, თავად შეხვიდე სულიერ სამყაროში, გაგება და მედიტაცია იმაზე, რისი წვდომაც მიღწეულია. ყველა სხვა, მომდევნო მედიტაციური წესები – ეს მხოლოდ დამატებითი საყრდენია. თანამედროვე ადამიანისთვის ასეთია მართებული გზა სულიერ სამყაროში შესვლისთვის. ამის საპირწონედ ყველა ეძებს სხვა გზას, რომელიც გამორიცხავს ჩვეულებრივ ცნობიერებას, რომელიც ამ გზებზე იკარგება; ყველა ცდილობს დაქვეითებული ცნობიერებით, როგორც ეს ხდება მედიუმიზმში, სომნამბულიზმში, ჰიპნოტიზმში და სხვა ამის მსგავსში, გამოიკვლიოს სამყაროს პროცესები, რომელთა წვდომაც შეუძლებელია თანამედროვე ბუნებისმეტყველების კარიკატურული მეთოდებითა და ცნობიერებით. ყველა ეს გზა არის ყალბი, ვინაიდან მათ არ შეეყვართ ნამდვილ სულიერ სამყაროში.

### *ზეციურის გამოცხადება მიწიერში ხელოვნების მეშვეობით*

იმით, რასაც კვლევის მეშვეობით მოიცავენ, რაც ზემოთ უკვე გადმოგვცით, რომ ორგანოების შემეცნების მეშვეობით უბრუნდებიან კოსმიურ ადამიანს, გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელია, მიუზერუნდეთ ქრისტეს გაგებას; როცა ადამიანში ემოციურად ამოიზიდება ის, რაც წარმონიშნავს ოკულტური ჭკრეტის წინაშე და აღიქმება ინიციაციური ცნობიერებით, ამ ცნობიერებაში თითქოსდა იხსნება ზეციური მიწიერის შიგნით. ეს ხორციელდება ხელოვნების მეშვეობით. ხელოვნებაში სამშეინველი ნახევრად გაუცნობიერებლად ინარჩუნებს იმას, რაც ადამიანებს უბრუნდებათ სულიერი სამყაროდან, სწორედ იმ უკანა გზებზე, რომლებიც მე დავახასიათე. აი, რატომ იყო, რომ ყველა დროში ადამიანები, ამისთვის თავიანთი კარმით განკუთვნილნი, ხელოვნებაში მიწიერ-საგნობრივის მეშვეობით სულიერს აღბეჭდავენ.

ჩვენი ნატურალური ხელოვნება ამ ყველაფერს გვერდს უვლის. ნებისმიერი მწვერვალი კაცობრიობის მხატვრულ განვი-



თარებაში წარმოაჩენს სულიერს გრძობადში ან, შეიძლება ითქვას, გრძობადს ადამადლებს სულიერის სფეროდე. ამიტომაც აფასებენ ესოდენ ძლიერად რაფაელის ხელოვნებას, რომ მან, როგორც სხვამ არაფერ, შეძლო გრძობადში წარმოედგინა ის, რაც ჩვენ სულიერად აღგვამადლებს.

კაცობრიობის განვითარებაში იყო რაღაც ნაკადი, რომელიც უპირატესად იხრებოდა პლასტიკური, გამომსახველობითი ხელოვნებისკენ. დღეს გვინდა, კვლავ ვიპოვოთ ახალი ცხოვრება გამომსახველობით ხელოვნებაში. მაგრამ უშუალო სტიქიური იმპულსი გამომსახველობით ხელოვნებაში ჩაიდგარა წარსულ დროებში. ამავე დროს, უკვე ასწლეულების განმავლობაში მუშავდებოდა სხვა იმპულსიც – მუსიკალური იმპულსი. ამიტომაც მიიღო გამომსახველობითმა ხელოვნებამ ნელ-ნელა ამა თუ იმ ზომით მუსიკალური ფორმა. მუსიკა წარმოადგენს კაცობრიობის მომავალს მხატვრულთან დაკავშირებით და მუსიკალური შეიძლება გამოვლინდეს თვით ორატორულ ხელოვნებაშიც. გოეთეანუმის შენობა დორნახში აგებულია მუსიკის სულისკვეთებით. ამით აიხსნება, ასე ცუდად რატომ ესმით მისი არქიტექტურული, სკულპტურული და გამომსახველობითი თავისებურებები. ამავე მიზეზით მომავალ ხელოვნებასაც ძნელად აღიქვამენ, ვინაიდან მუსიკალური ელემენტი უნდა შევიდეს სკულპტურულ-გამომსახველობითში, როგორც ამას კარნახობს კაცობრიობის განვითარების მსვლელობა.

როგორც უკვე მიგითითეთ, რაც კაცობრიობის განვითარებისთვის არის უდიადესი – ქრისტეს გეშტალტის შემოსვლა, რომელიც არის მაცოცხლებელი, სულიერ-მაცოცხლებელი გეშტალტი ქრისტესი, წარმოადგენს სწორედ იმას, რაც აისახა რენესანსისა და წინა ეპოქის მხატვრების გასაოცარ ხელოვნებაში, ეს აუცილებლად უნდა აისახოს მუსიკალურად მომავალში. ახლა იგრძნობა ამისკენ სწრაფვა. ეს სწრაფვა შემოიჭრა რიჰარდ ვაგნერში. ამან რიჰარდ ვაგნერი საბოლოოდ მიიყვანა თავისი „პარციფალის“ დაწერამდე. მაგრამ „პარციფალის“ იმ ეპიზოდში, რაც დაკავშირებულია ქრისტეს იმპულსის გასაოცარ გამოვლენასთან გრძობად-ფიზიკურ სამყაროში, იმ ადგილებში, სადაც ოპერა ყველაზე მეტად ცდილობს, გამოავლინოს ქრისტიანული საწყისი, გხვდება მხოლოდ სიმბოლური ნიშნები: ჩნდება მტრედი და ამის მსგავსი. ზიარება იქ ასახულია სიმბოლურად. მუსიკალურ ელემენტში არ არის ასახული

ის, რასაც წარმოადგენს ქრისტეს იმპულსი კოსმოსში და დედამიწაზე. მაგრამ მუსიკას შეუძლია ქრისტეს ეს იმპულსი გამოხატოს ბგერებში, თავის ფორმაქმნად ბგერებში, გამშვინვიერებულ, გასულიერებულ ბგერებში. მუსიკას რომ შეძლებოდა ანთროპოსოფიული სულისმეცნიერებით ინსპირირება, ის შეიძენდა აუცილებელ გამომსახველობას, რათა წმინდა მხატვრული, ემოციური არტისტული საშუალებებით ხორცი შეესხა სიმფონიურ ჟღერადობაში იმისთვის, რაც ქრისტეს იმპულსის სახით ცხოვრობს კოსმოსურ-თელურიულში (Tellurisch).

ამისთვის, შინაგანი მუსიკალური განცდისას, რომელიც შემოდის მისტიკურ შეგრძნებამდე, უნდა შეგვეძლოს ტერციის ჟღერადობის სფერო ჩავაღრმავოთ მაჟორში. განვიცდით რა ამას როგორც რაღაცას, რაც მუსიკალურად მთლიანად ძვეს ადამიანის შინაგანში და შემდეგ შევიგრძნობთ რა კვინტის სფეროს ჟღერადობას მაჟორში, როგორც რაღაც შეფუთულს, რაღაცას იმ სფეროდან, რომელსაც ადამიანი აღწევს კვინტის ინტერვალში შეზრდით, მაშინ იგი აღწევს ადამიანურისა და კოსმიურის ზღვრამდე, მიჯნამდე, სადაც კოსმიური ჟღერს ადამიანურში, ხოლო ადამიანური ისწრაფვის კოსმოსში. მაშინ ჩვენ შეგვიძლია წმინდა მუსიკალურში, მისტერიის მეშვეობით, რომელიც ხდება ტერციას და კვინტას ინტერვალებს შორის ჟღერადობისას მაჟორში, განვიცადოთ რაღაც იქიდან, რასაც სურს დაიცალოს როგორც შინაგანი ადამიანური კოსმოსში. როცა ხერხდება კოსმიური სიცოცხლის ჟღერადობის აღქმა სექტიმასთან დისონანსში, ამასთან სექტიმის ეს დისონანსი გვაუწყებს იმაზე, რაც ადამიანს შეუძლია ემოციურად განიცადოს კოსმოსში, როცა იმყოფება სხვადასხვა სულიერი რეგიონისკენ მიმავალ გზაზე და როცა ხერხდება მიახლოება სექტიმის დისონანსის გაქრობასთან, მაშინ სწორედ ამ გაქრობის წყალობით წარმოიქმნება რაღაც სრულიად განსაზღვრული – თავად სექტიმას დისონანსის გაქრობას მიუყვართ იმასთან, რომ მუსიკალურის განცდისთვის ვლინდება რაღაც, მუსიკალური ცის კამარის მსგავსი.

მითითებულის შესაბამისად თუ მოხერხდება, რომ მაჟორში დახშობილი მინორული განცდა აღიქვა სექტიმას დისონანსი, ხოლო შემდეგ ამ დისონანსის გაქრობაში, – დისონანსის სექტიმის ამ გარდაქმნაში რაღაც მონოლითური, ნაწილობრივ ჰარმონიული, ნაწილობრივ კონსონანტური გაქრობის გამო, – მო-

ძიო შესაძლებლობა ინტენსიურ მინორში გახვიდე სეპტიმის დისონანსის ფარგლებს მიღმა, დისონანსის სეპტიმის ამ თითქმის ჰარმონიული გაქრობის ფარგლებს მიღმა, თუ შეძლებ დაბრუნდე მინორში კვინტას ინტერვალისკენ და, იქიდან გამომდინარე, განმსჭვალო კვინტის ინტერვალის ტერციის მინორული ინტერვალით, მაშინ ამ გზაზე მომზადდება განცდა, მუსიკალური განცდა, ინკარნაცია და ინკარნაცია სწორედ ქრისტესი.

ჩავწვდებით რა კოსმიურ შეგრძნებას მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითად დისონანსურ სეპტიმას ინტერვალთან მიმართებით, რომელიც ტრანსფორმირდება თავისებური სახის ცის კაბადონზე, – თავად ოქტავა, თითქოს უკანა პლანზეა, თუმცა ეს არც ისე სწორია, – შემდეგ ადამიანი მითითებული სახით უკან ბრუნდება და რწმუნდება, რომ კონსონანცირებულ ტერციაში, მინორში ჩანასახის სახით ჩადებულია შესაძლებლობა მუსიკალურ დონეზე წარმოადგინოს ინკარნაცია. მაშინ მაჟორისკენ განმეორებითი მიბრუნებისას ამ მუსიკალური ფორმაქმნადობისგან, – წმინდა მუსიკალურისაგან, რომელიც შედგენილია მხოლოდ და მხოლოდ ბგერების თამაშისგან, – გაუდერდება ქრისტეს „ალილუია“. მაშინ თავად მუსიკალური აღქმისთვის ბგერების შეხამებაში გასაოცარი სახით უშუალოდ გაცხადდება ზეგრძნობადი.

ქრისტეს იმპულსის მოძებნა შესაძლებელია მუსიკის სფეროში. და ეს გახსნა სიმფონიურისა უკვე არა მთლიანად მუსიკალურში, რასაც ადგილი ჰქონდა *ბეთჰოვენთან*\*, შესაძლებელია კვლავ უკან მიიყვანო ნამდვილი კოსმიური ბატონობისკენ მუსიკალურ ელემენტში. ამის განხორციელებას შეეცადა *ბრუნერ*\*, გარკვეული შეზღუდულობის საპირწონედ ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული ტრადიციული პროფესიული შეზღუდულობის საპირწონედ. რამდენად ვერ მოასწრო მან ეს, ამას ადასტურებს სწორედ მისი ბოლო, სიკვდილის შემდგომი სიმფონია, რომელიც ერთი მხრივ, გასაოცარია, მეორე მხრივ, მასში არის გარკვეული ძიება საკუთრივ მუსიკალური ელემენტების მეშვეობით, მაგრამ არაა მიღწეული ამ მუსიკალური ელემენტების სრული განცდა. მათი განცდა შეიძლება მხოლოდ იმ თვალსაზრისით, როგორც მე ეს ახლა მიგითითეთ, როცა ჩვენ წინ მივიწვევთ წმინდა მუსიკალურში და მუსიკალურის შიგნით ვპოულობთ არსობრივს, რომელსაც საოცარი ჯადოქრობით შეუძლია სამყარო გამოავლინოს ბგერებში.

ცხადია, თუ კაცობრიობა დაცემამდე არ მივა, ოდესმე შესაძლებელი იქნება იშვას ის, რაზეც მიგითითეთ ანთროპოსოფიული ინსპირაციის მეშვეობით. შესაძლოა, ოდესმე მოხდეს ისე, – ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანებზე, – რომ სწორედ მუსიკალურში წარმოჩნდება ქრისტეს იმპულსი ჭეშმარიტი სახით, ასევე გარეგნული გამოცხადების მეშვეობით.

მე მინდოდა ეს წარმომედგინა თქვენი სამშენველის წინაშე იმისთვის, რომ დაგენახათ, როგორ სურს, ანთროპოსოფიას გადმოიდვაროს ცხოვრების ყველა სფეროში და ეს შეიძლება, განხორციელდეს, თუ ცხოვრება ნამდვილად იპოვის, სხვა მხრივ, გზას, ნამდვილ გზას ანთროპოსოფიული გამოცდილებისკენ, ანთროპოსოფიული კვლევისკენ. არ არის გამორიცხული, რომ ის, რაც ანთროპოსოფიულ სფეროში არსებობს, ოდესმე გაუღერდეს ექოდ მუსიკალურიდან, როგორც ექო ქრისტოლოგიური გამოცანების გადაწყვეტისა.

ამ სიტყვებით მსურს, დავასრულო ის, რაც შევძელი ამ ლექციებში მხოლოდ მომენიშნა, როცა მივუთითე მარტოოდენ მიმართულება, გეზი. მინდა, მხოლოდ დავამატო, რომ მე ვესწრაფოდი ანთროპოსოფიული ჭეშმარიტებების გადმოცემით თქვენს სამშენველებში გამომეწვია გარკვეული აქტივობა, რათა ეს ჭეშმარიტებები თითოეულ სამშენველში იქცეს სიცოცხლისუნარიან ჩანასახებად, ნამდვილ სიცოცხლედ და მათ შეძლონ წარმართონ ცივილიზაცია შემდგომი სიცოცხლისკენ.

დაე, ლექციების ეს ციკლი იყოს მცირე წვლილი ანთროპოსოფიული მისწრაფებების ამ შორს მიმავალი ზრახვებისთვის.

რულოლუ შტაინერის ჩანაწერი  
1924 წლის 14 აპრილის ლექციისთვის

რადაც პირქუში ლანდშაფტი – გარშემო აქ და იქ ამოზიდულია მოუხეშავი ნაგებობები – მზის უკანასკნელი სხივები ქრება –

შესვლა ტყეში – ვიწრო ბილიკი – დგება სიბნელე –  
სრული სიბნელე –  
ტაძრის კარიბჭე =  
დარტყმები =  
იღება =

სულიერი არსება: ვინ ხართ თქვენ? (ის მხოლოდ სინათლის წყაროა). ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ –

თქვენ არასაიმედო მიწიერი ადამიანები ხართ; თქვენ დაგავიწყდათ თქვენი მცველი (ზღურბლის) –

ჩვენ ვაგროვებდით მიწიერი ყოფიერების ნაყოფებს მარადისობისთვის – თქვენი უძღურების გამო ქრება ჩემი სინათლე.

მე ვინარჩუნებ შენს სინათლეს, სანამ ის ჩვენ გვჭირდება.

.....

სინათლეს მივყავართ შემდეგში.

ჩაწვდი, რა არის შენ წინაშე = ეფე(სოს) საი(დუმლოებები) =  
სინათლის ჩაქრობა.

ზევიდან მთვარე –

ლექციების კურსი წაკითხული იქნა ანთროპოსოფიული საზოგადოების ჩარჩოში, ორგანიზებული „International Summer School“-ის მიერ ინგლისში, საერთო სათაურით „სულიერი კვლევის ჭეშმარიტი და ყალბი გზები“.

1927 წლის გამოცემის სათაური „ხელდასხმულთა ცნობიერება“ ეკუთვნის მარია შტაინერს. მასვე ეკუთვნის ცალკეული ლექციების სათაურები ისევე, როგორც ქვეთავების ეპიგრაფები.

რუდოლფ შტაინერის გამომცემლობა.

ბმ. . . .

8. „შეიცან თავი შენი“: დელოფოში აპოლონის ტაძრის შესასვლელის წარწერა, მინაწერი „შვიდი ბრძენი ბერძენი“.

11. *ჩარლზ დარვინი*, 1809-1882, ინგლისელი ბუნებისმეტყველი.

*თომას ჰუქსლეი*, 1825-1895, ინგლისელი ბუნებისმეტყველი.

*ჰერბერტ სპენსერი*, 1820-1903, ინგლისელი ფილოსოფოსი.

*ჯორდანო ბრუნო*, 1548-1600, ფილოსოფოსი.

12. *ნიკოლაუს კოპერნიკი*, 1473-1543, ასტრონომი.

*გალილეო გალილეი*, 1564-1642, ასტრონომი და ბუნებისმეტყველი.

15. *რაფაელი* (რაფაელ სანტი), 1483-1520, იტალიელი მხატვარი, ფერმწერი.

*მიქელანჯელო* ბუნაროტი, 1475-1565, იტალიელი მოქანდაკე, არქიტექტორი, მხატვარი.

28. *მეცამეტე თვე* ძველ ქალდეველებს ჰქონდათ მზის წელი 360 დღისგან შემდგარი და მზის მეექვსე წელიწადს ჩაურთავდნენ ერთ თვეს.

34. „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“, (1904/5), GA 10;

„იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, (1910), GA 13.

62. *დრამა-მისტერიები*, (ოთხი დრამა-მისტერია, 1910-13), GA 14.

68. *სავარჯიშოები საკუთარი თავის ნდობაში*. იხ. რუდოლფ შტაინერის ციკლები: GA 108 და GA 42/145.

74. *შარტრის სკოლა*: იხ. ლექციები: „კარმული ურთიერთკავშირების ეზოთერული მიმოხილვა“, ტ. III. GA 237.

74. *ბერნარდოს ხელნაწერისი* (ბერნარდი ტოურესიდან), გარდაიცვალა 1150.

*ბერნარდასი შარტრიდან*, გარდაიცვალა 1124 და 1130 წლებს შორის.

*ალანუს აბ ინსულისი*, დაახლოებით 1114-1203, მას უწოდებდნენ: უნივერსალურ ექიმს.

*იოახიმ დე ფიორე*, გარდაიცვალა 1202, ცისტერციანელი აბატი.

75 *იოჰანესი აუვილედან*. რუდოლფ შტაინერი უბის წიგნაკში ციტირებს იოჰანესის ნაწარმოებს „არქტიტრენიუსი“ (1184).

77. *დანტე ალიგიერი*, 1265-1321.

*ბრუნეტო ლატინი*, დაიბადა დაახლოებით 1210-1230 წლებს შორის, გარდაიცვალა 1294. იტალიელი დიდგვაროვანი. სწავლული და პოეტი. წერდა ფრანგულ ენაზე „Li Livres don Tresor“, ენციკლოპედია. იხ. ასევე რუდოლფ შტაინერის ლექცია 1918 წ. 29 დეკემბერი. GA 187.

81. *პლატონი*, 427-347 ძვ. წ.

*სოკრატე*, 496-399 ძვ. წ.

*პერაკლიტე*, დაახლოებით 500 წ. ძვ. წ. ეფესოდან. სოკრატემდელი ფილოსოფოსი.

105. *კლინიკურ-თერაპიული ინსტიტუტი*, დოქ. ვეგმანი: იტა ვეგმანი, (1876-1943), ჰოლანდიელი ექიმი. 1921 წელს არლესჰაიმში დააფუძნა კლინიკურ-თერაპიული ინსტიტუტი.

105. *მივაბიჯებთ* – თავდაპირველ ტექსტში – მარშირება, სტენოგრაფიის შესაბამისად (მომდევნო გამოცემაში მარშირების ნაცვლად „ნაბიჯის გადაღმა“, სიარული).

129. *სწორედ მათი სახელებით აღგვნიშნა განსაზღვრული ეპოქები*: „ამ აღვიღს განეკუთვნება რუდოლფ შტაინერის შემდეგი შენიშვნა ჩანაწერების წიგნიდან: „დილის ლექცია, ტორკი, 1924 წლის 18 აგვისტო:

1879-1510, – გაბრიელი; 1510-1190, – სამუელი; 1190-850, – რაფაელი; 850-500, – ზაქარიელი; 500-150, – ანაილი; 150 ახ. წელთაღ. და 200 ქრისტეშობამდე, – ორიფიელი“.

იხ. აგრეთვე ლექცია 1924 წ. 8 აგვისტო. GA 237.

პლანეტარულ ანგელოზებზე სწავლება მიდის იოჰანეს სპონჰეიმამდე – 1462-1516.

136. *პარაცელსი*, 1493-1541.

*იაკობ ბიომე*, 1575-1624.

- იოანეს სკოტ ერიგენი*, დაახ. 810, დაახ. 877; დიონისე არეოპაგიტელის თხზულებების მთარგმნელი;
- 137 *ვოეთე*, 1749-1832  
*სპენსერი*, 1820-1903  
*ბაირონი*, 1788-1824  
*ვოლტერი*, 1694-1778
140. *მორიც ბენედიქტი*, 1835-1920, სისხლის სამართლის ანთროპოლოგი.
145. *ალბერტ ფრაიერ შრენკ-ნოტცინგი*, 1862-1929, ექიმი და ფსიქოლოგი. „მედიუმიზმის ფიზიკური ფენომენები“, 1920.
146. *ელიფას ლევი* (აბბე ალფონს ლუის კონსტანტი), 1810-1875. თეოლოგიურ-ოკულტური მწერალი.
- 175/207. *ელენა პეტრეს ასული ბლავატსკაია*, 1831-1891, „საიდუმლო დოქტრინა“, 1887-1897.
188. *პირველი ტომი წიგნისა*: დოქ. რუდოლფ შტაინერი და დოქ. იტა ვეგმანი, 1925. GA 27.
190. *მათიას იაკობ შიეიდენი*, 1804-1881. ბოტანიკის პროფესორი და ანთროპოლოგი.
- გუსტავ თეოდორ ფენხერი*, 1801-1887, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი.
199. *კატარინა სიენელი*, (1347-1380), მონაზონი, მისტიკოსი და ეკლესიის მასწავლებელი. 1364 წელს შევიდა დომინიკანელთა მესამე ორდენში. უდიდესი თავგამოდებით უვლიდა სნეულებს, მაგრამ ამავედროულად მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და, უპირველეს ყოვლისა, თავისი დროის საეკლესიო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სახელი გაითქვა თავისი წერილებით სპირიტუალურ საკითხებზე. 1461 წელს წმინდანად შერაცხეს.
215. *ისაკ ნიუტონი*, 1642-1727, ინგლისელი ბუნებისმეტყველი.
226. *ბეთჰოვენი*, 1770-1824, უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი.
- ანტონ ბრუკნერი*, 1824-1896, მისი IX სიმფონია, d-მოლი, დაუმთავრებელი დარჩა.



ასოციაცია „კოგიტო“ გამოსაცემად  
ამზადებს

**რედაქციის უბილავერი**

„ახალი სულიერება და ქრისტეს განცდა  
XX საუკუნეში“.  
GA №200

**რედაქციის უბილავერი**

„ბუნებისმეტყველება და კაცობრიობის მსოფლიო-  
ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან“.  
GA №325

**რედაქციის უბილავერი**

„მსოფლიო ისტორიაში ბუნებისმეტყველების  
წარმოქმნის მომენტი და მისი განვითარება დღემდე“.  
GA №326

დაბეჭდილია: „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრე-  
ბულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ - სტამბაში.

ძეგლი უბილავერის 8



მთავარანგელოზი მიქაელი

